საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გ. ალასანია, რ. კიკნაძე

წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები

„მეცნიერება"
თბილისი
1988

63.2(2Ა6Ხ)
ა457

ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგის — წყაროთმცოდნეობის — სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თეორიულ პრობლემატიკას, როგორც მეცნიერულ ძიებათა პერსპექტიულ მიმართულებას.

წიგნში ფართო ისტორიოგრაფიულ ფონზე განხილულია თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ძირითადი თეორიული პრობლემები, ნაჩვენებია მათი მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის, მათი შესწავლის მდგომარეობა. წიგნი დაიწერა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეთოდოლოგიური სემინარის სხდომებზე წაკითხული მოხსენებების საფუძველზე.

რედაქტორი: უ. სიდაბონიძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი შ. ბადრიძე.
ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. არახამია.

ა $\frac{0502000000}{М607(06)-88}$ 167—88 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988

I SBN 5—520—06167—7

წინათქმა

წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების უძველესი დარგია. წყაროთმცოდნეობითი ძიებანი ხელს უწყობენ უმთავრესი ისტორიული წყაროების ყოველმხრივ შესწავლას, ისტორიული წყაროდან სანდო ინფორმაციის მიღებისა და მისი ანალიზის მეთოდების დახვეწას, ამდიდრებენ ისტორიული კვლევის წყაროთა ბაზას და განაპირობებენ მთლიანად ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეს.

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება წყაროთმცოდნეობა უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე. საგრძნობლად გაფართოვდა საქმიანობა თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ორივე ძირითადი მიმართულებით — ზოგადთეორიული და კონკრეტულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევის ხაზით. ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მეტი ლიტერატურა გამოდის სპეციალური მონოგრაფიების, წერილების კრებულებისა და ცალკეული გამოკვლევების სახით, რომლებშიც წყაროთმცოდნეობის კარდინალური საკითხებია შესწავლილი. ამდენად, სავსებით ბუნებრივია ის დაინტერესება, რომელსაც წყაროთმცოდნეობითი ლიტერატურის მიმართ იჩენენ როგორც სპეციალისტები — ისტორიკოსები და ფილოლოგები, ისე ფართო მკითხველი საზოგადოება.

წინამდებარე ნაშრომში ნოცემულია ცდა — შეძლებისდაგვარად სრულად იქნეს წარმოჩენილი თანამედროვე წყაროთმცოდნეობის თეორიული ასპექტები და საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემატიკის დამუშავების მდგომარეობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წყაროთმცოდნეობას თავისი მარადიული პრობლემები აქვს, ე. ი. არსებობს ისეთი პრობლემები, რომელთა ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა, ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტა, არ შეიძლება. მკვლევარნი ისევ და ისევ უბრუნდებიან ასეთ პრობლემებს; მეცნიერების განვითარების კვალობაზე გრძელდება ნათი შემდგომი ჩაღრმავებული შესწავლა, ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას, კამათს. ყველაფერი ეს ხელს უწყობს აზრის განვითარებას და, საბოლოო ჯამში, განაპირობებს ისტორიული მეცნიერების პროგრესს. ამდენად, წიგნის ავტორები მიზნად ვერ დაისახავდნენ ნაშრომში დასახელებულ ყველა პრობლემაზე საბოლოო

პასუხის გაცემას, თუმცა არაერთ საკითხთან დაკავშირებით ნაჩვენებია ჩვენი პოზიცია და საკუთარი კვლევის შედეგებიც არის წარმოდგენილი. წიგნში ფართოდ არის დამოწმებული თანამედროვე წყაროთმცოდნეობითი სამეცნიერო ლიტერატურა, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მკითხველს წარმოდგენა იქონიოს წყაროთმცოდნეობის განვითარების ძირითად ტენდენციებზე, ხოლო რომელიმე სადავო საკითხის ისტორიოგრაფიით დაინტერესების შემთხვევაში გზამკვლევის მაგივრობასაც გაუწევს მას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თანამედროვე საზოგადოებათმცოდნეობითი დარგებისათვის დამახასიათებელია ინტერესის განსაკუთრებით გაძლიერება თეორიული პრობლემატიკის მიმართ, კვლევის ახალი მეთოდებისა და ხერხების ძიება. მეცნიერების დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პირობებში ხდება სხვადასხვა დარგის ნიღწევების ათვისება, საზოგადოებრივ მეცნიერებათა გამდიდრება ახალი მეთოდებით. ყოველივე ეს მოითხოვს ისტორიის სპეციფიკის უფრო ღრმად შესწავლას, ვინაიდან ყოველგვარი მეთოდი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური, ე. ი. იქცეს ახალი ცოდნის საფუძვლად, თუ ის გამოიყენება დანიშნულებისამებრ. თეორია და მეთოდიკა ნიშნავს განზოგადების მაღალ დონეს, გარკვეული ცოდნის სისტემაში მოყვანას. ამიტომ ყოველგვარი მეთოდიკის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ობიექტურ ზოგად და კონკრეტულ კანონზომიერებათა ცოდნაზე დაყრდნობით.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ისტორიული მეცნიერება ერთგვარად ჩამორჩება სხვა დარგებს თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავების, დაგროვილი ცოდნის განზოგადების თვალსაზრისით. სხვა მიზეზებთან ერთად ასეთი ვითარება გაპირობებულია საბუნებისმეტყველო დარგებთან შედარებით ისტორიის დიდი სირთულით. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სხვა დარგების მეთოდების ინტერვენცია წინ უსწრებს ისტორიული მეცნიერების თეორიულ აღმურვილობას. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ამ პროცესის დადებითი როლი აშკარაა. იგი აჩქარებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას, აიძულებს შესაბამისი დარგების წარმომადგენლებს მეტი სიზუსტით, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ საკვლევ ობიექტს — ადამიანთა საზოგადოებას, მის წარსულსა და აწმყოს.

ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების შესწავლას საბჭოურ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ნიექცა 60-იანი წლებიდან; დაიწერა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, გაიმართა დისკუსიები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა სპეციალური ისტორიული თუ ფილოსოფიური ჟურნალების ფურცლებზე. ხანგრძლივი კამათიდან, რომელიც ახლაც გრძელდება,

თეორიისა და პრაქტიკის, ზოგადისა და კონკრეტულის ურთიერთობის შესახებ ისტორიულ მეცნიერებაში, კარგად გამოჩნდა მათი მჭიდრო კავშირი. ისტორიის ძირითადი საგანია ადამიანთა საზოგადოების განვითარების პროცესის შესწავლა, მაგრამ ზოგად კანონებთან ერთად მისთვის მნიშვნელოვანია კონკრეტული კანონზომიერებანი და დროსა და სივრცეში განსაზღვრული კონკრეტული ფაქტები.

ისტორიული კვლევის პროცესი განუყოფელად არის დაკავშირებული ისტორიულ წყაროებთან. მათ შესასწავლად პრაქტიკული საქმიანობის შედეგად აღმოცენებულ წყაროთმცოდნეობას[1] სამართლიანი ადგილი უჭირავს ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაში, როგორც მის ტრადიციულ დარგს. ჯერ კიდევ ძველ ხანაში, როცა გაჩნდა საჭიროება სხვადასხვა სახის ინფორმაციის ჩაწერის, რაიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთის შედგენის თუ მისი უტყუარობის დადგენის, სამშენებლო ან სხვა ხასიათის წარწერის ამოკვეთისა და ა. შ. თანდათან შეიქმნა აგრეთვე მათი შესრულების ხერხებისა და საშუალებათა ერთობლიობაც. ძველი მემატიანენი თუ გადამწერ-რედაქტორები უკვე პირველი პრაქტიკოსი წყაროთმცოდნენი იყვნენ და თავიანთ საქმიანობაში ტრადიციით განმტკიცებული გარკვეული ხერხებითა და მეთოდებით სარგებლობდნენ.

ამიტომ არის წყაროთმცოდნეობა ტრადიციული დარგი. ის ისტორიულ ცოდნასთან ერთად ისახება და მის მხარდამხარ ვითარდება[2]. თუ ისტორიული ცოდნა მეცნიერებად იქცევა მაშინ, როცა შეიცნობს წყაროთა კონკრეტული ანალიზის აუცილებლობას, წყაროთმცოდნეობა საბოლოოდ მაშინ ჩამოყალიბდა საკუთარი საგნისა და კვლევის სპეციფიკური მეთოდების მქონე დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად, როცა დამუშავდა მისი ძირითადი თეორიულ-მეთოდიკური საკითხები. საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, ეს პროცესი ძირითადად XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დამდეგისათვის დასრულდა[3]. წყაროთმცოდნეობა ისტორიულად ჩა-

---

[1] С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения. — В кн.: Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 11.

[2] Н. М. Дружинин. К вопросу о подборе и обработке исторических источников.—ИОИ, I. М., 1973, с. 166.

[3] Г. М. Иванов. Основные принципы марксистско-ленинской теории исторического источника.—ИОИ. 1979. М., 1980, с. 6—7; რ. კიკნაძე. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა.—ქართული წყაროთმცოდნეობა, V. თბ., 1978. გვ. 95; გ. ალასანია, გ. ანჩაბაძე. ქართული საბჭოთა წყაროთმცოდნეობა.—მაცნე, ისტორიის სერია, 1981, № 1, გვ. 147—148; რ. კიკნაძე, მ. ჩხარტიშვილი. წყაროთმცოდნეობითი კვლევა საბჭოთა საქართველოში.—კრებ.: ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში. თბ., 1986, გვ. 100—101.

მოყალიბდა როგორც სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის წყაროებს მათში ასახული ისტორიული ფაქტების გამოვლენის მეთოდების შემუშავების მიზნით[4].

წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების აუცილებელი დარგია. აუცილებელია ის იმიტომ, რომ ისტორიული კვლევა-ძიების საფუძველს შეადგენს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ წყაროთმცოდნეობითი საქმიანობა დიდად უწყობს ხელს ისტორიული წყაროების უფრო ღრმად და სრულად შესწავლას, ამდიდრებს მათი ანალიზის მეთოდების არსენალს და უზრუნველყოფს ნტაციეი საფუძვლის შექმნას მაღალხარისხოვანი ისტორიული გამოკვლევების დასაწერად.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გამოცოცხლდა კვლევითი საქმიანობა წყაროთმცოდნეობის დარგში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია სულ უფრო მზარდი ყურადღება წყაროთმცოდნეობითი პრობლემების დამუშავების მიმართ[5]. ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ განსაკუთრებით დიდი ინტერესი ისტორიული წყაროების ძირითადი ტიპის — წერილობითი წყაროების — მიმართ განაპირობებს შესამჩნევ მიღწევებს სწორედ მათი შესწავლის ხაზით.

რატომ ხდება ასე?

ისტორიული მეცნიერების განვითარებასთან ერთად თანდათან ფართოვდება და რთულდება შესასწავლი პრობლემების წრე. ამავე დროს, რამდენადაც ახალი, უცნობი წერილობითი წყაროების რამდენადმე მნიშვნელოვანი მასივების გამოვლენის შესაძლებლობანი არსებითად ამოწურულია, თანდათან იზრდება შეუსაბამობა ისტორიკოსისათვის ანა თუ იმ მოვლენის დასახასიათებლად საჭირო ინფორმაციასა და წყაროში შემონახულ მასალას შორის. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკვე კარგად ცნობილი წყაროების ხელახლა, უფრო დაკვირვებით შესწავლას მათში ახალი ინფორმაციის გამოვლენის მიზნით. ისტორიული შემეცნების პროცესი არ განისაზღვრება ისტორიული წყაროების მხოლოდ ახალი ჯგუფების გამოვლენით და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანით. ისტორიული მეცნიერების წინსვლა არანაკლებ არის დამოკიდებული იმაზე, რომ მკვლევართა ახალი თაობები ისეთ მონაცემებს პოულობენ

---

[4] О. М. Медушевская. Источниковедение на современном этапе.— СА, 1979, № 2, с. 6.

[5] И. Д. Ковальченко. Исторический источник в свете учения об информации.—ИСССР, 1982, № 3, с. 129.

ადრე ცნობილ წყაროებში, რომლებიც მანამდე შეუჩნეველი რჩებოდათ ისტორიკოსებს[6]. ეს არის თანამედროვე ისტორიული მეცნიერების უფრო რთული და შრომატევადი, ვიდრე ახალი წყაროების ძიების, მაგრამ ამავე დროს, უფრო მეცნიერული, ნაყოფიერი და პერსპექტიული გზა.

სწორედ ამ გარეგნებამ განაპირობა კვლევითი საქმიანობის მკვეთრი გააქტიურება წყაროთმცოდნეობის დარგში, რადგან აუცილებელი შეიქნა ახალი, უფრო სრულყოფილი ხერხებისა და მეთოდების შემუშავება წყაროდან მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მისაღებად[7]. წყაროთმცოდნეობითი პრობლემების ფართოდ და ნაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავება განაპირობებს ამ დარგის როლისა და მნიშვნელობის ზრდას საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში. ამ მიმართულებით მუშაობის საგრძნობი გაძლიერების ნაუწყებელია სპეციალური წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევების რაოდენობისა და ხარისხის მნიშვნელოვნად გაზრდა, საკავშირო, რეგიონალური და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციებისა და სესიების გამართვა წყაროთმცოდნეობის აქტუალურ პრობლემებზე.

ასეთი სწრაფი განვითარების შედეგია წყაროთმცოდნეობის სტატუსის მუდმივი ცვლა, რის აღქმასაც ყველა მკვლევარი როდი ასწრებს დროულად. ზოგიერთი მეცნიერი (განსაკუთრებით ისინი, ვინც საგანგებოდ არ იკვლევს დეფინიციის საკითხებს) წყაროთმცოდნეობას ტრადიციულად, ინერციის ძალით, დამხმარე ისტორიულ დისციპლინად აღიარებს[8]. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ბოლოს და ბოლოს მთავარია არა ის, თუ რომელი რანგის დისციპლინას დავარქმევთ წყაროთმცოდნეობას, არამედ ის, თუ რა როლს ასრულებს იგი ისტორიული შემეცნების პროცესში. მაგრამ ამავე დროს ცნობილია, რომ ცნებებსა და ტერმინებს აქვთ თავიანთი დამოუკიდებელი ისტორია და უნარი უკუგავლენა მოახდინონ მოვლენებსა და ობიექტებზე, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ. მაგალითად, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ წყაროთმცოდნეობის მიჩნევამ

---

[6] А. И. Данилов. Марксистско-ленинская теория отражения и историческая наука.—Сб.: Средние века, вып. 24. М., 1963, с. 11—12.

[7] И. Д. Ковальченко. Исторический источник в свете учения об информации, с. 131.

[8] Источниковедение истории СССР. 2-е изд. Под ред. И. Д. Ковальченко. М., 1981, с. 11; Н. В. Григорьева. Источниковедение новой и новейшей истории стран Европы и Америки. М., 1984, с. 6; Л. С. Гапоненко. Историческая наука в системе общественных наук.—В кн.: Историческая наука Вопросы методологии. М., 1986, с. 11.

დამხმარე დისციპლინათა კომპლექსად, რომელსაც არ გააჩნია თავისი კვლევის საგანი, გარკვეულ პერიოდში შეაფერხა მისი განვითარება[9].

სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები მეცნიერების განვითარების კვალობაზე დროდადრო უბრუნდებიან მისი საგნის ცნებას. ზუსტდება როგორც თვითონ ცნება, ისე მისი ურთიერთობა მეცნიერების სხვა თეორიულ-მეთოდოლოგიურ კატეგორიებთან[10]. ასეთივე მდგომარეობაა, კერძოდ, წყაროთმცოდნეობაშიც, სადაც ერთ-ერთი ძირითადი თეორიული პრობლემაა მისი საგანი და ამოცანები, სტრუქტურა, ურთიერთობა სპეციალურ ისტორიულ დისციპლინებთან. ამა თუ იმ მეცნიერების განსაზღვრა მის მიერ მოპოვებული შედეგების შეჯამებასა და განზოგადებას გულისხმობს და განვითარების გარკვეულ დონეს უკავშირდება. გამუდმებული კამათი წყაროთმცოდნეობის საგანზე, მის მიზანსა და ამოცანებზე, რომელიც დღესაც გრძელდება, სწორედ მისი მოწიფულობის მაუწყებელია.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ სხვა შინაარსი შეიძინა ისტორიული წყაროს ცნებამ. ამდენად, კვლავ დღის წესრიგში დგას მისი განსაზღვრების პრობლემა. ისტორიულ წყაროსთან დაკავშირებული თეორიული საკითხების კვლევაში ისტორიული მეცნიერების თანამოზიარეა ფილოსოფიური მეცნიერება. ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ისტორიული წყარო შემეცნების ძირითადი საფუძველია.

წყაროთმცოდნეს აინტერესებს ერთი გარკვეული წერილობითი ძეგლი, ძეგლთა ჯგუფი მთლიანად, როგორც ნამდვილი, ასევე ნატყუარი, მათი მთელი ისტორია ეტაპობრივად, შექმნის დღიდან. მათი ყველა თავისებურება, ყველა ცნობა, როგორც სანდო და ღირებული, ისე არასანდო და ნაკლებ ღირებული. სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან განსხვავებით, წყაროთმცოდნეობა ისტორიულ წყაროს და მისი შესწავლის მეთოდებს განიხილავს როგორც თავის საკვლევ საგანს[11].

წყაროთმცოდნეობითი კვლევა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართება: ზოგადთეორიული და კონკრეტულ-პრაქტიკული. ორიკე ეს მიმართულება თანაბრად მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის,

---

[9] А. П. Пронштейн. О предусте источниковедения как научной исторической дисциплины.—ИССР, 1977, № 5, с. 161. ასე იყო განმარტებული წყაროთმცოდნეობა, კერძოდ, ნაშრომებში: А. М. Большаков. Вспомогательные исторические дисциплины. Л., 1924; В. В. Альтман. Источниковедение. — БСЭ, I-е изд., т. 30, с. 96.

[10] М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение. Киев, 1984, с. 78—79.

[11] О. М. Медушевская. Современное зарубежное источниковедение. М., 1983, с. 5.

თუმცა, როგორც წესი, კონკრეტული წყاროთმცოდნეობითი ძიებანი ჭარბობენ. ეს გასაგებიც არის. წყاროთმცოდნეობით პრაქტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიული მეცნიერებისათვის. ამავე დროს, ფართო თეორიულ განზოგადებათა საჭიროება მხოლოდ მეცნიერების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე იქმნება და შეიცნობა[12], რადგან თეორიული კვლევისათვის აუცილებელია გარკვეული ცოდნის მარაგისა და გამოცდილების დაგროვება.

როგორც უკვე აღინიშნა, უკანასკნელ წლებში ისტორიულ მეცნიერებაში აშკარად გაიზარდა ინტერესი წყاროთმცოდნეობის თეორიისა და მეთოდოლოგიის მიმართ. ყურადღება ექცევა, კერძოდ, თეორიის, მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის ურთიერთმიმართების საკითხებს. თანამედროვე წყاროთმცოდნეობის რთული სტრუქტურის შესაბამისია მისი თეორიის რთული შედგენილობაც. მაგალითად, დღეს უკვე შეიძლება დაისვას საკითხი წყاროთმცოდნეობის თეორიაში სხვადასხვა დონის არსებობის შესახებ. აშკარად გამოირჩევა წყاროთმცოდნეობის ზოგადი, საერთო თეორია და მისი შემადგენელი ცალკეული დისციპლინების თეორია.

წყاროთმცოდნეობის თეორია შეისწავლის ისტორიული წყاروების საერთო თვისებებს, მათი განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, შეიმუშავებს წყاروთა ცალკეული ტიპების, გვარებისა და სახეების შესწავლის მეთოდებს. წყاروდან შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაციის მიღების გზებსა და საშუალებებს, ამ მასალის სანდოობისა და უტყუარობის დადგენის ხერხებს. წყاروთმცოდნეობის სტრუქტურის, მისი საგნისა და ამოცანების, ისტორიული წყاروს ცნების გვერდით დღეს წყاروთმცოდნეთა ყურადღების ცენტრშია ისეთი პრობლემები, როგორიც არის ისტორიული წყاروს ფორმა და შინაარსი, ისტორიული წყاروსა და ისტორიული ფაქტის ურთიერთმიმართება, ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობა ისტორიულ წყاروში. ისტორიული სინამდვილის ასახვის სისრულე და ადეკვატურობა, წყاро როგორც ისტორიული მოვლენა, მისი სოციალური ბუნება, ისტორიული წყاروების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია. წყاروთა სახეების წარმოქმნისა და ევოლუციის კანონზომიერებანი. წყاروს მეცნიერული კრიტიკის, მისი ინფორმაციული მასალის ანალიზის ძირითადი პრინციპები და მეთოდები. ისტორიული წყاروს ანალიზის ტრადიციული მეთოდების გვერდით სულ უფრო მეტად იზრდება მათემატიკური ნეთოდების ხვედრითი წილი, რაც იწვევს შესაბამისი პრობლემატიკის დამუშავების საჭიროებას.

ყოველი სამეცნიერო თეორიის მსჯელობის ცენტრალურ ელემენ-

---

12 რ. კიკნაძე. წერილობითი ისტორიული წყاروების გამოცემის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი. — ქართული წყاروთმცოდნეობა, VI. თბ., 1985, გვ. 42.

ტად სამართლიანად ითვლება ცნებები[13]. მათ დაზუსტებას და სრულყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების ყველა დარგში, მათ შორის წყაროთმცოდნეობაშიც. ტერმინებისა და ცნებების დაზუსტება განაპირობებს თვით საგნის არსში უფრო ღრმად ჩაწვდომას, მისი სხვადასხვა ასპექტის ფართოდ შესწავლას. ზოგჯერ მკვლევრები სხვადასხვა შინაარსს სდებენ ერთსა და იმავე ცნებაში. ეს იმიტომ ხდება, რომ ტერმინები და ცნებები დროისა და ვითარების შესაბამისად იცვლება, ახალი შინაარსით ივსება, ფართოვდება ან ვიწროვდება და ა. შ. ეს კი მოითხოვს სპეციალისტის მუდმივ მზადყოფნას, ხელს უწყობს აზრის მოძრაობას და განაპირობებს მეცნიერების განვითარებას.

ტერმინოლოგიური ძიებანი წყაროთმცოდნეობაში სხვადასხვა მიმართულებით წარიმართება. ისწავლება, კერძოდ, ისტორიულ წყაროებში დაცული ტრადიციული საეწიგნობრო ტერმინები, ხდება მათი დაწვრილებითი ანალიზი და ნამდვილი მნიშვნელობის დადგენა. გრძელდება აგრეთვე თანამედროვე ტერმინოლოგიის დაზუსტება და შევსება, მისი შედარებითი შესწავლა სხვა დარგების ტერმინოლოგიებთან შეფარდებით. ამ მიმართულებით მოპოვებულმა გარკვეულმა წარმატებებმა და ტერმინოლოგიის შემუშავების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენეს თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენის საკითხი[14].

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წყაროთმცოდნეობის ისტორიის შესწავლას. უკვე დაგროვდა საკმაოდ მდიდარი მასალა მეცნიერების ამ დარგის ისტორიის შესაქმნელად[15]. წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია საჭიროა როგორც წარსულის განოცდილების გათვალისწინების, ისე მომავალი მუშაობის პერსპექტივების განსაზღვრისათვის[16].

---

[13] Н. А. Автократов. О некоторых проблемах архивоведения.—СА, 1976, № 6, с. 17.

[14] С. С. Минц, В. Н. Ратушняк, В. Е. Щетнев. Из опыта составления словаря по источниковедению.—„Актуальные проблемы источниковедения и специальных исторических дисциплин". Тезисы докладов IV Всесоюзной научной конференции. Днепропетровск, 31 октября—2 ноября 1983 г. М., 1983, с. 59—68.

[15] А. П. Пронштейн. Разработка историографии отечественного источниковедения в трудах советских историков.—„Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников". Всесоюзная научная сессия. Батуми, 17—19 октября 1985 г. Тезисы докладов. Тбилиси, 1985, с. 86—87.

[16] В. И. Буганов, Г. А. Трукан. Актуальные проблемы источниковедения истории СССР.—ВИ, 1977, № 3, с. 14.

უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილი თეორიული პრობლემები დღის წესრიგში დგას წყაროთმცოდნეობის განვითარების ყველა ეტაპზე. ისე არ ხდება, რომ დღეს წყაროთმცოდნეობის საგანი და მიზანი დადგინდება, ხვალ ისტორიული წყარო განისაზღვრება, მერე წყაროთა საბოლოო კლასიფიკაცია მოხდება, მათი ანალიზის მეთოდები დაწტკიცდება და ა. შ. ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, ნაგრამ გასაკეთებელიც კვლავ ბევრი რჩება.

თეორიული პრობლემების დამუშავებასთან ერთად, ბუნებრივია, გრძელდება საქმიანობა კონკრეტული წყაროთმცოდნეობის დარგშიც. უკანასკნელ წლებში, წყაროთმცოდნეობის საერთო აღმავლობის პირობებში, საგრძნობლად გამდიდრდა და მრავალფეროვანი გახდა კონკრეტულ გამოკვლევათა თემატიკა. სხვადასხვა წყარო შეისწავლება მათი გარკვეული საბისადმი კუთვნილების თვალსაზრისით, კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით. მნიშვნელოვნად ზრდის ისტორიული წყაროს ინფორმაციულ ღირებულებას მათემატიკური მეთოდების ფართოდ დანერგვა წყაროთმცოდნეობაში. ყველაფერი ეს ახალ შესაძლებლობებს ქმნის თეორიული განზოგადებებისათვის.

ასეთია წრე ძირითადი თეორიულ-პრაქტიკული წყაროთმცოდნეობითი პრობლემებისა, რომლებიც მუშავდება თანამედროვე საბჭოურ ისტორიულ მეცნიერებაში. დღეს ისტორიული მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში წყაროთმცოდნეობითი კვლევის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების, მისი ეფექტიანობის გაზრდის გზით ვითარდება.

წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემების დამუშავებაში შეძლებისდაგვარად მონაწილეობენ ქართველი ისტორიკოსები. ნათ საქმიანობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ზოგადთეორიული პრობლემატიკა, იქმნება თეორიულ განზოგადებათა შემცველი ნაშრომები, რომელთაც საფუძვლად უდევს ორიგინალური ქართული ისტორიული წყაროების ხანგრძლივი კვლევის პროცესში მიღებული შედეგები. ქართველი წყაროთმცოდნენი უკვე ვზად არიან ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოების შესასრულებლად, როგორიც არის საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა უძველესი ხანიდან XVIII ს-ის ჩათვლით, წყაროთმცოდნეობითი ტერმინოლოგია, წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია, ისტორიული კვლევის მეთოდიკის საკითხები და სხვ. კვლევა ამ მიმართულებით ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის პროფესიული დონის შემდგომ ამაღლებას და ახალი ორიგინალური დასკვნებით გაამდიდრებს საბჭოურ ისტორიულ მეცნიერებას.

წყაროთმცოდნეობა მეცნიერებათა სისტემაში

წყაროთმცოდნეობა არის მეცნიერება ისტორიული წყაროების შესახებ. თანამედროვე ისტორიული მეცნიერების რთულ სისტემაში მას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. წყაროთმცოდნეობას აქვს თავისი საგანი, თეორია, მეთოდოლოგია, მეთოდიკა, ისტორიულ წყაროებზე მუშაობის პრაქტიკა; აქვს აგრეთვე თავისი ისტორიოგრაფია.

მეცნიერებათა საერთო სისტემაში წყაროთმცოდნეობის ადგილის განსაზღვრისას ორი ძირითადი მიდგომა შეინიშნება: პირველი აზრი დამოუკიდებელ მეცნიერებად აღიარებს წყაროთმცოდნეობას, ხოლო მეორე განსაზღვრავს მას როგორც დამხმარე დისციპლინას. ამავე დროს, არც ერთი შეხედულება არ განმარტავს საკითხს მისი დარგობრივი კუთვნილების შესახებ — კერძოდ, ფილოლოგიური დისციპლინაა წყაროთმცოდნეობა, თუ ისტორიული.

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა დროს ორივე მოსაზრებას ჰყავდა მომხრენი. მაგალითად, 1953—55 წწ. ენციკლოპედიურ ლექსიკონში ფილოლოგია განმარტებულია როგორც ენისა და დამწერლობის შემსწავლელ მეცნიერებათა, კერძოდ, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და აგრეთვე დამხმარე დისციპლინების — წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, ტექსტოლოგიის და სხვათა — ერთობლიობა. ამავე ლექსიკონში წყაროთმცოდნეობა ახსნილია როგორც „დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც იკვლევს სხვადასხვა ისტორიული წყაროს შესწავლის ხერხებს"[1].

ასეთი მსჯელობებიდან გამომდინარე, თეორიულად დასაშვებია თითქოს კიდევ ერთი, შუალედური მოსაზრება, რომელიც განიხილავდა წყაროთმცოდნეობას როგორც ისტორიულ-ფილოლოგიურ დისციპლინას. მაგრამ ლიტერატურაში ასეთი შეხედულება, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. ამის ნაცვლად გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს იმის გამო, რომ წყაროთმცოდნეობის ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიე-

---

1 ЭС, II, 1955, с. 512; I, 1953, с. 713; უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ენციკლოპედიურ ლექსიკონში (1987) ფილოლოგია და წყაროთმცოდნეობა უკვე სხვაგვარად არის განსაზღვრული (გვ. 1417, 512).

რებად მიჩნევა ძნელია, გაჩნდაო ტერმინი ლინგვისტური წყაროთმცოდნეობა[2].

ენციკლოპედიური ლექსიკონის ძველი გამოცემის ზემოთ მოტანილ განმარტებებს აერთიანებს ის, რომ ორსავე შემთხვევაში წყაროთმცოდნეობა განსაზღვრულია როგორც დამხმარე და არა სპეციალური ან დამოუკიდებელი დისციპლინა. აღნიშნულ წლებში ალბათ სწორედ ასეთი დეფინიცია ასახავდა ყველაზე ზუსტად დარგის განვითარების მდგომარეობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წყაროთმცოდნეობა პრაქტიკული საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა და საკმაოდ დიდხანს მართლაც ისტორიის დამხმარე ფუნქციას ასრულებდა. წყაროს იგი იკვლევდა არა როგორც შესწავლის დამოუკიდებელ ობიექტს, არამედ ამა თუ იმ ისტორიულ პრობლემასთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებას შეეფერებოდა წყაროს მხოლოდ გნოსეოლოგიური ფუნქციის მიხედვით განმარტება. ისტორიული მეცნიერების განვითარებასთან ერთად ვითარდება წყაროთმცოდნეობაც, რთულდება და ფართოვდება მისი ამოცანები, მრავალფეროვანი ხდება მისი შესწავლის ობიექტი. შესაბამისად იცვლება წყაროთმცოდნეობის სტატუსი, რაც იწვევს მის დეფინიციაში გარკვეულ ცვლილებებს.

წყაროთმცოდნეობის განმარტებათა ერთი რიგი მხოლოდ ისტორიულ წყაროთა შესწავლის მეთოდებისა და ხერხების შემუშავებას თვლის მის ამოცანად. აქ სრულებით არ არის ნახსენები კვლევის ობიექტი ან მისი შესწავლის მიზანი. ზოგიერთ განმარტებაში წყაროთა შესწავლის ხერხებს ემატება მათი გამოყენების მეთოდებიც[3]. მსგავსი ვითარება უფრო მეტად დამახასიათებელია იმ განმარტებებისათვის, რომლებიც წყაროთმცოდნეობას დამხმარე დისციპლინად მიიჩნევენ[4]. ამასთან დაკავშირებით ანგარიში უნდა გა-

---

[2] Современные проблемы советской археографии.—СА, 1979, № 6, с. 6.

[3] БСЭ, 2-е изд., т. 19, с. 44.

[4] სხვადასხვა დროს დამხმარე დისციპლინად მიიჩნევდნენ წყაროთმცოდნეობას მ. პოლიევქტოვი, ლ. ჩერეპნინი, ვ. სტრელსკი, ლ. პუშკარიოვი, ი. ბულიგინი, ვ. დანილოვი, ი. იაკუბოვსკაია და სხვები (მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი. სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობა. თბ., 1937, გვ. 5: А. П. Пронштейн, А. В. Лубский. Методологические проблемы источниковедения в современной советской литературе.—„Актуальные проблемы источниковедения истории СССР, спец. исторических дисциплин и их преподавание в вузах". Тезисы докладов, I. М., 1979, с. 22; Л. Е. Шепелев. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины. К вопросу об их задачах и роли в советских исторических исследованиях.—ВИД, XIII. Л., 1982, с. 14; И. А. Булыгин, Л. Н. Пушкарев. Источниковедение. — СИЭ, т. 6. с. 594; С. И. Антонова, А. В. Муравьев, А. А. Панфилова. Источниковедение истории СССР. Методическое указание для студентов гос. университетов. 2-е Изд., М., 1962;

ეწიოს ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეცნიერული მუშაობის მეთოდიკა არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ საეცნიერო დისციპლინად. ის მხოლოდ მეცნიერების ნაწილია, მისი ინსტრუმენტია, საშუალებაა, რომლის დახმარებითაც მეცნიერება წყვეტს თავის ამოცანებს[5]. მაგრამ კვხვდება შემთხვევები, როდესაც წყაროთა შესწავლის მეთოდები და ხერხები წინა პლანზეა წამოწეული ისეთ განვარტებებშიც, რომლებშიც წყაროთმცოდნეობა სპეციალურ დისციპლინად[6] არის მიჩნეული.

ზოგჯერ წყაროთმცოდნეობას განმარტავენ როგორც „მთავარს" დამხმარე დისციპლინათა შორის[7]. მაგრამ, როგორც ირკვევა, წყაროთმცოდნეობის არც სპეციალურ დისციპლინად მიჩნევა გამორიცხავს მის დამხმარეობას. ისეთ შემთხვევებსაც კი აქვს ადგილი, როდესაც წყაროთმცოდნეობა სპეციალურ დისციპლინად არის მიჩნეული, მაგრამ იმავე დროს განიხილება როგორც დამხმარე, ერთ დონეზე პალეოგრაფიასა და დიპლომატიკასთან ერთად[8].

изд. 3-е. М. 1973, с. 3; М. Н. Черноморский. Источниковедение истории СССР. Советской период. М., 1976, с. 18; Книговедение. ЭС. М., 1982, с. 221; И. В. Григорьева. Источниковедение новей и новейшей истории стран Европы и Америки. М., 1987, с. 6—7; Л. С. Гапоненко. Историческая наука в системе общественных наук.—В кн.: Историческая наука. Вопросы методологии. М., 1986, с. 11; ისტორიის დამხმარე დარგად არის გამოცხადებული წყაროთმცოდნეობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII. თბ., 1964, სვ. 1205; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბ., 1986, სვ. 568).

[5] И. А. Булыгин. Предмет и задачи источниковедения. Л., 1983, с. 6; А. П. Пронштейн. О предмете источниковедения как научной исторической дисциплины.—ИССР, 1977, № 5, с. 164.

[6] შდრ. СЭС, 1987, с. 512. ვ. დონდუას აზრით, წყაროთმცოდნეობა, რომელიც მოწოდებულია შეიმუშაოს ისტორიულ წყაროთა კრიტიკის მეთოდები და ხერხები, არ არის დამხმარე დისციპლინა (ვ. დონდუა. ე. თაყაიშვილი როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. — წიგნში: საისტორიო ძიებანი. II. თბ., 1973, გვ. 163); გ. ფლასანია, გ. ანჩაბაძე. ქართული საბჭოთა წყაროთმცოდნეობა. — მაცნე, ისტ. სერია, 1981, № 1, გვ. 147; რ. კიკნაძე. წყაროთმცოდნეობითი კვლევა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. — მაცნე, ისტ. სერია. 1984, № 2, გვ. 159; მისივე. ისტორიული მეცნიერების განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში დიდი სამამულო ომის წლებში. — მაცნე, ისტ. სერია, 1985, № 2, გვ. 175—176.

[7] Л. В. Черепнин. К вопросу о методологии и методике источниковедения и вспомогательных исторических дисциплин. — ВОИ, I. М., 1973, с. 37; СИЭ, т. 6, 1965, с. 592.

[8] Л. А. Дербов. Введение в изучение истории. Саратов. 1977. с. 29, 46. ასევე შეხედულებები დამოწმებული აქვს ა. პრონშტეინს (А. П. Пронштейн. О предмете источниковедения, с. 164).

წყაროთმცოდნეობის განსაზღვრებასთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც. ასე მაგალითად, მეტად პერსპექტიული ჩანს შეხედულება ნისი კომპლექსურობის შესახებ. ვ. იანინის[9] შენიშვნით, სწორედ ისტორიულ წყაროთმცოდნეობას მოეთხოვება ყველაზე მეტად იყოს კომპლექსური სინთეზური მეცნიერება. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ აზრმა მხარდაჭერა პოვა[10]. ერთი შეხედვით რამდენადმე ნსგავსი შეხედულება, მაგრამ განსხვავებული ნიუანსით, გამოთქმული ჰქონდა ადრე ვ. ფარსობინს, — რომლის მიხედვით, წყაროთმცოდნეობა არის „მეცნიერებათა ჯამი, ან სამეცნიერო დისციპლინათა დამოუკიდებელი კომპლექსი"[11]. ამ თეზისმა იმთავითვე გამოიწვია უთანხმოება[12]. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით ვ. ფარსობინი კიდევ უფრო სადავო დასკვნამდე მივიდა, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ საერთოდ უარყოფს წყაროთმცოდნეობას როგორც მეცნიერებას. ვ. ფარსობინის მიხედვით, წყაროთმცოდნეობა მხოლოდ რიგ მეცნიერებათა კონგლომერატი გამოდის. „იმ ნაწილში, რომელიც არ თავსდება საყოველთაოდ მიღებულ მეცნიერებათა ჩარჩოებში, წყაროთმცოდნეობა ემთხვევა ისტორიულ კრიტიკას. მისი სხვა ნაწილების დუბლირებას ახდენენ ინფორმატიკა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ტექსტოლოგია და სხვა დისციპლინები"[13]. წყაროთმცოდნეობის ასეთი დანაწევრების ერთ-ერთი მიზანი იყო ვ. ფარსობინის ძლიერი სურვილი, რომ ისტორიული კრიტიკა განოცხადებულიყო ისეთივე სრულუფლებიან სამეცნიერო დისციპლინად, როგორც მის მიერ დასახელებული ყველა დანარჩენი მეცნიერება. მაგრამ ასეთმა ცდამ ვერ გამოიღო ავტორისათვის სასურველი ნაყოფი[14].

---

[9] В. Л. Янин. Очерки комплексного источниковедения (Средневековый Новгород). М., 1972, с. 21.

[10] რ. კიკნაძე. ისტორიული მეცნიერების განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში დიდი სამამულო ომის წლებში, გვ. 175—176.

[11] В. В. Фарсобин. К определению предмета источниковедения.—В кн.: Источниковедение истории советского общества. М., 1968, с. 452—453.

[12] Л. В. Черепнин. К вопросу о методологии и методике источниковедения, с. 37; А. П. Пронштейн. О предмете источниковедения, с. 161.

[13] В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод. М., 1982, с. 48. იხ. აგრეთვე: Е. А. Давидович. Вспомогательные (специальные) исторические дисциплины в советском востоковедении.—„Бартольдовские чтения". Тезисы докладов. М., 1984, с. 33.

[14] ისტორიული კრიტიკის როგორც მეთოდისა და მეცნიერების შესახებ იხ. აგრეთვე უ. სიდამონიძე. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები. თბ., 1978, გვ. 25.

გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც წყაროთმცოდნეობა არის სამეცნიერო დისციპლინათა სისტემა[15]. ზოგჯერ საუბარია წყაროთმცოდნეობაზე არა როგორც სამეცნიერო დისციპლინაზე, არამედ როგორც ისტორიული მეცნიერების ან სამეცნიერო ისტორიული ცოდნის სპეციალურ დარგზე[16].

წყაროთმცოდნეობის სტატუსის ცვლა ჩანს ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომების მიხედვითაც, რომელთა შეხედულებებმა მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ კანონზომიერი ევოლუცია განიცადეს. მაგ., თუ ადრე ლ. შეპელევი წყაროთმცოდნეობას მიიჩნევდა დამხმარე ისტორიულ დისციპლინად, რომელიც თავის მხრივ, ემყარება სხვა დამხმარე დისციპლინათა — დიპლომატიკის, პალეოგრაფიის, ქრონოლოგიის, ჰერალდიკის და სხვ. — მიღწევებს[17], მოგვიანებით იმავე მეცნიერმა აღნიშნა, რომ წყაროთმცოდნეობა არ შედის დამხმარე ისტორიულ დისციპლინათა რიგში, არამედ იგი გამოყენებითი ისტორიული მეცნიერებაა[18]. ლ. პუშკარიოვი, რომელიც წყაროთმცოდნეობას დამხმარე სამეცნიერო დისციპლინად მიიჩნევდა, განვითარების საერთო ტენდენციის გათვალისწინებით მივიდა დასკვნამდე, რომ წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცხიერების სპეციალური დარგია და არა დამხმარე ან სპეციალური ისტორიული დისციპლინა[19].

წყაროთმცოდნეობას, როგორც დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინას, ან ისტორიული მეცნიერების დარგს, უფრო მეტად შეესაბამება ისეთი განსაზღვრებები, რომლებშიც გათვალისწინებულია არა მარტო თეორია, არამედ პრაქტიკაც; ამავე დროს დასახელებულია შესასწავლი ობიექტი და ამოცანები. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს განმარტება, რომ „წყაროთმცოდნეობა არის ნეცნიერება ისტორიული წყაროების შესახებ, მათი გამოვლენის, შესწავლის და ისტორიკოსის მუშაობაში გამოყენების ხერხებზე“[20], ან წყაროთმცოდნეობა არის „სამეცნიერო ისტორიული ცოდნის სპეციალური დარ-

---

[15] А. П. Пронштейн. О предмете источниковедения, с. 163.

[16] М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение. Киев, 1984, с. 89.

[17] Л. Е. Шепелев. Изучение делопроизводственных документов XIX—нач. XX в.—ВИД, I. Л., 1968, с. 124.

[18] Л. Е. Шепелев. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины, с. 16.

[19] Л. Н. Пушкарев. Некоторые источниковедческие проблемы археографического изучения русских древних рукописей.—СА, 1977, № 2, с. 62.

[20] С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 14. იხ. აგრეთვე: О. М. Медушевская. Современное зарубежное источниковедение. М., 1983, с. 5.

გი, მეცნიერება ისტორიულ წყაროებზე, ისტორიულ კვლევაში მათი გამოყენების თეორიასა და პრაქტიკაზე"[21].

ნებისმიერი მეცნიერების სტრუქტურის შესწავლა შესაბამისი დისციპლინების თუ დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიული ამოცანაა.

თანამედროვე წყაროთმცოდნეობის სტრუქტურა სხვადასხვა ასპექტით შეიძლება იქნეს განხილული. აქ გათვალისწინებულია, კერძოდ, საგნობრივი, პრობლემური, დარგობრივი, ლოგიკური, ფუნქციური, ქრონოლოგიურ-გეოგრაფიული, დისციპლინარული ასპექტები.

განვიხილოთ წყაროთმცოდნეობის შედგენილობა ზოგიერთი ზემოთ ნახსენები ასპექტის მიხედვით.

პირველ რიგში წყაროთმცოდნეობაში გამოყოფენ ხოლმე კვლევის თეორიულ და კონკრეტულ მიმართულებას. გარკვეულ პერიოდში ამ პრინციპით წყაროთმცოდნეობა ორ სხვადასხვა დისციპლინად განიხილებოდა: ზოგად წყაროთმცოდნეობად, რომელსაც ევალებოდა თეორიული პრობლემატიკის დამუშავება, და კონკრეტულ წყაროთმცოდნეობად, რომელიც კონკრეტულ წყაროებს შეისწავლიდა. მაგრამ ამ ორი დამოუკიდებელი დისციპლინის ამოცანები სხვადასხვაგვარად ესმოდათ. მაგალითად, ა. ვედენსკი ასახელებდა ზოგად და კერძო წყაროთმცოდნეობას და უკანასკნელის მოვალეობად მიიჩნევდა ე. წ. დამხმარე დისციპლინათა სპეციფიკური ნეთოდიკის გამოყენების პრაქტიკას[22]. ა. გუკოვსკი ზოგად წყაროთმცოდნეობას აკუთვნებდა თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრობლემებს, საკუთრივ წყაროთმცოდნეობის ამოცანად კი მას ისტორიის სხვადასხვა ნაწილის წყაროთა შესწავლა ნიაჩნდა[23].

ამჟამად წყაროთმცოდნეობის ასეთი დაყოფა პირობითად და ხელოვნურად არის მიჩნეული[24] და უარყოფილია, ხოლო წყაროთმცოდ-

---

[21] М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 89. მ. ვარშავჩიკი მიუთითებს, რომ არ არის სწორი წყაროთმცოდნეობის განსაზღვრებაში მარტო თეორიის შეტანა პრაქტიკის გარეშე (М. А. Варшавчик. Источниковедение истории КПСС. Киев, 1973, с. 31—32).

[22] А. А. Введенский. Лекции по документальному источниковедению истории СССР. Киев, 1963, с. 199—200; он же. Вспомогательные исторические науки в работе архивистов. —ВА, 1962, № 2, с. 29.

[23] А. И. Гуковский. О некоторых терминах вспомогательных исторических дисциплин. —ВИ, 1965, № 10, с. 62—65.

[24] С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 20; К. И. Рудельсон. Современные документные классификации. М., 1973, с. 227. А. И. Гуковский. О некоторых терминах, с. 65. ამასთანავე შეინიშნება მოძველებული აზრის რესტავრაციის ცდებიც, თუმცა ერთგვარად მოდიფიცირებული სახით. მაგ., ა. გრიგორიევი ცალკე გამოყოფს ზოგად წყაროთმცოდნეობას, რომელიც, მისი აზ-

ნეობა განიხილება როგორც ერთიანი დარგი, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მის ფარგლებში თეორიულ პრობლემატიკაზე უარის თქმას. წყაროთმცოდნეობის თეორიის უარყოფა კანონზომიერად გამომდინარეობს შეხედულებიდან ამ სრულიად დამოუკიდებელ დარგად, როგორც „მეცნიერებათა კონგლომერატზე", რომელიც მხოლოდ იყენებს სხვა მეცნიერებათა დაკვირვებებს. თეორიული და კონკრეტული კვლევა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რაც უჭრუნველყოფს ისტორიული წყაროს ყოველმხრივ შესწავლას, წყაროდან სრულფასოვანი და სარწმუნო ინფორმაციის მიღებას, მისი ანალიზის მეთოდიკის შემუშავებას. წყაროთმცოდნეობის თეორია განაპირობებს კონკრეტული გამოკვლევების პროფესიული დონის და ეფექტიანობის ამაღლებას, ხოლო წყაროთმცოდნეობით პრაქტიკას პრინციპული მნიშვნელობა აქვს თეორიულ ძიებათა გაფართოებისათვის, თეორიული განზოგადებებისათვის საფუძვლის შესაქმნელად.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია წყაროთმცოდნეობითი პრობლემატიკის ასეთი დიფერენციაციის საწინააღმდეგო შეხედულებაც. კერძოდ, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ თეორიული უნდა შეეფარდოს არა კონკრეტულს, არამედ პრაქტიკულს, ხოლო კონკრეტული — აბსტრაქტულს[25]. ამ მოსაზრების შესაბამისად უკვე ფეხს იკიდებს ასეთი დაყოფაც: თეორიული წყაროთმცოდნეობა და წყაროთმცოდნეობითი პრაქტიკა[26]. ბაგრამ ასეთი დიფერენციაცია უკვე ერთიანი დარგის — წყაროთმცოდნეობის — ფარგლებში ხდება და საფრთხეს არ უქმნის მის მთლიანობას. წყაროთმცოდნეობითი პრაქტიკის შემადგენლობაში ამ შეხედულების ავტორი გამოყოფს ანალიზურ-ინფორმატიკულ წყაროთმცოდნეობას და გამოყენებით წყაროთმცოდნეობას[27]. ასეთი მოსაზრების მიმართ გამოთქმულია შენიშვნა, რომ „წყაროთმცოდნეობითი კვლევის ფარგლებში წყაროთმცოდნეობითი პრაქტიკა დაიყვანება წყაროს ან წყაროთა კომპლექსის როგორც სპეციალური ფენომენის, როგორც შემეცნების საშუალების შესწავლაზე. წყაროზე ისტორიკოსის პრაქტიკული

რით, შეისწავლის ყველა ტიპის წყაროს, და წყაროთმცოდნეობას, რომელიც მხოლოდ წერილობით ძეგლებს იკვლევს (А. П. Григорьев. Содержание термина „источниковедение".—Историография и источниковедение истории стран Азии и Африки, IX. Л., 1986, с. 86, 96).

[25] მ. ვარშავჩიკის გამოსვლა წყაროთმცოდნეთა I საკავშირო კონფერენციაზე (Материалы симпозиума по актуальным проблемам источниковедения.—ИОИ, 1976. М., 1977, с. 244).

[26] М. А. Варшавчик, О некоторых вопросах источниковедения истории КПСС.—ВИ КПСС, 1962, № 4, с. 168.

[27] Материалы симпозиума по актуальным проблемам источниковедения, с. 244.

მუშაობა ანუ გამოყენებითი წყაროთმცოდნეობა ისტორიული კვლევის ნაწილია"[28]. როგორც ვხედავთ, აქ დასმულია საკითხი წყაროთმცოდნისა და ისტორიკოსის ურთიერთობის შესახებ, რასაც დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ წყაროთმცოდნეობას აქვს თავისი კვლევის ობიექტი და საგანი, რაც განაპირობებს მისი როგორც ისტორიული მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის არსებობას. წყაროთმცოდნეობის შესწავლის ობიექტია ისტორიული წყარო. მაგრამ თუ ერთნი მიიჩნევენ, რომ წყაროთმცოდნეობა იკვლევს „ისტორიულ წყაროთა მთელ ერთობლიობას და ამათ სხვადასხვა საკლასიფიკაციო ჯგუფებს"[29], მეორენი აზუსტებენ, რომ აღნიშნული დისციპლინა შეისწავლის მხოლოდ წერილობით წყაროებს. სხვადასხვა შეხედულებათა შესაბამისად, ზოგჯერ აკონკრეტებენ თვით ტერმინსაც — „ისტორიული წყაროთმცოდნეობა" ან „წერილობით წყაროთა წყაროთმცოდნეობა"[30]. რეალურად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, წყაროთმცოდნეობა სწავლობს წერილობით წყაროებს, იმ დროს, როდესაც სხვა ტიპის ისტორიულ წყაროებს — ნივთიერს, ეთნოგრაფიულს (რომელთაც ზოგჯერ ქცევითსაც უწოდებენ), ზეპირს, ენობრივს და ა. შ. — მოიპოვებენ, შეისწავლიან და გამოსცემენ შესაბამისი მეცნიერებანი (არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ფოლკლორისტიკა, ლინგვისტიკა და სხვ.). ისტორიკოსი წყაროთმცოდნის შუამავლობის გარეშე იყენებს მათ. მაგრამ თვით ამ დარგში შეინიშნება სპეციალური განყოფილებების შექმნა — „არქეოლოგიური წყაროთმცოდნეობა", „ეთნოგრაფიული წყაროთმცოდნეობა", „ლინგვისტური წყა-

---

[28] А. В. Лубский, А. П. Пронштейн. Некоторые теоретические и методические проблемы источниковедения массовых источников. — ИОИ, 1981. М., 1982, с. 14.

[29] О. М. Медушевская. Современное зарубежное источниковедение, с. 5.

[30] А. А. Введенский. Лекции по документальному источниковедению истории СССР, с. 3; С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 10—11, 25; он же. Источниковедение в кругу других научных дисциплин и вопросы классификации источников. — «Актуальные проблемы источниководенія и спец. исторических дисциплин». Тезисы докладов. М., 1983, с. 4; В. Л. Янин. Очерки комплексного источниковедения, с. 21; О. М. Медушевская. О классификации исторических источников. — Проблемы научного управления социалистического общества, IV. Рига, 1977, с. 77; Е. А. Давидович. Вспомогательные (специальные) исторические дисциплины в советском востоковедении, с. 32; ა. ბარამიძე. ქართული ისტორიოგრაფიის ნარკვევები. თბ., 1979, გვ. 3; А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения. Ростов-на-Дону, 1976, და სხვ.

როთმცოდნეობა“ და სხვ. გვხვდება გამოთქმა „შედარებითი წყაროთმცოდნეობა“[31].

ამავე დროს, შეხედულება, რომ წყაროთმცოდნეობის ობიექტია წყაროთა ერთობლიობა, რომელიც განიხილება როგორც საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტი[32], სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს. პარადოქსულად არის მიჩნეული ის ვითარება, როდესაც წყაროთა კლასიფიკაციას სწავლობს წყაროთმცოდნეობა, რომელიც ტრადიციულად მიჩნეულია მხოლოდ წერილობით წყაროთა დარგად, ხოლო კონკრეტულად იკვლევენ ამ ტიპებს სხვა დისციპლინები[33].

თუ წყაროთმცოდნეობის საგნობრივ სფეროში შემოვიტანთ ყველა ტიპის წყაროს (სწორედ ასეთია თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ტენდენცია), მაშინ მისი შემადგენელი კომპონენტები იქნება არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ა. შ. წყაროთმცოდნეობანი. ისინი, რა თქმა უნდა, არ გაწყვეტენ კავშირს ძირითად მეცნიერებასთან, მაგრამ თეორიის და მეთოდიკის თვალსაზრისით მათთვის უთუოდ სასარგებლო იქნება კომპლექსური წყაროთმცოდნეობის შემადგენლობაში ყოფნაც.

ამგვარად, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში წყაროთმცოდნეობა განიხილება როგორც ისტორიული მეცნიერების სპეციალური, კომპლექსური დარგი, ან ცოდნის სისტემა, რომელსაც საკმაოდ რთული შედგენილობა აქვს. წყაროთმცოდნეობა ვიწრო გაგებით გულისხმობს წერილობით წყაროთა შესწავლას, ხოლო ფართო აზრით, შეიძლება ლაპარაკი მის ფარგლებში ისტორიულ წყაროთა ყველა ტიპისა და სახის შესწავლაზე, რომელთა უმრავლესობა ამჟამად მეცნიერებათა შესაბამის დარგებს მიეკუთვნება.

წყაროთა სხვადასხვა ტიპის შესწავლის გარდა, გარკვეული ტრადიციები დაგროვდა ნივთიერ, წერილობით და სახვით წყაროთა შორის გარდამავალი ტიპების, მაგ., ეპიგრაფიკული ძეგლების, ნომეტე-

---

[31] С. И. Котков. О предмете лингвистического источниковедения. — Источниковедение и история русского языка. М., 1964; С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 10; он же. Источниковедение в кругу других научных дисциплин, с. 4; Материалы симпозиума по актуальным проблемам источниковедения, с. 244—252; Б. А. Рыбаков, Г. Ф. Соловьева. Советская археология сегодня. — ВИ, 1965, № 1, с. 17; История русского языка и лингвистическое источниковедение. М., 1987.

[32] А. П. Пронштейн. О предмете источниковедения, с. 173.

[33] ვ. ბელოგუროვის ბამოსვლა წყაროთმცოდნეთა საკავშირო კონფერენციაზე (Проблемы источниковедения истории СССР и спец. исторических дисциплин. М., 1984, с. 205).

ბის და ტექსტების, ლეგენდების, გერბების, ორდენებისა და ნედლეულის, ალმების და სხვათა კვლევის დარგში[34].

მეცნიერებისათვის დამახასიათებელი დიფერენციაციისა და ინტეგრაციის განუწყვეტელი პროცესი[35], ბუნებრივია, მიმდინარეობს წყაროთმცოდნეობაშიც. წყაროთმცოდნეობის დიფერენციაცია არ წყდება წყაროთა ტიპების დონეზე, არამედ გრძელდება საკლასიფიკაციო იერარქიის ყველა საფეხურზე. გაჩოიკვეთა დიპლომატიკა ან საქმეთა წყაროთმცოდნეობა, ეპისტოლოგრაფია, მატიანეთმცოდნეობა („ლეტოპისევედენიე"), მემუარისტიკა და სხვ. წყაროთმცოდნეობის დიფერენციაცია ამ მიმართულებით ახლაც გრძელდება.

მკვლევართა უმრავლესობა ასეთი დიფერენციაციის მომხრეა, თუმცა ახალი დანაყოფების სტატუსს სხვადასხვაგვარად განიხილავენ. ზოგი მათ დამხმარე დისციპლინებად მიიჩნევს. გამოთქმულია აზრი მათი დამოუკიდებლობის შესახებაც[36], თუმცა მათი დარგობრივი კუთვნილება კვლავაც სადავო ხდება[37]. ზოგიერთ შემთხვევაში მეცნიერები თვლიან, რომ წყაროთა ცალკეულ სახეებს შეისწავლიან არა დამოუკიდებელი დისციპლინები, არამედ წყაროთმცოდნეობის შემადგენელი ნაწილები ან მისი პრობლემები, რომელთაც, თავის მხრივ, შეიძლება მრავალი ასპექტი ჰქონდეთ[38].

---

34 ვ. დონდუა წყაროთმცოდნეობის განმარტებაში საგანგებოდ უსვამდა ხაზს, რომ მას წარწერებიც უნდა შეესწავლა (ვ. დ ო ნ დ უ ა. ე. თაყაიშვილი როგორც წყაროთმცოდნე, გვ. 163).

35 В. С. Г о т т, Э. П. С е м е н ю к, А. Д. У р с у л. Категории современной науки. М., 1984, с. 27—38; Д. С. Л и х а ч е в. Текстология на материале русской литературы X—XVII веков. Изд. 2-е. Л., 1983, с. 480.

36 Л. В. Ч е р е п н и н. К вопросу о методологии и методике источниковедения, с. 39; Л. Е. Ш е п е л е в. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины, с. 16.

37 მაგალითად, თუ ლ. ჩერეპნინი დიპლომატიკას წყაროთმცოდნეობითი ციკლის სპეციალურ დისციპლინად მიიჩნევს, ს. კაშტანოვის თანახმად, დიპლომატიკა, წყაროთმცოდნეობის მსგავსად, შეიძლება განისაზღვროს როგორც სპეციალური ისტორიული დისციპლინა (С. М. К а ш т а н о в. Очерки русской дипломатики. М., 1970, с. 14). ვფიქრობთ, დიპლომატიკის, რომელიც, მისივე განმარტებით, მხოლოდ აქტებს შეისწავლის, და წყაროთმცოდნეობის, რომელიც ყველა ისტორიულ წყაროს მოიცავს, ერთ დონეზე განხილვა არ არის გამართლებული. „სპეციალურ" ან „წყაროთმცოდნეობით" დისციპლინად მიიჩნევდა დიპლომატიკას მ. ტიხომიროვი (М. Н. Т и х о м и р о в. Об охране и изучении письменных богатств нашей страны.—ВИ, 1961, № 4, с. 66—67; о н ж е. Источниковедение истории СССР с древнейших времен до конца XVIII в., т. I. М., 1940, с. 14).

38 წყაროთმცოდნეობის შემადგენელ ნაწილად, მის საკვლევ პრობლემად მიიჩნიათ „ლეტოპისევედენიე" ვ. ბუგანოვს და ა. კუზმინს (А. В. К у з ь м и н. Начальные этапы древнерусского летописания. М., 1977, с. 21; В. И. Б у г а н о в. Отечественная историография русского летописания. М., 1975, с. 8).

მეცნიერთა ნაწილი წყაროთმცოდნეობის ძირითად დანიშნულებას და განვითარების ტენდენციას ხედავს სწორედ სახეობრივ დიფერენციაციაში, წყაროთა გარკვეულ სახეთა წარმოქმნის და მათში ობიექტური რეალობის ასახვის კანონზომიერებათა გამოვლენაში[39]. თავის მხრივ, წყაროთმცოდნეობის მსგავსი დიფერენციაციის უარყოფას ზოგჯერ მივყევართ საერთოდ წყაროთა კლასიფიკაციის უარყოფამდე.

30-იან წლებში წყაროთმცოდნეობის სახეობრივი დიფერენციაციის წინააღმდეგ გამოდიოდა ს. ბიკოვსკი, რომლის აზრითაც, ისტორიულ მეცნიერებათა დაყოფა წყაროთა სახეების შესაბამისად ანტიმეცნიერულია. რადგან ისტორიული პროცესი სხვადასხვა წყაროში აისახება მათი სახისა და ხასიათისათვის ანგარიშის გაწევის გარეშე[40]. გამოთქმული მოსაზრება მოკლებულია საფუძველს ივ ინფორმაციის მიმართაც კი, რომელიც აისახება წყაროში ავტორის სურვილის გარეშე, ხოლო რაც შეეხება განზრახულ ინფორმაციას, ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია წყაროს სახეობრივ კუთვნილებასთან. მიუხედავად ივისა, რომ წყაროთმცოდნეობის სახეობრივი დიფერენციაციის ბუნებრივი პროცესი, როგორც უკვე აღინიშნა, დღემდე გრძელდება, მას ყოველთვის ჰყავს მოწინააღმდეგეებიც[41] ამის დამადასტურებელია კამათი ე. წ. ბერესტოლოგიის ირგვლივ. რომლის როგორც არყის ხის ქერქზე შესრულებული წარწერების შემსწავლელი დისციპლინის შექმნის წინადადებით გამოვიდა დ. ლიხაჩოვი[42]. საწინააღმდეგო აზრის თანახმად, მსგავსი ახალი დისციპლინების შექმნა „ხელოვნური საქმიანობაა, რომელიც შორდება ისტორიულ პრობლემატიკას“[43].

---

[39] М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 83; В. И. Стрельский. Теория и методика источниковедения истории СССР. Киев, 1968, с. 53; მ. ჩხარტიშვილი. „სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის“ ახალი გამოცემა.—ქართული წყაროთმცოდნეობა, VI. თბ., 1985, გვ. 175.

[40] С. Н. Быковский. О предмете истории материальной культуры.—Сообщ. ГАИМК. Л., 1932, №1/2, с. 3.

[41] С. Н. Смирнов. Некоторые тенденции развития междисциплинарных процессов в современной науке.—ВФ, 1985, № 3, с. 73—75.

[42] Д. С. Лихачев. Новая наука—берестология.—Новый мир, 1966, № 2. ბერესტოლოგია დიდი მომავლის მქონე მეცნიერებად მიაჩნდა ლ. ჩერეპნინს (Л. В. Черепнин. К вопросу о методологии и методике источниковедения, с. 40). იხ. აგრეთვე: Е. И. Каменцева. История вспомогательных исторических дисциплин. М., 1979, с. 35.

[43] В. Л. Янин. К проблеме интеграции в изучении вещественных и письменных источников по истории русского средневековья.—ИССР, 1973, № 3, с. 77; он же. К 30-летию открытия новгородских берестяных грамот.—АЕ за 1982 г. М., 1983, с. 82—86.

დისციპლინათა დიფერენციაციას ზოგჯერ მართლაც ახლავს ესა თუ ის უარყოფითი ხარე. ის იწვევს იზოლაციას, ვიწრო სპეციალიზაციას. მაგრამ ვინაიდან ცენტრიდანული ტენდენციები, რომელთაც უფრო მეტად სტიქიური ხასიათი აქვთ, როგორც წესი, წყდება მათი უარყოფით — ინტეგრაციით[44], რომელიც თუმცა უფრო მეტად მოითხოვს მკვლევართა შეგნებულ ჩარევას, ახალი დისციპლინების წარმოქმნა სავსებით გამართლებულია. სახეობრივ დიფერენციაციას წყაროთმცოდნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი ძირითადი ამოცანაა სწორედ წყაროთა სხვადასხვა სახის კრიტიკული ანალიზის მეთოდების შემუშავება. წყაროთმცოდნეობის სახეობრივი დანაწევრების მოწინააღმდეგენი, პირიქით, მოითხოვენ მისგან წყაროთა კვლევის სინთეზური მეთოდების შექმნას[45]. გასათვალისწინებელია, რომ სახეობრივი დაყოფა ხელს უწყობს სწორედ განზოგადებასა და სინთეზს და აგრეთვე ზოგადისა და კერძოს თანაფარდობის დადგენას. ასეთი დაყოფა, რა თქვა უნდა, არ ნიშნავს დაპირისპირებას. პერსპექტიულია იგი სახეთა, როგორც ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარის ისტორიის ევოლუციის შესწავლის თვალსაზრისით.

თუ სხვა ასპექტებსაც შევეხებით, არსებობს, ან იქნება ცალკეული ისტორიული დისციპლინების წყაროთმცოდნეობა (მაგალითად, ისტორიული მეცნიერების ისტორიის წყაროთმცოდნეობა, ისტორიული გეოგრაფიის წყაროთმცოდნეობა), ცალკეული ისტორიული ეპოქების (მაგალითად, ძველი ისტორიის, შუა საუკუნეთა ისტორიის), ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების ისტორიის წყაროთმცოდნეობა (დასავლეთ ევროპის ისტორიის, საბჭოთა კავშირის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა), სხვადასხვა ისტორიული თემატიკის (მაგ., სამხედრო ისტორიის) წყაროთმცოდნეობა. ამასთანავე გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ ყოველ საზოგადოებრივ მეცნიერებას თავისი წყაროები (და პირველწყაროები) და თავისი წყაროთმცოდნეობა აქვს[46]. დამკვიდრდა ტერმინი „ლიტერატურული წყაროთმცოდნეობა", მხატვრულ ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომელსაც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავენ როგორც დამხმარე დისციპლინას. ამ ხაზით წყაროთმცოდნეობის დიფერენციაცია დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულ პრობლემათა და საკითხების არჩევანი ერთგვარად სუბიექტურია, და-

---

44 В. С. Готт, Э. П. Семенюк, А. Д. Урсул. Категории современной науки, с. 30, 41.

45 В. Л. Янин. Очерки комплексного источниковедения, с. 11.

46 Н. Ф. Бельчиков. Литературное источниковедение. М., 1983, с. 28.

მოკიდებულია მკვლევარზე. მათი შესწავლა, რა თქმა უნდა, წყაროების მიხედვით ხდება. მაგრამ წყაროთა მრავალფეროვნება ამ შემთხვევაში გამორიცხავს მათ მიმართ ერთნაირი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას, რომელთა შემუშავება წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. წყაროთმცოდნეობის დიფერენციაცია უნდა ხდებოდეს იმ ხაზით, რომელიც ხელს შეუწყობს წყაროთა შესწავლის მეთოდიკის შემუშავებას. სხვადასხვა ისტორიული პრობლემის წყაროების დამუშავება სწორედ ის სფეროა, სადაც წყაროთმცოდნეობა ყველაზე მეტად ასრულებს გამოყენებით, დამხმარე ფუნქციას ისტორიული მეცნიერების მიმართ. ამავე დროს აქ ხდება წყაროთმცოდნეობისა და ისტორიის სფეროთა თანხვედრა, რომელთაც თანაბრად ამუშავებენ როგორც წყაროთმცოდნე ისტორიკოსები, ასევე ისტორიკოსი წყაროთმცოდნეები.

წყაროთმცოდნისა და ისტორიკოსის ურთიერთობაზე არაერთი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას. გაუმართლებელია მათი როგორც გაიგივება, ასევე დაპირისპირება, ვინაიდან წყაროთმცოდნეობა თავისთავად ისტორიული დარგია.

ნაგრამ ლიტერატურაში გვხვდება როგორც ერთი, ასევე მეორე შემთხვევაც. მაგალითად, ზოგიერთ მკვლევარს მიუღებლად მიაჩნია მოწოდება წყაროთმცოდნეთა და ისტორიკოსთა ძალების გაერთიანების შესახებ, ვინაიდან ეს გულისხმობს, რომ დამოუკიდებლად არსებობს წყაროთმცოდნეობა როგორც „წყაროთა გაწშენდის თავისებური ფაბრიკა, და ისტორია, რომელსაც წყაროთმცოდნეობა აწვდის გამზადებულ ფაქტებს"[47]. ნაშრომთა მეორე რიგში შეინიშნება დაპირისპირება წყაროთმცოდნეობასა, „როგორც ისტორიული ფაქტების მოპოვების თეორიასა და მეთოდიკას", და ისტორიას, როგორც „ისტორიული ფაქტების გააზრების თეორიასა და მეთოდიკას" შორის[48].

ზოგჯერ აზრს წყაროთმცოდნეობის დამოუკიდებლობაზე უპირისპირებენ ცალმხრივ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ყოველი ისტორიკოსი ამავე დროს წყაროთმცოდნეც არის. ასეთი გამარტივებული მსჯელობა უთუოდ ემყარება წყაროთმცოდნეობის არსის მოძველებულ გაგებას, მისი ამოცანების და საგნის შეუფასებლობას. თუ წყაროთმცოდნეობას ვივიჩნევთ მხოლოდ დამხმარე, გამოყენებით დისციპლინად ანდა წყაროთმცოდნეობას დავარქმევთ წყაროთა მონაცემების უბრალო გამოყენებას ისტორიკოსის ყოველდღიურ საქმიანობაში, მაშინ მართლაც მოგვიწევდა ყველა ისტორიკოსის წყაროთ-

---

[47] А. В. Кузьмин. Начальные этапы древнерусского летописания, с. 9—12.

[48] С. М. Каштанов, А. А. Куриносов. Некоторые вопросы теории источниковедения. — ИА, 1962, № 4, с. 176.

მცოდნედ გამოცხადება. ასეთი ლოგიკა მიდის ისეთი ტრადიციული მეცნიერული დარგების დამოუკიდებლობის უარყოფამდე, როგორიც არის ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ისტორიული გეოგრაფია და სხვ., რომელთა მიმართ ისტორიკოსის დამოკიდებულება განისაზღვრება არა მარტო მათი კვლევის შედეგებისა და მათი დაუშავებული მასალის გამოყენებით, არამედ ზოგჯერ შესაბამისი თემატიკის მკვლევრის როლში გამოსვლითაც. ეს სავსებით ბუნებრივიც არის, ვინაიდან ეს დარგებიც, ისევე როგორც წყაროთმცოდნეობა, სპეციალური ისტორიული მეცნიერებებია.

ამჟამად მკვლევრები ხაზს უსვამენ მჭიდრო ორმხრივ კავშირს წყაროთმცოდნეობასა და ისტორიას შორის, აღნიშნავენ, რომ ყოველი ისტორიკოსი იმდენად არის წყაროთმცოდნე, რამდენადაც ყოველი წყაროთმცოდნე ისტორიკოსია[49], რაც თუმცა არ ნიშნავს არც ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის გაიგივებას და არც მათი დამოუკიდებლობის ხელყოფას.

რა თქმა უნდა, არავითარი გადაულახავი ზღუდე ისტორიკოსსა და წყაროთმცოდნეს შორის არ არსებობს. არის მხოლოდ პროფესიული ცოდნა, მუშაობის გამოცდილება და კვლევის მეთოდიკა. ბევრი ისტორიკოსი დაუფლებულია ისტორიული წყაროს წინასწარი მეცნიერული კრიტიკის, მისი პალეოგრაფიული, ტექსტოლოგიური, არქეოგრაფიული შესწავლის ხერხებსა და მეთოდებს და თვითონვე ამზადებს წერილობით ძეგლს კვლევით საქმიანობაში გამოსაყენებლად. ამავე დროს არაერთი წყაროთმცოდნე სპეციალისტი წარმატებით იკვლევს ისტორიის კონკრეტულ პრობლემებს. მაგრამ ამჯერად საქმე ეხება არა ცალკეულ (თუნდაც საკმაოდ ხშირ) გამონაკლისებს, არამედ ზოგად დებულებას. ამ გაგებით კი, ყველა ისტორიკოსი არ არის წყაროთმცოდნე და არც არის საჭირო რომ იყოს, ისევე როგორც ყველა ისტორიკოსი არ მონაწილეობს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციებში, არ ღებულობს მონაწილეობას ამ გზით მოპოვებული მასალების შესწავლა-დამუშავებაში, გამოსაცემად მომზადებასა და ანალიზ-

---

[49] М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 90; Г. А. Антипов. Место источниковедения в системе историографического исследования.—В сб.: Проблемы исследования структуры научного познания. Новосибирск, 1970 (ავტორი სქემით გამოსახავს ორმხრივ კავშირს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობას შორის). უნდა ითქვას, რომ მსგავსი არგუმენტით ს. დიმიტრიევი ილაშქრებს წყაროთმცოდნეობის დამოუკიდებელი არსებობის თეზისის წინააღმდეგ (Материалы симпозиума по актуальным проблемам источниковедения, с. 233). განსხვავება ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის ამოცანებს შორის ჩამოაყალიბა ბ. ლიტვაკმა (Б. Г. Литвак. Очерки источниковедения массовой документации XIX—нач. XX вв. М., 1979, с. 10, 186—187).

ში და ა. შ. საგანგებო დასპეციალება და პროფესიული ცოდნა აუცილებელია არათუ ისტორიული მეცნიერების ცალკეულ სპეციფიკურ დარგებში საუშაოდ, არამედ სხვადასხვა ეპოქის (ძველი, შუა საუკუნეების, ახალი, უახლესი) ისტორიის საკითხებზე და, საერთოდ, ნებისმიერ სამეცნიერო პრობლემაზე სერიოზული კვლევითი მუშაობისათვის. თავისთავად ცხადია, რომ ასევე საფუძვლიანი სპეციალური მომზადება, საგანგებო პროფესიული ჩვევების, კვლევის მეთოდების ათვისება სჭირდება იმ რთულ და მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც დასახული აქვს წყაროთმცოდნეობას.

აქვე დგება ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის წყაროსადმი განსხვავებული მიდგომის საკითხი. წყაროთმცოდნე, ისტორიკოსისაგან განსხვავებით, უშუალოდ აკვირდება და სწავლობს თავის ობიექტს — ისტორიულ წყაროს, ხოლო ისტორიკოსი ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. კაცობრიობის წარსულს იგი იკვლევს გაშუალებული გზით, ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით. ცნობილია, რომ ისტორიკოსი ისტორიულ ძეგლთან მიდის გარკვეული კონკრეტული საქმიანობისათვის მასალის ამოღების მიზნით. მას, სავსებით კანონზომიერად, აინტერესებს საკუთარი საკვლევი თემისათვის გამოსადეგი მასალა და არა მთელი ძეგლი როგორც ისტორიული წყარო, როგორც ისტორიული სინამდვილის ფრაგმენტი. ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შესასწავლ წყაროთა ბაზა ხშირად საკმაოდ რთული შედგენილობისაა. ისტორიკოსმა მრავალი სხვადასხვა წყაროს მონაცემებით უნდა ისარგებლოს ნაშრომის წერის დროს. წყაროთმცოდნე კი იკვლევს მხოლოდ ერთ ან ერთი სახის რამდენიმე წერილობით ძეგლს, ნაგრამ ყოველმხრივ და ამავე დროს ისტორიულ კონტექსტში, როგორც გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა, გარკვეული სოციალური გარემოს ნაყოფს, როგორც ისტორიული სინამდვილის განუყოფელ ნაწილს.

ამდენად, ისტორიკოსი წყაროს მომხმარებელია (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), რამდენადაც ის ისტორიის კონკრეტულ პრობლემაზე წერს გამოკვლევას და ამ მიზნით იყენებს სხვადასხვა წყაროს მონაცემებს, წყაროთმცოდნე კი წყაროს მსახურია. ის საგანგებო გამოკვლევას წერს თვითონ წყაროს შესახებ, განიხილავს მას როგორც ისტორიულ ფაქტს, შეისწავლის მის ისტორიას, ადგენს მისი განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, ცნობათა სანდოობას, შეიმუშავებს მისი გამოყენების მეთოდებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია ისიც, რომ ისტორიული ძეგლის წარმოშობის, ნამდვილობის, უტყუარობის დადგენით წყაროთმცოდნე ამზადებს მას ის ამოცანათა შესაბამისად, რომელ-

თაც შემდგომში ისტორიკოსი დააყენებს ამ ძეგლის წინაშე. ამაში მდგომარეობს ძირითადი არსი ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის წყაროს მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებისა, რაც განპირობებულია პირველ რიგში საწყისი ამოცანითა და მიზნით. აქაც არ უნდა დავინახოთ ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის დაპირისპირება. შეიძლება ერთმა მკვლევარმა შეისწავლოს ესა თუ ის ძეგლი წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით და გამოიყენოს კიდეც ის წყაროდ ისტორიული ხასიათის გამოკვლევაში. აქ საუბარია განსხვავებულ მიზნებსა და მეთოდებზე, რაც თავს იჩენს წყაროს მიმართ ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის დანოკიდებულების საკითხში.

ამგვარად, წყაროთმცოდნე, ისტორიკოსისაგან განსხვავებით, წყაროს შეისწავლის არა მხოლოდ როგორც გნოსეოლოგიურ, არამედ როგორც ონტოლოგიურ ფენომენს. ამის საჭიროებას იწვევს დასკვნა იმის შესახებ, რომ წყარო თვითონ არის ისტორიული ფაქტი.

წყაროთმცოდნეობითი კვლევის სტადიები და მათი მოცულობა სხვადასხვა მეცნიერს განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი. დაწვრილებით ამ საკითხებზე მომდევნო თავებში გვექნება მსჯელობა, აქ კი განვიხილავთ მხოლოდ ძირითად შეხედულებებს წყაროთმცოდნეობითი კვლევის სტრუქტურის შესახებ.

ყველაზე გავრცელებული აზრის თანახმად, ეს კვლევა ეოიცავს წყაროთა გამოვლენას (რომელსაც წყაროთმცოდნეობით ევრისტიკას უწოდებენ), მათ წყაროთმცოდნეობით კრიტიკას და წყაროთმცოდნეობით სინთეზს, ან წყაროს მონაცემების შესწავლისა და ანალიზის მეთოდების შემუშავებას[50]. ლ. პუშკარიოვი და ი. ბულიგინი ზოგადი სქემის ამ კომპონენტებს უმატებენ ტექსტის დადგენას და წყაროთა წარმოშობის გარკვევას[51].

---

[50] А. Т. Николаева. Теория и методика советского источниковедения. М., 1975, с. 13—24; И. Д. Ковальченко, С. В. Воронкова, А. В. Муравьев. Предмет и задачи источниковедения.—В кн.: Источниковедение истории СССР. М., 1981, с. 17—23; Л. Е. Шепелев. Проблемы источниковедения и историко-вспомогательного изучения делопроизводственных документов XIX—нач. XX в.—ВИД, XV, 1983, с. 31—32; ასევე განიხილავს ამ საკითხს პოლონელ მეცნ. ი. იგნატოვიჩი (О. М. Медушевская. Польский источниковедческий ежегодник.—ВИ, 1972, № 2, с. 186). ვ. გუბენკო და ბ. ლიტვაკი წყაროთმცოდნეობის ფარგლებში განიხილავენ წყაროთა შეგროვების, პუბლიკაციისა და ანალიზის მეთოდიკის საკითხებს (М. П. Губенко, Б. Г. Литвак. Конкретное источниковедение истории советского общества.—ВИ, 1965, № 1, с. 3); О. М. Медушевская. Источниковедение социалистических стран. М., 1985, с. 53—67.

[51] И. А. Булыгин, Л. Н. Пушкарев. Источниковедение.—СИЭ, т. 6, с. 594; И. А. Булыгин. Предмет и задачи источниковедения. М., 1983, с. 31.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მეხედულებას ყველა მეცნიერი რიდი იზიარებს. მაგალითად, წყაროთმცოდნეობითი კვლევის სქემიდან ზოგჯერ გამორიცხავენ წყაროთა გაშოვლენის სტადიას[52]. ასეთ ტენდენციას განსაკუთრებით უწყობს ხელს შედარებით ახალი დარგის — ინფორმატიკის — შექმნა, რომელიც მოიცავს ყოველგვარ საინფორმაციო-ძიებით სისტემას და თანაბრად ემსახურება მეცნიერების ყველა დარგს[53].

არსებობს ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც. მაგალითად, გერმანელი მეცნიერები წყაროთმცოდნეობის ფარგლებს, რომელსაც იხსენიებენ წყაროთმცოდნეობით კრიტიკასთან ერთად, მხოლოდ წყაროთა მოპოვების სტადიით შემოსაზღვრავენ[54].

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი წყაროთმცოდნეობის დამოკიდებულების შესახებ წყაროთა გამოცემის პრაქტიკასთან. თუმცა წყაროთა გამოცემას ყველა არ მიიჩნევს წყაროთმცოდნეობის ძირითად ამოცანად. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებაც, რომლის თანახმად, წყაროების გამოცემის წესებისა და პრინციპების შემუშავება წყაროთმცოდნეობის ამოცანაა, ხოლო წყაროთა გამოცემა მისი გამოყენებითი ფუნქციაა[55].

თავისი მომხრეები ჰყავს მოსაზრებას, რომ წყაროთმცოდნეობის საბოლოო მიზანია ისტორიული ფაქტების მოპოვება და რომ, ამდენად, წყაროთმცოდნეობა გარკვეულ მონაკვეთში ემთხვევა ის-

---

[52] ამის შესახებ იხ. В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод. М., 1982, с. 49—65; И. А. Булыгин. Предмет и задачи источниковедения, с. 6; Л. Е. Шепелев. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины, с. 4.

[53] А. П. Григорьев. Содержание термина „источниковедение", с. 87.

[54] О. М. Медушевская. Польский источниковедческий ежегодник, с. 189. წყაროთმცოდნეობის ასეთ გაგება გერმანული ისტორიოგრაფიისათვის ტრადიციულია, იგი მომდინარეობს ე. ბერნჰაიმიდან, რომელიც განასხვავებდა წყაროთმცოდნეობას წყაროთმცოდნეობითი კრიტიკისაგან და პირველის ამოცანას განსაზღვრავდა როგორც წყაროთა მოპოვებას და მათ კლასიფიკაციას. (О. М. Медушевская. Теоретические проблемы в современном источниковедении.—В кн.: Теория и методы источниковедения и вспомогательных исторических дисциплин. М., 1985, с. 7). შდრ. ი. პოლოსინის აზრს, რომლის თანახმადაც წყაროთმცოდნეობაში შედიოდა წყაროთა მოპოვება, აღრიცხვა, აღწერა, კლასიფიკაცია და მათი გამოყენების ორგანიზაცია (С. О. Шмидт. Материалы по методике источниковедения в архиве И. И. Полосина.—АЕ за 1967. М., 1969, с. 316—319).

[55] რ. კიკნაძე. წყაროთმცოდნეობითი კვლევა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. გვ. 159; მისივე. ისტორული მეცნიერების განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში, გვ. 179; С. Н. Азбелев. Текстология как вспомогательная историческая дисциплина.—ИССР, 1966, № 4, с. 90.

ტორიულ გამოკვლევას[56]. მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი მკაცრად მიჯნავს წყაროთმცოდნისა და ისტორიკოსის მოღვაწეობის სფეროებს და მხოლოდ უკანასკნელს აკუთვნებს ისტორიული ფაქტების დადგენის ფუნქციას[57]. რა თქმა უნდა, შრომის ასეთ დანაწილებას ვრთგვარად ხელოვნური ხასიათი აქვს. ეს კვლევის ერთ-ერთი სტადიაა, რომელშიც კვლავ ხდება ისტორიკოსის და წყაროთმცოდნის შეხვედრა. მაგრამ ფაქტების მოპოვება და მათი ანალიზი ისტორიკოსის და წყაროთმცოდნეობის საქმიანობაში სხვადასხვა დონეზე ხდება. ის, რაც წყაროთმცოდნის მიზანია, ისტორიკოსისათვის კვლევის საშუალება ხდება, ხოლო ისტორიკოსის დასკვნები და შედეგები, თავის მხრივ, წყაროს შესწავლის საფუძველია. ამავე დროს, წყაროთმცოდნეობითი კვლევის გარკვეულ ნაწილს აშკარად დამოუკიდებელი ხასიათი აქვს. ის არ გამოიყენება ისტორიულ გამოკვლევებში[58].

ამგვარად, არსებული შეხედულებების და განვითარების რეალური ტენდენციის გათვალისწინებით წყაროთმცოდნეობა შეიძლება განიმარტოს როგორც ისტორიული მეცნიერების კომპლექსური დარგი, რომელიც გამოავლენს, შეისწავლის, გამოსცემს ისტორიულ წყაროებს და შეიმუშავებს შესაბამის თეორიას და მეთოდიკას.

აღნიშნულ დეფინიციაზე დაყრდნობით განვიხილავთ წყაროთმცოდნეობის მიმართების საკითხებს მის შემადგენელ ზოგიერთ სპეციალურ დისციპლინასთან.

---

[56] С. М. Каштанов. А. А. Курносов. Некоторые вопросы теории источниковедения, с. 175—176; А. Г. Тартаковский. Некоторые проблемы доказательности в источниковедении.—ИССР, 1979, № 6, с. 61—77; Л. Е. Шепелев. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины, с. 13. ო. მედუშევსკაის აზრით, საბჭოურმა მეცნიერებამ გადალახა ეიწრო შეხედულება წყაროთმცოდნეობაზე და აქტიურად წყვეტს საკითხს, თუ რას იძლევა ესა თუ ის წყარო სხვადასხვა ისტორიული პრობლემის გადასაჭრელად (О. М. Медушевская. Польский источниковедческий ежегодник, с. 190). ვ. დოროშენკოს აზრით, განვითარების თანამედროვე ეტაპზე წყაროთმცოდნე ერთგვარად პასუხს აგებს ისტორიკოსის მიერ მიღებულ დასკვნებზეც (В. В. Дорошенко. Вспомогательные исторические дисциплины на новом этапе.—АЕ за 1969. М., 1971, с. 208).

[57] Г. А. Антипов. Место источниковедения в системе историографического исследования, с. 214—224; Л. С. Клейн. Археологические источники. Л., 1978, с. 9.

[58] რ. კიკნაძე, მ. ჩხარტიშვილი. წყაროთმცოდნეობითი კვლევა საბჭოთა საქართველოში, გვ. 100.

„დამხმარე“ ისტორიული დისციპლინები

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ე. წ. დამხმარე და სპეციალური დისციპლინების, მათი დეფინიციის, საგნისა და ფუნქციის, ერთმანეთთან, მთლიანად ისტორიულ მეცნიერებასთან, მის ცალკეულ დარგებთან, კერძოდ, წყაროთმცოდნეობასთან მიმართების საკითხები. არანაკლებ საყურადღებოა თვითონ „დამხმარე“ მეცნიერების ან „დამხმარე“ დისციპლინების ცნება, რომლის წინააღმდეგ უკანასკნელ წლებში არაერთი მკვლევარი ილაშქრებს.

XIX ს-ის დასასრულამდე „დამხმარე ისტორიულ დისციპლინათა“ ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი „არქეოლოგიური სიძველენი“. ტერმინი „დამხმარე ისტორიული დისციპლინები“ რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოვიდა XIX—XX სს. მიჯნაზე ფრანგული და გერმანული მეცნიერებიდან. თავდაპირველად გაჩნდა გამოთქმა „დამხმარე ისტორიული ცოდნა“ (ნ. ლიხაჩოვი)[1]. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გარკვეული როლი ამ დისციპლინათა განვითარებაში რევოლუციამდელ რუსეთში შეასრულეს პეტერბურგისა და მოსკოვის არქეოლოგიურმა ინსტიტუტებმა, უნივერსიტეტებმა, ხოლო რევოლუციის შემდეგ, 1930 წელს დაარსებულმა მოსკოვის არქივთმცოდნეობის ინსტიტუტმა, რომელსაც 1934 წელს ისტორიულ-საარქივო დაერქვა[2].

საქართველოში დამხმარე ისტორიულ დისციპლინათა კვლევის საქმეს დიდად შეუწყო ხელი რუსეთის აკადემიის სისტემაში პირველი კვლევითი დაწესებულების, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსებამ 1917 წელს. ამავე საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის სახ. უნივერსიტეტმა (დაარსდა 1918 წ.), სადაც შესაბამის კათედრაზე ფართოდ გაიშალა შუშაობა ისტორიული წყაროების მოპოვებისა და პუბლიკაციის მიმართულებით. მეცნიერული საფუძველი აღნიშნულ დისციპლინებს ჩა-

---

[1] Е. Н. Каменцева. История вспомогательных исторических дисциплин. М., 1979. იხ. რ. სიმონოვის რეცენზია ამ ნაშრომზე (СА, 1981, № 5, с. 82).

[2] А. М. Пашков. Документы о развитии вспомогательных исторических дисциплин в конце XIX—нач. XX в.—СА, 1984, № 5, с. 39.

ეყარათ ი. ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომებში[3]. კვლევა ამ მიმართულებით შემდგომ განავითარეს და შეავსეს კ. კეკელიძემ, ს. კაკაბაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ს. ყაუხჩიშვილმა. ი. აბულაძემ, შ. ჩხეტიამ და სხვებმა.

გამოთქმა „დამხმარე ისტორიული დისციპლინები" გადაისინჯა 60-იან წლებში. საკითხს ძირითად და დამხმარე დისციპლინათა ურთიერთობის შესახებ ამ ხანებში შეეხნენ მ. ტიხომიროვი, დ. ლიხაჩოვი, ა. ზიმინი[4]. ამ მეცნიერთა მსჯელობაში აღინიშნა, რომ საზღვარი მასალის „მომპოვებელ" და „დამამუშავებელ" მეცნიერებებს შორის სულ უფრო იშლება, რომ ეს დაყოფა მხოლოდ პირობითია. „ყველა ჰუმანიტარული დისციპლინა ასე თუ ისე დამხმარეა ერთმანეთის მიმართ და ამავე დროს ყველა მათგანი გარკვეულწილად სუვერენულიც არის"[5]. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ერთმანეთის მიმართ დამხმარეობა სრულიადაც არ ამცირებს არც ერთი მეცნიერების ღირსებას. მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ აბსოლუტურად დამხმარე დისციპლინა არც არსებობს.

ამჟამად ან აზრს მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს[6]. მაგრამ ტერმინი „დამხმარე" საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და მას ისინიც კი ინარჩუნებენ, ვინც აღიარებს მის პირობითობას[7]. ამ და-

---

3 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. თბ., 1925; მ ი ს ი ვ ე. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბ., 1926; მ ი ს ი ვ ე. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. თბ., 1926.

4 М. Н. Т и х о м и р о в. Об охране и изучении письменных богатств нашей страны. — ВИ, 1961, № 4; Д. С. Л и х а ч е в. По поводу статьи Азбелева С. Н. «Текстология как вспомогательная историческая дисциплина». — ИСССР, 1967, № 2; о н ж е. Текстология на материале русской литературы X—XVII вв. Л., 1983, с. 5; А. А. З и м и н. Вспомогательные исторические дисциплины и их роль в работе историков-архивистов. — Труды научной конференции по вопросам архивного дела в СССР, т. I. М., 1965, с. 125

5 Д. С. Л и х а ч е в. По поводу статьи Азбелева С. Н., с. 231—232.

6 В. В. Ф а р с о б и н. Источниковедение и его метод, с. 17—22; Е. А. Д а в и д о в и ч. Вспомогательные (специальные) исторические дисциплины в советском востоковедении.—„Бартольдовские чтения". Тезисы докладов. М., 1984, с. 33; მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი. „სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის" ახალი გამოცემა.—ქართული წყაროთმცოდნეობა, VI. თბ., 1985, გვ. 176—177. დისციპლინების ასეთი დაყოფის პირობითობას ხაზი გაუსვა მ. მამარდაშვილმა მეცნიერების განვითარების ტენდენციების შესახებ ჩატარებულ დისკუსიაში. მისი სამართლიანი შენიშვნით, „არ არსებობს გამოყენებითი მეცნიერებები. არის მხოლოდ მეცნიერება და მისი გამოყენება" (Наука, этика, гуманизм.—ВФ, 1973, № 8, с. 20).

7 ე. კამენცევა და ა. ნიკოლაევა გამოთქვამენ აზრს, რომ უმჯობესია დარჩეს ტრადიციული დასახელება „დამხმარე", ვიდრე შემოვიღოთ ახალი—„სპეციალური" (СА, 1976, № 1, с. 108—109). ასევე მსჯელობდა ი. ჩერეპნინიც (Л. В. Ч е р е п н и н. К во-

სახელებით უმაღლეს სასწავლებელში არსებობს კათედრა, გამოდის მონოგრაფიები და სპეციალური კრებულები, იბეჭდება სახელმძღვანელოები, რომლებშიც ზოგჯერ აღნიშნულია, რომ ეს პირობითი დასახელება ნბოლოდ ტრადიციისათვის ხარკის გადახდაა.

ზოგიერთი მკვლევრისთვის სპეციალური დისციპლინა იგივე დამოუკიდებელია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ერთმანეთის გვერდით, სინონიმური მნიშვნელობით, ვხვდებით ტერმინებს — დამხმარე სპეციალური[8] ან დამხმარე დამოუკიდებელი[9]. ლ. ჩერეპნინის აზრით, თანაარსებობა ტერმინებისა „სპეციალური წყაროთმცოდნეობითი" და „დამხმარე ისტორიული" სავსებით დასაშვებია[10].

ამა თუ იმ დისციპლინის გადასვლა დამხმარედან სპეციალურის რანგში მისი განვითარების გარკვეულ ეტაპს უკავშირდება. ნაგრამ ერთიანი შეხედულება ამ მხრივ ძნელად იკიდებს ფეხს. მაგალითად, ჯ. მიტიაევი ჯერ კიდევ 1946 წ. სპეციალურ დისციპლინებად მიიჩნევდა პალეოგრაფიას, დიპლომატიკას, ეპიგრაფიკას, მეტროლოგიას, ქრონოლოგიას, სფრაგისტიკას, ჰერალდიკას გენეალოგიას და ნუმიზმატიკას, მაგრამ მეცნიერთა ერთი, მართალია, უკვე მცირე, ნაწილი მათ დღესაც დამხმარე დისციპლინებად თვლის[11].

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ე. წ. დამხმარე დისციპლინებისათვის, მკვლევართა აზრით, დამახასიათებელია შემდეგი ნიშნე-

---

просу о методологии и методике источниковедения.—ИОИ, I. М., 1973. с. 42. იხ. აგრეთვე; А. И. Гуковский. О некоторых терминах вспомогательных исторических дисциплин.—ВИ, 1965, № 10, с. 61; Л. Е. Шепелев. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины.—ВИД, XIII. Л., 1982. с. 20). „საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედიის" მიხედვით, დამხმარე ისტორიული დისციპლინები კრებითი სახელწოდებაა რიგი სპეციალური დისციპლინებისა, რომლებიც ამუშავებენ ისტორიული კვლევის მეთოდიკისა და ტექნიკის ზოგად და კერძო საკითხებს (СИЭ, т. 3, с. 838). ლ. კოზლოვი ძირითად და დამხმარე დისციპლინას უწოდებს წყაროთმცოდნეობას, არქეოგრაფიასთან, პალეოგრაფიასთან, დიპლომატიკასთან, ქრონოლოგიასთან, მეტროლოგიასთან, სფრაგისტიკასთან, გენეალოგიასთან, ნუმიზმატიკასა და ისტორიულ გეოგრაფიასთან ერთად (Л. Р. Козлов. Вспомогательные исторические дисциплины. Минск, 1980).

[8] Вспомогательные исторические дисциплины.—СИЭ, т. 3, с. 838; Л. А. Дербов. Введение в изучение истории. Саратов, 1978, с. 29—46.

[9] მაგალითად, პოლონელ მეცნიერებთან ფ. ბრონევსკისთან და ჯ. კშემინსკაისთან (А. П. Пронштейн. О предмете источниковедения как научной исторической дисциплины.—ИСССР, 1977, № 5, с. 164; აგრეთვე В. Г. Бурков. Фалеристика. Л., 1985, с. 10).

[10] Л. В. Черепнин. К вопросу о методологии и методике источниковедения, с. 42.

[11] იხ., მაგალითად, Л. С. Гапоненко. Историческая наука в системе общественных наук.—В кн.: Историческая наука. Вопросы методологии. М., 1985, с. 11.

ბი: მათი „დამხმარეობა“ მეორე პლანზე გადადის; ზოგიერთი მათგანი გამოდის საერთო კომპლექსიდან, მათ შორის, წყაროთმცოდნეობა, დოკუმენტმცოდნეობა, არქივთმცოდნეობა, არქეოგრაფია და ა. შ. ისინი ეზოლოდ ტრადიციის გამო ითვლებიან დამხმარედ; ხდება ამ დისციპლინების შემდგომი დიფერენციაცია და ინტეგრაცია[12], ე. ი. მიჯნების განუწყვეტელი გადაადგილება.

ეპიგრაფიკა, რომელიც პალეოგრაფიის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა, ამჟამად მისგან დამოუკიდებელ სპეციალურ დარგად არის აღიარებული, განურჩევლად იმისა, თუ წყაროთა რომელ ტიპს მიაკუთვნებენ წარწერებს — ნივთიერს, წერილობითს, თუ მათ შორის გარდამავალს. რუსეთში ეპიგრაფიკის გამოყოფა პალეოგრაფიიდან, მეცნიერთა დაკვირვებით, უკვე რევოლუციამდე ეოხდა და საბჭოურ ხანაში ის შემოვიდა როგორც დამხმარე ისტორიული დისციპლინა[13]. 1926 წ. გამოცემულ ნაშრომში ი. ჯავახიშვილი ეპიგრაფიკას პალეოგრაფიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა[14]. ენიმშენელოვანმა წარმატებებმა წარწერების მოპოვება-შესწავლის დარგში განაპირობა თანდათან ეპიგრაფიკის მიერ პალეოგრაფიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება[15]. ქართველი მეცნიერები წარწერებს უფრო ხშირად წერილობით წყაროებთან ერთად განიხილავენ[16], თუმცა გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც[17].

ყურადღებას იქცევს კამათი ისეთი შედარებით ახალი დარგების ირგვლივ, რომლებიც შეისწავლიან წყაროთა სხვა გარდამავალ ტიპებს, მაგ., ნივთიერს, წერილობითსა და სახვითს შორის, კერძოდ,

---

12 Н. А. Соболева. О тенденциях развития специальных исторических дисциплин. Историографический обзор за 1964—1978 гг. — ИОИ. 1979. М., 1980; В. И. Буганов, А. А. Зимин. О некоторых задачах специальных исторических дисциплин в изучении и издании письменных источников по истории русского средневековья. — ИССР. 1980. № 1. с. 117—132; А. П. Пронштейн, И. Н. Данилевский. Вопросы теории и методики исторического исследования. М., 1986, с. 51—62.

13 М. П. Сотникова. Русская эпиграфика в советское время. — ВИД. III. Л., 1970; Эпиграфика. — СИЭ, т. 16. ზოგჯერ მას დამხმარე ისტორიულ-ფილოლოგიურ დისციპლინად განიხილავენ (СЭС. М., 1980, с. 1566).

14 ი. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. მეორე გამოცემა. თბ., 1949, გვ. 2.

15 ზ. ალექსიძე. ეპიგრაფიკა. — ქსე, ტ. 4, გვ. 165.

16 ვ. დონდუა. ე. თაყაიშვილი როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. გვ. 163; რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ. 1975, გვ. 4.

17 Г. Г. Аласания. Классификация грузинских письменных исторических источников, с. 65; რ. კიკნაძე, მ. ჩხარტიშვილი. წყაროთმცოდნეობითი კვლევა საბჭოთა საქართველოში, გვ. 116.

ორდენებსა და მედლებს, დროშებს, გერბებს, ემბლემებს და სხვ. ახლო წარსულში ისინი ნივთიერ (იგივე არქეოლოგიურ) წყაროთა შორის განიხილებოდა.

ფალერისტიკა (ლათ. phalerae. ტერმინი შემოიღო 1937 წ. ჩეხმა კოლექციონერმა ო. პილკმა), რომელიც შეისწავლის სამკერდე ნიშან-ჯილდოებს და საერთოდ, სამკერდე ნიშნებს, თავდაპირველად ნუმიზმატიკას განეკუთვნებოდა. მაგრამ XX ს-ის 70-იანი წლებისათვის გამოიყო როგორც დამხმარე ისტორიული დისციპლინა, მისი სტატუსის საკითხი ჯერჯერობით კვლავ სადავო რჩება. მეცნიერთა ნაწილი მას მიიჩნევს „დამოუკიდებელ დამხმარე" დისციპლინად უკვე თავისი ქვედანაყოფებით — ზოგადი ფალერისტიკა, კერძო ფალერისტიკა და ფალერისტიკის ისტორიოგრაფია[18]; სხვები მიაკუთვნებენ ჰერალდიკას ან ემბლემატიკას[19].

არ არის საბოლოოდ გადაჭრილი არც ვექსილოლოგიის საკითხი (ლათ. vexillum), მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დარგს საკმაო ხნის ისტორია აქვს, რაზეც მიუთითებს თუნდაც 10—20-იან წწ. ტერმინ ალამთმცოდნეობის (რუს. знаменоведение) არსებობა[20]. მეცნიერთა ნაწილი ვექსილოლოგიას დამხმარე ისტორიულ დისციპლინად მიიჩნევს. გაპოთქმულია მოსაზრება მისი ჰერალდიკისადმი კუთვნილების შესახებაც. ამ უკანასკნელს ზოგჯერ ემბლემატიკასაც ულოდებენ. თუმცა არსებობს შეხედულება, რომ ემბლემატიკის ცნება, რომელიც გულისხმობს ბეჭდებზე, ალმებზე, ორდენებზე, მედლებზე, ქაღალდის ფულზე, ობლიგაციებზე და ა. შ. მოთავსებული ემბლემების შემსწავლელ დამხმარე ისტორიულ დისციპლინას[21], შედარებით ვიწროა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰერალდიკას XIX ს-ის შუა წლებში ეყრება საფუძველი, მისი ერთიანი განსაზღვრება ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული[22].

---

18 Г. Бурков. Фалеристика. с. 10, 14.

19 Г. В. Вилинбахов. Некоторые проблемы соотношения старых и новых вспомогательных исторических дисциплин (геральдика, вексиллология, фалеристика). — «Актуальные проблемы источниковедения. и спец. исторических дисциплин». Тезисы докладов. М., 1983, с. 169—170.

20 იქვე, გვ. 170.

21 Е. И. Каменцева. Основные проблемы советской эмблематики.— СА, 1970, № 1, с. 37.

22 В. И. Стрельский. Геральдика и сфрагистика в научной работе историков по материалам украинских архивов и других научных учреждений. — ВА, 1963, № 2, с. 31; Н. А. Соболева. О тенденциях развития спец. исторических дисциплин, с. 233; ამჟამად ჰერალდიკის ისტორია თანმიმდევრულად შეისწავლება (Н. А. Соболева. Российская городская и областная ге-

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია წინადადება, ჰერალდიკის ფარგლებში, რომელიც უმთავრესად გერბებს იკვლევს, გერბთმცოდნეობის გარდა, ემბლემატიკის, ფალერისტიკის, უნიფორმათმცოდნეობის, ვექსილოლოგიის გაერთიანების შესახებ. ასეთი კომპლექსური ჰერალდიკა, ამ მოსაზრების ავტორის თანახმად, შეისწავლის პირობით ნიშნებს, ანუ იმ სიმბოლური ნიშნების სისტემას — ინფორმაციის დაგროვების, შენახვის, გადაცემის საშუალებას, რომელიც წარმოადგენს სოციალურ სისტემებსა და ინდივიდებს[23].

თუ თავის დროზე ა. ზიმინი გამოდიოდა წინადადებით, რომ ფილატელია კოლექციონერთა გატაცებიდან გადაქცეულიყო ნეოგრაფიის სამეცნიერო განყოფილებად[24], ამჟამად მეცნიერთა ნაწილის აზრით, ფილატელისტიკა ცალკე დარგია. იგი შეისწავლის ისეთ საინტერესო ისტორიულ წყაროს, როგორიც არის მარკები, რომლებიც ასახავენ სახელმწიფო წყობაში და გეოგრაფიულ რუკაზე მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს[25].

გაფართოვდა და დაზუსტდა ნუმიზმატიკის (ბერძ. nomisma — მონეტა) საზღვრები. თუ პირველად მას ევალებოდა მონეტათა კოლექციონირება და მათი გარეგნული მონაცემების შესწავლა, ხოლო რაც შეეხება ფულად სისტემებს და მათ ისტორიას, ისინი მეტროლოგიის სფეროს შეადგენდა[26], მონეტების კვლევის ხერხების სრულყოფას მოჰყვა მიჯნების გადაადგილება და ნუმიზმატიკაში ყველა იმ საკითხის მოქცევა, რომლებიც ფულსა და ფულად სისტემებს ეხება[27]. ანგვარად, ნუმიზმატიკა გამოეყო მეტროლოგიას, ერთ-ერთ ისტორიულ დისციპლინას, რომელსაც საზომთა სისტემის შესწავლა ევალება[28].

ральдика XVIII—XIX вв. М., 1981. აქ დახასიათებულია გერბების გამოსახულებათა სიუჟეტები, მოცემულია მათი კლასიფიკაცია. რეცენზია ამ ნაშრომზე იხ.: П. А. Шорин.—СА, 1982, № 4); გ. არახამია. ჰერალდიკა.—ქსე, ტ. 11.

23 Г. В. Вилинбахов. Некоторые проблемы соотношения старых и новых исторических дисциплин, с. 172.

24 В. М. Панеях. Вспомогательные исторические дисциплины в научном наследии А. А. Зимина. — ВНД, XIV. Л., 1983, с. 129; А. А. Зимин. Вспомогательные исторические дисциплины, с. 128.

25 Л. Л. Лепешинский. Филателия и история. — ВИ, 1966, № 3.

26 ი. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. თბ., 1925.

27 В. Л. Янин. К проблеме интеграции в изучении вещественных и письменных источников по истории русского средневековья. — ИСССР, 1973, № 3.

28 გ. ლეონიძე. ნუმიზმატიკა.—ქსე, ტ. 7, გვ. 467; გ. ჯაფარიძე. მეტროლოგია.—ქსე, ტ. 6, გვ. 607; К. П. Широков. Метрология.—БСЭ, изд. 3-е, т. 16, с. 171.

გარდა ამისა, ნუმიზმატიკაში ჩამოყალიბდა სპეციალური ისტორიული დისციპლინა ბონისტიკა (ფრ. bonistique), რომელიც შეისწავლის ქაღალდის ფულს და ბონებს როგორც ისტორიულ წყაროს[29].

ეპიგრაფიკის და ნუმიზმატიკის გარდა დამოუკიდებლობა მოიპოვეს სფრაგისტიკამ, მეტროლოგიამ, რომლებიც გარკვეულ ეტაპზე აგრეთვე არქეოლოგიის დამხმარე დისციპლინებად ითვლებოდა[30].

თუ ადრე სფრაგისტიკა (ბერძ. sphragis — ბეჭედი) საქტო წყაროთმცოდნეობის აუცილებელ ნაწილად იყო მიჩნეული და აღნიშნული იყო, რომ იგი ისტორიის დამხმარე დისციპლინაა არა უშუალოდ, არამედ დიპლომატიკის მეშვეობით, ამჟამად არქეოლოგიურ გათხრებში საბეჭდავების დიდი რაოდენობით მოპოვებამ და მათი კვლევის ხერხების სრულყოფამ სპეციალისტებს მისცა საშუალება დაესვათ საკითხი სფრაგისტიკის დამოუკიდებლობის შესახებ[31]. ამ შეხედულების მომხრე იყო ჯერ კიდევ 1899 წ. ნ. ლიხაჩოვი, რომელიც ბეჭედს პირველ რიგში განიხილავდა როგორც დამოუკიდებელ ისტორიულ წყაროს[32].

მთლად ნათელი არ არის დიპლომატიკის საკითხი. თუ ერთი მხრივ, მას იხსენიებენ ერთ დონეზე წყაროთმცოდნეობასთან ერთად და აღნიშნავენ მათ მჭიდრო კავშირს, რომელიც, მკვლევართა აზრით, განსაკუთრებით შეიმჩნევა ომის შემდგომ წლებში[33], მეორე მხრივ, მიიჩნევენ წყაროთმცოდნეობითი ციკლის სპეციალურ დისციპლინად, როგორც შესწავლის ობიექტის, ასევე მეთოდიკის თვალსაზრისით[34], ანდა მის შემადგენელ ნაწილად[35].

---

29 Д. Б. Шелов. Нумизматика. — БСЭ, изд. 3-е, т. 18, с. 149.

30 В. Л. Янин. Успехи и проблемы изучения вспомогательных дисциплин русской истории (нумизматика, сфрагистика, эпиграфика, весовая метрология). — АЕ за 1969 г. М., 1971, с. 200.

31 В. Л. Янин. Изучение древнерусских вислых печатей. — ВИД, I. Л., 1968.

32 Н. А. Соболева. О методике изучения сфрагистического материала. — ВИД, VIII. Л., 1976, с. 135; ა. ბაქრაძე, ქ. ჯავახიშვილი. სფრაგისტიკა.—ქსე, ტ. 9, გვ. 620—621.

33 А. И. Копанев. Советская дипломатика. — ВИД, I. Л., 1968.

34 М. Н. Тихомиров. Об охране и изучении письменных богатств нашей страны. — ВИ, 1961, № 4, с. 67; он же. Источниковедение истории СССР, с. 14; Л. В. Черепнин. К вопросу о методологии и методике источниковедения, с. 52—53 და სხვ.

35 С. М. Каштанов. Очерки русской дипломатики. М., 1970, с. 10—13.

თუ ერთ შემთხვევაში დიპლომატიკის შესწავლის ობიექტად მიჩნეულია მხოლოდ ააქტო წყაროები (ს. კაშტანოვი), მეცნიერთა ნაწილი მას აკუთვნებს ყოველგვარ დოკუმენტურ, ე. ი. არათხრობით წყაროს[36]. გამოითქვა მოსაზრება, რომ ასეთ კამათს საერთოდ არა აქვს აზრი, ხაზი გაესვა ყველა შემთხვევაში დიპლომატიკისა და დოკუმენტთმცოდნეობის სიახლოვეს[37]. ვ. ფარსობინს დიპლომატიკა ფორმულარის შემსწავლელ დისციპლინად მიაჩნია და ფიქრობს, რომ ამ დისციპლინამ ყველანაირი წერილობითი ძეგლი უნდა შეისწავლოს ფორმულარის თვალსაზრისით[38]. ყველა აქ განხილული შეხედულების მიხედვით, დიპლომატიკა მთლიანად წყაროთმცოდნეობის ფარგლებში თავსდება.

ჩვენს მიერ ზემოთ ნაბსენებ ყველა დარგში ორი ძირითადი მიმართულება იკვეთება: სპეციალური წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული, რომელიც შეისწავლის ამა თუ იმ სახის წყაროთა ისტორიას. თუ, მაგალითად, ნუმიზმატიკის საბოლოო მიზნად მივიჩნევთ ფულადი სისტემებისა და ფულის მიმოქცევის შესწავლას, აღნიშნული სფერო უფრო მეტად ისტორიულია, ვიდრე წყაროთმცოდნეობითი. ამავე დროს არ იქნება სწორი ხელოვნურად მისი ჩამოცილება შესწავლის ობიექტიდან, რომლის კვლევა მის გარეშე ვერც იქნება სრულყოფილი. ამიტომ წყაროთმცოდნეობას ევალება თითოეული ტიპის, გვარის და სახის წყაროების ისტორიის, მათი განვითარების შესწავლაც, ისევე, როგორც ევალება ეს ისტორიას. ამდენად, ეს სფერო კვლავ საზიაროა ისტორიასა და წყაროთმცოდნეობას შორის.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია რომ საკითხები, რომლებიც დამხმარე დისციპლინათა ფარგლებში წყდება, თანდათან კარგავენ ისტორიულს და იძენენ დამოუკიდებელ წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას.

წყაროთმცოდნეობასთან მიმართების თვალსაზრისით ე. წ. „დამხმარე" დისციპლინათა რამდენიმე რიგი შეიძლება გამოიყოს[39]. ესენია პირველ რიგში ის დისციპლინები, რომლებიც მთლიანად წყაროთა ამა თუ იმ ტიპის, გვარის ან სახეთა შესწავლას ემსახურება. მაგ., არქე-

---

36 Т. И. Абашидзе. Об изучении средневековых персидских документов. — «Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников». Тезисы докладов. Тбилиси, 1982, с. 4—5.

37 В. И. Буганов, А. А. Зимин. О некоторых задачах спец. исторических дисциплин в изучении и издании письменных источников, с. 127.

38 В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод, с. 48.

39 შდრ. Л. Е. Шепелев. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины, с. 15.

ოლოგიური წყაროთმცოდნეობა, ლინგვისტური წყაროთმცოდნეობა, ეთნოგრაფიული წყაროთმცოდნეობა, ეპიგრაფიკა (შეისწავლის წარწერებს), პაპიროლოგია (სწავლობს პაპირუსზე შესრულებულ ნაწერს), ტორევტიკა (ბედურ ხელოვნებას), სფრაგისტიკა (ბეჭდებს), ნუმიზმატიკა (მონეტებს), ბონისტიკა (ქაღალდის ფულს), ჰერალდიკა (გერბებს), ფალერისტიკა (ორდენებს, მედლებს), ვექსილოლოგია (დროშებს), ემბლემატიკა, ფილატელისტიკა, დიპლომატიკა, საქმეთა წყაროთმცოდნეობა, დოკუმენტთმცოდნეობა, ლეტოპისეველენი (მატიანეებს), ეპისტოლოგრაფია (წერილებს), მემორარისტიკა და ა. შ.

ან ტიპის დისციპლინები თავისი საგნითა და ამოცანებით თითქმის მთლიანად თავსდება წყაროთმცოდნეობის ფარგლებში. ამიტომ მათ წყაროთმცოდნეობითი ციკლის სპეციალურ დისციპლინებს ან სპეციალურ წყაროთმცოდნეობით დისციპლინებს უწოდებენ. წყაროთმცოდნეობას კონკრეტული წყაროების შესწავლის და ამ გზითა და ამ მიზნით კვლევის მეთოდებისა და ხერხების შემუშავების გარდა, როგორც აღინიშნა, ევალება წყაროთა ცალკეული ტიპების, გვარებისა და სახეების ყოველმხრივი ისტორიის შესწავლა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ისტორიული წყაროთმცოდნეობის ამოცანაა ყოველგვარი ტიპისა და სახის წყაროთა კვლევა და ამ შესწავლის შედეგების განზოგადება და სინთეზი[40].

მეორე რიგის დისციპლინებად ჩაითვლებიან ისინი, რომლებიც სხვადასხვა კუთხით შეისწავლიან ისტორიულ წყაროებს. თავისი ამოცანებით ესენიც ძირითადად თავსდება წყაროთმცოდნეობის ფარგლებში ან ნაჩიდრო კავშირშია მასთან, რომლის ამოცანები ჩვენ გვესმის როგორც ისტორიულ წყაროთა გამოვლენა, გამოსაცემად მომზადება და ყოველმხრივი შესწავლა-შეფასება. ამ დისციპლინებს განეკუთვნება არქივთმცოდნეობა და ტექსტოლოგია. აქვე პირობითად ვოვათავსებთ პალეოგრაფიას და მის განშტოებას ფილიგრანოლოგიას (შეისწავლის ჭვირნიშნებს): თუმცა ეს ორი სპეციალური დისციპლინა შეიძლება ალბათ პირველ რიგშიც მოთავსდეს, თუ დამოუკიდებელ ისტორიულ წყაროდ მივიჩნევთ დამწერლობას თავისთავად და ჭვირნიშანს[41].

---

[40] В. Л. Янин. К проблеме интеграции в изучении вещественных и письменных источников, с. 21.

[41] С. А. Клепиков. Новые работы в области филиграноло гии. — ПИ, т. IV. М.-Л., 1956, с. 312—337; В. Н. Щепкин. М. В. Щепкина. Палеографическое значение водяных знаков. — ПИ, т. VI. М.-Л., 1958, с. 325—347.; რ. პატარიძე. ჭვირნიშანი „სამი მთვარე“ XVII—XVIII სს. ქართულ ხელნაწერებში“.—პალეოგრაფიული ძიებანი, II, 1969, გვ. 51. А. П. Пронштейн, И. Н. Данилевский. Вопросы теории и методики исторического исследования. М., 1985, с. 55.

როგორც უკვე აღინიშნა, მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ წყაროთმცოდნეობას ევალება აგრეთვე წერილობითი წყაროების გამოსაცემად მომზადება, ხოლო თვით გამოცემა, ანუ საედიციო პრაქტიკა, მისი გამოყენებითი ფუნქციაა[42]. ამგვარად, წყაროთმცოდნეობის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული არქეოგრაფიაც.

ამასთანავე წყაროთმცოდნე ყველა დანარჩენ ისტორიულ დისციპლინას ემყარება — ისტორიულ გეოგრაფიას, ქრონოლოგიას, მეტროლოგიას, გენეალოგიას, ტოპონიმიკას, ონომასტიკას და სხვ. ყველა მათგანი შექმნილია და ვითარდება ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით და მათთან მჭიდრო კავშირში[43]. მაგრამ მათ განვითარებაზე არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ სახის წყაროს შესწავლის მეთოდების სრულყოფა. ამდენად, თუ შევინარჩუნებთ პირობითად ტერმინს „დამხმარე", ეს დისციპლინები დამხმარე არიან ისტორიული მეცნიერების და არა უშუალოდ წყაროთმცოდნეობის მიმართ. ამავე სტადიაში ისტორიული დისციპლინების გარდა, წყაროთმცოდნე ითვალისწინებს საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევებს. აქტუალურია ამყამად წყაროთმცოდნეობაში მათემატიკის გამოყენება. და ეს ბუნებრივიც არის, ვინაიდან, როგორც გერმანელი მეცნიერი მ. პლანკი შენიშნავდა. „მეცნიერება შინაგანად ერთი მთლიანია"[44].

შევაჩერებთ ყურადღებას დისციპლინათა კიდევ ერთ წყებაზე, რომლებიც სპეციალურად შეისწავლიან წერილობით წყაროთა ერთ-ერთ თავისებურ ქვესახეს — წიგნს. ესენია წიგნთმცოდნეობა და კოდიკოლოგია.

წიგნთმცოდნეობა ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ევროპაში ჯერ კიდევ XVII ს-ში[45]. რუსულ მეცნიერებაში აღნიშნული ტერმინი (книговедение) ვ. ანასტასევიჩმა შემოიტანა 1820 წ. ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობით. უკანასკნელი შემდგომში დავიწროვდა და შევიდა წიგნთმცოდნეობის შემადგენლობაში[46].

---

42 რ. კიკნაძე. წყაროთმცოდნეობითი კვლევა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, გვ. 159; მისივე. ისტორიული მეცნიერების განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში, გვ. 179.

43 იხ. მაგ.: М. Е. Бычкова. Генеалогия в советской исторической литературе. — ВИД, VII. Л., 1976; она же. Некоторые задачи генеалогического исследования. — ВИД, XIV. Л., 1983; А. П. Проштейн, И. Н. Данилевский. Вопросы теории и методики исторического исследования, с. 66—114.

44 М. Планк. Единство физической картины мира. М., 1966, с. 183.

45 А. Г. Фомин. Книговедение как наука. История и современное состояние. Л., 1931.

46 Э. К. Беспалова. А. М. Ловягин — теоретик книжного дела и

ამჟამად კომპლექსური დისციპლინა წიგნთმცოდნეობა აერთიანებს წიგნის შესწავლის ყველა დარგს, მათ შორის, ბიბლიოთეკათმცოდნეობას, ბიბლიოგრაფიამცოდნეობას, ბიბლიოპეგიას (შეისწავლის წიგნის ყდის ევოლუციას), შრიფტთმცოდნეობას და სხვ[47]. წიგნს იკვლევენ სხვადასხვა კუთხით — ინფორმაციისა და სემიოტიკის თვალსაზრისით, სისტემაში წიგნი—მკითხველი და სხვ[48]. განიხილება მისი გავრცელების გზები, ვაჭრობის ფორმები. წიგნთმცოდნეობაში შეაქვთ აგრეთვე კულტურისა და სახალხო მეურნეობის იმ დარგების შესწავლაც, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროცესებს.

როგორც ვხედავთ, წიგნთმცოდნეობის ასეთი ფართო გაგება სცილდება საკუთრივ წყაროთმცოდნეობით ფარგლებს და ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი ხდება წყაროთმცოდნეობასა და ისტორიულ მეცნიერებას შორის.

ჩვეულებრივ, წიგნთმცოდნეობის განმარტებაში აღნიშნულია, რომ იგი შეისწავლის ნაბეჭდი ნაწარმოების შექმნის, შენახვის, გავრცელებისა და გამოყენების პროცესებს. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დაზუსტებულია, რომ ამ დარგში კვლევა ორი ხაზით წარიმართება: ხელნაწერ წიგნთა და გამოცემულ წიგნთა ისტორიის კვლევის მიმართულებით[49]. ასეთი შეხედულების თანახმად, წიგნთმცოდნეობის შემადგენელი ნაწილი ხდება კოდიკოლოგია, ანუ სპეციალური წყაროთმცოდნეობითი სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც იკვლევს ხელნაწერი წიგნის შექმნის, შენახვის, გავრცელებისა და გამოყენების პროცესებს. მასვე ევალება გადამწერთა სოციალური და პროფესიული შემადგენლობის შესწავლაც.

აღიშნულ დარგს (ლათ. codex) საფუძველი ჩაეყარა XX ს-ის 40-იანი წლების დასასრულს ბელგიელი, იტალიელი და ფრანგი მეცნიერების გამოკვლევებში. მსგავს ტერმინს (ხელნაწერთმცოდნეობა —

библиографии. с. 26—37; Т. Д. Крымова. Общекниговедческие проблемы в трудах Е. И. Шамурина. — В кн.: Проблемы книговедения и истории книги. М., 1985.

[47] Коллектив авторов под ред. Н. М. Сикорского. Книговедение. — Книговедение. ЭС, 1982, с. 254; Н. М. Сикорский, И. Е. Баренбаум, А. И. Барсук. Книговедение. — БСЭ, 3-е изд., т. 12, с. 337.

[48] С. Я. Фокин. Монография — важнейший источник научно-технической информации. — В кн.: Теория и практика НТИ. Материалы семинара. М., 1980; А. И. Барсук. Книговедение и современные информационные теории; И. Е. Баренбаум. Система «книга—читатель» и некоторые актуальные задачи советского книговедения. — В кн.: Актуальные проблемы книговедения. М., 1976; М. Червинский. Система книги; Т. Зберский. Семиотика книги. М., 1981.

[49] Книговедение. ЭС. с. 254.

Handschriftenkunde) პალეოგრაფიის ფარგლებში უკვე იყენებდნენ გერმანელი მეცნიერები. ფრანგი მეცნიერი ფრანსუა მაზე ამ დარგის მიმართ იყენებდა ტერმინს ხელნაწერთა არქეოლოგია[50].

ერთ დროს პალეოგრაფიაში, პალეოგრაფიის, დიპლომატიკისა და ტექსტოლოგიის შესაყარზე ჩასახული კოდიკოლოგია[51] ამჟამად თვით არის დიფერენცირებული. გამოთქმულია წინადადება კოდიკოლოგიის ფარგლებში დამოუკიდებელი დისციპლინის — შუა საუკუნეების ხელნაწერთა არქივისტიკის — გაჩოყოფის შესახებ[52]. გარდა ამისა, გამოირჩევა სხვადასხვა სახის კრებულების შემსწავლელი განყოფილებები. მაგ., თხრობითი ძეგლების, რომელთაც ისტორიკოსების გარდა ლიტერატურათმცოდნეები იკვლევენ, აგრეთვე აქტების, საკანონმდებლო კრებულების და სხვ.[53]

მეცნიერების სწრაფი განვითარების პირობებში ახალი დარგები დისციპლინათა მიჯნებზე იქმნება. ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ მეცნიერებაში ყველაზე მეტი წარმატება სწორედ სხვადასხვა ცოდნის შეხების წერტილებშია მოსალოდნელი[54]. ეს ახალი დისციპლინები აახლოებენ არა მარტო მომიჯნავე დარგებს, არამედ საზოგადოებათმცოდნეობასა და ბუნებისმეტყველებასაც. ახალ დარგებს შორის არის მეცნიერებები, რომელთაც ევალებათ ისტორიულ ძეგლთა შენახვა, მოვლა, რესტავრაცია, მათი საინფორმაციო პოტენციის გამოვლენა.

აქ პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ძეგლთმცოდნეობა — დისციპლინა, რომელიც ამჟამად ყალიბდება და რომელიც მიჩნეულია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შემსწავლელ კომპლექსურ მეცნიერებად. აღნიშნული დარგი იკვლევს ისტორიულ ძეგლებს, როგორც ბუნებრივ გარემოსა და საბაღო-საპარკო ხელოვნების, ასევე სამუზეუმო სისტემებში, იკვლევს მათი შექმნის მიზეზებს, სოციალურ ფუნქციას, ინფორმაციულ ღირებულებას შესაბამის ისტორიულ კონტექსტში, მათი მოვლა-პატრონობის საკითხებს[55].

---

50 И. Н. Лебедева. Кодикология — наука о рукописных книгах. — ВИД, IV. Л., 1972, с. 66—77; В. Н. Автократов. Архивоведение в кругу других областей знания. — СА, 1973, № 2, с. 50.

51 Л. В. Черепнин. К вопросу о методологии и методике источниковедения, с. 61; он же. Русская палеография и другие вспомогательные исторические дисциплины. — В кн.: Проблемы палеографии и кодикологии в СССР. М., 1974, с. 28.

52 ეს აზრი გამოთქვა ფრანგმა მეცნიერმა ჟილბერ უიმ 1958 წ. (И. Н. Лебедева. Кодикология—наука о рукописных книгах, с. 70).

53 В. И. Буганов, А. А. Зимин. О некоторых задачах специальных исторических дисциплин, с. 126.

54 К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 20, с. 607.

55 Памятниковедение. Теория, методология, практика. М., 1986.

ნიშნებისა და ნიშნების სისტემის შემსწავლელი ერთ-ერთი უძველესი დარგის, სემიოტიკის აღორძინებამ ინტეგრაციის ახალი პერსპექტივები დასახა. სემიოტიკას, რომელსაც ობიექტი ყველა დარგში ეძებნება, — მათემატიკაში, ხელოვნებაში, არქიტექტურაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, კიბერნეტიკაში, ენაში, ლიტერატურაში და სხვ. — ყველაზე მეტად აქვს თითოეულ მათგანში საერთო კანონზომიერებების გამოვლენის უნარი[56]. ისტორიულ წყაროთა ნიშნების ფუნქციას ყურადღება მიაქცია ს. შმიდტმა[57]. წყაროსადმი სემიოტიკური მიდგომის საჭიროებას ხაზი გაესვა წყაროთმცოდნეთა III საკავშირო კონფერენციაზეც[58]. ისტორიულ ძეგლთა ამ კუთხით კვლევა მათი საინფორმაციო პოტენციის გახსნის დიდ შესაძლებლობებს იძლევა. ამ გზით ზუსტდება სხვადასხვა სახის დამახასიათებელი ნიშნები და ცნებები[59].

ვიდრე დისციპლინათა მეორე რიგის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, განვიხილავთ პირველი რიგის დისციპლინებთან მათი ურთიერთობის ზოგიერთ მომენტს. როგორც პალეოგრაფიისა და ფილიგრანოლოგიის მაგალითზე შევნიშნეთ, საზღვარი სპეციალური დისციპლინების პირველ ორ რიგს შორს მუდმივად მოძრავია. მეორე რიგის ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემები განვითარების შედეგად ყალიბდებიან დისციპლინებად, რომლებიც ზოგჯერ პირველში გადაინაცვლებენ. ასეთი მოძრაობა კანონზომიერად განაპირობებს მათ შორის დამაკავშირებელი რგოლების არსებობას. ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, დოკუმენტთმცოდნეობა.

ტერმინი დოკუმენტთმცოდნეობა არც ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა შედარებით ახალი სამეცნიერო დისციპლინის აღსანიშნავად, რომელიც თავდაპირველად არქივთმცოდნეობის წიაღში ჩაისახა. დოკუმენტთმცოდნეობა შეისწავლის როგორ ცალკეულ დოკუმენტებს, ასევე დოკუმენტაციის სისტემებს, მათი წარმოქმნის კანონზომიერებებს, შედგენისა და მიმოქცევის წესებს. ამ დისციპლინას უფრო მეტად

---

56 А. А. Ветров. Семиотика и ее основные проблемы. М., 1968; В. В. Иванов. Очерки по истории семиотики в СССР. М., 1976; Предмет семиотики. Теоретические и практические проблемы взаимодействия средств массовых коммуникаций. М., 1975; Е. Н. Панов. Знаки. Символы. Языки. М., 1983, изд. 2-е; Семиотика и проблемы коммуникации. Ереван, 1981.

57 С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 37.

58 ვ. ივანოვის გამოსვლა (Материалы дискуссии.—Проблемы источниковедения истории СССР и спец. исторических дисциплин, с. 191).

59 მაგალითად, იძლევა „მხატვრული ლიტერატურის" ცნების განსაზღვრების შესაძლებლობას (Ю. С. Степанов. В мире семиотики; Ц. Тодоров. Понятие литературы. — В кн.: Семиотика. М., 1983, с. 369).

პრაქტიკული დანიშნულება აქვს[60]. ის არ ისახავს მიზნად, მაგალითად, დოკუმენტის საინფორმაციო პოტენციის სრულად გამოვლენას, ან მისი ცნობების სანდოობის დადგენას. ამავე დროს ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დოკუმენტთმცოდნეობას დოკუმენტის ფორმალური ნიშნების გამოვლენასთან ერთად ევალება მისი შინაარსის შესწავლაც[61].

დოკუმენტთმცოდნეობა იკვლევს თანამედროვე მოქმედ დოკუმენტებს. ამავე დროს, ყველა სხვა წყაროსთან ერთად თანამედროვე დოკუმენტებსაც სწავლობს წყაროთმცოდნეობა.

ო. მედუშევსკაიას აზრით, საჭირო არ არის საგანგებოდ ვამტკიცოთ, რომ აუცილებელია წყაროთმცოდნეობითი კვლევის ხერხების მთელი არსენალის გამოყენება წყაროთა ყველა კატეგორიის, მათ შორის, თანამედროვე დოკუმენტთა მიმართ[62].

მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ ისტორიზმის პრინციპზე, როგორც დოკუმენტთმცოდნეობის ძირითად საფუძველზე, ხაზს უსვამენ დოკუმენტთა უნიფიკაციის თვისებებს, რაც ორი ფორმით ვლინდება, ერთი მხრივ, ევოლუციის ბუნებრივი, სტიქიური ტენდენციებით და, მეორე მხრივ შეგნებული მოღვაწეობით, აღნიშნავენ აგრეთვე წყაროთა ამ სახის ძლიერ მიდრეკილებას მრავალფეროვნებისაკენ, რასაც დოკუმენტთა „მარაოსებურ ევოლუციას“ უწოდებენ[63].

ამჟამად დოკუმენტთმცოდნეობის ფარგლებში შეინიშნება ახალ მიმართულებათა გამოკვეთა. კერძოდ, სწრაფად ვითარდება დოკუმენტური სისტემატიკა, რომელსაც ევალება დოკუმენტთა საერთო მასიდან მათი სისტემების გამოყოფის მეცნიერული კრიტერიუმების

---

60 В. Д. Банасюкевич, А. В. Елпатьевский. Первый стандарт на терминологию делопроизводства и архивного дела. — СА, 1971, № 5, с. 51; А. А. Кузин, Т. В. Кузнецова, Я. З. Лившиц, К. И. Рудельсон. Вопросы документоведения и архивоведения в трудах К. Г. Митяева.— СА, 1972, № 2, с. 51—55. კ. მიტიაევს დიდი დამსახურება მიუძღვის აღნიშნული დარგის განვითარებაში. ჯერ კიდევ 40-იან წლებში ის აღნიშნავდა ახალი დისციპლინის, დოკუმენტთმცოდნეობის შექმნის ფაქტს და იმასაც, რომ მთავარი ყურადღება ეთმობოდა წერილობით დოკუმენტებს, ხოლო საკმარისად არ იყო შესწავლილი სახვითი, ბგერითი და სხვა დოკუმენტური მასალები (К. Г. Митяев. Теория и практика архивного дела. М., 1946, с. 18; он же. Документоведение, его задачи и перспективы развития.—ВА, 1964, № 2).

61 М. П. Илюшенко. О социальной функции документов. — ТМГИАИ, т. 29. М., 1972, с. 202.

62 О. М. Медушевская. Новая советская литература по источниковедению. — ВИ, 1973, № 9, с. 146.

63 А. Н. Сокова. Принцип историзма в документоведении. — СА, 1981, № 4, с. 28.

შეუშავება. ასევე ვითარდება დოკუმენტთა უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის, დოკუმენტური ლინგვისტიკის[64] მიმართულებანი და სხვ. რამდენად სიცოცხლისუნარიანი და საჭირო აღმოჩნდება კვლევის ეს მიმართულებანი, ამას მათი შემდგომი განვითარება აჩვენებს.

ზოგიერთ შემთხვევაში დისციპლინათა დიფერენციაცია დროის გამოცდას ვერ უძლებს. მაგალითად, უშედეგოდ დამთავრდა XIX ს-ში საკანონმდებლო საქმის წარმოებაში სპეციალური საკანცელარიო განყოფილების (письмоводство) შექმნის ცდა, როდესაც საკუთრივ საქმისწარმოებას დარჩა მხოლოდ მისი პრაქტიკული მხარე — საქმისწარმოების მოწესრიგება[65]. შემდგომში საქმისწარმოების გართულებამ გამოიწვია ის, რომ ხშირ შემთხვევაში იგი არ ასრულებდა თავის თავდაპირველ დანიშნულებას. ამჟამად კი გამოთქმულია წინადადება იმის თაობაზე, რომ ერთგვარად მოძველებული ცნება „საქმისწარმოება" შეცვალოს გამოთქმამ „დოკუმენტური უზრუნველყოფა", რაც ამავე წინადადების ავტორის განმარტებით, ის პრაქტიკული საქმიანობაა, რომელსაც იკვლევს დოკუმენტთმცოდნეობა[66]. მისი მოვალეობაა ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობისათვის აუცილებელ დოკუმენტთა უნიფიცირებული ფორმების გამოვლენა-შესწავლა, რაც გულისხმობს მათ რეგისტრაციას, აღრიცხვას, შენახვასა და მოძებნას ნათი მოქმედების პერიოდში, დავალებათა შესრულების კონტროლს და ა. შ. „დოკუმენტირება" კი იგივე საქმისწარმოების ის ნაწილია, რომელიც დაკავშირებულია დოკუმენტის შექმნის პროცესთან[67]. ამავე დროს გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაუშვებელია ცნებების — „საქმისწარმოება", „დოკუმენტირება", „დოკუმენტთმცოდნეობა" — ერთმანეთში არევა[68].

---

64 А. Н. Сокова. Современные исследования в области документоведения. — СА, 1978, № 4, с. 42; А. С. Красавин. ЕГСД и вопросы советского документоведения. — СА, 1985, № 2, с. 32.

65 К. Г. Митяев, Е. К. Митяева. Административная документация (делопроизводство) в советских учреждениях. Ташкент, 1968.

66 А. Н. Сокова. Современные исследования в области документоведения, с. 45; Г. Г. Воробьев. Документалистика и ее отношение к сопредельным научным дисциплинам. — СА, 1973, № 3, с. 10—17.

67 Я. З. Лившиц. Документоведение как научная дисциплина. — СА, 1973, № 6, с. 18.

68 იქვე; დოკუმენტთმცოდნეობის დარგში ტერმინოლოგიის მოწესრიგების საკითხებზე მიუთითებდნენ ი. ლივშიცი და დ. სოლსკი (Я. З. Лившиц, Д. И. Сольский. Некоторые вопросы терминологии в области документоведения.—СА, 1969, № 1).

დოკუმენტმცოდნეობის მომიჯნავეა სხვა ახალი დისციპლინები — დოკუმენტალისტიკა, ინფორმატიკა[69]. თითოეული მათგანი ჩამოყალიბების პროცესშია. ზუსტდება მათი ამოცანები, იკვეთება მიჯნები. აქ ჯერ კიდევ არ არის გადალახული ტერმინოლოგიური უთანხმოება, რაც ართულებს მათ შესახებ მსჯელობას[70]. აღნიშნული დისციპლინები რთული შედგენილობისაა, რაზედაც ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მათ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ემსახურებიან — კიბერნეტიკოსები, ბიბლიოთეკის მუშაკები, არქივისტები, მუზეუმთმცოდნეები, ორგტექნიკოსები, ორგდამპროექტებლები და სხვ. დოკუმენტალისტიკამ და ინფორმატიკამ განვითარების გარკვეული გზა განვლეს. თითოეული მათგანი თანდათან იცვლიდა სტატუსს, ამოცანებსა და მიზნებს. მთელი რიგი საკითხებისა ანუამადაც იწვევს კამათს მეცნიერთა შორის, მათ შეხების წერტილები აქვთ წყაროთმცოდნეობასთან და ნაწილობრივ იმავე ამოცანების გადაწყვეტას ემსახურებიან. ამდენად, მათ წარმატებებზე გარკვეულწილად დამოკიდებულია წყაროთმცოდნეობის პროგრესიც.

ტერმინი ინფორმატიკა საბჭოურ მეცნიერებაში შემოვიდა 1966 წ. მას განმარტავენ როგორც დისციპლინას, რომელიც სწავლობს სამეცნიერო ინფორმაციის სტრუქტურას და საერთო თვისებებს, აგრეთვე იკვლევს სამეცნიერო კომუნიკაციის ყველა პროცესის კანონზომიერებებს[71].

მიუხედავად ისა, რომ ინფორმატიკა საზოგადოებათმცოდნეობითი დისციპლინაა, ვინაიდან იკვლევს ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელ პროცესებს, ის ძალიან ახლოს დგას ტექნიკურ დარგებთან და წარმოიქმნა დოკუმენტალისტიკის, ლინგვისტიკის, უმაღლესი მათემატიკისა და ტექნიკის შესაყარზე. ამის გამო მას ზოგჯერ განმარტავენ როგორც კომპლექსურ მეცნიერებას[72]. თუმცა უფრო მისაღები ჩანს პირველი შეხედულება[73]. არსებობს ტენდენცია, რომ ინფორმატიკა ჩაითვალოს მხოლოდ სამეცნიერო ინფორ-

---

69 უ. სიდამონიძე. ისტორიული მეცნიერება და საშეცნიერო ინფორმაციის საკითხები. თბ., 1978; Введение в информатику. М., 1982.

70 Г. Г. Воробьев. Документалистика и ее отношение к сопредельным научным дисциплинам. с. 10; Основные проблемы информатики и библиотечно-библиографическая работа. Л., 1976, с. 10—24.

71 А. И. Михайлов, А. И. Черный, Р. С. Гиляревский. Информатика—новое название теории научной информации. — НТИ, 1966, № 12; они же. Научные коммуникации и информатика. М., 1976, с. 394.

72 А. И. Поздняков Информатика как комплексная научно-техническая дисциплина. — ВФ, 1986, № 5; Ю. М. Каныгин, В. И. Гриценко. Предмет информатики. — В кн.: Информатика и ее приложение. Киев. 1985, с. 6

73 В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод, с. 64.

მაციის თეორიად, პრაქტიკის გარეშე[74]. ნაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრებასაც ყველა როდი იზიარებს[75].

ინფორმატიკის წარმოშობამ თავდაპირველად გამოიწვია ერთგვარი პესიმისტური პროგნოზები ძველი მეთოდებისა და შესაბამისი დისციპლინების ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ პრაქტიკამ ისინი არ დაადასტურა. ამჟამად ახალი კიბერნეტიკული სისტემები და ტრადიციული მეთოდები და დისციპლინები — ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ბიბლიოგრაფია, წიგნთმცოდნეობა და სხვ. — წარმატებით თანაარსებობენ. გამოირკვა, რომ ინფორმატიკა არ ასრულებს მათ მიმართ „მაღალ დონეზე განმაზოგადებელი დისციპლინის როლს"[76].

გარკვეული არ არის საკითხი ინფორმატიკისა და დოკუმენტალისტიკის ურთიერთმიმართების შესახებ. თუ ერთ შემთხვევაში ისინი გაგებული არიან სინონიმებად[77], სხვაგან ნათქვამია, რომ ეს ორი დისციპლინა ერთმანეთს ავსებს[78]. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ დოკუმენტალისტიკა ინფორმაციის ნაწილია[79].

თავის მხრივ, დოკუმენტალისტიკა განიხილება როგორც კიბერნეტიკის დამოუკიდებელი მიმართულება[80], მისი გამოყენებითი სფერო[81], რომელიც ჩვენს ქვეყანაში 50-იან წლებში იღებს სათავეს. იგი შეისწავლის დოკუმენტებს, როგორც ცალკეულ ძეგლებს, ასევე მთელ მასივებს და მათი ორგანიზაციის თავისებურებებს.

ჩვენ არსებითად უკვე გადავედით წყაროთმცოდნეობითი კვლევის პროცესის დახასიათებაზე, რომელიც, როგორც ითქვა, ისტორიული ძეგლების გამოვლენით იწყება. იმის გამო, რომ ინფორმაციის წყა-

---

74 Г. С. Жданова, Е. С. Колобродова, В. А. Полушкин, А. И. Черный. Словарь терминов по информатике на русском и английском языках. М., 1971, с. 21; А. М. Михайлов, В. А. Полушкин. Теория научной информации — новая самостоятельная научная дисциплина. — НТИ, 1963, № 3, с. 3.

75 В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод, с. 62.

76 А. И. Михайлов, А. И. Черный, Р. С. Гиляревский. Научные коммуникации и информатика, с. 23; А. И. Михайлов. Основные направления развития научно-технической информации в СССР. — Теория и практика НТИ. Материалы семинара. М., 1980, с. 9.

77 М. А. Брискман. Библиография и документалистика (информатика). — НТИ, сер. 2.. 1968, № 1, с. 5.

78 Э. П. Семенюк. Информационный подход к познанию в современной науке и информатика. — НТИ, сер. 2, 1977, № 5, с. 8.

79 В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод, с. 64.

80 Г. Г. Воробьев. Документалистика и научная информатика. — В кн.: Информатика и ее проблемы. Новосибирск, 1970, вып. 1, с. 24.

81 Г. Г. Воробьев, А. Ю. Канцлерис. К определению понятия «документ». — СА, 1972, № 2, с. 68.

როთა გამოვლენას ამჟამად ინფორმატიკაც ემსახურება, მკვლევართა ნაწილმა, როგორც დავინახეთ, სცადა ნაწილობრივ[82] ან მთლიანად[83] ჩამოეშორებინა ეს ამოცანა წყაროთმცოდნეობისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმატიკა შეისწავლის სამეცნიერო ინფორმაციის ზოგად კანონზომიერებებს, მის თეორიას, და არ მოიცავს ინფორმაციის გამოვლენის ყველა მხარეს. ამავე დროს, ხაზგასმულია ისიც, რომ ამ თვალსაზრისით, წყაროთმცოდნეობას თავისი სპეციფიკა, თავისი საკუთარი ამოცანა აქვს, რასაც ინფორმატიკა ვერ შეასრულებს. ამდენად, წყაროთმცოდნეობითი კვლევის სტრუქტურაში, ჩვენი აზრით, პირველ ეტაპად კვლავ წყაროთა გამოვლენა რჩება. რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ კვლევის ყველა ეტაპი რომელიმე ერთი პირის საქმიანობას უკავშირდებოდეს. ზოგიერთ შემთხვევაში ძეგლის მომპოვებელი შესაძლებელია არც კი იყოს ისტორიკოსი. მაგრამ წყაროს გამოვლენით მისი წყაროთმცოდნეობითი შესწავლა თუნდაც სტიქიურად, მაგრამ ფაქტობრივად მაინც უკვე დაწყებულია. თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ მას მომდევნო ეტაპები მაშინვე არც ნოჰყვეს.

წყაროთა გამოვლენისა და მოპოვების ეტაპზე წყაროთმცოდნეობას სამსახურს უწევენ მეცნიერების სხვადასხვა დარგები და დისციპლინები — ბიბლიოგრაფია, ევრისტიკა, არქივთმცოდნეობა, ბიბლიოთეკათმცოდნეობა, მუზეუმთმცოდნეობა.

ბიბლიოგრაფია, რომლის მიზანია ნაბეჭდ და ხელნაწერ ნაწარმოებთა აღრიცხვა და პროპაგანდა, საყოველთაო დამხმარე დისციპლინად იყო მიჩნეული[84]. დასახელებული დისციპლინის სიახლოვეზე წყაროთმცოდნეობასთან ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ევროპულ მეცნიერებაში ცოდნის ეს დარგი აღინიშნებოდა ტერმინით ევრისტიკა, რომლის ამოცანა გერმანელ მკვლევარს ე. ბერნჰაიმს ესმოდა, როგორც ყოველგვარი ისტორიული წყაროს გამოვლენა და აღრიცხვა. ნოგვიანებით სწორედ ევრისტიკა შეცვალა ტერმინმა Quellenkunde.

თავის მხრივ, თვით ბიბლიოგრაფიაში შეიმჩნევა დიფერენციაცია სხვადასხვა მიმართულების მიხედვით. გვხვდება გამოთქმები — „ბიბლიოგრაფიული წყაროთმცოდნეობა", „ბიბლიოგრაფიული ევრისტიკა", „ბიბლიოგრაფიული ძიება", რომელთა მთლიანად გაიგივება, მკვლევართა აზრით, არ არის გაჭართლებული. ამათგან ბიბლიოგრაფიულ ევრისტიკას მიიჩნევენ ბიბლიოგრაფიის თეორიულ დისციპ-

---

82 В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод. с. 63.

83 А. П. Григорьев. Содержание термина «источниковедение». — Историография и источниковедение истории стран Азии и Африки. IX. Л., 1986. с. 87.

84 П. Н. Берков. Библиографическая эвристика. М., 1960.

ლინად, რომელიც შეიმუშავებს ბიბლიოგრაფიულ წყაროთმცოდნეობაში დაგროვილი ფაქტების გამოყენების თეორიას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ბიბლიოგრაფიული წყაროთმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიული ევრისტიკის განუყრელი კავშირი.

წყაროთა გამოვლენის ეტაპს წყაროთმცოდნეობაში ევრისტიკასაც უწოდებენ, თუმცა თვით ევრისტიკის (ბერძ. heureka — ვეძიებ, ვპოულობ) მნიშვნელობა ბევრად უფრო ფართოა. ის განიხილება როგორც მეცნიერება ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის კანონზომიერებათა შესახებ[85]. მისი მეთოდიკა დამყარებულია ორი ფუნქციური ნაბასიათებლის — სწორი გადაწყვეტილების გამონახვისა და ვარიანტების შემცირების — საფუძველზე[86]. ტერმინის ასეთი ფართო მნიშვნელობის გამო, მას ხშირ შემთხვევაში აზუსტებენ შემდეგნაირად: „ბიბლიოგრაფიული ევრისტიკა", „წყაროთმცოდნეობითი ევრისტიკა", „საარქივო ევრისტიკა"[87].

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად საბჭოურ ისტორიოგრაფიაში წყაროთმცოდნეობითი ევრისტიკა განიხილებული იყო როგორც გარკვეული ისტორიული თემისათვის წყაროთა გამოვლენა[88]. ასეთი მიდგომა აპრიორულად ზღუდავდა თვითონ წყაროთმცოდნეობის ფარგლებს და გულისხმობდა მას ისტორიის დამხმარე დისციპლინად, რაც ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონისათვის სრულიად მიუღებელია.

ამჟამად წყაროთმცოდნეობით კვლევაში წყაროთა გამოვლენის ორგანიზაციის ამოცანების ფართოდ გაგება საკმაოდ ასახავს აღნიშნული საქმიანობის მნიშვნელობას და მდგომარეობას[89].

---

[85] В. Н. Пушкин. Эвристика — наука о творческом мышлении. М., 1967, с. 3.

[86] О. А. Скотникова. Значение социально-психологических аспектов информационного обеспечения на некоторых этапах научного исследования.— В кн.: Информационные потребности. Изучение и удовлетворение. Л., 1982, с. 80.

[87] П. Н. Берков. Библиографическая эвристика; В. В. Фарсобин. Некоторые вопросы источниковедческой эвристики. — В кн.: Доклады и сообщения научной конференции архивных учреждений и вузов Сибири и Дальнего Востока. Томск, 1968; он же. Опыт изучения приемов источниковедческой эвристики в трудах В. И. Ленина. — В кн.: История и историки. Историографический ежегодник, 1970. М., 1972; он же. Источниковедение и его метод, с. 51; Л. Е. Шепелев. Проблемы архивной эвристики. — В кн.: Некоторые вопросы изучения документов XIX— нач. XX в. Л., 1967, с. 5—26.

[88] И. А. Булыгин, Л. Н. Пушкарев. Источниковедение, с. 594.

[89] Н. И. Ходаковский. Организация поисков источников и литературы в источниковедческом исследовании. М., 1976.

ყურადღებას იქცევს საარქივო ევრისტიკის საკითხი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს დამხმარე ისტორიული დისციპლინაა (ან სუბდისციპლინა)[90]. იმათ, ვინც იზიარებს ამ შეხედულებას, მიაჩნიათ, რომ წყაროთა ძიების და გამოვლენის თეორია არქივთმცოდნეობის, არქეოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის მჭიდრო კავშირში უნდა დამუშავდეს[91]. აღსანიშნავია, რომ ლ. შეპელევი ამასთანავე, საარქივო ევრისტიკას განიხილავს როგორც წყაროთმცოდნეობის ნაწილს.

არქივთმცოდნეობა, რომელიც ადრე ხან არქეოლოგიის, ხან ბიბლიოგრაფიის ნაწილად ითვლებოდა, ამჟამად საარქივო საქმის შემადგენლობაში შედის. საარქივო საქმის თეორია და პრაქტიკა კი განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება საბჭოურ ხანაში[92]. იმ სამი პერიოდიდან, მის განვითარებაში რომ გამოყოფენ, ბოლო პერიოდი (50-იანის შუა წლებიდან დღემდე) გამოირჩევა თეორიული და მეთოდური საკითხებისადმი[93] ინტერესის გაძლიერებით. თუ საარქივო საქმე განიხილება როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო, რომელიც მოიცავს არქივში დოკუმენტების ორგანიზაციას და საარქივო მომსახურებას, არქივთმცოდნეობა ითვლება სამეცნიერო დისციპლინად, რომელიც შეიმუშავებს საარქივო საქმის თეორიას, სამართლებრივ და მეთოდურ საკითხებს[94].

გარკვეულ პერიოდში არქივთმცოდნეობას არქეოგრაფიას უწოდებდნენ. მის საგნად მიჩნეული იყო საარქივო მასალების დაკომპლექტების, სისტემატიზაციის, შენახვის და აღწერის თეორიული ნორმები და მუშაობის პრინციპები. მისგან განასხვავებენ წყაროთმცოდნეობას, რომელსაც დოკუმენტთა კრიტიკის, ე. ი. ნამდვილობის და სანდოობის დადგენის გარდა, ეხება მათ გამოსაცემად მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება[95].

---

90 Л. Е. Шепелев. Проблемы архивной эвристики, с. 7. მ. სელეზნიოვი უარყოფდა ასეთი დისციპლინის არსებობას (М. С. Селезнев. Теория и методика советской археографии. М., 1974, с. 22).

91 С. О. Шмидт. Археография, архивоведение и специальные исторические дисциплины. — В кн.: Развитие советской исторической науки. 1970—1974 гг. М., 1975, с. 340; В. Н. Автократов. О некоторых проблемах архивоведения. — СА, 1976, № 6, с. 21.

92 მ. ჩხეტია. არქივთმცოდნეობის შესავალი. — საქართველოს არქივი, წ. 2. ტფ., 1927, წინათქმა.

93 К. И. Рудельсон. Назревшие вопросы теории и практики архивного дела. — ВИ, 1965, № 12, с. 11.

94 О. М. Медушевская. Источниковедение социалистических стран. М., 1985, с. 15.

95 Н. Ф. Бельчиков. Теория археографии. М.-Л., 1929, с. 11; В. Н.

არქეოგრაფია დიდხანს მიჩნეული იყო არქივთმცოდნეობის ნაწილად, ან არქივთმცოდნეობის დამოუკიდებელ დისციპლინად[96]. თავის მხრივ არქივთმცოდნეობა განიხილებოდა როგორც დამხმარე ისტორიული დისციპლინა. შემდგომში აღინიშნა, რომ ის გამოეყო დამხმარე დისციპლინათა ჯგუფს, ისევე როგორც არქეოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია[97]. მიუხედავად იმისა, რომ განვითარების გარკვეულ ეტაპზე არქივთმცოდნეობას ჩამოაშორეს ატრიბუტები — „დამხმარე" და „ისტორიული"[98], მეცნიერთა ნაწილი მას კვლავ ისტორიულ დარგად მიიჩნევს[99]. ზოგიერთები არქივთმცოდნეობას თვლიან გამოყენებით ისტორიულ დისციპლინად[100] ან კომპლექსურ სპეციალურ დისციპლინად[101], იმის გამო, რომ საარქივო საქმეში ისტორიკოსების გარდა თანამშრომლობენ სხვა დარგების წარმომადგენლები — იურისტები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ბიოლოგები და სხვები.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირია მსჯელობა არქივთმცოდნეობისა და წყაროთმცოდნეობის ურთიერთმიმართების საკითხებზე. ეს არ არის შემთხვევითი, ვინაიდან არქივთმცოდნეობის პრობლემები დიდ სიახლოვეს იჩენს წყაროთმცოდნეობასთან[102].

Автократов. Из истории советского архивоведения конца 1920-х годов («Теория археографии» Н. Ф. Бельчикова). — СА. 1982, № 2, с. 20—29.

96 К. Г. Митяев. Теория и практика архивного дела. М., 1946. შ. ჩხეტიას აზრით, საარქივო საქმის ის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს არქივების მოწყობის პრინციპების შემუშავებას, არქივთმცოდნეობაა, ხოლო მეორე ნაწილი, რომლის ამოცანაა საარქივო მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა — არქეოგრაფიაა (შ. ჩ ხ ე ტ ი ა. არქივთმცოდნეობის შესავალი, გვ. 22).

97 А. А. Зимин. Вспомогательные исторические дисциплины и их роль в работе историков-архивистов, с. 125.

98 Краткий словарь архивной терминологии. М.—Л., 1968, с. 13.

99 В. Н. Автократов. О некоторых проблемах архивоведения, с. 15.

100 ვ. ავტოკრატოვის აზრით, არქივთმცოდნეობა ისტორიული დისციპლინაა თავისი მეთოდოლოგიური ბუნებით, დოკუმენტური თავისი ობიექტით და საინფორმაციო თავისი ამოცანებით (В. Н. Автократов. Общая теория архивоведения.—ВИ, 1973, № 8, с. 59; он же. Архивоведение в кругу других областей знания.—СА, 1973, № 2, с. 40; он же. О некоторых проблемах архивоведения, с. 11).

101 О. М. Медушевская. Источниковедение социалистических стран, с. 15.

102 სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წყაროთმცოდნეობაში, საარქივო საქმესა და არქივთმცოდნეობაში ინტეგრაციულ პროცესებსაც აქვს ადგილი (О. М. Медушевская. Теоретические проблемы в современном источниковедении.—В кн.: Теория и методика источниковедения и вспомогатель-

ყურადღება ექცევა ამ ორ დარგს შორის არსებულ სხვაობასაც.

წყაროთმცოდნეობის მსგავსად, საკუთრივ ისტორიისაგან განსხვავებით, არქივთმცოდნეობასაც აქვს თავის შესაბამისი ობიექტზე უშუალო დაკვირვების შესაძლებლობა[103]. ისევე, როგორც წყაროთმცოდნეობაში, არქივთმცოდნეობაში ერთ-ერთი ძირითადია ისტორიზმის პრინციპი, რომელიც დოკუმენტზე მუშაობის ყველა ეტაპზე მოქმედებს[104].

ევრისტიკის გარდა, წყაროთმცოდნეობასა და არქივთმცოდნეობას შორის საზიაროა დოკუმენტთა ექსპერტიზის სტადიაც, ნათი დაკომპლექტება, აღრიცხვა[105]. სამეცნიერო ლიტერატურაში დოკუმენტთა ექსპერტიზა წყაროთმცოდნეობის თეორიის ნაწილად არის მიჩნეული[106], ხოლო ამავე საქმიანობას არქივისტები თავის მუშაობაში „საარქივო წყაროთმცოდნეობას" უწოდებენ[107]. ამავე დროს ყურადღება ექცევა საარქივო წყაროთმცოდნეობის შემდგომ დიფერენციაციას. გამოყოფენ ნაწილებს, რომლებიც სწავლობენ წყაროთა ბაზის ფორმირების, დოკუმენტთა სამეცნიერო ღირებულების დადგენის და სხვა საკითხებს.

არქივთმცოდნეობის, ისევე როგორც ნათლიანად წყაროთმცოდნეობის, მნიშვნელოვანი პრობლემაა წყაროთა კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია.

ных исторических дисциплин. М., 1985, с. 21; она же. Новая советская литература по источниковедению, с. 146). ამავე დროს მეცნიერები ხაზს უსვამენ არქივთმცოდნეობის სიახლოვეს არქეოგრაფიასთან, ინფორმაციასთან, დოკუმენტთმცოდნეობასთან (К. И. Рудельсон, Н. М. Шепукова, Б. С. Илизаров. О перспективных направлениях архивоведения. — СА, 1978, № 4, с. 32—42; Вопросы архивоведения и источниковедения в БССР. Минск, 1971). აღსანიშნავია, რომ მ. პოლიევქტოვმა წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელოში ცალკე თავები დაუთმო არქივთმცოდნეობის, არქეოგრაფიისა და პალეოგრაფიის დახასიათებას (მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი. სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობა. თბ., 1937, გვ. 24—47).

[103] В. Н. Автократов. Архивоведение: Методологическая характеристика и типология исследования. — ИССР, 1972, № 4, с. 41.

[104] К. Г. Митяев. О месте, границах и основаниях классификации в советском архивоведении. — ТМГИАИ, т. 15. М., 1962, с. 183.

[105] С. И. Кузьмин, С. И. Водкин. Теория и практика архивного дела. 2-е изд. М., 1980.

[105] Предисловие в кн.: ИОИ, вып. I. М., 1973, с. 6; О. М. Медушевская. Теоретические проблемы источниковедения. Автореферат докт. диссерт. М., 1975, с. 8.

[107] В. Н. Автократов, А. В. Елпатьевский. Проблемы комплектования государственных архивов современными документами. — ИОИ, 1975. М., 1976, с. 5.

წყაროთმცოდნეობასა და არქივთმცოდნეობას აახლოვებს დოკუმენტთა საინფორმაციო შესაძლებლობათა გამოვლენა[108]. მაგრამ წყაროთმცოდნეობისაგან განსხვავებით, რომლის შესწავლის ობიექტია ყველანაირი წყარო, როგორც ნატყუარი, ასევე ნამდვილი, როგორც სანდო, ასევე არასანდო, არქივთმცოდნეობის საკვლევი არეალი შეზღუდულია. ის მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ მოიცვას ყველა წერილობითი ძეგლი, ამიტომ მუდმივად არჩევანის წინაშე დგას, რაც განსაკუთრებით აქტუალურს ხდის ამ დარგში წყაროს რეპრეზენტატულობის პრობლემას[109].

წყაროთმცოდნეობისაგან განსხვავებით, რომლის ობიექტია ისტორიული წყარო, არქივთმცოდნეობის ძირითადი საკვლევია „დოკუმენტი".

როგორც ვხედავთ, განსხვავება წყაროთმცოდნეობასა და არქივთმცოდნეობას შორის, განხილული ნიშნების მიხედვით, არის სხვაობა მთელსა და ნაწილს შორის. არქივთმცოდნეობის განვითარება ქმნის პირობას წყაროთა უფრო ღრმად შესასწავლად. მაგალითად, არქივისტებმა წამოაყენეს წინადადება ახალი დისციპლინის „დოკუმენტომეტრიის" შექმნის შესახებ[110], რომელიც შეიმუშავებს წყაროთა (დოკუმენტების) ინფორმაციის გაზომვის ხერხებს.

გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეების ხელნაწერთა არქივისტიკა, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი კოდიკოლოგიის ფარგლებში გამოყოფს, შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე როგორც არქივთმცოდნეობის ნაწილიც[111]. მაგრამ წმინდა წყაროთმცოდნეობითი პრობლემების გარდა, არქივთმცოდნეობის კომპეტენციაში შედის მასალის დაცვის უზრუნველყოფის სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხები.

---

108 О. М. Медушевская. Новая советская литература по источниковедению, с. 147—148.

109 В. Н. Автократов. Архивоведение в кругу других областей знания, с. 45.

110 Б. С. Илизаров. Теоретические проблемы измерения и их интерпретация в источниковедении и архивоведении (основание источникометрии и документометрии). — В кн.: Методологические вопросы документоведения и архивоведения, вып. 2; он же. Моделирование процессов автоэкспертизы письменных источников методами документометрии. — В кн.: Математические методы в историко-экономических и историко-культурных исследованиях (დამოწმებულია ნაშრომში: К. И. Рудельсон, Н. М. Шепукова, Б. С. Илизаров. О перспективных направлениях архивоведения, с. 38).

111 В. Н. Автократов. Архивоведение в кругу других областей знания, с. 50.

წყაროთმცოდნეობასთან ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ანალოგიური ვითარებაა მუზეუმთმცოდნეობისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის შემთხვევაშიც. ეს დისციპლინები არქივთმცოდნეობასთან ჭიდრო კავშირში ვითარდებიან[112].

როგორც ცნობილია, არქივისტის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წერილობით წყაროთა გამოსაცემად მომზადებას, რის გამო არქივისტებს ამავე დროს არქეოგრაფების სამუშაოს შესრულებაც უხდებათ. ამის გამო ამ ორ დარგს შორის არის საზიარო სფეროებიც, მუდამ მკაფიო არ არის მიჯნები.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების პროცესი ძირითადად წერილობით წყაროებში აისახება. სამეცნიერო მიმოქცევაში წერილობით ძეგლთა ტექსტების შემოსატანად საჭიროა მათი გამოცემა, რაშაც მოითხოვა სპეციალური დისციპლინის — არქეოგრაფიის — შექმნა. არქეოგრაფიის ისტორია წერილობით წყაროთა გამოცემის ისტორიაა. მაგრამ დროთა განმავლობაში იცვლებოდა როგორც ტერმინის მნიშვნელობა, ასევე თვით დისციპლინის ამოცანები და ობიექტი.

ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა — სიძველეთა გადაწერა — შესაბამისი საქმიანობის შინაარსის ადეკვატური იყო. XVII ს-დან ტერმინის მნიშვნელობა გაფართოვდა, სიძველეთმცოდნეობის შინაარსი შეიძინა და ისტორიულ წყაროთა ყველა ტიპზე გავრცელდა. პარალელურად სიძველეთა ცოდნის აღსანიშნავად გამოიყენებოდა „არქეოლოგიაც", რომელმაც შემდგომში განდევნა ტერმინი არქეოგრაფია[113].

რუსეთში წარწერების მნიშვნელობით შემოსული არქეოგრაფია (ტერმინი პირველად გამოიყენა XIX ს-ის I მეოთხედში კ. პოლევნოვ[114]) შემდგომში გაგებულ იქნა როგორც მეცნიერება, რომელსაც ევალება წერილობითი ძეგლების მოპოვება და აღწერა. სხვადასხვა დროს მას აკუთვნებდნენ წერილობით ძეგლთა გამოვლენის, აღწერისა და გამოცემის ფუნქციას[115], ხან კი მხოლოდ გამოცემას, ანდა გა-

---

[112] Н. Ф. Болотник. За тесную связь музеев с архивами. — ВА, 1960, № 6, с. 11—12; М. Т. Бельевский, И. Д. Ковальченко. О некоторых вопросах профессиональной подготовки историков. — СА, 1969, № 5; О. М. Медушевская. Источниковедение социалистических стран. М., 1985, с. 15—18.

[113] С. Н. Валк. Судьбы археографии. — АЕ за 1961 г. М., 1962, с. 453—466.

[114] М. С. Селезнев. Предмет и вопросы методологии советской археографии. М., 1959, с. 7.

[115] ასე განსაზღვრა არქეოგრაფიის ამოცანები 1823 წ. ბ. სტროევმა (М. С. Селезнев. Предмет и вопросы методологии советской археографии, с. 7; Хрестоматия по археографии. М., 1966, с. 145).

მოცემის წესების შემუშავებას. გაჩნდა ტერმინი „არქეოგრაფიული პრაქტიკა“, რომელიც ძირითადად წყაროთა გაკოცემას გულისხმობს. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე „საედიციო არქეოგრაფია“. ხანგრძლივი ისტორია აქვს გამოთქმას „საველე არქეოგრაფია“[116], რაც ნიშნავს არქეოგრაფიული ექსპედიციების გზით მასალის მოპოვებას. ამავე დროს, იგულისხმება არა მხოლოდ წერილობითი ძეგლები, არამედ მათთან კავშირში ზეპირი, ენობრივი და ა. შ.[117], იმისათვის, რომ მოპოვებული წერილობითი ძეგლი შესწავლილ იქნეს კონკრეტულ კონტექსტში. არქეოგრაფიული კვლევის პროცესს ასახავენ აგრეთვე ტერმინები „კამერალური აღწერა“ ან „კამერალური არქეოგრაფია“, „სტრატიგრაფიული გარემო“ ან „არქეოგრაფიული სტრატიგრაფია“[118].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეულ პერიოდში არქეოგრაფია არქივთმცოდნეობის შემადგენელ ნაწილად იყო მიჩნეული[119] და, შესაბამისად, ნოსკოვის ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტში მისი სწავლება არქივთმცოდნეობის კათედრას ევალებოდა. 50-იანი წლების დასასრულს არქეოგრაფიის დამოუკიდებელი კათედრის შექმნა აღნიშნული დარგის სტატუსის შეცვლას მოწმობს[120].

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ნ. ბელჩიკოვი არქივთმცოდნეობას აღნიშნავდა ტერმინით არქეოგრაფია, და ფიქრობდა, რომ მის ამოცანას არ შეადგენდა წერილობით წყაროთა გამოცემა. მის წიგნზე გამოქვეყნებული გამოხმაურებებიდან ნათელი გახდა, რომ ამ აზრს ყველა არ იზიარებდა. ოპონენტთა შეხედულებით, არქეოგრაფია იკვლევს წერილობით წყაროთა გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებს[121], მის

---

[116] С. О. Шмидт. Некоторые вопросы истории и методики археографии и архивоведения. — В кн.: Актуальные проблемы архивоведения и источниковедения марксизма-ленинизма и истории КПСС. М., 1979, с. 186.

[117] И. В. Поздняева. Комплексные археографические экспедиции. Методика, принципы организации. — ИССР, 1978, № 2, с. 104—113; В. М. Хевролина. К вопросу о термине «археография». — СА, 1978, № 2, с. 55; А. А. Куриносов, В. А. Черных. Первая всесоюзная конференция по полевой археографии. — ВИ, 1977, № 4, с. 142.

[118] С. О. Шмидт. Некоторые вопросы развития советской археографии.— АЕ за 1978 г. М., 1979, с. 133, 136; он же. Некоторые итоги и перспективы развития археографии отечественной истории. — В кн.: Археография и источниковедение. Сыктывкар, 1977, с. 19.

[119] С. В. Рождественский. Историк—археограф—архивист. — АД, 1923, № 1, с. 5; ზ. ჩხეტია. არქივთმცოდნეობის შესავალი, გვ. 124—173.

[120] Д. М. Эпштейн. К истории преподавания археографии в Московском историко-архивном институте. — АЕ за 1971 г. М., 1972, с. 219—225.

[121] С. Богоявленский, И. Третьяков. Бельчиков Н. Ф. Теория археографии (рецензии). — АД, 1929, № 3, с. 70—74.

ამოცანას შეადგენს წყაროთა აღწერა, მიმოხილვა, გამოსაცემად მომზადება[122], აგრეთვე გამოცემის მეთოდოლოგიის და ტექნიკის საკითხების დამუშავება და საარქივო პირველწყაროების გამოცემა[123].

70-იანი წლების დასასრულს არქეოგრაფიის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიაში გამოიკვეთა საკამათო საკითხები[124]: შეიძლება თუ არა საუბარი არქეოგრაფიაზე როგორც სამეცნიერო ცოდნის სფეროზე, დამხმარე თუ სპეციალური დისციპლინაა არქეოგრაფია, ისტორიული თუ ფილოლოგიური, შეადგენს თუ არა მის ფუნქციას წყაროთა მოპოვება და აღწერა, წყაროთა გამოცემის პრაქტიკა, მისი ისტორიის შესწავლა?

არქეოგრაფიამ განვითარების იგივე საფეხურები განვლო, რაც სხვა სპეციალურმა დისციპლინებმა. დიდხანს ის განიხილებოდა როგორც დამხმარე ისტორიული დისციპლინა[125]. განვითარების შედეგად არქეოგრაფია გადაიქცა სპეციალურ ისტორიულ დარგად[126], რომელსაც ზოგჯერ გამოყენებითსაც უწოდებენ[127].

ჯერაც აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი არქეოგრაფიის საგნისა და ამოცანების საკითხში. მაგალითად, ყველა არ აკუთვნებს არქეოგრაფიას წყაროთა მოპოვების ფუნქციას[128]. ერთიანი აზრი არ არსებობს წყაროთა გამოცემასთან არქეოგრაფიის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ არქეოგრაფიის სფეროა წყაროთა პუბლიკაციის პრაქტიკაც და რომ

---

122 В. О. Романовский. Бельчиков Н. Ф. «Теория археографии» (рецензия). — Архивна справа, 1930, кн. 3, с. 134—138; შ. ჩხეტია. რეცენზია ნ. ბელჩიკოვის ნაშრომზე.—საარქივო საქმე. თბ., 1930, წ. 2—3, გვ. 285—299.

123 А. А. Сергеев. Методология и техника публикации документов. — АД, 1932, вып. I—II (30—31), с. 45; А. А. Попов. К вопросу о наших публикациях исторических документов. — АД, 1935, № 3 (36).

124 Современные проблемы советской археографии (К итогам дискуссии в журнале СА). — СА, 1979, № 6, с. 5—9.

125 М. С. Селезнев. Предмет и вопросы методологии советской археографии, с. 21; И. А. Булыгин. Археография. — СИЭ, т. 1, с. 810; Л. Н. Пушкарев. О предмете, методе и задачах археографии. — СА, 1976, № 1, с. 77.

126 С. О. Шмидт. Некоторые вопросы развития советской археографии, с. 139; В. А. Черных. О предмете археографии и ее месте в кругу смежных научных дисциплин. — СА, 1976, № 6, с. 50.

127 С. О. Шмидт. Некоторые итоги и перспективы развития археографии отечественной истории, с. 20.

128 М. С. Селезнев. Предмет и вопросы методологии советской археографии, с. 21; И. А. Булыгин. Археография; М. Н. Тихомиров. Источниковедение истории СССР. М., 1962, с. 11.

ამაზე მითითება უნდა იყოს შეტანილი მის განსაზღვრებაშიც[129]. არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებაც, რომ ვინაიდან არქეოგრაფია, როგორც ყველა სამეცნიერო დისციპლინა, მოწოდებულია ჩაატაროს კვლევა ახალი ცოდნის მიღების მიზნით, ხოლო წყაროთა გამოცემის პრაქტიკა თავისთავად არ იძლევა ამის საშუალებას, ამდენად ეს უკანასკნელი არ შეიძლება შეადგენდეს განსახილველი სამეცნიერო დარგის ამოცანას[130]. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არქეოგრაფი, რომელიც შეიმუშავებს ტექსტის პუბლიკაციის პრინციპებს და ნეთოდებს, რეალურად ხშირად გამოდის წყაროს გამომცემლის როლში.

კამათს იწვევს თვითონ ტერმინი „არქეოგრაფიაც". თუ მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ტერმინი აღარ შეესაბამება მის დღევანდელ შინაარსს და მის ნაცვლად ცდილობენ შეპოიტანონ გამოთქმები — „წყაროთა გამოცემა", „წყაროთა გამოსაცემად მომზადება"[131], სხვების აზრით, ტერმინის ერთგვარი არქაულობა სრულიადაც არ არის საკმარისი საფუძველი მის უარსაყოფად[132].

ზოგიერთ შემთხვევაში არქეოგრაფიის დეფინიციაში შეაქვთ საკუთარი ისტორიის[133] ან დოკუმენტთა პუბლიკაციის ისტორიის შესწავლაც[134]. მართალია, ასეთ განსაზღვრებას ყველა არ ეთანხმება[135],

---

129 А. И. Гуковский. О некоторых терминах вспомогательных исторических дисциплин. — ВИ, 1965, № 10, с. 65—66; В. Н. Стрельский. Теория и методика источниковедения истории СССР. Киев, 1968, с. 147; О. М. Медушевская, М. А. Пережогин. «Археографический ежегодник». Итоги и перспективы. — ВИ, 1979, № 2, с. 42. ავტორთა აზრით, არქეოგრაფია არის ისტორიულ წყაროთა პუბლიკაციის თეორია და პრაქტიკა, ხოლო უფრო ფართოდ, მეცნიერება, რომელსაც ევალება წერილობით წყაროთა შეგროვება, აღწერა და გამოცემა.

130 О. Ф. Козлов. К вопросу об определении предмета советской археографии. — СА, 1976, № 2, с. 30.

131 С. Н. Валк. Судьбы археографии, с. 465—466; И. А. Булыгин, Г. Е. Рейхберг. О типах, видах и формах публикации документов. — ИА, 1960, № 5.

132 М. С. Селезнев. По поводу термина «археография». — АЕ за 1963 г. М., 1964, с. 216—217.

133 М. С. Селезнев. Предмет и вопросы методологии советской археографии, с. 21.

134 Е. Ф. Шорохов. О некоторых вопросах теории советской археографии. — СА, 1976, № 4, с. 53.

135 М. А. Варшавчик, С. Я. Яковлев, О. В. Моисеев, М. Н. Черноморский. Предмет, метод и задачи археографии (О новом учебном

მაგრამ თავისთავად საკუთარი ისტორიის შესწავლა ალბათ ყოველი მეცნიერების ნოვალეობას შეადგენს.

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც აგრეთვე ექცევა ყურადღება არქეოგრაფიასთან დაკავშირებით, არის მისი ურთიერთობა სხვა დისციპლინებთან, მაგალითად, არქივთმცოდნეობასთან, ტექსტოლოგიასთან, წყაროთმცოდნეობასთან. თუმცა არავინ უარყოფს მათ სიახლოვეს, კავშირი მათ შორის სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ.

არქეოგრაფიასა და არქივთმცოდნეობას შორის ჯერაც სადავოდ ითვლება წყაროთა მოპოვებისა და აღწერის სტადია[136]. მკაცრი მიჯნა არ არის გავლებული არქეოგრაფიასა და ტექსტოლოგიას შორის, როგორც წყაროთა გამოსაცემად მომზადების სტადიაში, ასევე, მაგალითად, წყაროთა გამოცემის ტიპების დადგენის საკითხში.

განსხვავებულად არის შეფასებული არქეოგრაფიის მიმართება წყაროთმცოდნეობასთან. თუ ერთი შეხედულების მიხედვით, არქეოგრაფია, წყაროთმცოდნეობასთან ძალზე მჭიდრო კავშირის მიუხედავად, მაინც ინარჩუნებს მისგან დამოუკიდებლობას[137], მეორე აზრით, იგი განიხილება როგორც წყაროთმცოდნეობის ნაწილი[138].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქეოგრაფია შეიძლება განისაზღვროს როგორც სპეციალური დისციპლინა, რომელიც შეისწავლის წერილობით ძეგლთა მოპოვების, აღწერის და პუბლიკაციის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს. ვინაიდან წყაროთმცოდნეობა თავისი შინაარსით ფარავს ყველა ამ კომპონენტს, ვფიქრობთ, არქეოგრაფია მთლიანად თავსდება წყაროთმცოდნეობის შემადგენლობაში, ის წყაროთმცოდნეობითი ციკლის სპეციალური დისციპლინაა.

როგორც აღინიშნა, არქეოგრაფია განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს ტექსტოლოგიასთან. ტექსტოლოგია ეწოდება დისციპლინას, რომელიც სწავლობს წერილობითი ძეგლების ტექსტებს. თუმცა ტექსტი, როგორც მეტყველების ელემენტთა ერთობლიობა, რომელიც

пособии). — СА. 1975, № 4, с. 97; В. М. Хевролина. К вопросу о термине «археография», с. 53.

136 С. О. Шмидт. Некоторые вопросы развития советской археографии, с. 135.

137 იქვე; Л. Н. Пушкарев. О предмете, методе и задачах археографии. — СА, 1976, № 1, с. 77; М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 92—93; Л. Е. Шепелев. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины, с. 16—20.

138 С. Н. Азбелев. Текстология как вспомогательная историческая дисциплина. — ИССР, 1966, № 4, с. 90. ასევე ფიქრობდა ა. ზიმინიც (В. М. Панеях Вспомогательные исторические дисциплины в научном наследии А. А. Зимина, с. 110).

აფიქსირებს ცნობიერების მუშაობას, შეიძლება ბგერითი ფორმითაც არსებობდეს. მიუხედავად იმისა, ან იქნებ იმის გამო, რომ ტექსტოლოგიური კვლევის ჩატარება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს უხდებათ — ფილოლოგებს, ისტორიკოსებს, წყაროთმცოდნეებს, არქივისტებს, არქეოგრაფებს — ტექსტოლოგიის განმარტებაშიც სხვადასხვაობა შეინიშნება.

ტექსტოლოგიას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი გამოყოფა ბიბლიოგრაფიის შემადგენლობიდან, რომელიც, თავის მხრივ, გაგებული იყო ფართო მნიშვნელობით, როგორც წიგნთმცოდნეობა, მხოლოდ XX ს-ისთვის დასრულდა[139]. თვით ტერმინი „ტექსტოლოგია" პირველად 1923 წელს გამოიყენა ბ. ტომაშევსკიმ.

თუმცა თავდაპირველად ტექსტოლოგია შეიქმნა როგორც ტექსტების გამოსაცემად მოსამზადებელი დისციპლინა, ამჟამად მისი ამოცანები გაფართოვდა და მიმდინარეობს მისი დამოუკიდებელ მეცნიერებად გადაქცევის პროცესი[140]. ზოგიერთ მკვლევარს ტექსტოლოგია არქეოგრაფიის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. ნათი აზრით, გაუმართლებელია მისი ცალკე გამოყოფა, ვინაიდან ის ორგანულად უკავშირდება არქეოგრაფიის სხვა პრობლემებს[141].

კამათია ტექსტოლოგიის საგნის შესახებ. რა უნდა იკვლიოს მან — რომელიმე ერთი ნაწარმოების ტექსტის ისტორია, თუ სხვადასხვა მსგავსი ტექსტების გენეტიკური კავშირები. სპეციალურ ლიტერატურაში ორსავე მოსაზრებას ჰყავს მომხრეები[142].

ყურადღებას იქცევს ტექსტოლოგიის დამოკიდებულება ტექსტების გამოცემასთან. ერთ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ საჭიროა

---

139 Основы текстологии. Под ред. В. С. Нечаевой. М., 1962, с. 8.

140 Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII веков. Изд. 2-е. Л., 1983, с. 28

141 М. С. Селезнев. Текстология и ее роль в советской археографии. М., 1977, с. 3.

142 ს. აზბელევის აზრით, ტექსტოლოგია ადგენს ტექსტებს შორის გენეტიკურ კავშირებს მათი შედარებით-ისტორიული შესწავლის გზით (С. Н. Азбелев. Текстология как вспомогательная историческая дисциплина, с. 91). ამ აზრს იზიარებს ვ. პაშუტო (В. Т. Пашуто. Некоторые общие вопросы летописного источниковедения.—ИОИ, I. М., 1973, с. 70). ვ. ბუგანოვს და ა. ზიმინს ტექსტოლოგიის ამოცანად მიაჩნიათ მსგავსი ტექსტების მქონე წყაროების შეკრება (В. И. Буганов, А. А. Зимин. О некоторых задачах специальных исторических дисциплин, с. 125; В. М. Панеях. Вспомогательные исторические дисциплины в научном наследии А. А. Зимина, с. 115). ამის საწინააღმდეგოდ, დ. ლიხაჩოვი ფიქრობს, რომ ტექსტოლოგია უნდა იკვლევდეს რომელიმე ერთი ნაწარმოების ტექსტს განვითარებაში (Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы, с. 27). ამავე აზრისაა ე. ფარსობინი (В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод, с. 126).

გამოიყოს ტექსტის ისტორია, რომელსაც ტექსტოლოგია შეისწავლის, გამოცემის ტექნიკისაგან[143] და რომ ტექსტების გამოცემა ტექსტოლოგიის ერთ-ერთი პრაქტიკული გამოყენებაა[144]. ამასთანავე არსებობს შეხედულება, რომ ტექსტების გამოცემა ტექსტოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა[145].

მეცნიერთა ნაწილი ტექსტოლოგიას ხელაღებით განიხილავს როგორც ფილოლოგიის დარგს, ფილოლოგიურ დისციპლინას, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა სახის წერილობით ძეგლებს შეისწავლის ის[146]. მეორე შეხედულება ტექსტოლოგიას ისტორიულ დისციპლინად აღიარებს იქიდან გამომდინარე, რომ საბოლოოდ ყოველგვარი ტექსტი შეიძლება ისტორიული წყარო გახდეს, თუმცა ყველა მათგანი არ არის ლიტერატურული ძეგლი[147]. უფრო ნისაღებია ერთგვარი შემრიგებლური აზრი, რომ ტექსტოლოგია ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინაა, ის თანაბრად სჭირდება ისტორიკოსებსაც და ლიტერატურათმცოდნეებსაც[148]. რა თქმა უნდა, ასეთ ტერმინოლოგიურ კამათს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ტექსტოლოგიის როგორც მეცნიერების განსაზღვრის, მისი ამოცანების დადგენისათვის.

ზოგჯერ ტექსტოლოგიაში გამოყოფენ სხვადასხვა განყოფილებებს. მაგ., მხატვრული ლიტერატურის ტექსტოლოგიას, რომელიც ლიტერატურული ძეგლის შესწავლის პრინციპების და მეთოდიკის განმაზოგადებელ ლიტერატურათმცოდნეობით საშეცნიერო დისციპ-

---

143 Д. С. Лихачев. Текстология. Краткий очерк. М.—Л., 1964, с. 7.

144 Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы, с. 27.

145 Е. И. Прохоров. Текстология. М., 1966, с. 10.

146 Д. С. Лихачев. По поводу статьи С. Н. Азбелева «Текстология как вспомогательная историческая дисциплина», с. 231—232; А. Л. Гришунин. Текстология. — Литературный ЭС. М., 1987, с. 436; გ. შარაძე. ტექსტოლოგია. —ქსე, ტ. 9, გვ. 707.

147 С. Н. Азбелев. Текстология как вспомогательная историческая дисциплина, с. 91. ტექსტოლოგიის ს. აზბელევისეული განსაზღვრება ვ. პაშუტოს სხვა განმარტებებს შორის საუკეთესოდ მიაჩნია (В. Т. Пашуто. Некоторые общие вопросы летописного источниковедения, с. 70).

148 უ. სიდამონიძე. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები, გვ. 24—25; რ. კიკნაძე. წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი. — ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, გვ. 43—44; Н. А. Соболева. О тенденциях развития специальных исторических дисциплин, с. 223.

ლინად მიაჩნიათ[149], ან მატიანეების შემსწავლელ ტექსტოლოგიას, რომელიც მიჩნეულია წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთ დარგად[150].

ამჟამად, როდესაც მოხსნილია ყოველგვარი წინააღმდეგობა ისტორიული ძეგლისა და ისტორიული წყაროს ცნებებს შორის, როდესაც გაირკვა, რომ ყოველგვარი ისტორიული ძეგლი, მათ შორის ყველა სახის წერილობითი ძეგლი, ისტორიული წყაროა, როგორც არ უნდა განიმარტოს ტექსტოლოგია, როგორც ცალკეული ძეგლების თუ სხვადასხვა მსგავსი ტექსტის შემსწავლელი დისციპლინა. მისი ამოცანები მთლიანად თავსდება წყაროთმცოდნეობის ფარგლებში. სწორედ ამიტომ, ტექსტოლოგია სამართლიანად ითვლება წყაროთმცოდნეობის სპეციალურ დარგად[151]. ტექსტოლოგია თავისი კვლევის საგნით შედის წყაროთმცოდნეობის შემადგენლობაში და მონაწილეობს მისი ძირითადი ამოცანის შესრულებაში.

XVII—XVIII სს. მიჯნაზე ევროპულ მეცნიერებაში შეიქმნა სამეცნიერო ცოდნის სპეციალური დარგი პალეოგრაფია, რომელმაც განვითარების გრძელი გზა განვლო. თავდაპირველად ის წარმოიქმნა როგორც ძველი, კერძოდ, ლათინური და ბერძნული დამწერლობის შემსწავლელი დარგი და საკმაოდ დიდხანს დამხმარე დისციპლინის ფუნქციას ასრულებდა, სწავლობდა ხელნაწერთა გარეგნულ სახეს, ხელს უწყობდა მათი შესრულების თარიღისა და ადგილის განსაზღვრას.

განვითარების პროცესში პალეოგრაფიის ფარგლებში ჩაისახა და თანდათან გამოეყო მას პაპიროლოგია, ეპიგრაფიკა, აგრეთვე შედარებით ახალი დარგები — ფილიგრანოლოგია, კოდიკოლოგია. ასეთ ცვლილებებს შესაბამისი კორექტივები შეჰქონდათ თვითონ პალეოგრაფიის განმარტებაშიც.

ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღებას იქცევს პალეოგრაფიის სტატუსის, ქრონოლოგიური მიჯნების, დარგობრივი კუთვნილების, საგნის, ობიექტის და ამოცანის საკითხები. მეცნიერთა

---

149 Е. И. Прохоров. Текстология, с. 4; Основы текстологии, с. 223

150 Л. В. Черепнин. Спорные вопросы изучения Начальной летописи в 50—70-х годах. — ИССР, 1972, № 4, с. 52.

151 Р. В. Овчинников. Из опыта реконструкции утраченных документов. На примере указов и манифестов Е. И. Пугачева. — ИОИ, 1975. М., 1976, с. 222. მ. სელეზნიოვის აზრით, იმ შემთხვევებში, თუ ტექსტოლოგიური კვლევა არ არის დაკავშირებული უშუალოდ პუბლიკაციის ამოცანებთან, ის ისტორიული წყაროთმცოდნეობის ნაწილია, ხოლო თუ მხატვრულ ნაწარმოებებს იკვლევს,—ლიტერატურის ისტორიის წყაროთმცოდნეობისა (М. С. Селезнев. Текстология и ее роль в советской археографии, с. 4).

ნაწილი მისი შესწავლის ობიექტად ხელნაწერ მასალასთან ერთად მიიჩნევს ნაბეჭდ ტექსტებსაც[152].

ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრებები იმის შესახებ, რომ პალეოგრაფია ლინგვისტური[153] ან ისტორიულ-ფილოლოგიური[154] დისციპლინაა, მაგრამ სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს შეხედულება მისი ისტორიული მეცნიერებისადმი კუთვნილების შესახებ[155].

პალეოგრაფიის ამოცანაა ხელნაწერ ძეგლთა კვლევა გარეგნული თვალსაზრისით, მათი შექმნის დროისა და ადგილის დადგენის მიზნით[156]. ამ საგანს შეადგენს აგრეთვე დამწერლობის, წერის საშუალებების, საწერი მასალის და გადამწერთა ისტორიის შესწავლა[157].

მეცნიერთა ნაწილი მტკიცედ იცავს ტრადიციას, რომლის მიხედვითაც, პალეოგრაფია მხოლოდ ძველი დამწერლობის შემსწავლელი მეცნიერებაა[158]. ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტსაც, რომ პალეოგრა-

---

152 М. Н. Тихомиров, А. В. Муравьев. Русская палеография. М., 1956, с. 3; А. И. Гуковский. Научная разработка истории советского общества и вспомогательные исторические дисциплины. — ВИ, 1964, № 2, с. 52; ა. ვეედენსკის აზრით, ნაბეჭდი ტექსტები უნდა შეისწავლოს ნეოგრაფიამ (А. А. Введенский. Лекции по документальному источниковедению истории СССР. Киев, 1963, с. 204). იმავე ამოცანას მეცნიერთა ნაწილი აკუთვნებდა წიგნთმცოდნეობას (А. М. Ловягин. Основы книговедения. Л., 1926; А. Г. Фомин. Книговедение как наука. История и современное состояние. Л., 1931, с. 114; А. С. Мыльников. Книга как объект источниковедения.—ИОИ, 1975. М., 1976, с. 63).

153 Н. Н. Розов. Л. П. Жуковская. Развитие славяно-русской палеографии. М., 1963 (рецензия). — Изв. АН СССР, сер. лит. и языка, вып. 6, т. 24, 1965, с. 553.

154 СЭС, 1984, с. 955; ა. ჭანკიევი. პალეოგრაფია.—ქსე, ტ. 7, გვ. 646.

155 М. Н. Тихомиров, А. В. Муравьев. Русская палеография, с. 3; В. Н. Малов. Что такое палеография. — ВИ, 1966, № 2, с. 209; С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 23; უ. სიდამონიძე. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები, გვ. 23; Н. А. Соболева. О тенденциях развития специальных исторических дисциплин, с. 221.

156 Л. В. Черепнин. Русская палеография. М., 1956, с. 3; А. Т. Николаева. Русская палеография. М., 1956, с. 4; М. В. Кукушкина. Советская палеография.—ВИД, I. Л., 1968, с. 80.

157 ი. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბ., 1926; В. Н. Малов. Что такое палеография, с. 211; Е. И. Каменцева, А. Т. Николаева. Проблемы палеографии и кодикологии в СССР.—СА, 1976, № 2, с. 107; Н. А. Соболева. О тенденциях развития специальных исторических дисциплин, с. 221; В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод, с. 86—87.

158 Л. П. Жуковская. Развитие славяно-русской палеографии. М., 1963, с. 4.

ფიის სახელწოდება აღარ შეესაბამება მის რეალურ შინაარსს. ამის გამო შემოიტანეს წინადადება დაერქვას მას „დამწერლობათმცოდნეობა“ (письмоведение)[159]. ახალი დამწერლობის შესასწავლად შემოთავაზებულია ტერმინი „ნეოგრაფია“, ან „ნეოტეროგრაფია“[160], თუმცა დასაშვებად მიიჩნევენ ტრადიციული ტერმინის „პალეოგრაფიის“ გავრცელებას ახალი დროის წერილობით ძეგლებზეც[161].

პალეოგრაფიის სხვადასხვა განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული მისი ურთიერთობა წყაროთმცოდნეობასთან. თუ პალეოგრაფიის ობიექტად მივიჩნევთ ყოველგვარ წერილობით წყაროს, ხოლო მის ამოცანად მათ დათარიღებასა და გადაწერის ადგილის დადგენას, პალეოგრაფია მთლიანად თავსდება წყაროთმცოდნეობის ფარგლებში და ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს წყაროთმცოდნეობითი ციკლის სპეციალურ დისციპლინად[162]. არაფერი შეიცვლება, თუ ამას დავუმატებთ დამწერლობის ისტორიის შესწავლას, ვინაიდან დამწერლობა თავისთავად მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა, რომელიც საინტერესო მასალას იძლევა ამა თუ იმ ხალხის ასტროლოგიურ, მათემატიკურ და სხვა ხასიათის ცოდნაზე, სხვა ხალხების დამწერლობებთან და კულტურასთან მიმართებაზე და ა. შ.

თუ აქვე გავითვალისწინებთ წერის საშუალებებს, მასალას და გადამწერთა ისტორიასაც, პალეოგრაფიის ამოცანები ერთგვარად გას-

---

159 И. Ф. Колесников. Вспомогательные исторические дисциплины и их значение для исторической и архивной работы. — АД. 1940 № 2/54, с. 17.

160 Л. В. Черепнин. Русская палеография, с. 574; он же. К вопросу о методологии и методике источниковедения и вспомогательных исторических дисциплин, с. 50; Л. П. Жуковская. Развитие славяно-русской палеографии, с. 4; П. Н. Берков. О переходе скорописи XVIII в. в современное русское письмо. — Исследования по отечественному источниковедению. Сб. статей, посвящ. 75-летию С. Н. Валка. М.-Л. 1964, с. 37; ახალი დარგის, ნეოგრაფიის შექმნისაკენ მოუწოდებდა ა. ზიმინი (А. А. Зимин. Вспомогательные исторические дисциплины и их роль в работе историков-архивистов, с. 127—128); А. А. Введенский. Лекции по документальному источниковедению истории СССР, с. 204. პოლონელი მეცნიერები პალეოგრაფიის სფეროს ავრცელებენ XVII ს. დასასრულამდე (В. И. Шунков, В. И. Буганов, В. И. Корецкий. АЕ. 6 выпусков.—БИ, 1965, № 1, с. 121).

161 С. А. Рейсер. Некоторые вопросы палеографии нового времени.— ПИ, X, 1962, с. 393; В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод, с. 75—76.

162 М. Н. Тихомиров. Об охране и изучении письменных богатств нашей страны. — ВИ. 1961, № 4, с. 66—67; он же. Источниковедение истории СССР с древнейших времен до конца XVIII в., т. I. М., 1940, с. 14.

ცდება საკუთრივ წყაროთმცოდნეობას, თუმცა მთლიანად თავსდება ისტორიული მეცნიერების ფარგლებში. ფაქტობრივი ვითარებიდან გამომდინარე, განვითარების თანამედროვე ეტაპზე უფრო მისაღები ჩანს მეორე მოსაზრება, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, პალეოგრაფიის დიდი ნაწილი თავსდება წყაროთმცოდნეობაში.

როგორც ვხედავთ, ისტორიულ და, კერძოდ, წყაროთმცოდნეობით დისციპლინათა შორის საზღვრების მუდმივი მოძრაობაა, რაც არაიშვიათად სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადსხვაობის ერთ-ერთი მიზეზი ხდება. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს ისტორიული პროცესის თავისებურება, სადაც კანონზომიერებები უფრო ხშირად ტენდენციების სახით ვლინდება. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა თანამედროვე ეტაპზე განვითარების ძირითადი ტენდენციები წყაროთმცოდნეობისა, რომელსაც ისტორიული მეცნიერების მეტად ვრცელი და მნიშვნელოვანი საკვლევი უბანი აბარია და შესაბამისად ძალიან რთული სტრუქტურაც აქვს. ის ითავსებს სხვადასხვა რანგის რამდენიმე ათეულ სპეციალურ წყაროთმცოდნეობით დისციპლინას, რომელთა შორის მიჯნები ამასთანავე მკაფიო არ არის, გადაამუშავებს და განაზოგადებს მათ მიერ მოპოვებულ მონაცემებს.

ისტორიული წყარო

ისტორიული წყაროს რთული და მრავალმხრივი ბუნების შესწავლა დიდი ხანია დაიწყო. სხვადასხვა დროს ისტორიული წყაროსადმი დამოკიდებულებაც განსხვავებული იყო. ისტორიული წყაროს სხვადასხვა ტიპის სტატუსს თანდათან იძენდნენ ზეპირი, წერილობითი, ნივთიერი, ქცევითი წყაროები. თანდათან ხდებოდა მათი შესწავლისა და ანალიზის შეთოდების შემუშავებაც.

ადრეულ ქართულ წერილობით ძეგლებში ისტორიული წყაროები იხსენიება მათი სახეობრივი დასახელებების მიხედვით, რომლებიც ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტულიც არის — „ცხოვრება", „წამება", „ქება", „გუჯარი", „სიგელი" და სხვ[1]. წყაროს აღმნიშვნელი უფრო ზოგადი დასახელებები შედარებით გვიან საფეხურზე გაჩნდა ჩვენს ლიტერატურაში. XIX ს-ის ქართველი მოღვაწეები ისტორიული წყაროს მნიშვნელობით იყენებდნენ ტერმინებს — „საბუთი", „ნაშთი", „ძეგლი", „მასალა", „დოკუმენტი"[2]. შედარებით იშვიათია ოვით ტერმინი „წყარო", რომელიც, როგორც ჩანს, რუსული და ევროპული ისტორიოგრაფიის გავლენის შედეგად უნდა გაჩენილიყო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „წყარო" ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაინც კარგა ხანია დამკვიდრდა, მისი განმარტების ცდე-

---

1 სიტყვა „წყარო" წერილობითი ძეგლის მნიშვნელობით გვხვდება X ს-ის შატბერდის კრებულის ერთ-ერთ მინაწერში, კერძოდ, დაჩის წერილში სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსისადმი (შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და მ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 365).

2 წყაროს განმარტების ცდა მოცემულია ნაშრომში: ი. გ ვ ა ტ ა ძ ე. ქართლის ცხოვრება, ნაწ. I. თბ., 1882 გვ. II—III.

XX ს-ის დასაწყისში მ. ჯანაშვილმა განმარტა ტერმინი „საბუთი", რომელშიც ის ისტორიული წყაროს მნიშვნელობას სდებდა. ამ შემთხვევაში გამეორებულ იქნა დოკუმენტის განმარტება, რომელიც შ. ლანგლუასა და შ. სენიობოსის მეცნიერული შემოქმედებიდან მემკვიდრეობით მიიღო ფრანგულმა, შემდეგ კი რუსულმა ისტორიოგრაფიამ (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრება." — ნაშრომი. ტფ., 1907, გვ. 3; Ш. Л а н г л у а, Ш. С е н ь о б о с. Введение в изучение истории. СПб., 1899, пер. с французского, с. 13, 48; L'histoire et ses methodes. Paris, 1973, p. 1246; О. М. М е д у ш е в с к а я. Современная буржуазная историография и вопросы источниковедения. Учебное пособие. М., 1979. с. 32).

ბი ძირითადად უკანასკნელ ხანებს განეკუთვნება[3]. გარდა ამისა, ვხვდებით ცალ-ცალკე დოკუმენტური და თხრობითი წყაროების განმარტებებს[4].

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ისტორიული წყაროს მრავალი განსაზღვრებაა შემოთავაზებული, თუმცა ერთიანი აზრი ამ მხრივ არ არის შემუშავებული. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ წყაროს ფართო, ზოგადი განსაზღვრებები, სადაც ასახულია ისტორიული წყაროს ერთადერთი თვისება — იყოს ისტორიული შემეცნების საშუალება. არის აგრეთვე შედარებით კონკრეტული დეფინიციები, რომელთა ავტორები ხაზს უსვამენ წყაროს სხვადასხვა თვისებას და იძლევიან მის კლასიფიკაციებს.

პირველი რიგის განსაზღვრებებს დიდი ხნის ისტორია აქვს, უფრო სიცოცხლისუნარიანია და პერიოდულად მეორდება ისტორიოგრაფიაში გარკვეული ნიუანსური სხვაობებით. მათ რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, ბ. გრეკოვის ნიერ მოცემული განმარტება: „ისტორიული წყარო ფართო გაგებით არის ყველაფერი, საიდანაც შეგვიძლია ამოვკრიფოთ ცნობები ჩვენთვის საინტერესო საგანზე, ე. ი. ყველაფერი, რაც წარმოადგენს ისტორიული შემეცნების საშუალებას". მართალია, შემდეგ ავტორი ახასიათებს მხოლოდ წერილობით დოკუმენტს (ფართო გაგებით) და იხსენიებს ნივთიერ ძეგლებს, მაგრამ ნაცვალსახელი „ყველაფერი" (все) უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ ეს სია, მისი გაგებით, გაცილებით უფრო ვრცელი შეიძლება იყოს. ამავე პერიოდში მ. პოლიევქტოვის ანალოგიური განმარტება, მკვლევრის დაზუსტების მიხედვით, წერილობითი წყაროების გარდა, მოიცავს არქიტექტურულ ნაგებობებს, საბრძოლო და შრომით იარაღს, ავეჯს, ფნის მონაცემებს, მხატვრულ ნაწარმოებებს, თქმულებებსა და ზნე-ჩვეულებებს, სამარხის ნეშტებსა და ორგანული სამყაროს ნაშთებს[5].

---

3 თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში წყაროს განმარტებას ვხვდებით ძირითადად რეცენზიებსა და მიმოხილვით წერილებში. იხ. გ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე. მნიშვნელოვანი მონოგრაფია თეორიულ წყაროთმცოდნეობაში. — ქართული წყაროთმცოდნეობა, V. თბ., 1978, გვ. 153—155; გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა. ისტორიული წყაროთმცოდნეობის საყურადღებო მეთოდური სახელმძღვანელო. — ქართული წყაროთმცოდნეობა, V, გვ. 167—168; ისტორიული წყარო. — ქსე, ტ. 5, გვ. 251.

4 ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი. წინასიტყვაობა. — წიგნში: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I. თბ., 1984, გვ. 6; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ. თბ., 1979, გვ. 3.

5 ასე ფართოდ განმარტავდა წყაროს ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ე. ბერნჰაიმი — „მასალას, საიდანაც ჩვენი მეცნიერება ცოდნას იღებს, ჩვენ უბრალოდ წყაროს ვუწოდებთ" (E. B e r n h e i m. Lehrbuch der Historischen methode und der Geschichtsphilosophie. Leipzig, 1903, გვ. 230).

ფართო მიდგომით ხასიათდება ს. შმიდტის, გ. ანტიპოვის, ა. უიბოს განმარტებები[6]. უნდა ითქვას, რომ ყველა მსგავსი დეფინიცია არსებითად ტავტოლოგიურია. გარდა ამისა, მათში ისტორიული წყარო განმარტებულია გნოსეოლოგიური ფუნქციის მიხედვით და ყურადღების გარეშეა დატოვებული მისი ონტოლოგიური თვისებები.

ამასთანავე, ადრეულ განმარტებებში ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ წყარო არის წარსულის შემეცნების საშუალება — „წარსული ცხოვრების ყოველგვარი ნაშთი", ან „წარსულის ყოველგვარი ძეგლი"[7] და სხვ. 60-იან წლებში ს. შმიდტმა გააფართოვა ისტორიული წყაროს ცნების ფარგლები და მისი ნოქმედება გაავრცელა აწმყოზეც (ისტორიული წყაროა წარსულისა და აწმყოს ნებისმიერი მოვლენა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შესაცნობად[8]. ეს დამატება გაიზიარეს ლ. პუშკარიოვმა[9] და გ. ანტიპოვმა. გ. ივანოვის აზრით, ისტორიული წყაროები არის კაცობრიობის როგორც წარსული, ასევე თანამედროვე ისტორიის შესწავლის აუცილებელი ობიექტური საფუძველი[10].

---

[6] Б. Д. Греков. Стенограммы I и II лекций по русской истории, читанные в Вечернем ИКП истории в 1934—35 гг. М., 1935, с. 4; он же. Стенографический курс лекций по истории СССР. Л., 1937, с. 2; Курс лекций по истории СССР Б. Д. Грекова на секторе заочного обучения ЛГУ. Л., 1937, с. 3. იხ. ავრეთვე: Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников по отечественной истории. М., 1975, с 49; ვ. პოლიევქტოვი. სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობა. თბ., 1937, გვ. 3; С. О. Шмидт. Вопросы преподавания источниковедения. — Новая и новейшая история. 1962, № 4, с. 115; он же. Современные проблемы источниковедения. — В сб.: Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 5; он же. О классификации исторических источников. — ВИД, XVI. Л., 1985, с. 203; он же. Источниковая база исторической науки и классификация исторических источников. — Историческая наука. Вопросы методологии. М., 1986, с. 154; Г. А. Антипов. Исторический источник и его функции в историческом исследовании. — Проблемы исследования структуры научного познания. Новосибирск, 1970, с. 203; А. А. Уйбо. Информационный подход к типологии истрических источников. — Ученые записки Тартусского гос. ун-та, т. 599. Тарту, 1982, с. 57.

[7] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 43—74.

[8] С. О. Шмидт. Вопросы преподавания источниковедения, с. 115.

[9] Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 55; он же. Ленинская теория отражения и понятие исторического источника. — ИР, 1982, Тбилиси, 1985, с. 25.

[10] გ. ივანოვის გამოსვლა წყაროთმცოდნეთა III საკავშირო კონფერენციაზე (Материалы дискуссии.—В сб.: Проблемы источниковедения истории СССР и спец. историч. дисциплин. Статьи и материалы. М., 1984, с. 191); ასევეე აზრი გამოთ-

ისტორიული წყაროს განსაზღვრებაში ამ შემთხვევაში აისახა ისტორიის სხვადასხვაგვარი გაგება[11]. მკვლევართა ნაწილი ისტორიული მეცნიერების საგნად ვიიჩნევს როგორც წარსულს, ასევე აწმყოსა და მომავალს. მაგრამ იმ მეცნიერთა ნაშრომებშიც, რომელთა შეხედულებითაც ისტორიული მეცნიერება ძირითადად წარსულის მოვლენებს იკვლევს, აღინიშნება მისი მჭიდრო კავშირი აწმყოსა და მომავალთან. იმისაგან დამოუკიდებლად, ვიიჩნევთ, თუ არა ისტორიის საგნად წარსულთან ერთად აწმყოსა და მომავლის შესწავლას, დროთა გამიჯვნის სირთულის მიუხედავად, გაუმართლებელი ჩანს გამოთქვები — „წარსული ცხოვრების ყოველგვარი ნაშთი", ან „წარსულის ყოველგვარი ძეგლი" წყაროთა ისეთი ტიპების მიმართ, როგორიცაა ენის მონაცემები, ან ზნე-ჩვეულებები[12] იმ არგუმენტით, რომ თანამედროვე ენასა და ყოფაში ისტორიკოსს მხოლოდ ის აინტერესებს, რაც მასში წარსულიდან შემორჩა[13]. ინფორმაციათა სხვადასხვა ქრონოლოგიური შრეების მიკვლევა ვხოლოდ შესწავლის პროცესში ხდება. თავდაპირველად კი დაკვირვების ობიექტია მთლიანად თანამედროვე ენა და ყველა ზნე-ჩვეულება.

ისტორიული წყაროს ძირითადი თვისებაა ისტორიული სინამდვილის ასახვის უნარი. სწორედ ამის გამო იქცევა ის ისტორიული შემეცნების საშუალებად და ერთგვარ „სასინჯ ქვად"[14] შემეცნების თეორიის შესწავლისას. ამ პრობლემის ფარგლებში წყარო სხვადასხვა კუთხით განიხილება. მუშავდება საკითხები — ისტორიული სინამდვილე და ისტორიული წყარო, სინამდვილის ასახვის ფორმები, წყარო და ინფორმაცია, ინფორმაციის მოპოვების საშუალებები, მისი სახეები.

ინფორმაციის პრობლემისადმი გაზრდილი ინტერესის გამო ამ დარგში მიღებულ მონაცემებს ზოგჯერ მექანიკურად ავრცელებენ

ქმული აქვს ფრანგ ისტორიკოსს მ. ბლოკს (М. Блок. Апология истории и ремесло историка. М., 1986, с. 16—23).

[11] В. В. Косолапов. Методология и логика исторического исследования. Киев, 1977, с. 145; М. А. Барг. Категории и методы исторической науки. М., 1984, с. 92—99; გ. ყორანაშვილი. პროფესია ისტორიკოსი. თბ., 1986, გვ. 4; И. Д. Ковальченко. Методы исторического исследования. М., 1987, с. 92.

[12] Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 60; он же. Ленинская теория отражения, с. 25.

[13] ასეთი მსჯელობაა ა. ტარტაკოვსკის ნაშრომში (А. Г. Тартаковский. Социальные функции источников как методологическая проблема источниковедения.—ИСССР. 1983, № 3, с. 115, прим. 17).

[14] Г. А. Антипов. Исторический источник и его функции в историческом исследовании, с. 203.

წყაროთმცოდნეობის სფეროში, რაც ყოველთვის არ არის გამართლებული. გვხვდება წყაროს ინფორმაციასთან გაიგივების შემთხვევები. მაგალითად, არსებობს წყაროს ან დოკუმენტის ასეთი განმარტებებიც: „ისტორიული წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც კაცობრიობის წარსულს ეხება"[15], ან „დოკუმენტი არის სემანტიკური ინფორმაცია, გამოხატული ნებისმიერი ენით და დაფიქსირებული ნებისმიერი წესით, ნებისმიერ მატარებელზე, დინამიკურ სისტემაში მისი მიმოქცევის მიზნით"[16]. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ განმარტებაში ხაზი ესმება ინფორმაციის მატერიალურ საფუძველს, წყაროსა და ინფორმაციის გათანაბრება, ეფექრობთ, დაუშვებელია. მართალია, წყარო ინფორმაციის მატარებელია, მაგრამ მისი ხასიათი ერთგვარად სუბიექტურია, ის მეორადია ასახული ობიექტის მიმართ[17], მაშინ, როცა თვითონ წყარო ობიექტურად არსებობს. ამასთანავე, ინფორმაცია, რომლის ხასიათი დამოკიდებულია ავტორზე, წყაროში ობიექტურად არსებობს, მკვლევრის გარეშე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ინფორმაცია მატერიალურ სისტემათა ობიექტური თვისებაა, რომელიც არ არის დამოკიდებული იმაზე, გამოიყენება თუ არა იგი ამა თუ იმ მომენტში მეორე სისტემის მიერ"[18].

თუ ინფორმაცია უპირატესად გულისხმობს მატერიალური პროცესის „იდეალურ" შინაარსს, წყარო აერთიანებს როგორც მატერიალურ ფორმას, ასევე შინაარსსაც. წყარო ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალებაა და, ამდენად, სცილდება ინფორმაციის ცნებას — ანუ „ცნობებს, რომლებიც შენახვის, გადაცემის და გარდაქმნის ობიექტია"[19]. თავის მხრივ, ინფორმაციასაც უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მას მოიცავს ნებისმიერი ისტორიული წყარო მთელი მისი ინფორმაციული მრავალპლანიანობის მიუხედავად. სოციალური ინფორმაცია, რომელიც იძლევა ცოდნას კაცობრიობის ისტორიის შესახებ, ინფორმაციის მხოლოდ ერთ-ერთი სახეა[20]. გარდა ამისა, თვით ინფორმაცია, ისევე როგორც სოციალური ინფორმაცია, სადისკუსიო ცნებაა, რომელსაც აგრეთვე სხვადასხვაგვარად განმარ-

---

15 Е. М. Жуков. Очерки методологии истории. М., 1987, с. 209.

16 Г. Г. Воробьев. Информационная теория документа. Автореферат докт. диссерт. М., 1979, с. 6.

17 Г. И. Щербицкий. Системный характер информации. Минск, 1978, с. 16.

18 იქვე.

19 А. И. Михайлов, А. И. Черный, Р. С. Гиляревский. Научные коммуникации и информатика. М., 1976, с. 73.

20 А. Д. Урсул. Проблема информации в современной науке. М., 1975, с. 186—226.

ტავენ, კაშათია მის არსზე. მაგალითად, თუ ერთ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ ინფორმაცია სისტემური ფენომენია[21], სხვაგან განსხვავება ინფორმაციასა და ცოდნას შორის იმაშია დანახული, რომ უკანასკნელი მუდამ სისტემაა, ნაშინ როდესაც ინფორმაცია შეიძლება მონაცემების ჩვეულებრივი ერთობლიობა და თავმოყრა იყოს[22].

ისტორიული წყაროს ან დოკუმენტის ზემოთ მოტანილი განსაზღვრებები, რომლებშიც ამასთანავე მოცემულია ერთი უცნობის მეორე უცნობით განმარტების ცდები, უახლოვდება პოზიტივისტების ვაკრიტიკებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ წყარო არის „ისეთი რაჰ, საიდანაც ამოდის გამზადებული გამონათქვამები წარსულის შესახებ", ხოლო აქედან გამომდინარე, კაცობრიობის ისტორია „მაკრატლისა და წებოს ისტორიაა"[23].

მკვლევართა ნაწილი სტადიებად ყოფს თვით წყაროს და არქმევს მათ სხვადასხვა სახელებს. მათი აზრით, შეიძლება განვასხვავოთ წყაროს ორნაირი მდგომარეობა, „ორი სიცოცხლე", „ორი ფუნქცია". პირველი, როდესაც იგი, მართალია, ობიექტურად არსებობს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი მკვლევრის მიერ, და მეორე, როდესაც წყარო ხდება შესწავლის ობიექტი. ასეთი შეხედულებები საკმაოდ გავრცელდა უკანასკნელ ხანებში და მათ შესახებ მსჯელობა თითქმის ყველა ნაშრომში გვხვდება. თუმცა წყაროს არსებობის პირველ ფაზას სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებული დასახელებებით აღნიშნავს, ამით არ იცვლება საკითხის არსი. ამ მეცნიერთა აზრით, წყარო, რომელიც ჯერ არ არის მეცნიერულად შესწავლილი, არც არის წყარო. ის მხოლოდ პოტენციური წყაროა, ან ისტორიული ძეგლი[24],

---

21 Г. И. Щербицкий. Системный характер информации, с. 4.

22 Н. Л. Румянцева. О причинах информационного кризиса и одном из путей его преодоления. — Теория и практика НТИ. Материалы семинара. М., 1980, с. 121.

23 Р. Дж. Коллингвуд. Идея истории. Автобиография. М., 1980 (пер. с английского), с. 263—264.

24 მოსაზრება „ისტორიული ძეგლისა" და „ისტორიული წყაროს" გამიჯვნის თაობაზე ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოთქვა ი. კოლესნიკოვმა, რომელმაც აღნიშნა, თუ რა გრძელი გზაა მათ შორის (იხ. Л. Н. Пушкарев. Понятие исторического источника в некоторых работах советских философов.—ИОИ, 1975. М., 1976, с. 78—79; С. В. Чирков. Применение термина «археография» в начале XX в.—АЕ за 1981 г. М., 1982, с. 12). მ. პოლიევქტოვი 1937 წელს თბილისში ქართულ ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოში წერდა: „ისტორიული ძეგლი შეიძლება ეუწოდოთ ადამიანთა საზოგადოების წარსული ცხოვრების ყოველ ნაშთს თავისთავად, მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა მეცნიერება მას, როგორც ისტორიულ წყაროს. ისტორიული ძეგლი წყაროდ იქცევა იმ მომენტიდან და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეცნიერება მისგან იღებს საჭირო ცნობებს" (მ. პო-

ან ისტორიული რელიქტი, ან ის, რაც წინ უსწრებს წყაროს (предысточник)[25]. ისტორიულ წყაროდ ის იქცევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა შესწავლილი იქნება ისტორიკოსის მიერ[26].

ასეთი ლოგიკა, რომელიც შეუძლებელს ხდის წინასწარ იმის განსაზღვრას, გახდება თუ არა ესა თუ ის ობიექტი ისტორიული წყარო, საერთოდ გამორიცხავს ისტორიული წყაროს განსაზღვრის შესაძლებლობას. ამ მსჯელობას ყველაზე მეტად მიესადაგება წყაროს ფართო გაგება, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლევარს უტოვებს გადაწყვეტილების უფლებას.

ამასვე უახლოვდება დასკვნა, რომელიც ერთგვარი განსხვავებული გზით მიიღეს მ. მაკაროვმა და შემდეგ გ. ანტიპოვმა[27].

მკვლევრები განასხვავებენ წყაროსადმი წყაროთმცოდნისა და ისტორიკოსის დამოკიდებულებას. პირველ შემთხვევაში, ე. ი. წყაროთმცოდნეობის სფეროში, შესწავლის ობიექტია ისტორიული ძეგლი, რომელიც მზადდება ისტორიულ კვლევაში გამოსაყენებლად. ამ ფაზაში ხდება მისი წარმოშობის, უტყუარობის, სანდოობის დადგენა, რის შემდეგაც ძეგლი ექცევა ისტორიკოსის კვლევის სფეროში და გადაიქცევა ისტორიულ წყაროდ. აქედან გამომდინარე, მ. მაკაროვი განასხვავებს ტერმინებს — კვლევის ობიექტი (წყაროთმცოდნეობაში) და მოქმედების ობიექტი (ისტორიაში). მისი აზრით, ისტორიული წყარო იგივე ისტორიული ძეგლია, ოღონდ სათანადოდ დამუშავებული.

ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი. სსრკ ისტორის წყაროთმცოდნეობა (კონსპექტი). თბ., 1937, გვ. 3).

25 ს. შმიდტის მიერ შემოთავაზებული ეს ტერმინი განსაკუთრებით პოპულარულია ამ ბოლო დროს.

26 С. О. Ш м и д т. Современные проблемы источниковедения. с. 31; о н ж е Источниковедение в кругу других дисциплин и вопросы классификации источников, с. 5; о н ж е. Источниковая база исторической науки и классификация исторических источников, с. 154; Л. Н. П у ш к а р е в. Классификация русских письменных источников, с. 59; о н ж е. Ленинская теория отражения и понятие исторического источника, с. 20; Л. С. К л е й н. Археологические источники. Л., 1978, с. 96; Г. М. И в а н о в. Исторический источник и историческое познание. Томск, 1973, с. 165; И.Д. К о в а л ь ч е н к о. Исторический источник в свете учения об информации. — ИССР. 1982. № 3, с. 137; И. Л. Б е л е н ь к и й. Разработка проблем теоретического источниковедения в советской исторической науке (1964—1984 гг.). М., 1985, с. 33 (ავტორი სვამს შეკითხვას: რა საჭიროა, რომ ობიექტს ერქვას ისტორიული წყაროს სახელი ისტორიკოსის შესწავლის სფეროში მოხვედრამდე?).

27 М. К. М а к а р о в. К вопросу о терминологии в источниковедении истории СССР. — ТМГИАГ, т. 17. М., 1963, с. 5; Г. А. А н т и п о в. Место источниковедения в системе историографического исследования — В сб.: Проблемы исследования структуры научного познания. Новосибирск, 1970, с. 218.

დეტალურად მიმოიხილავს ამ საკითხს სხვადასხვა ნაშრომში გ. ივანოვი, რომელსაც წყაროს განსაზღვრისას გადამწყვეტად მიაჩნია მისი ფუნქციური და არა ონტოლოგიური თვისებები[28]. ამ შემთხვევაში წყაროს ძირითადი დანიშნულებაა — იყოს ისტორიული შემეცნების საშუალება. იქ მომენტამდე, ვიდრე არ არის რეალიზებული რელიქტის გნოსეოლოგიური ფუნქცია, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს წყაროდ. გ. ივანოვს შესაძლებლად მიაჩნია, მაგალითად, მსჯელობა ისტორიული წყაროს დამოკიდებულებაზე „ერთი მხრივ, ობიექტური ისტორიული რეალობის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ისტორიული შემეცნების პროცესისადმი"[29].

ტერმინი доисточник (ის, რაც წინ უსწრებს წყაროს) გამოყენებული აქვს მ. ვარშავჩიკს, რასაც ერთგვარად ეწინააღმდეგება მისივე აზრი იმის შესახებ, რომ ფუნქციის მიხედვით წყაროს განსაზღვრების ცდა არ არის გამართლებული[30].

მოულოდნელი არ არის ის ფაქტი, რომ დასახელებულ ავტორთა მსჯელობა მიდის წყაროს მნიშვნელობის დავიწროებისაკენ. მ. მაკაროვის აზრით, რომელიც განასხვავებდა ცნებებს „ისტორიული ძეგლი" და „ისტორიული წყარო", ისტორიული ძეგლის გადაქცევა წყაროდ გულისხმობს ორ ეტაპს: შესასწავლი ფაქტისადმი ძეგლის შესაბამისობის და მისი უტყუარობის დადგენას[31].

მიუხედავად ამავე ავტორთა შენიშვნისა, რომ წყაროს მსგავსი დაყოფა არ ცვლის თვით წყაროს ბუნებას და მხოლოდ ფუნქციურ სფეროს ეხება, ასეთი მიდგომა ეჭვქვეშ აყენებს წყაროს არსებობის ობიექტურობას. საბჭოთა წყაროთმცოდნეობაში კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ „ყოველგვარი ცდა ისტორიული წარსულის ადამიანთა შეგნებასთან, შეგრძნებებსა და წარმოდგენებთან დაკავშირებისა გულისხმობს ობიექტური ისტორიული წარსულის უარყოფას"[32]. არის თუ არა შესწავლილი წყარო ისტორიკოსის მიერ და რა მეთოდებით, რამდენად მეცნიერულად და პროფესიულად, ამით, რა თქმა უნდა, არ იცვლება ისტორიული ძეგლის შინაგანი ბუნება.

ამავე დროს ისტორიული სინამდვილის შემეცნების პროცესში

---

28 Г. М. Иванов, А. М. Коршунов, Ю. В. Петров. Методологические проблемы исторического познания. М., 1981, с. 123.

29 Г. М. Иванов. Исторический источник и историческое познание. Томск, 1973, с. 12.

30 М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 60.

31 М. К. Макаров. К вопросу о терминологии в источниковедении, с. 5.

32 Г. М. Иванов. Исторический источник и историческое познание, с. 19.

მონაწილეობენ. ერთი მხრივ, წყაროს ავტორი, რომელიც აზროვნების მეშვეობით ახდენს სინამდვილის აბსტრაგირებას, და მეორე მხრივ, მკვლევარი, რომელიც მოიპოვებს წყაროში ინფორმაციას ეპოქის საერთო დონისა და მისივე ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად. ისტორიული ინფორმაციის მოპოვებას პირდაპირი კავშირი აქვს კვლევის ტექნიკასა და კულტურასთან, მკვლევრის ერუდიციასა და გამოცდილებასთან[33], რაც არ იძლევა წყაროთა ობიექტურად არსებობისა და ნათ მიერ სინამდვილის ასახვის უნარში დაეჭვების საფუძველს.

შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ა. ლაპო-დანილევსკი, რომელმაც გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ საისტორიო მასალა არ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ წყაროდ, ვიდრე მას ისტორიკოსი არ გამოიკვლევს, თვით ისტორიული წყაროს ასეთ განმარტებამდე მივიდა: ისტორიული წყარო არის „ადამიანის ფსიქიკის რეალიზებული პროდუქტი, რომელიც გამოდგება ისტორიული მნიშვნელობის ფაქტების შესასწავლად"[34]. ამ შეხედულებას ეხმაურება ზოგიერთი თანამედროვე უცხოელი ისტორიკოსის გამონათქვამი: „საგნები გადაიქცევიან წყაროებად მხოლოდ შემეცნების პროცესში, მხოლოდ მკვლევრის ინტერესის შესაბამისად. ამ პროცესის გარეშე ისტორიული წყაროები უბრალოდ არ არსებობს"[35].

ლიტერატურაში გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრებები უფრო მისაღებად გვეჩვენება. შესაბამის განმარტებებში ასახულია ისტორიული წყაროს გაორებული ბუნება, რომელიც მას იმთავითვე ახასიათებს. აღნიშნულია, მაგალითად, რომ „დოკუმენტი ისტორიული წყაროა მისი გაჩენის მომენტიდან და არა იმ დროიდან, როცა ის მუდმივი შენახვის ადგილზე მოხვდება"[36]. წყაროს სტადიებად დაყოფის კრიტიკა გაისმა წყაროთმცოდნეთა საკავშირო სიმპოზიუმზე, სადაც აღინიშნა მისი უსაფუძვლობა[37].

ისტორიული წყაროს შინაგან ბუნებას უფრო მეტად წარმოაჩენენ მისი კონკრეტული განმარტებები, რომლებიც ამასთანავე ასახავენ მისი შესწავლის მდგომარეობასაც.

---

33 В. Д. Назаров, В. Т. Пашуто, Л. В. Черепнин. Новое в исследовании нашей родины. Л., 1978, с. 16.

34 А. С. Лаппо-Данилевский. Методология истории, вып. 2. Спб., 1913, с. 46.

35 რ. ნეშის ეს მოსაზრება მოტანილია წიგნში: В. И. Салов. Историзм и современная буржуазная историография. М., 1977, с. 154.

36 М. П. Илюшенко. К вопросу о функциях документов. — СА, 1973, № 5, с. 17.

37 კრიტიკა გამოთქმული იყო ა. მურავიოვისა და ლ. მილოვის გამოსვლებში (Материалы симпозиума по актуальным проблемам источниковедения. Таллин, 2—6 окт. 1972 г.—ИОИ, 1976. М., 1977, с. 237, 242).

50-იანი წლების დასასრულისა და 60-იანი წლების დასაწყისისათვის ძირითადად დამახასიათებელი იყო წყაროს ისეთი განსაზღვრება, რომელიც განმარტავდა მას, როგორც წარსულის ყოველგვარ ძეგლს (ა. ლიუბლინსკაია, ა. ამალრიკი და ა. მონგაიტი, ი. შერმანი, ვ. დანილოვა და ს. იაკუბოვსკაია, ა. პრონშტეინი და ა. ზადიორა)[38]. ამავე დროს მკვლევართა ნაწილი წყაროთა შორის გამოარჩევდა საკუთრივ ისტორიულ წყაროს და ისტორიულ გამოკვლევას. თუმცა უნდა ითქვას, რომ გარკვეულ დრომდე ეს სხვაობა არ განიხილებოდა როგორც დაპირისპირება, და ხაზი ესმებოდა იმ ფაქტს, რომ როგორც გამოკვლევა, ასევე ისტორიული ძეგლი თანაბრად შეიძლება იყოს ისტორიული წყარო[39].

მაგრამ ზოგიერთ მოგვიანო ნაშრომში ეს სხვაობა გაღრმავებულია და უკვე დაპირისპირების ხასიათს იღებს. ასე, მაგალითად, მ. ვარშავჩიკმა და ლ. პუშკარიოვნა ისტორიული წყაროს განმარტებაში შემოიტანეს ისტორიული ფაქტების, ისტორიული სინამდვილის უშუალო ასახვის კატეგორია[40]. ისტორიული გამოკვლევისაგან გამიჯვნის მიზნით მ. ვარშავჩიკი იძლევა წყაროს შემდეგ განმარტებას: „არა ყოველგვარი ძეგლი, არაუედ ის, რომელიც უშუალოდ ასახავს ისტორიულ ფაქტებსა და ისტორიულ პროცესს, იმ ადამიანების საზოგადოებრივ ურთიერთობათა და შეხედულებათა პრიზმაში, რომლებიც წყაროს ავტორები არიან"[41]. ასეთი განმარტება, როგორც ვხედავთ,

---

[38] А. Д. Люблинская. Источниковедение истории средних веков. Л., 1955, с. 5; А. С. Амальрик, А. Л. Монгайт. Что такое археология. М., 1959, с. 35; М. Л. Шерман. Русские исторические источники X—XVIII вв. Харьков, 1969, с. 3; В. П. Данилов, С. И. Якубовская. Источниковедение и изучение истории советского общества. — ВИ, 1961, № 5, с. 5—6; А. П. Пронштейн, А. Г. Задера. Практикум по истории СССР. Ростов-на-Дону, 1964, с. 415.

[39] ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით, რომელიც მიჯნავდა წყაროს და გამოკვლევას (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 29—49).

[40] М. А. Варшавчик. Вопросы логики исторического исследования и исторический источник. — ВИ, 1968, № 10, с. 82; Л. Н. Пушкарев. Источники исторические. — СИЭ, т. 6, с. 591; он же. Классификация русских письменных источников, с. 6—63. უშუალო წყაროს ცნება ისტორიოგრაფიაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული. ზოგიერთი მეცნიერისათვის უშუალო წყაროა მხოლოდ „ნაშთი", ყველაფერი დანარჩენი კი არაპირდაპირია (М. М. Громыко. О „непосредственных" и „косвенных" исторических источниках.—Извест. Сибирск. отд. АН СССР, сер. общ. наук, № 6, вып. 2, 1968, с. 87; აგრეთვე Б. Г. Литвак. Ленинские приемы источниковедческого анализа и методика исследования массовой документации.—ИССР, 1970, № 2, с. 73—74).

[41] М. А. Варшавчик. Вопросы логики исторического исследования, с. 82.

შეიცავს წინააღმდეგობას, რადგან სინამდვილის ასახვა წყაროში, მკვლევრის შენიშვნით, ხდება ავტორის ცნობიერებაში გავლით. შემეცნების პროცესი ვ. ვარშავჩიკმა სამი რგოლით წარმოადგინა: 1) ფაქტი — მოვლენა. 2) ფაქტი — წყარო და 3) ფაქტი — ცოდნა, და დამაჯერებლად აჩვენა, რომ „ფაქტი — წყარო" არასდროს არ არის მოვლენის ადეკვატი, რადგან წყარო მოვლენის აბსტრაგირებული გადმოცემაა. ამდენად, წყარო თავისი შინაარსით ღარიბია მოვლენებთან შედარებით, რადგან დამოკიდებულია ავტორის განათლებასა და გონებრივ შესაძლებლობაზე. გ. ივანოვის მონოგრაფიაში მკაფიოდ არის ნაჩვენები წყაროში სინამდვილის უშუალო და გაშუალებული ასახვის დიალექტური ერთიანობა[42].

საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ ასახვა პოვა წყაროს ვ. სტრელსკისეულ განმარტებაში: წყაროა „ყველაფერი, რაც უშუალოდ ასახავს ისტორიულ პროცესს, რაც შექმნილია ადამიანის მოღვაწეობის შედეგად და გამოიყენება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვლევისას". ეს დეფინიცია განსხვავდება მისივე ადრინდელი განსაზღვრებისაგან, რომლის მიხედვით, წყაროდ მიჩნეულია „წარსული ცხოვრების ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის ძეგლები, რომლებიც ასე თუ ისე ასახავენ ადამიანთა საზოგადოების ისტორიას, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ მოვლენებს"[43].

მ. ვარშავჩიკისა და ლ. პუშკარიოვის მიერ შემოთავაზებული განმარტება არ გაიზიარეს ა. პრონშტეინმა და ა. ლუბსკიმ[44]. ამავე საკითხს დაუბრუნდა ა. უიბო, რომელიც ასევე არ დაეთანხმა ლ. პუშკარიოვისეულ განმარტებას („ისტორიული წყარო არის ყველაფერი, რაც უშუალოდ ასახავს ისტორიულ პროცესს და შესაძლებლობას იძლევა შესწავლილ იქნეს ადამიანთა საზოგადოების წარსული, ე. ი. ყველაფერი, რაც შექმნილია ადრე ადამიანის მიერ და მოაღწია ჩვენამდე მატერიალური კულტურის ძეგლთა, დამწერლობის, იდეოლოგიის, ზნე-ჩვეულებათა, ენის სახით")[45]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ

---

[42] Г. М. Иванов. Исторический источник и историческое познание.

[43] В. И. Стрельский. Теория и методика источниковедения истории СССР. Киев, 1976, с. 12; он же. Основные принципы научной критики источников по истории СССР. Киев. 1961, с. 6.

[44] А. П. Пронштейн, А. В. Лубский. Методологические проблемы источниковедения в современной советской литературе. — «Актуальные проблемы источниковедения истории СССР, специальных ист. дисциплин и их преподавания в вузах». Тезисы докладов, с. 22.

[45] А. А. Уйбо. Информационный подход к типологии исторических источников, с. 57. იხ. აგრეთვე: Л. С. Клейн. Археологические источники, с. 8; Л. Н. Пушкарев. Источники исторические; он же. Классификация русских письменных источников, с. 62—63.

როგორც მ. ვარშავჩიკი, ასევე ლ. პუშკარიოვი მიუხედავად იმისა, რომ უპირისპირებენ ერთმანეთს ისტორიულ წყაროს და გამოკვლევას, ამავე დროს მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი გამოკვლევა შეიძლება წყაროც იყოს. დადებითი პასუხი შეკითხვაზე — არის თუ არა ისტორიული გამოკვლევა წყარო, ვფიქრობთ, გამორიცხავს წყაროს განმარტებაში უშუალო ასახვის კატეგორიის შეტანის შესაძლებლობას[46].

წყაროსთან ისტორიული გამოკვლევის დაპირისპირება მართლაც მიუღებელია. ყოველგვარი გამოკვლევა იმავე დროს წყაროც არის, ისევე როგორც ძნელად ვოიძებნება წყარო, რომელიც მთლიანად ემიჯნებოდეს გამოკვლევას. წყაროდ კიდევაც რომ მხოლოდ ის ძეგლი მივიჩნიოთ, რომელიც მთლიანად ერთი პიროვნების, თანამედროვისა და თვითმხილველის მიერ არის შექმნილი, მისი შინაარსი, გარდა იმისა, რომ, როგორც წესი, უსათუოდ შეიცავს სხვების მონათხრობსაც, დამოკიდებულია ავტორის წარმოსახვის უნარზე, მის, როგორც ამჟამად უწოდებენ, „წყაროსგარეშე ცოდნაზე". ისეთი ძეგლები, სადაც სინამდვილე უშუალოდ არის ასახული, პრაქტიკულად არ არსებობს. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ისტორიული წერილობითი ძეგლები კვლევის ელემენტებსაც შეიცავენ. ისტორიული შემეცნების სამი რგოლით წარმოდგენილი სისტემის მიღების შეპთხვევაში, რომელსაც მ. ვარშავჩიკი გვთავაზობს, წყაროს ცნების მიღმა რჩება ისტორიულ ძეგლთა დიდი ნაწილი, რომლებიც, ჩვეულებრივ, ისტორიული მეცნიერების ძირითად საყრდენს შეადგენენ. კერძოდ, შუა საუკუნეების მატიანეები, რომელთა უმრავლესობა შედგენილია სხვადასხვა ზეპირ და წერილობით წყაროთა გამოყენებით, ასევე რეტროსპექტული ჰაგიოგრაფიული და სხვა სახის ნაწარმოებები.

მაგალითად, „ქართლის ცხოვრების" ყველა თხზულება სხვადასხვა ზეპირი და წერილობითი წყაროების გამოყენებით არის შედგენილი, რომელთაც ავტორები არც ისე ხშირად ასახელებენ. ვაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის. კრებულის პირველივე თხზულება, რომლის ავტორი, გავრცელებული შეხედულების მიხედვით, არის XI სის მოღვაწე ლეონტი მროველი, საკმაოდ დიდი მოცულობისაა. ცხადია, მის დასაწერად სხვადასხვა წყაროებია გამოყენებული. ხანგრძლივმა წყაროთმცოდნეობითმა კვლევამ, რომელიც ამჟამადაც გრძელდება, აჩვენა, რომ ეს წყაროები ხშირ შემთხვევაში სანდოა. XIV სის ქართველი ანონიმური ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე" მნიშვნელოვანწილად ზეპირი და წერილობითი წყა-

---

46 ს. შმიდტის აზრით, ყველა წყარო, რომელიც ადამიანის საქმიანობის შედეგია, უშუალოდ ასახავს სინამდვილეს (С. О. Шмидт. Источниковая база исторической науки и классификация исторических источников, с. 157).

როების საფუძველზეა შედგენილი. როგორც ი. ჯავახიშვილი შენიშნავდა, „ჩვენს ისტორიკოსს ასი წლისა და მეტის ამბები ზეპირ გადმოცემით და „თავით თვსით“ არ შეეძლო დაეწერა. უეჭველია მას საისტორიო წყაროები ექმნებოდა და მის თხზულებითგანაც ჩანს, რომ ჰქონია კიდეც“[47]. მიუხედავად ამისა, დასახელებული თხზულება ფასდაუდებელი წყაროა XIII საუკუნის და XIV ს-ის დამდეგის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის[48].

იგივე შეიძლება ითქვას კრებულის ყველა სხვა თხზულებაზე. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთიდაიგივე ამბავი ორ სხვადასხვა ძეგლშია გადმოცემული, ან როდესაც ერთი წყარო მეორეს ეყრდნობა, თითოეული მათგანი მაინც არ კარგავს მნიშვნელობას. მაგალითად, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა გარკვეულ ნონაკვეთში მიჰყვება „მატიანე ქართლისას“[49], მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი, როგორც ისტორიული წყარო, სხვადასხვა კუთხით იწვევს ინტერესს: ავტორთა წყაროებზე მუშაობის მეთოდის, მათი ცნობებით სარგებლობის პრინციპების, აგრეთვე აღნიშნულ ძეგლთა დათარიღების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ XVII ს-ის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ე. წ. მეორე ნაწილი[50] „ქართლის ცხოვრების“ თხზულებების — „ისტორიათა და აზმათა“ და „ასწლოვანი მატიანის“ — მიხედვით არის შედგენილი, იგი მნიშვნელოვან მასალას შეიცავს როგორც XIII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, ისე დასახელებული თხზულებების ტექსტის დასადგენადაც[51].

აქვე შეიძლება გავიხსენოთ აგრეთვე XVIII ს-ის პირველი ნახევრის კომპილაციური ისტორიული თხზულება „ცხოვრება საქართველოჲსა“ („პარიზის ქრონიკა“). მიუხედავად იმისა, რომ მისი წყაროები ძირითადად ცნობილია, თხზულება მაინც ინარჩუნებს წყაროს

---

47 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. — თხზულებანი, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 255.

48 რ. კ ი კ ნ ა ძ ე. ეამთააღმწერელი და მისი „ასწლოვანი მატიანე“. — წიგნში: ეამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1982.

49 Г. Г. А л а с а н и я. Классификация грузинских письменных исторических источников, с. 173.

50 ფ. გორგიჯანიძის თხზულების ნაწილებად დაყოფა ი. ჯავახიშვილს ეკუთვნის (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 287—297).

51 რ. კ ი კ ნ ა ძ ე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ., 1975; Р. К. К и к н а д з е. Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и „Картлис цховреба“. Тбилиси, 1980.

ღირებულებას, რადგან შემოგვინახა ჩვენამდე მოუღწეველი ზოგიერთი თხზულების ფრაგმენტები[52].

რა თქმა უნდა, ნათქვამი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს საერთოდ არ არსებობდეს განსხვავება წყაროსა და გამოკვლევას, წყაროსა და ისტორიოგრაფიულ ძეგლს შორის. მაგრამ ეს განსხვავება ყოველი კონკრეტული კვლევისას ცალკე უნდა განისაზღვროს. აქ გადამწყვეტი იქნება როგორც აღწერილ მოვლენათაგან ძეგლის დაშორება, ასევე მისი გადმოცემის ფორმაც.

განხილულ პრობლემას უახლოვდება ტერმინების — „პირველწყაროსა" და „მეორადი წყაროს" — ურთიერთმიმართება, სადაც მეორადი წყარო ხშირად ისტორიული გამოკვლევის სინონიმიც შეიძლება იყოს. XX ს-ის 30-იან წლებში ს. ბიკოვსკიმ მოგვცა ისტორიული წყაროს ვრცელი განმარტება[53]. მკვლევარი არჩევს ისტორიულ წყაროს ზოგადად და ისტორიულ წყაროს ვიწრო გაგებით. მისი განმარტების მიხედვით, ისტორიული წყარო ზოგადად, ან ისტორიული წყარო ფართო გაგებით, არის წარსული ცხოვრების ყოველგვარი ძეგლი, ხოლო ვიწრო გაგებით ისტორიულ წყაროდ უნდა ჩაითვალოს წარსული ცხოვრების ძეგლები, რომლებშიც დამოუკიდებლად და ქრონოლოგიურად პირველად, სხვა ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებთან შედარებით, არის ასახული ესა თუ ის ისტორიული ფაქტი, მოვლენა, ან თუნდაც ისტორიული ფაქტის დეტალი. როგორც ვხედავთ, მოტანილ განმარტებებში წყარო ვიწრო გაგებით და ისტორიული წყარო ზოგადად, არსებითად არის იგივე წყარო და პირველწყარო, თუმცა ავტორი არ იყენებს ამ ტერმინს.

პირველწყაროს და მეორადი წყაროს ინტერპრეტაციაში საკმაოდ დიდი გაუგებრობა და აზრთა სხვადასხვაობა სუფევს. იქამდეც კი მიდის საქმე, რომ ზოგი მკვლევარი პირველწყაროს უწოდებს ავტოგრაფს, ხელნაწერ მასალას ან პირველ გამოცემას[54]. ჯერ კიდევ 20-იან წლებში ი. მაიაკოვსკიმ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ პირველწყარო არის დოკუმენტები (საარქივო მასალები), ხოლო წიგნები ცოდნის გავრცელების საშუალებაა[55]. ეს შოსაზრება შემდგომში სხვა მკვლევ-

---

52 გ. ალასანია. XVIII საუკუნის ქართული ანონიმური ქრონიკა. — წიგნში ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.

53 С. Н. Быковский. Методика исторического исследования. Л., 1931, с. 29.

54 Н. Ф. Бельчиков. Литературное источниковедение. М., 1983, с. 122.

55 И. Л. Маяковский. Архив, библиотека и музей. — АД, вып. 7, 1926. с. 23.

რებმაც გაიზიარეს და განავითარეს[56]. კერძოდ, ლ. შეპელევის კორექტივის თანახმად, წიგნი აგრეთვე წყაროა, ოღონდ, მეორადი. ა. ფომინის მიხედვით, ლიტერატურული კვლევისათვის საჭირო ნასალა სამ ნაწილად იყოფა: 1) პირველწყაროები, ე. ი. თვით ლიტერატურული ნაწარმოებები, წერილები და დოკუმენტები, 2) წყაროები, მათი გამოცემები, 3) სპეციალური და არასპეციალური სახელმძღვანელოები[57]. პ. ბერკოვი პირველწყაროს მიაკუთვნებს მწერალთა ნაწარმოებების ტექსტებს, ეპისტოლურ, ბიოგრაფიულ და მემუარულ მასალას, ავტობიოგრაფიებს, დღიურებს, უბის წიგნაკებს[58].

გარდა ამისა, ინფორმატიკაში მიღებულია პირველადი დოკუმენტისა და მეორადი დოკუმენტის ცნებები. პირველად დოკუმენტად მიჩნეულია თხზულება, ხოლო მეორად დოკუმენტად, რომელიც შეიცავს ყოველგვარ ცნობას პირველადის შესახებ, ბიბლიოგრაფიული საძიებლები, ანოტაციები, რეფერატები, საცნობარო ლიტერატურა და სხვ[59].

ამდენად, ისევე როგორც წყაროს და გამოკვლევის შემთხვევაში, აქაც სრულიად შეუძლებელია პირველწყაროსა და მეორადი წყაროს დამაჯერებლად გამიჯვნა, თუმცა ლიტერატურაში აღნიშნულია ამის აუცილებლობა კვლევის პროცესში მეტი კონკრეტულობის შესატანად[60].

ხშირად პირველწყაროსა და მეორადი წყაროს საკითხს უკავშირებენ სანდოობის ხარისხს, მაგრამ ამ მხრივაც აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. თუ უმრავლესობის მსჯელობით, ფაქტთან დაახლოებული წყაროები მეტი სანდოობით გამოირჩევა, არსებობს ამის საწინააღმდეგო შეხედულებაც. მაგალითად, ვ. კოსოლაპოვის აზრით, „რაც უფრო მეტი დრო გავიდა მეორად წყაროში აღწერილი მოვლენები-

---

56 К. Г. Митяев. Документоведение, его задачи и перспективы развития. — ВА. 1965. № 2, с. 31; Л. Е. Шепелев. Проблемы архивной эвристики. — Сб. Некоторые вопросы изучения исторических документов XIX—нач. XX в. Л., 1967, с. 19.

57 А. Г. Фомин. Путеводитель по библиографии, историографии, хронологии и энциклопедии литературы. Л., 1934, с. 43.

58 П. Н. Берков. Введение в технику литературоведческого исследования. Л., 1955, с. 51, 52.

59 А. И. Михайлов, А. И. Черный, Р. С. Гиляревский. Основы информатики, с. 108; უ. სიდამონიძე. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები. თბ., 1978. გვ. 73.

60 П. Н. Берков. Введение в технику литературоведческого исследования, с. 51, 52; Н. Ф. Бельчиков. Литературное источниковедение, с. 122.

დან ამ წყაროების გაჩენამდე, ისინი, როგორც წესი, მით უფრო სარწმუნო და ტენდენციურობას მოკლებული არიან"[61].

„პირველწყაროსთან" მიმართებაში სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება ტერმინი „ავთენტიკური წყარო" (ბერძნ. authentikos), რომელთაც მკვლევრები განასხვავებენ ერთმანეთისაგან[62]. პირველწყაროს არ მოეთხოვება მოვლენის უშუალოდ ასახვა, ე. ი. სინამდვილესთან ისეთი კავშირი, როდესაც ავტორსა და მოვლენას შორის არავითარი ზეპირი ან წერილობითი წყარო არ იგულისხმება. მაშინ, როცა ავთენტიკური წყაროსთვის ეს აუცილებელი პირობაა. ავთენტიკური წყაროს ავტორი აღწერილი ამბების თვითმხილველი და თანამონაწილეა. ამ თვისების გამო ავთენტიკურს ზოგჯერ ნამდვილის სინონიმად მიიჩნევენ[63]. აქვე იქცევს ყურადღებას ის ფაქტი, რომ ავთენტიკური უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე ნამდვილი. არ არის აუცილებელი, რომ ყველა ნამდვილი წყარო ავთენტიკური იყოს. ამავე დროს ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ავთენტიკურობა, რომელიც საბოლოო ჯამში მეტად უახლოვდება სანდოობას, არ არის მისი გარანტია[64].

ამავე რიგისაა ნოსაზრება, რომელიც გულისხმობს ისტორიულ წყაროთა დაყოფას ტრადიციად (ან გადმოცემად) და ნაშთად. ეს შეხედულება დაკავშირებულია გერმანელი მეცნიერების დროიზენისა და ბერნჰაიმის სახელთან და საკმაო ხნის მანძილზე გავრცელებული იყო საბჭოურ წყაროთმცოდნეობაში. ვინაიდან ტერმინთა ავტორებმა არ დააზუსტეს მათი მნიშვნელობა, მომდევნო მკვლევრებს ამ საკითხში სრული თავისუფლება მიეცათ[65]. არცთუ იშვიათად ასეთ დაყოფას დოკუმენტურ და თხრობით წყაროებად დაყოფაზე ავრცელებდნენ. წყაროთა დიფერენციაცია ნაშთად და ტრადიციად, რომელსაც უკავშირებდნენ ასახულ ფაქტთან სიახლოვეს ან სანდოობის ხარისხს, სინამდვილის ასახვის უშუალობას, ან წინასწარგანზრახვას და სხვ., ამ-

---

61 В. В. Косолапов. Методология и логика исторического исследования, с. 256.

62 А. Г. Тартаковский. Некоторые аспекты проблемы доказательности в источниковедении. — ИСССР, 1973, № 6, с. 75.

63 მაგალითად, პოლონელი მეცნიერებისათვის „ავთენტიკურობის კრიტიკა" ნამდვილობის დადგენას უდრის (М. Н. Терешко. Теоретические проблемы критики и интерпретации исторических источников в современной польской методологии истории.—В кн.: Вопросы теории как формы мышления, вып. I. Томск, 1970, с. 88—92).

64 А. Г. Тартаковский, Некоторые аспекты проблемы доказательности в источниковедении, с. 75.

65 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 243—248.

ჟამად თითქმის უარყოფილია. მაგრამ მკვლევართა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ მას, როგორც საეუშაო საშუალებას, მაინც აქვს მნიშვნელობა, თუმცა არა როგორც დიქოტომიურ, ე. ი. ერთმანეთის გამომრიცხველ, დაყოფას[66]. ო. მედუშევსკაიას აზრით, წყაროთა დაყოფა ნაშთად და ტრადიციად არ შეიძლება საფუძვლად დაედოს წყაროთა კლასიფიკაციას, რადგან ყველა წყარო თავისი ეპოქის ნაშთია. არ არსებობს წყარო ეხოლოდ ნაშთი, ან მხოლოდ ტრადიცია. მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება, რომ ეს პრობლემა საბოლოოდ მოიხსნას, რადგან მასში, „თუმცა ცალმხრივად, მაგრამ მაინც ჩანს წყაროში სინამდვილის ასახვის დიალექტიკა"[67].

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პირველ რიგში ყურადღებას იქცევს საკითხი, რომელიც გარკვეულწილად იგულისხმება ყველა სხვა შემთხვევაშიც: როგორია ასეთი დაყოფის კავშირი წყაროს სანდოობის ხარისხთან. მიუხედავად იმისა, რომ რეალობასთან სიახლოვეს ლიტერატურაში საფუძვლად ედებდნენ ეანრობრივ დიფერენციაციას (ფ. შელინგი, გ. ჰეგელი, ბ. ბელინსკი), მკვლევართა ნაწილის აზრით, წყაროთა სიახლოვე ასახულ ფაქტთან ან მათი კუთვნილება ამა თუ იმ სახისადმი ყოველთვის არ არის პირდაპირ კავშირში მათი სანდოობის ხარისხთან[68]. უახლესი გამოკვლევები, სადაც საგანგებოდ არის განხილული კლასიფიკაციის პრობლემა წყაროთა სარწმუნოობასთან მიმართებაში და წყაროთა სახის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ნიშნად მიჩნეულია მათი სანდოობის ხარისხი[69]. ცხადყოფენ, რომ აღნიშნულ პრობლემას შემდგომში დაკვირვება და ჩაღრმავებული კვლევა სჭირდება.

როგორც უკვე აღინიშნა, უკანასკნელ ხანებში წყაროთმცოდნეობაში ინტენსიურად მუშავდება ინფორმაციის საკითხები. გარდა იმისა,

---

66 О. М. Медушевская. Современное зарубежное источниковедение. с. 18; она же. Развитие теории советского источниковедения. — ТМГИАИ. т. 24, вып. 2. М., 1966, с. 15; А. Г. Тартаковский. Социальные функции источников как методологическая проблема источниковедения, с. 115.

67 О. М. Медушевская. Современное зарубежное источниковедение. с. 18.

68 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников. с. 215.

69 А. Г. Тартаковский. Некоторые аспекты проблемы доказательности в источниковедении, с. 76; О. М. Медушевская. О проблемах классификации исторических источников. — СА, 1978, № 5. სარწმუნოობის პრინციპით არის დალაგებული მასალა ფრანგი მეცნიერის რ. დელორის ნაშრომში (А. Д. Люблинская. Современная система специальных исторических дисциплин и источниковедения в зарубежной медиевистике.—Проблемы источниковедения истории СССР и специальных исторических дисциплин. М., 1984, с. 148).

რომ თვით ისტორიულ წყაროში გამოიყოფა ინფორმაციის სხვადასხვა სახე, შემოვიდა და დამკვიდრდა ტერმინი „წყაროსგარეშე ცოდნა“, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ.

ცნობილია, რომ წყარო შეიცავს არა მარტო იმ ინფორმაციას, რომელიც მასში განზრახ არის ჩადებული, არამედ აგრეთვე ისეთსაც, რომელიც არ არის დამოკიდებული ავტორის ნებაზე. ასეთ ინფორმაციას, ჩვეულებრივ, უწოდებენ არაპირდაპირს, ფარულს, პოტენციურს, სტრუქტურულს, ან უნებლიეს. პირველი სახის ინფორმაციას ეკუთვნის პირდაპირი, გამოხატული, აქტუალური, ღია, განზრახული[70]. ლიტერატურაში შეინიშნება ამ მსგავსი, ფაქტობრივად, სინონიმური ტერმინებისათვის განსხვავებული შინაარსის შეფარდების ცდები.

ერთგვარი სუბიექტურობით ხასიათდება, მაგალითად, ა. კურნოსოვის მიერ შემოთავაზებული ახსნა გამოთქმებისა — „უნებლიე“, „სტრუქტურული“, „ფარული“ ინფორმაცია. მისი განმარტება, რომ უნებლიე (ненамеренная) ის ინფორმაციაა, რომელიც შესულია წყაროში ავტორის სურვილის გარეშე, კამათს არ იწვევს. მაგრამ შემდეგ, როდესაც მკვლევარი ეხება გამოთქმებს — „სტრუქტურული“ (რომელიც წყაროთმცოდნეობაში გამოიყენება „ფარულის“ სინონიმად) და „ფარული“, იგი შენიშნავს: „სტრუქტურული აფიქსირებს საზოგადოების სტრუქტურულ თავისებურებებს, „ფარული“ ინფორმაცია კი დაფარულია მომხმარებელთათვის, როგორც თანამედროვე, ასევე მომდევნო თაობებისათვის (თანამედროვენი არ აღიქვამენ მას იმის გამო, რომ მათ ავტორთან საერთო სოციალური და ისტორიულ-კულტურული გარემო აქვთ; მომდევნო ხანის ისტორიკოსთათვის დაფარულია იმის გამო, რომ განსხვავებული სოციალური გარემოდან მომდინარეობს)“[71].

ინფორმაციის სტრუქტურის დახასიათების საინტერესო ცდა ეკუთვნის მ. ვარშავჩიკს, რომელიც წყაროში გამოყოფს სამ ფენას: 1) გამოხატული (ან აქტუალური) და პოტენციური ინფორმაცია; მათი თანაფარდობა იცვლება კვლევის პროცესში, რამდენადაც პოტენციური ინფორმაცია გამოხატულ ინფორმაციად გადაიქცევა. 2) პირდა-

---

[70] И. Д. Ковальченко. Исторический источник в свете учения об информации. — ИСССР, 1982, № 3; А. А. Уйбо. Информационный подход к типологии исторических источников; О. М. Медушевская. Теоретические проблемы источниковедения. М., 1977, с. 70; С. О. Шмидт. О критериях оценки исторических источников. — В сб.: Вопросы научного атеизма. М., 1976, с. 96.

[71] ა. კურნოსოვის გამოსვლა წყაროთმცოდნეთა III საკავშირო სესიაზე (Проблемы источниковедения истории СССР и специальных исторических дисциплин, с. 189—190).

პირი და ირიბი ინფორმაცია, რომელიც ჩვენ ეს ამის როგორც ცნობები წყაროში ასახული ძირითადი საგნის შესახებ, და შემთხვევითი მონაცემები, დაკავშირებული ძირითადთან. 3) ღია და ფარული ინფორმაცია. პირველი არის ის, რასაც ავტორი მოგვითხრობს, მეორე კი — მისი ქვეტექსტი ანუ ის, თუ რატომ და როგორ საუბრობს ავტორი იმაზე, რაზეც საუბრობს[72].

„ძველი აღმოსავლეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობის" შესავალში წყაროს ინფორმაცია დახასიათებულია როგორც 1) განზრახული, შეგნებული, 2) უნებლიე, 3) რეალური ვითარების შეგნებული ან უნებლიე დამახინჯება, ანუ დეზინფორმაცია[73].

ვინაიდან წყარო რთული ბუნებისაა და ამოუწურავ ინფორმაციას შეიცავს, ძიება ამ მიმართულებით პერსპექტიულია და ხელს უწყობს ისტორიული ძეგლის ინფორმაციული პოტენციის უფრო სრულად გახსნას.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, წყარო არ არის ისტორიული ცოდნის ერთადერთი საფუძველი. გამოთქმულია მოსაზრებები, რომ ნებისმიერი წყაროს კვლევისას წყაროსგარეშე ცოდნას ნეტი ხვედრითი წილი აქვს, ვიდრე იმ ცოდნას, რომელსაც თვით ეს ძეგლი იძლევა. წყაროს მონაცემებს ამდიდრებს იმ ექსპერიმენტების შედეგები, რომელთა საშუალებითაც შეისწავლება პირველყოფილი ტექნიკა. გარდა ამისა, ისტორიკოსი ატარებს აზრობრივ ექსპერიმენტებს, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მის წარმოსახვის უნარს[74]. ამის საპირისპიროდ გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ე. წ. „წყაროსგარეშე ინფორმაცია" კვლავ წყაროზეა დამყარებული, და ყველაფერი, რაც ვიცით წარსულის შესახებ, ვიცით ისევ და ისევ წყაროდან[75], რომელიც ისტორიული ცოდნის ერთადერთი ემპირიული საფუძველია[76]. ცოდნას, რომელსაც ისტორიული მასალის კვლევი-

---

72 М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение. с. 62—66.

73 В. И. Кузищин. Введение (Некоторые проблемы источниковедения истории Древнего Востока). — Источниковедение истории Древнего Востока. М., 1984, с. 8. სოციალური ინფორმაციის სხვადასხვა სახეს არჩევენ—პოლიტიკურს, სამართლებრივს, ეთიკურს, ესთეტიკურს, რელიგიურს და სხვ. (А. Д. Урсул. Проблема информации в современной науке, с. 201); გარდა ამისა, მასობრივს და სპეციალურს (Основные проблемы информатики и библиотечно-библиографическая работа. Л., 1976, с. 24).

74 А. Г. Кузьмин. Начальные этапы древнерусского летописания. М., 1977, с. 13.

75 В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод, с. 209—210.

76 Я. С. Лурье. Михаил Дмитриевич Приселков — источниковед. — ТОДРЛ, XVIII. М.—Л., 1962, с. 469; он же. О некоторых принципах кри-

სას იყენებენ წყაროს ცნობების გარდა, „აპრიორულსაც“ უწოდებენ[77].

მიუხედავად აზრთა ასეთი სხვადასხვაობისა, ტერმინი „წყაროსგარეშე ცოდნა“ ერთხმად არის მიღებული, თუმცა ნისი შინაარსი და შეფარდება წყაროს ინფორმაციასთან ლიტერატურაში ერთნაირად არ არის გაგებული. არაიშვიათად ეს შეხედულებები სცილდება იმ თავდაპირველ მნიშვნელობას, რომელიც დაუკავშირა ტერმინს მისმა ავტორმა, პოლონელმა მეცნიერმა ე. ტოპოლსკიმ. პირველ რიგში „წყაროსგარეშე ცოდნა“ ნას ესმოდა როგორც პირობითი, სამუშაო ტერმინი, რომელიც ასახავს ისტორიკოსის წყაროზე მუშაობის პროცესს. ამ ტერმინის შინაარსში იგულისხმება 1) ყველაფერი, რაც ვიცით, გარდა ინფორმაციისა ისტორიული ფაქტების შესახებ (ე. ი. ზოგადი ცოდნა პოტენციური აზრით), 2) ყველაფერი, რაც ვიცით ფაქტების შესახებ, გარდა მოპოვებული ინფორმაციისა (ზოგადი ნოქმედი ცოდნა), 3) ყველაფერი, რაც შეიძლება ვიცოდეთ, გარდა ინფორმაციისა (საერთოდ არსებული ან მოპოვებული) ისტორიული ფაქტების შესახებ, რაც გვაძლევს უფლებას გავცეთ პასუხი ამა თუ იმ საკვლევ საკითხზე (პოტენციური აზრით შეფარდებითი ცოდნა), 4) ყველაფერი, რაც ვიცით, გარდა ისტორიული ფაქტების შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა, რაც გვაძლევს საშუალებას გავცეთ პასუხი საკვლევ საკითხზე (შეფარდებითი მოქმედი ცოდნა)[78].

ე. ტოპოლსკის მსჯელობიდან გამომდინარე, წყაროსგარეშე ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კვლევის ევრისტიკულ ფაზაში, საკვლევი თემის შერჩევის, საკითხის დასმის და წყაროს გამოვლენის დროს, არამედ თვით წყაროს შესწავლის პროცესშიც, სადაც ის შეუდარებლად ჭარბობს თვით წყაროს ინფორმაციას.

ტერმინის ინტერპრეტაცია და მისი მნიშვნელობის ასეთი შეფასება არ გაიზიარეს სხვა მეცნიერებმა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ყოველი მეცნიერი კვლევის პროცესში სარგებლობს დიდი მოცულობის წყაროსგარეშე ინფორმაციით, მაგრამ მისი მნიშვნელობის გაზვიადება გაუმართლებელია[79]. თავისებურად განმარტავს „წყაროსგარეშე ცოდნის“ მნიშვნელობას ი. ლურიე, რომელიც უკავშირებს მას ძირითადად კვლევის სფეროს შერჩევას და საკითხის დასმას. რაც შეეხება

тики источников. — В кн.: ИОИ, I. М., 1973, с. 100; он же. Логические основы критики источника. — ИР. 1985. Тбилиси, 1988.

77 А. В. Кузьмин. О предмете исторической науки. — В кн.: Предмет и структура общественных наук. М., 1984, с. 121.

78 Е. Топольский. О роли внеисточникового знания в историческом исследовании. — ВФ, 1973, № 5, с. 79.

79 М. Н. Терешко. Соотношение источниковой и внеисточниковой информации в историческом исследовании. — Ученые записки Томского гос. университета, 1975, № 9, с. 78.

წყაროს კრიტიკას, აქ წყაროსგარეშე ცოდნა, მართალია, მონაწილეობს, მაგრამ არავითარი დამამტკიცებელი ძალა არ გააჩნია და გადამწყვეტი მნიშვნელობა წყაროს ინფორმაციას ენიჭება. მკვლევრის აზრით, „კონკრეტული ფაქტების გამოტანა წყაროსგარეშე მსჯელობიდან იწვევს ინდუქციური მსჯელობის დედუქციურით შეცვლას და წყაროთმცოდნეობით კვლევაში საკმარისი საფუძვლიანობის კანონის დარღვევას“[80].

გამოთქმა „წყაროსგარეშე ცოდნა“, ბუნებრივია, უკავშირდება თვით წყაროს ცნების გაგებას. ის ავტორთათვის, რომლებიც წყაროდ არ მიიჩნევენ ისტორიულ გამოკვლევას, წყაროსგარეშე ლოგიკურად გულისხმობს იმ ცოდნას, რომელიც მიიღება ისტორიოგრაფიიდან, ისტორიული გამოკვლევიდან, მათ შორის ამავე მკვლევრის მიერ წყაროთა საფუძველზე ადრე ჩატარებული გამოკვლევებიდანაც[81].

ამდენად, ნათელი ხდება, რომ „წყაროსგარეშე ცოდნა“ პირობითი ტერმინია და აღნიშნავს მთელ იმ ცოდნას, რომელიც ერთი კონკრეტული წყაროს შესწავლისას აქვს კონკრეტულ მკვლევარს, აღნიშნული წყაროს მონაცემების გარეშე. იმ მოსაზრების შესაბამისად, რომელიც ისტორიულ წყაროდ მხოლოდ ადამიანის მოღვაწეობის შედეგს მიიჩნევს[82], წყაროსგარეშე ცოდნად უნდა იქნეს გაგებული ის მონაცემებიც, რომლებიც მიიღება დანარჩენი მოვლენებიდან და ობიექტებიდან, მათ შორის, პირველ რიგში, ბუნებრივი გარემოდან.

ბუნებრივი, ან გეოგრაფიული გარემოს როლი ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში, ერთხანს თითქმის უგულებელყოფილი იყო საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. ერთგვარი შემობრუნება ამ მხრივ დაიწყო 60-იანი წლებიდან. ზედიზედ ჩნდება გამოკვლევები. სადაც ისმება ასეთი დამოკიდებულების გადასინჯვის აუცილებლობის საკითხი[83]. სპეციალურ გამოკვლევებში კარგად არის ნაჩვენები ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში. მაგრამ ერთი საკითხია გეოგრაფიული გარემოს როლი კაცობრიობის ისტო-

---

80 Я. С. Лурье. Логические основы критики источника, с. 69—71.

81 М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 47; М. Н. Терешко. Соотношение источниковой и внеисточниковой информации в историческом исследовании, с. 74—79.

82 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 62—63; он же. Диалектическое единство объективного и субъективного в определении исторического источника. — ПР, 1979. Тбилиси, 1984, с. 161.

83 არსებობს ამ საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომები ქართულ ენაზე (გ. ყორანაშვილი. გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში. თბ., 1975; გ. მარგიანი. გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში. თბ., 1985 (იხ. იქვე ლიტერატურა). ამ საკითხზე ლიტერატურა იხ. А. В. Дулов. Литература о роли географической среды в истории общества.—ВИ, 1973, № 8, с. 143—148.

რიაში, ხოლო სხვაა თუ რამდენად შეიძლება მისი როგორც ისტორიული წყაროს განხილვა.

ჯერ კიდევ 1962 წ., როგორც აღვნიშნეთ, ს. შმიდტმა შეიმუშავა ისტორიული წყაროს ფართო განსაზღვრება: „წარსულისა და აწმყოს ყოველგვარი მოვლენა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შესასწავლად"[84]. ამ შეხედულებაში დაზუსტებული არ იყო, იგულისხმებოდა თუ არა აღნიშნულ დეფინიციაში ბუნებრივი გარემო. მკვლევრის შემდგომი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ „ისტორიული ინფორმაციის წყარო" (ს. შმიდტის გაგებით) მოიცავს არამარტო ადამიანის შრომის შედეგებს, არამედ იმასაც, რაც ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობს. მაგრამ ერთგვარად განსაზღვრავს ცხოვრების განვითარებას. ამასთან ერთად, მკვლევრის აზრით, არსებობს ადამიანის შრომის შედეგად წარმოქმნილი საკუთრივ ისტორიული წარმოშობის წყაროები ან ისტორიული წყაროები, რომელთაც იგი აგრეთვე ისტორიულ ძეგლებსაც უწოდებს.

ზოგიერთი მკვლევარი ბუნებრივ გარემოს ისტორიულ წყაროთა რიგში განიხილავს[85].

ასევე დგას ანთროპოლოგიური მონაცემების საკითხიც. სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ არის შესწავლილი ანთროპოლოგიის, კერძოდ, ეთნიკური ანთროპოლოგიის მნიშვნელობა ისტორიული კვლევისათვის. ეს მონაცემები, რომლებიც საყურადღებო მასალას იძლევა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის და ხალხთა მიგრაციის საკითხების შესასწავლად, განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთ შემთხვევებში, როდესაც არ არის შემონახული წყაროთა სხვა ტიპები[86]. ამის გამო ანთროპოლოგიურ მონაცემებს ზოგჯერ ისტორიულ წყაროთა შორისაც კი ათავსებენ[87].

ა. უიბმ, რომელიც წყაროს ფართო ინტერპრეტაციას მიემხრო, იმის დასასაბუთებლად, რომ ბუნებრივი გარემო და ანთროპოლოგი-

---

84. С. О. Шмидт. Вопросы преподавания источниковедения, с. 115; он же. Источниковедение в кругу других научных дисциплин и вопросы классификации источников, с. 5—8. განსაკუთრებით გაღრმავებულია აზრი ბუნებრივი გარემოს გადამწყვეტი როლის შესახებ კაცობრიობის ისტორიაში ს. შმიდტის ნაშრომში— Источниковая база исторической науки и классификация исторических источников, с. 157—159.

85 В. И. Кузищин. Некоторые проблемы источниковедения истории Древнего Востока, с. 9.

86 М. В. Витов. Антропологические данные как источник по истории колонизации русского Севера. — ИССР, 1964, № 6, с. 81—103.

87 А. И. Першиц. Понятие и классификация источников. — В кн.: История первобытного общества. Проблема антропосоциогенеза. М., 1983.

ური მონაცემები ისტორიული წყაროა, ჩოიტანა თავის ქალის მიხედვით პორტრეტის რეკონსტრუქციისა და კბილების მიხედვით პირველყოფილი ადამიანის დიეტის დადგენის მაგალითები. ავტორი შეჩერდა აგრეთვე ბუნებრივ მოვლენათა ზუსტი დათარიღების ზოგიერთ მეთოდზე, რომელიც შემუშავებულია ნეცნიერების სხვადასხვა დარგებში[88].

ბუნებრივი გარემოს ისტორიული წყაროს ცნებასთან დაკავშირებისაკენ თითქოს იხრება ა. ლუბლინსკაია, რაც ჩანს მის მიერ ფრანგი მეცნიერის რ. დელორის ნაშრომის — „დამხმარე დისციპლინათა შესავალი" (1969) — განხილვაში[89]. რ. დელორის ნაშრომში გეოფიზიკის, ანთროპოლოგიის, გენეალოგიის თავები განხილულია მჭიდრო კავშირში დემოგრაფიასთან, სოციალურ ისტორიასთან, გენეტიკასთან, ეკონომიკასთან. მედიცინასთან და სხვ.

მკვლევართა ნაწილი (გ. ივანოვი, ო. მედუშევსკაია, ლ. პუშკარიოვი და სხვ..) წყაროს ასეთ ფართო გაგებას მხარს არ უჭერს. თუმცა არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ისტორიკოსი კვლევის დროს ითვალისწინებს მედიცინის, ანთროპოლოგიის, გეოფიზიკის, ქიმიის და სხვა დარგების მონაცემებს. ცოდნის ეს ნაწილი საკმაოდ ნნიშვნელოვანია ისტორიული მეცნიერებისათვის.

გარდა ამისა, არავითარ კამათს არ იწვევს ისიც, რომ ბუნებრივი მოვლენების ის ნაწილი, რომელიც შესულია ყოფაში და გარკვეულ როლს თამაშობს საზოგადოებრივ ურთიერთობებში, უშუალოდ ისტორიული წყაროა[90]. ეს ფაქტი, თავის მხრივ, ვფიქრობთ, გამორიცხავს წყაროს როგორც მხოლოდ ადამიანის მოღვაწეობის ან შრომის პროდუქტის განსაზღვრებას. სწორედ აქ კარგად ჩანს მჭიდრო კავშირი ადამიანთა საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოს შორის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიული წყაროს ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა მისი უნარი ასახოს ისტორიული სინამდვილე, ე. ი. ადამიანის მოღვაწეობის ესა თუ ის მხარე. რაც შეეხება იმას, არის თუ არა ბუნებრივი გარემო ისტორიული წყარო, ეს საკითხიც დადებითად ან უარყოფითად შეიძლება გადაწყდეს იმის მიხედვით, აქვს თუ არა მას არა ნებისმიერი ასახვის, რომელიც ყოველგვარი მატერიის თვისებაა, არამედ ისტორიული პროცესის ასახვის უნარი. ვფიქრობთ, ბუნებრივი გარემო იმდენად ასახავს მას, რამდენადაც ექვემ-

---

88 А. А. Уйбо. Информационный подход к типологии исторических источников, с. 58.

89 А. Д. Люблинская. Современная система специальных исторических дисциплин, с. 146—153.

90 Г. М. Иванов, А. М. Коршунов, Ю. В. Петров. Методологические проблемы исторического познания, с. 121.

დებარება გარდაქმნას და სამსახურს უწევს ადამიანს. აქედან გამომდინარე, უფრო მართებული ჩანს იმ მკვლევართა შეხედულება, რომლებიც ბუნებრივ გარემოს და ანთროპოლოგიურ მონაცემებს განიხილავენ, როგორც საბუნებისმეტყველო და ისტორიულ მეცნიერებათა მიჯნაზე მოთავსებულ ნასალას[91].

განხილულ მოსაზრებათა გათვალისწინებით, ისტორიული წყაროს განმარტება, რომელსაც მ. ვარშავჩიკი იძლევა („ისტორიული ინფორმაციის მატარებელი, შექმნილი როგორც გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტი, რომელიც უშუალოდ ასახავს ადამიანთა მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს)"[92], ძირითადად მისაღები ჩანს ზოგიერთი კორექტივით.

ისტორიული წყარო ისტორიული ინფორმაციის მატერიალური მატარებელია, რომელიც წარმოიქმნება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში ან შემდგომ იქნება ჩართული ამ ურთიერთობაში და ასახავს ადამიანთა მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს.

წყაროს ასეთი გაგებიდან გამომდინარე, ᲐᲘᲡ სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს ისტორიული ძეგლი ან მასალა[93].

---

[91] Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 74—87.

[92] М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 68—69.

[93] თუმცა თითოეული მათგანის მიმართ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია შენიშვნები. მაგალითად, ლ. პუშკარიოვი ისტორიული წყაროს მასალად მიჩნევის წინააღმდეგი იყო, კერძოდ, ისეთი ტიპების, როგორც არის ენის მონაცემები (Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 60); გ. ივანოვმა არ გაიზიარა მისი ეს მოსაზრება იმის გამო, რომ თანამედროვე მეცნიერებაში როგორც ბგერითი, ასევე წერილობითი წყარო განიხილება როგორც ნიშნების მატერიალური სისტემა (გ. ივანოვის გამოსვლა წყაროთმცოდნეთა III საკავშირო სესიაზე—Материалы дискуссии, с. 191). ისტორიული ძეგლისა და ისტორიული წყაროს მიმართების საკითხებზე მსჯელობისას ა. ტარტაკოვსკიმ საერთოდ უარყო ტერმინ „ისტორიული ძეგლის" საჭიროება, რასაც სხვები არ დაეთანხმენ (მაგ., ს. დმიტრიევის გამოსვლა წყაროთმცოდნეთა საკავშირო სიმპოზიუმზე.—Материалы симпозиума по актуальным проблемам источниковедения, с. 239).

ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია

წყაროთმცოდნეობის ძირითადი ამოცანაა ისტორიული წყაროდან ინფორმაციის მიღების ხერხებისა და მეთოდების შემუშავება. საამისოდ კი საჭიროა წყაროთა ისეთი ჯგუფების გამოყოფა, რომელთა მიმართ შეიძლება კვლევის ერთნაირი მეთოდების გამოყენება. ამდენად, წყაროთა კლასიფიკაცია წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი ძირითადი თეორიული პრობლემაა. ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია იმ პრობლემათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც მუდმივ გადასინჯვასა და შევსება-დაზუსტებას საჭიროებენ მეცნიერების განვითარების საერთო დონის შესაბამისად. თავის მხრივ, ზუსტი კლასიფიკაცია ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარების, წყაროს სიღრმეში წვდომის, მისი შემეცნების ძირითადი საშუალებაა.

ისევე როგორც წყაროთმცოდნეობის სხვა პრობლემებზე მსჯელობისას, კლასიფიკაციის საკითხშიც პირველ რიგში აუცილებელია შესაბამისი ტერმინოლოგიის დადგენა. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ტერმინების — „სისტემატიზაციისა" და „კლასიფიკაციის" — ურთიერთმიმართება. ამ საკითხზე რამდენიმე შეხედულება არსებობს. მოსაზრებას, რომ კლასიფიკაცია ობიექტურად არსებული დიფერენციაციაა, ხოლო სისტემატიზაცია — ნებისმიერი ხელოვნური დაჯგუფება[1], უპირისპირდება შეხედულება, რომლის მიხედვით, კლასიფიკაცია განმარტებულია როგორც „ობიექტთა ნებისმიერი სიმრავლის (კლასების) ქვესიმრავლეებად (ქვეკლასებად) დაყოფა ნებისმიერი

---

[1] Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников по отечественной истории. М., 1975, с. 230—242; В. И. Кузищин. Некоторые аспекты теории источниковедения. — Источниковедение истории Древней Греции. М., 1982, с. 20; Н. П. Ковальский. Проблемы классификации письменных источников в современной советской историографии. — «Актуальные проблемы источниковедения и специальных исторических дисциплин». Тезисы докладов IV Всесоюзной конференции. Днепропетровск, 31 окт. — 2 ноября 1983 г. М., 1983, с. 21—22. ბ. იაკუშინის აზრით, სისტემატიზაციის დანიშნულებაა სისტემაში მოიყვანოს ცნებები, ტერმინები, მატერიალური ობიექტები, კლასიფიკაცია კი იდეალურ სფეროს განეკუთვნება და გულისხმობს მხოლოდ ობიექტურ ცნებათა ურთიერთობას—დაქვემდებარებას, გარდაკვეთას და ა. შ. (Б. В. Якушин. Слово. Понятие. Информация, с. 168).

ნიშნით". ხოლო სისტემატიზაციად მიჩნეულია „ობიექტების ისეთი მოწესრიგება, რომელიც თვით ბუნების მიერ გამოყოფილი პრივილეგირებული სისტემის სტატუსს იძენს"[2]. მესამე შეხედულება არ უპირისპირებს ერთმანეთს სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას და განიხილავს მათ როგორც ერთი და იმავე პროცესის სხვადასხვა დონეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა.

მ. ვარშავჩიკის სიტყვით, „სისტემატიზაცია კლასიფიკაციის უმაღლესი დონეა". კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციასთან ერთად მეცნიერი ფართო მნიშვნელობით იყენებს ტერმინ „დაჯგუფებას", რაც გულისხმობს როგორც ნებისმიერ, ასევე ბუნებრივ გაერთიანებას[3]. მკვლევართა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ „კლასიფიკაცია სქემის შექმნაა, ხოლო სისტემატიზაცია — მასში მასალის განლაგება"[4].

ჯერ კიდევ 20-იან წლებში გამოთქმული იყო აგრეთვე მოსაზრება, რომ „კლასიფიკაცია ლოგიკური დაყოფაა, ხოლო სისტემატიზაცია — მასალის ნაკლებად ლოგიკური დაყოფა"[5]. კ. რუდელსონის აზრით, „სისტემატიზაცია" და „კლასიფიკაცია" ერთი და იმავე პროცესის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი მხარეა[6].

მ. მაკაროვის მსჯელობა კლასიფიკაციაზე გამომდინარეობს მისი შეხედულებიდან ისტორიულ წყაროზე. მეცნიერი განასხვავებს ისტორიულ წყაროთა და ისტორიულ ძეგლთა კლასიფიკაციას. ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია მას მიაჩნია ხელოვნურ კლასიფიკაციად, რომე-

---

2 С. В. Мейн. Ю. А. Шрейдер. Методологические аспекты теории классификации. — ВИ, 1976, № 12, с. 69.

3 М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение. Киев, 1984, с. 169.

4 კ. მატიაევი აღნიშნავს, რომ სისტემატიზაცია არის კერძო მოვლენათა საბოლოო დაჯგუფება მსგავსების ან სხვაობის მიხედვით (ინდუქციური მეთოდი). მაგრამ მოვლენათა ყოველმხრივი შესწავლის დროს არ შეიძლება, რომ უპირატესობა მხოლოდ ინდუქციას ენიჭებოდეს, ამიტომ სისტემატიზაციასთან ერთად აუცილებელია კლასიფიკაცია — წინასწარი დაყოფა ნაწილებად მსგავსების ან სხვაობის მიხედვით (დედუქციური მეთოდი). ავტორის აზრით, წინასწარი საკლასიფიკაციო დაყოფა შეიძლება და სასურველია, რომ დაემთხვეს იმ ჯგუფებს, რომლებიც მიღებულია სისტემატიზაციის გზით. კლასიფიკაციის საბოლოო პრაქტიკული მიზანია, მისი შეხედულებით, საკლასიფიკაციო სქემის შემუშავება. (К. Г. Митяев. Теория и практика архивного дела. М., 1946, с. 98—99; он же. О месте, границах и основаниях классификации в советском архивоведении.—ТМГИАИ, т. 15. М., 1962; იხ. აგრეთვე: В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод. М., 1984, с. 192).

5 А. Е. Пресняков. Лаппо-Данилевский как ученый и мыслитель.— Русский исторический журнал, 1920, № 6, с. 94.

6 К. И. Рудельсон. Советская историография по вопросам классификации архивных документов. — СА, 1972, № 1, с. 52—62.

ლიც ტარდება ამა თუ იმ პრობლემის კვლევისას, გარკვეული მიზნით, თვით მკვლევრის ნიერ, ნებისმიერი პრინციპით. წყაროთა კლასიფიკაციის ასეთი ინდივიდუალური სქემის შექმნა, მისი აზრით, კვლევის აუცილებელი საფეხურია. ხოლო ისტორიულ ძეგლთა კლასიფიკაცია ითვალისწინებს შინაგან ფორმას, შინაარსს და წარმოშობას. ასეთად მას მიაჩნია, მაგალითად, დაყოფა თხრობით და სააქტო წყაროებად[7].

აზრთა ასეთი სხვადასხვაობის პირობებში ზოგიერთი მეცნიერი ინარჩუნებს ტერმინებს — „ხელოვნური კლასიფიკაცია“ და „ბუნებრივი კლასიფიკაცია“[8].

როგორც ვხედავთ, კამათი ძირითადად საკითხის ტერმინოლოგიურ მხარეს ეხება. მაგრამ არანაკლები სირთულეებია დაკავშირებული წყაროთა პრაქტიკულად გამიჯვნასთან. ისტორიული პროცესების არასაკმარისი შესწავლა, ობიექტურ კანონზომიერებათა არცოდნა საფუძველი ხდება ზოგჯერ მცდარი შეხედულებისა წყაროთა ობიექტურად არსებულ დიფერენციაციათა შესახებ. მაგალითად, არ შეიძლება ბუნებრივ კლასიფიკაციად ჩაითვალოს კ. პეტრიაევის მიერ შემოთავაზებული დაყოფა ძირითად, დამატებით და სარეზერვო წყაროებად. ძირითადს ავტორი აკუთვნებს წყაროებს, „რომლებიც აფიქსირებენ საზოგადოების სტრუქტურის გადამწყვეტ სფეროში მოხდარ მოვლენებს და მიმდინარე პროცესებს და განვითარების მთავარ კანონზომიერებებს“; დამატებითს — იმ წყაროებს, რომელთა შინაარსი „ხელს უწყობს ძირითად კანონზომიერებათა ცალკეულ მხარეებსა და ამ კანონზომიერებათა მისთვის სპეციფიკურ ფორმებში გარკვევას სხვადასხვა კონკრეტულ ისტორიულ პირობებსა და ქვეყნებში“; სარეზერვო კი, მისი აზრით, მოიცავს წყაროებს, „რომელთა შესწავლა იძლევა საზოგადოებრივი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ძირითად ელემენტთა არათავარი ან ზედნაშენური მოვლენების და ფაქტების ცოდნას“. ვკვლევრის შენიშვნით, მიმდინარე ამოცანათა შესაბამისად, შესაძლებელია სარეზერვო წყაროთა დამატებითში, ან დამატებითის ძირითად წყაროთა რიგში გადაადგილება[9]. ზოგჯერ ინფორმაციის სამეცნიერო თეორიაზე დაყრდნობით,

---

[7] М. К. Макаров. К вопросу о терминологии в источниковедении истории СССР. — ТМГИАИ, т. 17. М., 1969, с. 6.

[8] Г. Г. Аласания. Классификация грузинских письменных исторических источников. Тбилиси, 1986, с. 36, 37; С. О. Шмидт. Источниковая база исторической науки и классификация исторических источников.—Историческая наука. Вопросы методологии. М., 1986 (ამავე დროს ს. შმიდტი ტერმინ „სისტემატიზაციას“ ხელოვნური კლასიფიკაციის სინონიმად მიიჩნევს).

[9] К. Д. Петряев. Гносеологические и методологические основы источниковедения. Киев. 1978, с. 35. ამ შეხედულების მიმართ უარყოფითი მოსაზრება

ბუნებრივ კლასიფიკაციად მიჩნეულია „რეალურ“ და „პოტენციურ“ წყაროებად დაყოფა სამეცნიერო მიმოქცევაში მათი შესვლის მიხედვით[10], რაც სუბიექტურ ფაქტორებს ემყარება და, ამდენად, ეწინააღმდეგება ბუნებრივი კლასიფიკაციის პრინციპს.

არ შეიძლება ბუნებრივი კლასიფიკაციის საფუძვლად არც კლასობრივი პრინციპის, პარტიული მიმართულების მიჩნევა, თუმცა მსგავსი ცდები შეინიშნება სამეცნიერო ლიტერატურაში. ასეთი მიდგომის შედეგად, როდესაც საწყისად აღებულია წყაროს შემდგენელის პოლიტიკური შეხედულებები, პარტიულობა, მიიღება შერეული კლასიფიკაციები ბუნებრივი და ხელოვნური ელემენტებით. მსგავს შემთხვევებში ხდება ერთი და იგივე ცნების გამეორება ერთსა და იმავე საფეხურზე[11].

შედარებით მიმზიდველი ჩანს წყაროთა ისტორიული პრობლემების მიხედვით დაჯგუფების იდეა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საჭიროა ისეთი პრობლემების გამოყოფა, რომლებიც წყაროთა მსგავსი სახეების გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა, რაც საკმაოდ ძნელია. ამიტომ, ჩვეულებრივ, მსგავსი ცდებიც უშედეგოდ მთავრდება. არაერთი შენიშვნა გამოითქვა ა. ზიმინის წინადადების მიმართ, რომ წყაროები დაჯგუფებულიყო შემდეგი პრობლემების მიხედვით: 1) სოციალურ-ეკონომიკური ისტორია, 2) საშინაო და საგარეო პოლიტიკის ისტორია, 3) საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრისა და კულტურის ისტორია[12]. ამასვე უახლოვდება ს. კაშტანოვის და ა. კურნოსოვის

გამოითქვა სამეცნიერო ლიტერატურაში (М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 142).

10 Н. П. Ковальский. Проблемы классификации письменных источников, с. 26.

11 М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение. с. 149, 165, 167.

12 დაყოფა შემოთავაზებულია სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის კურსის პროგრამის პროექტში. ასეთი კლასიფიკაციის განხორციელების შეუძლებლობაზე მიუთითებენ ა. პრონშტეინი და ვ. სტრელსკი (А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения. Ростов-на-Дону, 1976, с. 29; В. И. Стрельский. Теория и методика источниковедения истории СССР. Киев, 1968, с. 72). ა. ტარტაკოვსკი აგრეთვე ფართოდ მსჯელობს იმის თაობაზე, თუ რატომ არ შეიძლება ბუნებრივ კლასიფიკაციას საფუძვლად დაედოს თემატური პრინციპი (А. Г. Тартаковский. Проблемы источниковедения истории России XIX—нач. XX в. в новом учебном пособии.—ИСССР, 1971, № 4, с. 190; სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ისტორიულ ფაქტთა კლასიფიკაცია მათი გენეტიკური კუთვნილების მიხედვით—ეკონომიკური, პოლიტიკური ისტორიის ფაქტები და ა. შ., სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი შემეცნებითი შესაძლებლობები მხოლოდ დასახელებული ცნებებით განისაზღვრება, ვინაიდან ყოველი მათგანი რთული აგებულებისაა

მოსაზრება წყაროთა წარმოშობის მიხედვით დაყოფის შესახებ: 1) სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა, 2) სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის, საზოგადოებრივი აზრის და კულტურის, 3) საოჯახო-პირად ურიერთობათა — სფეროებში[13]. ასეთი მსხვილი პრობლემები ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს მოიცავს და იწვევს ერთ ჯგუფში სხვადასხვა სახის წყაროების გაერთიანებას, რომელთა მიმართ შეუძლებელია კვლევის ერთნაირი მეთოდების გამოყენება. ეს კი, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის მათ წყაროთმცოდნეობით შესწავლას.

კლასიფიკაციის მნიშვნელობა მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მეცნიერება მხოლოდ იქამდე შეიძლება გაფართოვდეს, ვიდრე ზუსტი კლასიფიკაციის შესაძლებლობა ვრცელდება"[14]. მიუხედავად ამისა, კლასიფიკაციის მნიშვნელობა წყაროთმცოდნეობაში სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად იყო შეფასებული. მაგ., თუ 60-იანი წლების დასაწყისში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ლ. ჩერეპნინს კლასიფიკაცია არ ნიაჩნდა წყაროთმცოდნეობის ძირითად საკითხად[15], მოგვიანებით იგივე მეცნიერი მას ამ დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად განიხილავდა[16]. უკანასკნელ აზრს ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ისტორიულ წყაროებზე მუშაობა მათი კლასიფიკაციის შესწავლით იწყება[17]. ეს სავსებით მართებული შეხედულებაა, ვინაიდან წყაროთა კლასიფიკაცია შეუეცნების ძი-

---

(М. А. Барг. Исторический факт: структура, форма, содержание.—ИСССР, 1976, № 6, с. 59).

[13] С. М. Каштанов, А. А. Куриносов. Некоторые вопросы теории источниковедения. — ИА, 1962, № 4, с. 109. დისკუსიაში აღნიშნული სტატიის ირგვლივ მოცემული იყო ამ კლასიფიკაციის კრიტიკაც. მის ნაკლზე უთითებს მ. ვარშავჩიკიც (М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 148).

[14] Н. Н. Аблов. Классификация книг, ее история и методы в связи с классификацией вообще. Иваново-Вознесенск, 1921, с. 3.

[15] ლ. ჩერეპნინის მოსაზრება გამოთქმულია დისკუსიაში ს. კაშტანოვისა და ა. კურნოსოვის სტატიასთან დაკავშირებით (Некоторые вопросы теории источниковедения.—ИА, 1962, № 4, с. 189). თუმცა იმავე ხანებში არსებობდა განსხვავებული აზრიც, რომელიც წყაროთა კლასიფიკაციას თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად აღიარებდა (Н. А. Ивницкий. Обсуждение проблем советского источниковедения.—ВА, 1961, № 4, с. 62).

[16] Л. В. Черепнин. Предисловие к книге Л. Н. Пушкарева. — Классификация русских письменных источников по отечественной истории, с. 4.

[17] В. Я. Борщевский. Источниковедение истории СССР (1917—1985). Киев, 1985, с. 4.

რითადი საშუალებაა[18] და მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს წყაროთა კლასიფიკაცია თეორიული წყაროთმცოდნეობითი კვლევის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ხოლო კონკრეტულ წყაროთა კვლევისას კი ერთ-ერთი მიზანი და შედეგიც არის.

კლასიფიკაცია, ერთი მხრივ, ადგენს ობიექტურ, კანონზომიერ კავშირებს ობიექტთა კლასებს შორის, იმისათვის, რომ განსაზღვროს ობიექტის ადგილი საერთო სისტემაში, ხოლო, მეორე მხრივ, აფიქსირებს მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალურ ცნებებს და ურთიერთობებს მათ შორის[19].

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ კლასიფიკაციის ფორმალურ-ლოგიკური წესები ძალზე სუსტად არის დაშუშავებული. თითოეული ცნების შინაარსს რამდენიმე ნიშანი აქვს და ყოველი მათგანი შეიძლება დაედოს საფუძვლად დიფერენციაციას. ამიტომ მკვლევარი არჩევანის წინაშე დგება. განსაკუთრებით რთულია კლასიფიკაცია ისტორიულ მეცნიერებაში. ამ სირთულეზე ერთგვარად მიუთითებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული საკამათო მოსაზრება იმის შესახებ, რომ ისტორიულ წყაროთა ყველა არსებული საკლასიფიკაციო სქემა შეიძლება განიმარტოს როგორც „ხელოვნური სისტემატიკა", ხოლო „ბუნებრივი სისტემატიკის" შექმნა წყაროთმცოდნეობაში მიუღწეველია[20].

ვინაიდან არ არსებობს კლასიფიკაციის ზუსტი მეთოდები, სქემის სიზუსტის დამადასტურებელია მისი სიცოცხლისუნარიანობა, ხოლო ამის ერთ-ერთი გარანტიაა მისი დეტალურობა. თუმცა ბუნებრივი კლასიფიკაცია ობიექტურ მონაცემებს ემყარება, სქემის სისრულე და სიზუსტე ბევრად არის დამოკიდებული მკვლევრის ერუდიციასა და გამოცდილებაზე. მეტ-ნაკლებად ზუსტი სამუშაო კლასიფიკაციის შემუშავება, როგორც წესი, დიდ დამსახურებად ეთვლება მკვლევარს. ვინაიდან რეალური სინამდვილე ძალზე რთულია და ადა-

---

[18] К. Г. Митяев. О месте, границах и основаниях классификации в советском архивоведении, с.182; Г. А. Трукан. Основные направления источниковедения истории советского общества в 1971—1975 гг —Археография и источниковедение. Сыктывкар, 1977, с. 38; О. М. Медушевская. О некоторых теоретических проблемах источниковедения. — Археография и источниковедение. Сыктывкар, 1977, с. 47; И. Л. Беленький. Разработка проблем теоретического источниковедения в советской исторической науке (1960—1984 гг.). М., 1985, с. 34—40.

[19] Б. В. Якушин. Слово. Понятие. Информация, с. 168.

[20] В. Ю. Забродин. Проблема классификации (обзор). — НТИ/ВИНИТИ, сер. 2. М., 1980, № 2, с. 36—38; И. Л. Беленький. Разработка проблем теоретического источниковедения в советской исторической науке, с. 40

მიანის მოღვაწეობა მრავალმხრივი, უფრო ჩვეულია შერეული კლასიფიკაციები, რომლებიც აერთიანებს ხელოვნურ და ბუნებრივ ელემენტებს. მეცნიერთა ნაწილი სწორედ ასეთ კლასიფიკაციებს უპერს მხარს[21].

მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება ბუნებრივ კლასიფიკაციას, ზოგადია და თანაბრად მოქმედებს მეცნიერების ყველა სფეროში. სხვადასხვა დარგის გამოცდილებაზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში კლასიფიკაციის შემდეგი ძირითადი პრინციპებია შეჯამებული[22]:

1) დაყოფის ყოველი საფეხური მხოლოდ ერთ საფუძველს უნდა ემყარებოდეს, რაც არ გამორიცხავს ერთი და იმავე კლასის მრავალჯერად დაყოფას ქვეკლასებად, სხვადასხვა რიგის შექმნას (პარალელური კლასიფიკაციები). ასეთი პარალელური დაყოფის მაგალითია მენდელეევის პერიოდული სისტემა.

2) ერთი საფეხურის დანაყოფის წევრები ერთმანეთს უნდა გამორიცხავდნენ. დაუშვებელია ერთი და იმავე ცნების გამეორება ერთ საფეხურზე. მაგრამ ერთი და იგივე ცნება შეიძლება გამეორდეს კლასიფიკაციის სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

3) კლასიფიკაცია ხდება დაღმავალი გზით, ე. ი. აბსტრაქტულიდან, ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

4) დაყოფა უნდა იყოს თანმიმდევრული: უნდა მოიცავდეს ყველა ცნობილ ქვეკლასს.

5) საკლასიფიკაციო სქემის ვერტიკალური რიგი უნდა იყოს უწყვეტი, ნახტომების გარეშე. არ უნდა რჩებოდეს ცნებები, რომელთა მოთავსება შესაძლებელია ორ ვერტიკალურ რიგს შორის.

6) ამავე დროს კლასიფიკაცია უნდა ითვალისწინებდეს მასში ახალი ცნებების შეტანის შესაძლებლობას. ასეთი შემთხვევისათვის შეთავაზებულია ტერმინი კლასიფიკაციის „სტუმართმოყვარეობა“.

7) უნდა განსხვავდეს ჰორიზონტალური რიგის დაყოფის საფუძველი და მის წევრთა მოწესრიგების პრინციპი, თუმცა ისინი ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა. თუ დაყოფის საფუძველია გასაყოფი ცნების რომელიმე სპეციფიკური ნიშანი, რიგის წევრთა მოწესრიგების პრინ-

---

[21] В. Г. Афанасьев. О принципах классификации целостных систем. — ВИ, 1963, № 5, с. 42; С. С. Розова. Научная классификация и ее виды.— ВИ, 1964, № 8, с. 69—80; М. С. Селезнев. О классификации исторических источников в связи с построением курса источниковедения в вузах. — Источниковедение советского общества. М., 1964, с. 332.

[22] ბუნებრივი კლასიფიკაციის პრინციპები ჩამოყალიბებულია ნაშრომებში: К. Г. Митяев. О месте, границах и основаниях классификации в советском архивоведении; Б. В. Якушин. Слово. Понятие. Информация, с. 178—186.

ციპია ობიექტთა ან ცნებათა ისეთი ნიშანი, რომელიც შეიძლება გავრცელდეს მთელ კლასიფიკაციაზე. წყაროთმცოდნეობაში უკანასკნელის ერთ-ერთი მაგალითია წყაროთა წარმოშობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

საკლასიფიკაციო კატეგორიებად მიღებულია ტერმინები — ტიპი, კლასი, თანრიგი, გვარი, სახე, ნაირსახეობა, ქვესახე, ფორმა და სხვ. ისტორიულ წყაროებთან მიმართებაში მათი შინაარსი ჯერ კიდევ საკამათოა. უთანხმოებას იწვევს, კერძოდ, როგორც ტერმინოლოგია, ასევე ლიტერატურაში შენოთავაზებული ზოგიერთი კლასიფიკაციის ობიექტურობა.

შედარებით მარტივი და ნათელია საკითხი ტექნიკურ დარგებში, სადაც ობიექტთა, ცნებათა ყველაზე ზოგად მახასიათებლად მიჩნეულია ფუნქცია, სტრუქტურა, ან მასში მიმდინარე პროცესები. სისტემის ფუნქციაში იგულისხმება ნისი დანიშნულება (და არა გამოყენების სფერო). სტრუქტურის კატეგორია განხილულია როგორც სისტემის შემადგენლობა (ელემენტები და სხვ.) და როგორც ურთიერთობა ელემენტთა შორის. ამათგან უფრო ხშირია დაყოფა შემადგენლობის ნიხედვით. აღნიშნული მახასიათებლებიდან გადამწყვეტად არის მიჩნეული ფუნქცია[23].

იგივე კანონზომიერებები მოქმედებს ისტორიულ მეცნიერებებშიც, კერძოდ, წყაროთმცოდნეობაშიც. ამდენად, აღნიშნული პრინციპები შეიძლება დაედოს საფუძვლად ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციას. აქაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყაროთა სოციალურ ფუნქციას, ე. ი. მათ დანიშნულებას, რაც არ უნდა იქნეს გაიგივებული წყაროთა გამოყენების სფეროსთან.

მართლაც, ხშირად გამოყენების განსხვავებული სფერო არავითარ შინაარსობრივ და ფორმალურ სხვაობას არ იწვევს, მაგრამ ტექნიკური დარგებისაგან განსხვავებით საზოგადოებათმცოდნეობითი მეცნიერების სირთულე იმითაც ვლინდება, რომ აქ საკმაოდ ძნელია ობიექტთა ფუნქციის, განსაკუთრებით ძირითადი სოციალური ფუნქციის განსაზღვრა. ვერც დანიშნულებისა და გამოყენების სფეროს გამიჯვნა ხერხდება ადვილად. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ დანიშნულებაც ყოველთვის როდი ახდენს გავლენას წყაროს ფორმასა და შინაარსზე. ასეთი რამ დამახასიათებელია, მაგალითად, შუა საუკუნეებისათვის, სადაც, როგორც აკად. დ. ლიხაჩოვი აღნიშნავს, ჟანრები ინის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ რისთვის იყო ისინი განკუთვნილი. მაგალითად ეკლესიაში სხვადასხვა დღეს წარმოსათქველ ქადაგებებში შეიძლება განვასხვავოთ ცალკეული

---

23 იქვე.

ქვეჟანრები. საეკლესიო საგალობლებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან არა ფორმისა და შინაარსის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელ საეკლესიო მსახურებაში და ამ მსახურების რომელ ნაწილში სრულდებოდა. სხვა საგალობლები განსხვავდება შესრულების მანერის მიხედვით. იგივე ვითარებაა საერო მწიგნობრობის ძეგლებშიც. ჟანრები დამოკიდებულია ყოფასა და საქმიან ინტერესებზე[24].

ყველაზე მეტი გავრცელება სამეცნიერო ლიტერატურაში ჰპოვა ისტორიულ წყაროთა შვიდ ტიპად დაყოფამ, რასაც ლ. პუშკარიოვის აზრით, საფუძვლად ინფორმაციის შენახვისა და კოდირების პრინციპი ედება[25]. ასეთი დაყოფა პერსპექტიულია შესწავლის ერთნაირი ხერხების გამოყენების თვალსაზრისით, რომლებიც შესაბამის დარგებში შემუშავდება. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ისტორიულ წყაროთა ძირითადი ტიპებია: 1) ნივთიერი, 2) ეთნოგრაფიული, 3) ზეპირი, 4) ენობრივი, 5) წერილობითი 6) კინო-ფოტო და 7) ფონური (ბერძ. phone — ბგერა). უკანასკნელი ორი ტიპი დიდხანს გაერთიანებული იყო ერთ ჯგუფში[26]. ზოგიერთი მკვლევარი ასეთ კლასიფიკაციას ტიპოლოგიურს უწოდებს, მაგრამ ამ ტერმინს ყველა არ ეთანხმება. ნაგალითად, ი. ბელენკი ფიქრობს, რომ ტიპოლოგია კლასიფიკაციისაგან განსხვავებული სულ სხვა რიგის დაჯგუფებაა[27].

აღნიშნულ კლასიფიკაციაში, როგორც ვხედავთ, სახვითი წყაროები მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული. კერძოდ, ადგილი არ აღმოჩნდა ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისათვის, თუ მათ არ ვიგულისხმებთ ნივთიერსა და ეთნოგრაფიულ წყაროებში[28], რაც არ არის მიზანშეწონილი. მეცნიერთა ნაწილი სახვით წყაროებს ცალკე ტიპად გამოყოფს[29]. სახვით წყაროებს, რომელთაც ფერწე-

---

24 Д. С. Лихачев. Система литературных жанров Древней Руси. — Исследования по древнерусской литературе. Л., 1986. с. 63—65. 75.

25 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 191.

26 შესაბამისად, დასაშვებად იყო მიჩნეული მათი როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობის ერთად განხილვა. (И. С. Фесуненко. Значение кинофото-фоно. документов как исторического источника и основные задачи комплектования ими государственного архивного фонда Союза ССР.—ТМГПАИ, т. 16, 1961). აღნიშნული წყაროები გაერთიანებულია ზოგიერთ ახალ გამოკვლევაში (В. Я. Борщевский. Источниковедение истории СССР. Киев, 1985, с. 228).

27 И. Л. Беленький. Разработка проблем теоретического источниковедения в советской исторической науке, с. 40.

28 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 252.

29 В. И. Стрельский. Теория и методика источниковедения истории

რის, ქანდაკებისა და გრაფიკის გარდა, განეკუთვნება ფოტო, ხელოვნებათმცოდნეობის და ნაწილობრივ ჟურნალისტიკის შესაბამისი დარგები შეისწავლიან.

სახვით ხელოვნებას მიაკუთვნებენ აგრეთვე კინოს. მაგრამ მისი კომპლექსური ხასიათის გამო ანუამად გამოთქმულია მოსაზრება კინოწყაროების ცალკე ტიპად გამოყოფის შესახებ[30]. კინოს ისტორიულ წყაროდ აღიარებამ გარკვეული გზა განვლო. პირველად მას ამ კუთხით ყურადღება მიაქციეს მ. ტიხომიროვმა, მ. ვარშავჩიკმა, მ. ჩერნომორსკიმ. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ კინოდოკუმენტი მხოლოდ სხვა ტიპის დოკუმენტურ მასალასთან ერთად იძენს ისტორიული წყაროს მნიშვნელობას, მაშინაც კი, როდესაც იგი ძირითადი ხდება რომელიმე პრობლემის კვლევისას[31]. ამჟამად ამ ტიპის წყაროთა შესწავლის მეთოდებისა და ხერხების შემუშავებას დიდი ყურადღება ეთმობა[32], რამაც ბუნებრივად წამოჭრა მისი კლასიფიკაციის საჭიროებაც[33].

СССР, с. 26—39; Е. А. Давидович. Эпиграфика и нумизматика в системе исторических дисциплин. — «Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников». Тезисы докладов. Тбилиси, 1985, с. 43. ფერწერას როგორც ისტორიულ წყაროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვ. სტრელსკი. მან მოახდინა მისი სისტემატიზაცია, აჩვენა ანალიზის ზოგიერთი მეთოდი. მკვლევარმა გამოყო ნაწარმოებები, შექმნილი 1) რეალურ და 2) გამოგონილ სიუჟეტზე, 3) ავთენტიკური და რეტროსპექტული (В. И. Стрельский. К вопросу о произведениях изобразительного искусства как историческом источнике.—ИСССР, 984, № 1).

30 С. О. Шмидт. О классификации исторических источников. — ВИД, XVI. Л., 1985; Г. Г. Аласания. Классификация грузинских письменных источников, с. 41. ლ. პუშკარიოვს მიაჩნია, რომ კინოსა და ფოტოს კოდირების ერთნაირი პრინციპი აქვთ (Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 252). ზოგიერთი გერმანელი და პოლონელი მეცნიერი კინოს ფოტოსთან შედარებით მექანიკური დოკუმენტაციის უფრო რთულ ნაირსახეობად მიიჩნევს (მაგ. ვ. ოლნერი, ვ. ჩეჩოტ-გავრაკი.—В. М. Магидов. Источниковедческий анализ кинофотофонодокументов и экспертиза их ценности в историографии ГДР и ПНР.—СА. 1975 № 1, с. 95—103).

31 Л. Н. Крюкова, В. Ф. Рунге, В. Г. Фролов. Вопросы источниковедческого анализа кинодокументов и комплектования ими государственных архивов. — СА, 1989, № 4, с. 41—49.

32 В. М. Магидов. Кинодокументы: Проблемы источниковедческого анализа и использования в исторических исследованиях. — ИСССР, 1983, № 1, с. 92—103.

33 Л. М. Рошаль. Некоторые вопрссы источниковедческого анализа кинодокументов.—ТМГИАИ, т. 17. М., 1963 (აეტორი ჩამოთვლის კინოს სხვადასხვა სახეობას, უთითებს მათი ანალიზის ძირითად ხერხებს); В. М. Магидов. Источниковедчес кий анализ кинофотофонодокументов, с. 98. კინოს დამოუკიდებლობა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს ისტორიულ წყაროთა შემდეგი ტიპები: ნივთიერი, ენობრივი, ეთნოგრაფიული (ან ქცევითი), სახვითი, ზეპირი, წერილობითი, ფონური, კინო. წერილობით წყაროებში, საკუთრივ წერილობითის გარდა (როგორც ხელნაწერი, ასევე გამოცემული, მანქანაზე ნაბეჭდი, ფოტოტრინტი, ფოტო), იგულისხმება სხვა პირობითი ნიშნებით ჩაწერილი წყაროებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს წყაროთა ტიპების ჭეშმარიტ ურთიერთკავშირი და მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი სხვაობა, რაც იწვევს კამათს მეცნიერთა შორის მათი სტატუსის შესახებ. ეთნოგრაფიულ წყაროთა ტიპის უარყოფას საფუძვლად ედება ის ფაქტი, რომ ხშირად მათ როლში გამოდის ნივთიერი, ენობრივი, წერილობითი და ზეპირი წყაროები. მაგრამ ასეთი რამ მარტო ეთნოგრაფიულ წყაროებს არ ახასიათებს. ენობრივი წყაროებია წერილობითი და ფოლკლორულიც, რაც, თავის მხრივ, ჩვენამდე უმრავლეს შემთხვევაში წერილობით და ფონურ წყაროთა ფორმით აღწევს. ყოველივე ეს არ ცვლის წყაროთა აღნიშნული ტიპების ძირითად არსს. მაგალითად, ეთნოგრაფია უმთავრესად ამა თუ იმ ხალხის ზნე-ჩვეულებებს სწავლობს ცოცხალ ტრადიციებზე დაკვირვებით. ენის მონაცემებისათვის ძირითადი წყარო სალაპარაკო ენაა, ისევე როგორც ფოლკლორისათვის — ხალხური, ზეპირი შემოქმედება, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით აღწევს იგი ჩვენამდე.

წყაროთა ყველა ტიპი ერთდროულად არ წარმოქმნილა. განსხვავდება მათი გამომწვევი ობიექტური პირობები, მოცულობა და ინიშვნელობა. ზოგიერთი ტიპი იქმნება რომელიმე სხვა ტიპის დაშლის შედეგად. საკმაოდ მრავალფეროვანია თავისი შემადგენლობით ნივთიერ წყაროთა ტიპი, რომელიც გარკვეული ნიშნით მოიცავს თითქმის ყველა დანარჩენ ტიპს. ბგერითი წყაროების შემდგომი განვითარების შედეგია ენობრივი, ზეპირი, წერილობითი, ნაწილობრივ ეთნოგრაფიული წყაროების წარმოშობა. წყაროთა ტიპებს შორის გადაულახავი მიჯნები არ არსებობს. ამიტომ ბუნებრივია წყაროთა გარდამავალი ტიპების არსებობა, მაგალითად, წერილობითსა და ნივთიერს შორის, ან წერილობითს, ნივთიერსა და სახვითს შორის და ა. შ. მათ რიცხვს განეკუთვნება ეპიგრაფიკული ძეგლები[34], მონეტები,

---

სხვა ტიპებისაგან და მისი სპეციფიკა ნათლად გამოაჩინა სემიოტიკურმა მიდგომამ (В. В. Иванов. Очерки по истории семиотики в СССР. М., 1976; Т. В. Закоян. К вопросу о поэтическом кино.—В кн.: Семиотика и проблемы коммуникации. Ереван, 1981, с. 106—124).

34 ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მას აკუთვნებენ როგორც წერილობით, ასევე ნივთიერ წყაროებს. ზოგიერთი მეც-

ბერები, ბეჭდები, დროშები, ორდენები და მედლები და ა. შ. გარდამავალ საფეხურად წერილობით და სახვით წყაროებს შორის არის მიჩნეული გეგმები, ნახაზები, რუკები[35].

მოტანილი კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, არ არის უნაკლო. მაგ., ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მასში მკაცრად არ არის დაცული ერთიანი პრინციპი და არეულია ისეთი ცნებები, როგორიცაა წყაროთა ტიპები და მასალა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერების მიერ[36].

ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიულ წყაროებს ყოფენ მათში რომელიმე ელემენტის — ფიზიკურის (ან ნივთიერის), ფსიქოლოგიურის ან სოციალურის — სიჭარბის მიხედვით. ამ პრინციპის თანახმად, ისტორიული წყაროები სამ კატეგორიად არის დაყოფილი: 1. ერგოტექნიკური, 2) ფსიქოტექნიკური და 3) სოციოტექნიკური. უკანასკნელ ჯგუფს აკუთვნებენ წარმოების პროცესში ადამიანთა ურთიერთობის შედეგად შექმნილ წყაროებს[37].

განსხვავებული მოსაზრებები წყაროთა ტიპებად დაყოფასთან დაკავშირებით გამოთქმულია წყაროს მიმართ ინფორმაციის თეორიის კუთხით მიდგომის შედეგად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ა. უიბოსა და ი. კოვალჩენკოს ნაშრომები.

ნიერი კი გარდამავალ ტიპად მიიჩნევს წერილობითსა და ნივთიერ წყაროებს შორის. გარდა ამისა, კამათს იწვევს ზოგჯერ კონკრეტული ძეგლების კუთვნილების საკითხი. აღსანიშნავია ამ მხრივ ნოვგოროდში აღმოჩენილი არყის ხის ქერქზე დაწერილი ტექსტები. ვ. იანინი მათ ეპიგრაფიკას აკუთვნებს (В. Л. Янин. Состояние и задачи изучения вспомогательных исторических дисциплин. Л., 1969, с. 5). ლ. ჟუკოვსკაია მათ შესწავლას პალეოგრაფიის ამოცანად მიიჩნევს (Л. П. Жуковская. Развитие славяно-русской палеографии. М., 1963, с. 9). ზოგი ამ ძეგლებს წერილობით წყაროთა ტიპის შემადგენლობაში ათავსებს (Е. И. Каменцева, А. Т. Николаева, М. Н. Черноморский. „Вспомогательные исторические дисциплины", вып. III. Рецензия.—СА, 1971, № 1).

35 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 253—264; უნდა ითქვას, რომ ამ შეხედულებას ყველა არ იზიარებს (იხ. მაგ.: М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 161). ამ წყაროთა გარდამავალი ხასიათი კარგად ჩანს სპეციალური გამოკვლევებიდან, რომლებშიც მოცემულია მათი შესწავლის ისტორია და კლასიფიკაციის ცდები (Л. А. Гольденберг. Картографические материалы как исторический источник и их классификация (XVII—XVIII вв.).—ПИ, VII. М., 1959, с. 296—348).

36 ი. კოვალჩენკოს აზრით, აღნიშნულ კლასიფიკაციაში წყაროთა ერთი ჯგუფი გამოიყოფა სინამდვილის ასახვის ფორმის მიხედვით, მეორე — ინფორმაციის დაფიქსირების, ხოლო მესამე — ასახვის ობიექტის მიხედვით (И. Д. Ковальченко. Методы исторического исследования. М., 1987 с. 123).

37 ასეთი მოსაზრება ეკუთვნის პოლონელ მეცნიერს ლიბუდას (О. М. Медушевская. Польский источниковедческий ежегодник.—ВИ, 1972, № 2, с. 188).

ა. უიბოს მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სოციალური მეხსიერების პრინციპი. ინფორმაციის გადასაცემად გამოყენებული ს�ი არხის შესაბამისად გამოიყოფა წყაროთა შემდეგი ტიპები: 1) ენობრივი, 2) ნივთიერი და 3) ქცევითი[38]. ასეთი დიფერენციაცია, რომელიც ობიექტურ ვითარებას ასახავს, ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის თვალსაზრისით არ არის დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან ერთსა და იმავე ჯგუფში ისეთ ძეგლებს აერთიანებს, რომელთა მიმართ შეუძლებელია კვლევის ერთნაირი მეთოდების გამოყენება. გაუმართლებელია, მაგალითად, ერთ ჯგუფში ენობრივი, წერილობითი, ზეპირი და სხვა წყაროების გაერთიანება, რადგან ისინი კვლევის სრულიად სხვადასხვა მეთოდებს საჭიროებენ.

შედარებით სრულია ი. კოვალჩენკოს მიერ შემოთავაზებული საკლასიფიკაციო სქემა, ასახვის მეთოდებისა და ფორმების მიხედვით, სადაც ისტორიული წყაროები იყოფა 4 ჯგუფად: ნივთიერი, წერილობითი, სახვითი და ფონური (სინტაქტური ასპექტი)[39]. ამ კლასიფიკაციის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს სახვით წყაროთა ცალკე ტიპად გამოტანა, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში თავისი მომხრეები ჰყავს. ცალკე ტიპს შეადგენენ აგრეთვე წერილობითი წყაროები. ამავე დროს ეს კლასიფიკაცია სრულიად არ ითვალისწინებს ეთნოგრაფიულ წყაროებს. გამართლებული არ ჩანს აგრეთვე ფონურ ჯგუფში ყველა ზეპირი და მუსიკალური წყაროს გაერთიანება[40].

ს. შმიდტის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით, ისტორიული წყაროები შემდეგ ტიპებად იყოფა: 1) ნივთიერი, 2) სახვითი, 3) სიტყვიერი, 4) ბგერითი, 5) ქცევითი, 6) კონვენციური (პირობითი — ნოტები, ელექტროკარდიოგრამები და სხვ.)[41].

---

[38] Д. А. Уйбо. Информационный подход к типологии исторических источников.—Ученые записки Тартусского гос. университета, вып. 599. Тарту, 1982, с. 63. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ლიტერატურაში აღნიშნული სხვაობა ზეპირმეტყველებასა და დამწერლობას შორის (Л. Р. Зиндер. Очерк общей истории письма. Л., 1987, с. 30—44).

[39] И. Д. Ковальченко. Исторический источник в свете учения об информации. — ИССР, 1982, № 3, с. 142. ასეთი კლასიფიკაცია გაზიარებულია სხვა ნაშრომებშიც (Источниковедение истории СССР, под ред. И. Д. Ковальченко. М., 1981, с. 12; С. В. Воронкова. Проблемы источниковедения истории России периода капитализма. М., 1985, с. 7).

[40] ამასვე აღნიშნავს ს. შმიდტიც (С. О. Шмидт. О Классификации исторических источников, с. 17).

[41] С. О. Шмидт. О классификации исторических источников, с. 21—22; он же. Источниковая база исторической науки и классификация исторических источников. — В кн.: Историческая наука. Вопросы методологии, с. 161—163.

ამ კლასიფიკაციას იგივე ნაკლი ახასიათებს, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვუთითებდით, კერძოდ, სიტყვიერ წყაროებში გაერთიანებულია სალაპარაკო ენის, ფონური, ზეპირი და წერილობითი წყაროები.

ისტორიული წყაროს ცნების მოცულობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სხვადასხვაგვარად არის გაგებული. ზოგიერთ შემთხვევაში მას შეაქვთ ბუნებრივი გარემოც და არა მხოლოდ მისი ის ნაწილი, რომელიც გარდაქმნილია ადამიანის შრომის შედეგად, არაუფრო მთლიანად, როგორც ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმმართველი ფაქტორი. მეტი მომხრე ჰყავს ამ მოსაზრებას უძველესი ისტორიის სპეციალისტებს შორის, როდესაც ბუნებრივი გარემო მართლაც დიდ როლს ასრულებდა ადამიანის ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, წყაროთა ტრადიციულ დაყოფას ამ შემთხვევაში ემატება ანთროპოლოგიური ნასალა ან გეოგრაფიული გარემოს ცვლილება ადამიანის შრომის შედეგად[42], ანდა ანთროპოლოგიური და საბუნებისმეტყველო წყაროები[43]. ლიტერატურაში ხაზი ესმება საბუნებისმეტყველო წყაროების და კვლევის საბუნებისმეტყველო მეთოდების განსაკუთრებულ მნიშვნელობას პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის შესწავლისას, კერძოდ, დენდროქრონოლოგიური მეთოდის გამოყენებას გეოლოგიასა და არქეოლოგიაში[44]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ პალეოანთროპოლოგიური მასალა დამხმარე ისტორიული წყაროა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძველი ისტორიის პრობლემების კვლევის დროს[45].

ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის ნებისმიერი სისტემის შექმნისას აუცილებელია ისტორიზმის პრინციპის დაცვა. ამ მოთხოვნის გათვალისწინებით წყაროთა პირველად კლასიფიკაციად საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია დაყოფა საზოგადოებრივ-ეკონომიკური

---

42 Источниковедение истории Древнего Востока. Под ред. В. И. Кузищина. М. 1984, с. 9. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ კ. მარქსის პროგნოზი იმის შესახებ, რომ მომავალში ბუნებისმეტყველებაში შევა მეცნიერება ადამიანის შესახებ ისევე, როგორც მეცნიერებაში ადამიანის შესახებ შევა ბუნებისმეტყველება. ეს ერთი მეცნიერება იქნება (К. Маркс, Ф. Энгельс. Из ранних произведений. М., 1965, с. 596).

43 А. И. Першиц. Понятие и классификация источников. — В кн.: История первобытного общества. Проблема антропосоциогенеза. М., 1983.

44 В. А. Шнирельман. Естественнонаучные источники и естественнонаучные методы исследования. — В кн.: История первобытного общества. Проблемы антропосоциогенеза. М., 1983, § 7.

45 В. П. Алексеев. История и палеоантропология. Реконструктивные возможности палеоантропологических данных. — Историческая наука. Вопросы методологии. М., 1986, с. 205.

ფორმაციების მიხედვით, რადგან სხვადასხვა პერიოდებს წყაროთა დიფერენციაციის განსხვავებული ფონე შეესაბამება. უფრო ადრე ზოგიერთი მეცნიერი მთელ მასალას ყოფდა ორ დიდ ჯგუფად: ოქტომბრის რევოლუციამდე და საბჭოთა პერიოდის ისტორიის წყაროებად. თითოეულ მათგანში კი მასალა ჯგუფდებოდა იმ ძირითადი პერიოდიზაციის მიხედვით, რომელიც შეუშავებული იყო ისტორიულ მეცნიერებაში[46].

მიუხედავად ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის საქმეში არსებული სიჭრელისა და აზრთა სხვადასხვაობისა, უნდა ითქვას, რომ საესებით შესაძლებელია კლასიფიკაციის ზოგადი სისტემების შემუშავება ყველა პერიოდისათვის სხვადასხვა დროის დიფერენციაციათა გათვალისწინებით. ასეთი გენერალური კლასიფიკაციის ნიმუშია სწორედ წყაროთა განხილული დაყოფა ტიპებად. ქრონოლოგიის გარდა, მხედველობაშია მისაღები ენობრივი და ტერიტორიული პრინციპი. სხვადასხვა ქვეყნებს წყაროთა კლასიფიკაციის განსხვავებული თავისებურებები ახასიათებს. კერძოსთან ერთად აქაც შესაძლებელია ზოგადი ნიშნების გამოყოფა.

კლასიფიკაცია, რომელიც ობიექტურ დიფერენციაციას ემყარება, ერთი ჯგუფის წევრების მიმართ კვლევის ერთნაირი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

ტიპების შემდგომი დაშლისათვის პირველ რიგში საჭიროა წყაროთა ძირითადი ფუნქციის დადგენა. თუნცა მ. ვარშავჩიკის სამართლიანი შენიშვნით, „შექმნის მიზანი წყაროს ნიშანი კი არ არის, არამედ ნიშნის ფორმირების აუცილებელი პირობაა"[47]. ო. მედუშევსკაია ავრეთვე შენიშნავს, რომ დანიშნულება თავისთავად არ ქმნის წყაროს რაიმე ახალ თვისებას ფორმისა და შინაარსისაგან დამოუკიდებლად[48]. ამავე დროს ხაზგასმულია სოციალური ფუნქციის მნიშვნელობა სახის წარმოქმნისას, რაც განაპირობებს წყაროს როგორც ფორმას, ასევე შინაარსსაც[49].

ყოველი წყარო მრავალფუნქციურია, მაგრამ ამ ფუნქციათა კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით არ არის იოლი საქმე. მათი გამიჯვნა ერთგვარად პირობითია. გამოყოფენ წყაროს კომუნიკაციურ

---

46 О. М. Медушевская. Развитие теории советского источниковедения. — ТМПИАИ, т. 24, вып. 2. М., 1966, с. 9, 13; К. Г. Митяев. Теория и практика архивного дела, с. 22.

47 М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 158.

48 О. М. Медушевская. Методологические проблемы источниковедения в советской историографии. — СА, 1973, № 3, с. 23.

49 О. М. Медушевская. О проблемах классификации исторических источников. — СА, 1976, № 5.

ფუნქციას, ინფორმაციის ასახვის, ფაქტების ასახვის და დამტკიცების, მართვის, კულტურულ (ე. ი. კულტურული ტრადიციების შენახვისა და გადაცემის), სამართლებრივ ფუნქციებს და სხვ[50].

განსაკუთრებული ყურადღება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექცევა წყაროს სოციალურ ფუნქციას, რომელიც კარდინალურ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით კატეგორიად არის მიჩნეული[51].

წყაროს სოციალური ფუნქცია, მკვლევართა აზრით, მდგომარეობს საგანგებოდ სოციალური ინფორმაციის ასახვაში, შენახვასა და გადაცემაში. იგი განისაზღვრება იმ ადგილით და იმ როლით, რომელიც წყაროს უკავია და რომელსაც იგი ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში. სოციალური ფუნქცია აქვს ყველანაირ წყაროს, მათ შორის ნატუურასაც. წყაროს სოციალური ფუნქცია რთული და მრავალმხრივია. ის არ ამოიწურება მხოლოდ იმ შინაარსით, რომელსაც ავტორი სდებს წყაროში შეგნებულად. წყარო არა მარტო სოციალურ ურთიერთობათა შედეგია, არამედ თვით ახდენს გავლენას ამ ურთიერთობებზე. ამიტომაც არის, რომ მკვლევართა ნაწილს სწორედ სოციალური ფუნქცია მიაჩნია წყაროთა კლასიფიკაციის გადამწყვეტ ფაქტორად[52].

წყაროთა სოციალურ ფუნქციაზე მსჯელობა განსაკუთრებით ხშირია დოკუმენტებთან დაკავშირებით[53]. მაგრამ იგივე მოსაზრებები მეტ-ნაკლებად შეიძლება გავრცელდეს სხვა სახის წყაროებზეც.

სხვადასხვა დონის ფუნქციათა შესაბამისად წყაროს ყოფენ გვარებად, სახეებად და ქვესახეებად.

---

[50] М. П. Илюшенко. К вопросу о функциях документов.—СА, 1973, № 5, с. 10—18 (აქვე გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნა იმათ მიმართ, ვინც იზიარებს მოსაზრებას დოკუმენტის მონოფუნქციურობისა და მრავალფუნქციურობის შესახებ ერთდროულად); В. Д. Банасюкевич. Вопросы терминологии управленческой документации.—СА, 1974, № 4, с. 18—20. დოკუმენტის ცნების ფუნქციაზე დამოკიდებულების საკითხი პირველმა წამოვრა კ. მიტიავამ (Общее документоведение для МГИАИ. М., 1963). დოკუმენტის სოციალური ფუნქცია იხსენიება მოსკოვის ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტის დოკუმენტთმცოდნეობის პროგრამაში (1970 წ.).

[51] В. И. Буганов, Г. А. Трукан. Источниковедение отечественной истории на современном этапе. — ВИ, 1983, № 3, с. 6.

[52] А. Н. Медушевский. Делопроизводственные документы государственных учреждений и методы их изучения (перв. четв. XVIII в.). — В сб.: Исследования по источниковедению истории СССР дооктябрьского периода. М., 1985.

[53] ამაზე იყო საუბარი დოკუმენტალისტიკის I საკავშირო სიმპოზიუმზე პალანგაში (Документалистика, 1969. Материалы. I Всесоюзный симпозиум по документалистике. Вильнюс, 1970).

შედარებით უკეთესად არის დამუშავებული წერილობითი ძეგლების დიფერენციაციის საკითხები. ჩვენ მკვლევართა უმრავლესობა აქ პირველ რიგში დოკუმენტურ და თხრობით წყაროთა გვარებს გამოყოფს, თუმცა მეცნიერთა ნაწილი უარს ამბობს ასეთ დიფერენციაციაზე. ა. პრონშტეინი, მაგალითად, ფიქრობს, რომ წყაროთა გვარებად დაყოფას აზრი არა აქვს. მისი შეხედულებით, უფრო ნიზანშეწონილია მათი თავიდანვე სახეებად დაყოფა[54]. წერილობითი ძეგლების გვარებად დაყოფამ არც „სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის" სახელმძღვანელოში[55] ჰპოვა ასახვა და არც რიგ სხვა ავტორთა ნაშრომებში[56]. ის მკვლევრები, რომლებიც არ უარყოფენ დოკუმენტურ და თხრობით წყაროებად დაყოფას, მის საფუძვლებს და განმასხვავებელ ნიშნებს სხვადასხვანაირად ხსნიან. ლ. პუშკარიოვის აზრით, წერილობით წყაროთა გვარებად დაყოფას საფუძვლად უდევს წყაროში სინამდვილის ასახვის და განსახიერების ხარისხი[57]. ა. პრონშტეინის სამართლიანი შენიშვნით, ეს ფაქტობრივად წყაროში ნაშთის ან ტრადიციის (გადმოცემის) სიჭარბეა, რაც ლ. პუშკარიოვისავე მსჯელობით, არ შეიძლება იყოს წყაროთა გვარებად ან სახეებად დაყოფის საფუძველი[58]. ის გარემოება, რომ დოკუმენტურ და თხრობით წყაროთა მიმართ ხშირად შესწავლის ერთნაირ მეთოდებს იყენებენ, ან ის, რომ არ არსებობს ამ დაყოფის რამდენადმე დამაკმაყოფილებელი დასაბუთება, არ გამოდგება საკმარის საფუძვლად მის ობიექტურობაში დასაეჭვებლად.

დოკუმენტის განმარტებაში უმრავლეს შემთხვევაში წინ წამოწეულია ნისი სამართლებრივი ფუნქცია. მაგ., ვ. ლისიჩენკო განმარტავს მას როგორც სპეციფიკურ სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც შემუშავებულია მრავალსაუკუნოვანი საზოგადოებრივი პრაქტიკით როგორც ყოველდღიურ საქმიან ურთიერთობათა განმტკიცე-

---

54 А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения, с. 45.

55 Источниковедение истории СССР. М., 1981, с. 12.

56 მ. მაკაროვს მიაჩნია, რომ ძნელია ასეთი გამიჯვნის საფუძვლის პოვნა (М. К. Макаров. К вопросу о терминологии в источниковедении истории СССР, с. 6); И. Л. Беленький. Разработка проблем теоретического источниковедения в советской исторической науке, с. 40; С. В. Воронкова. Проблемы источниковедения истории России периода капитализма, с. 4, 12; О. М. Медушевская. Источниковедение социалистических стран. М., 1985, с. 49.

57 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 212.

58 А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения, с. 45.

ბის და იურიდიული ფაქტების დამოწმების საშუალება[59]. ეს ბუნებრივია. თვით ტერმინი „დოკუმენტი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „documentum“ (მტკიცება ან მოწმობა), რომელიც რომაულ სამართალში აღნიშნავდა ყველაფერს, რაც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მტკიცების საშუალებად. აღსანიშნავია, რომ რუსეთში ეს ტერმინი პირველად პეტრე I-მა შემოიტანა, ხოლო ქართულში გადმოვიდა რუსული და ევროპული გამოკვლევების გავლენით. როგორც სხვადასხვა დროის განმარტებები გვიჩვენებს, აღნიშნული ცნება მისი მნიშვნელობის გაფართოების გზით ვითარდებოდა. თუ XX ს-ის დამდეგისათვის გავრცელებული აზრის თანახმად, დოკუმენტად განიხილება მხოლოდ ის წერილობითი წყაროები, რომელთაც იურიდიული ფუნქცია აქვთ, მოგვიანებით ეს ცნება ვრცელდება არა მარტო ყოველგვარი ხასიათის ჩანაწერებზე, მატიანეებზე, ქრონიკებზე და სხვ., რომლებიც ადასტურებენ, ამოწმებენ ისტორიული ეპოქის მოვლენებს, პიროვნებათა ნამოქმედარს, არამედ წარსულის ყოველგვარ ნაშთზე, რომელიც შეიძლება ისტორიის მასალა გახდეს[60]. 60-იან წლებში შემუშავდა დოკუმენტის შემდეგი განმარტება: „დოკუმენტი არის მატერიალური ობიექტი, რომელიც შეიცავს დაფიქსირებულ ინფორმაციას“[61].

ასეთსავე მნიშვნელობებს (ვიწროს და ფართოს) ინარჩუნებს ტერმინი დოკუმენტი დღემდე როგორც იურისპრუდენციაში, ასევე წყაროთმცოდნეობაში. ერთ შემთხვევაში დოკუმენტად მიჩნეულია ყველაფერი, რაც ადასტურებს ამა თუ იმ ფაქტს, მეორე შემთხვევაში — მხოლოდ იურიდიული ფუნქციის მატარებელი წერილობითი ძეგლი. სამართლის ფუნქციის თვალსაზრისით, პირობითად გამოყოფენ დოკუმენტთა ორ კატეგორიას: 1) დოკუმენტებს, რომლებსაც ეს ფუნქცია თანდაყოლილი აქვთ და 2) რომლებიც ძალენენ მას დროებით. გვხვდება ტერმინები — „მაუწყებელი“ და „დამადასტურებელი“ დოკუმენტი. ამავე დროს სამართლებრივი ფუნქცია აქვს ყველა დოკუმენტს[62].

---

59 В. К. Лисиченко. Криминалистическое исследование документов. вып. I. Киев. 1971, с. 3.

60 Г. Г. Воробьев. А. Ю. Канцлерис. К определению понятия «документ». — СА. 1972. № 2, с. 67.

61 Терминологический словарь по теории и практике научной информации. М., 1964; ანალოგიური განმარტებაა მოცემული ნაშრომში: А. И. Михайлов, А. А. Черный, Р. С. Гиляревский. Основы информатики, изд. второе. М., 1964, с. 81; იხ. აგრეთვე უ. სიდამონიძე. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები, გვ. 73.

62 М. П. Плюшенко. К вопросу о функциях документов. — СА, 1973, № 5.

აღნიშნული ტერმინი უნდა განიხილებოდეს სამართლის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში, ვინაიდან მისი შინაარსი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა იძენს ისტორიულ პროცესში იურიდიულ ძალას. სამეცნიერო ლიტერატურაში მოტანილია საფრანგეთის მაგალითი, სადაც სასამართლო საქმეების გარჩევისას ყველაზე მეტი დამამტკიცებელი ძალა ჰქონდათ ერა წერილობით დოკუმენტებს, არამედ მოწმის ჩვენებას[63].

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ ქართულ მწერლობაში დიდხანს, მეტადრე წერილობით წყაროთა ზოგიერთ სახეობაში, განსაკუთრებით ფასობდა თვითმხილველის ჩვენება, ე. ი. წერილობით წყაროსთან შედარებით ზეპირს ენიჭებოდა უპირატესობა[64]. საერთოდ კი წერილობითი ძეგლების ორ ძირითად ნაწილად დაყოფის ტრადიცია მყარია ქართულ მწერლობაშიც, ოღონდ დამოკიდებულება დოკუმენტური და თხრობითი წყაროების მიმართ სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულია. ცვლილებებს განიცდის შესაბამისი ტერმინოლოგიაც. ტერმინი „საბუთი" ფართო მნიშვნელობის გარდა — ყოველგვარი ისტორიული წყარო („საბუთი კვალია ოდესმე მცხოვრებ ადამიანთა ნამოქმედარისა და ნაფიქრისა")[65] — იძენს კონკრეტულს. თუმცა ამ უკანასკნელის მიმართ აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. ერთ-ერთი განმარტების თანახმად, დოკუმენტის მთავარ ნიშნად დასახელებულია მისი შედგენა თანამედროვის მიერ[66], რაც ცნების მიღმა ტოვებს საკანონმდებლო ძეგლებს, ბრძანებებს, განკარგულებებს, მანიფესტებს, რომლებიც ხშირად ხანგრძლივი დროის მანძილზე მოქმედებენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისტორიული წყაროების დოკუმენტურად და თხრობითად დაყოფა რამდენადმე პირობითია, რადგან თხრობის ელემენტები მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა დოკუმენტურ წყაროში გვხვდება. წყაროთა გვარებს შორის ის განსხვავებაა, რომ დოკუმენტური ძეგლები იქმნება საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული საჭიროების გამო, თხრო-

---

63 В. К. Лисиченко. Криминалистическое исследование документов. с. 32.

64 Г. Г. Аласания. Классификация грузинских письменных исторических источников. с. 134.

65 მ. ჯანაშვილი. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება". — ნაშრომი. ტფ., 1907, გვ. 3.

66 მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ. თბ. 1979, გვ. 3; ნ. შოშიაშვილი. წინასიტყვაობა. — წიგნში: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ქართული ისტორიული საბუთები IX—XIII სს. თბ., 1984, გვ. 6.

ბით წყაროებს კი იმთავითვე უპირატესად თეორიული, ისტორიულ-შემეცნებითი დანიშნულება ჰქონდათ. არსებობს შეხედულება, რომ დოკუმენტურია ყველა ის წყარო, რომელიც იქმნება საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროცესში, ემსახურება მათ მოწესრიგებას და იურიდიული ფუნქციის მატარებელია. მათგან განსხვავებით, თხრობითი წყაროები მოვლენათაგან მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე იქმნება ინფორმაციულ-ესთეტიკური მიზნებით და მათ არ გააჩნიათ იურიდიული ფუნქციები[67].

გამოყოფენ დოკუმენტების შემდეგ ჯგუფებს ან თანრიგებს: განმკარგულებელი, აღმასრულებელი, სასამართლო, სტატისტიკური, საქმისწარმოების, საქტო[68] და სხვ. უკანასკნელი ტერმინი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. მკვლევართა უმრავლესობა გულისხმობს მასში ადამიანებს შორის დადებული რაიმე ხელშეკრულების ან შეთანხმების შემცველ წერილობით ძეგლებს[69], ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში აქტად მიჩნეულია ყველა არათხრობითი წყარო[70]. დოკუმენტთა დასახელებული ჯგუფები თავის მხრივ სხვადასხვა სახედ იყოფა.

თხრობით წყაროებში შეიძლება გამოიყოს პირადი, ისტორიული, სამეცნიერო, მხატვრული და სხვა ჯგუფები (თანრიგები). თითოეული მათგანი შეიცავს შესაბამის სახეებს: დღიურებს, მოგზაურობებს, ავტობიოგრაფიებს, მემუარებს და სხვ.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთი და იგივე დასახელება შეიძლება გამეორდეს სხვადასხვა დონეზე. მაგალითად, გამოყოფენ ზეპირი ფორმის მემუარებს[71]. ზეპირი ფორმით შეიძლება სხვა ჟანრებიც არსებობდეს.

ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის დიდი გამოცდილება აქვთ საარქივო დაწესებულებებს. საარქივო პირველად კომპლექსებს საფუძვლად ედებათ ნომინალური პრინციპი (ე. ი. საბუთის დასახელე-

---

67 რ. კიკნაძე, მ. ჩხარტიშვილი. წყაროთმცოდნეობითი კვლევა საბჭოთა საქართველოში. — კრებ.: ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში. თბ., 1986, გვ. 112, შენ. 25; Г. Г. Аласания. Классификация грузинских письменных исторических источников, с. 42—43.

68 შდრ. ინფორმაციათა სხვადასხვა სახეობებს: პოლიტიკური, სამართლებრივი, ეთიკური, ესთეტიკური, რელიგიური (А. Д. Урсул. Проблема информации в современной науке. Философские очерки. М., 1975, с. 201).

69 ასე ესმის ეს ტერმინი ს. კაშტანოვს (С. М. Каштанов. Предмет, задачи и методы дипломатики.—Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 136—139).

70 Сб.: Актовое источниковедение. М., 1979. იხ. ა. ნიკოლაევას რეცენზია ამ კრებულზე (СА, 1980, № 2).

71 Н. П. Кузнецова, В. М. Сурнинов. «Устная история» в практике зарубежных архивов и научных учреждений. — СА, 1980, № 1.

ბა), ავტორი, კორესპონდენტი, დაწერის დრო, ადგილი, დოკუმენტის სახე და ნაირსახეობა, რასაც განსაზღვრავს როგორც ფორმა, ასევე შინაარსი, წარმოშობა (სამსახურებრივი, ე. ი. ოფიციალური, პირადი), შესრულების ფორმა (ხელნაწერი — მარტივი, სტენოგრაფიული, დაშიფრული — კრიპტოგრაფია და სხვ.), ორიგინალი, პირი, შავი და თეთრი ეგზემპლარი, დაყოფა მასალის მიხედვით (ეტრატი, ქაღალდი, ფოტო, მაგნიტოფონის ფირი და სხვ.)[72].

ამჟამად წყاروთმცოდნეობაში ყურადღების ცენტრშია ე. წ. მასობრივი წყაროს საკითხიც, რომელსაც სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარად განმარტავს. აღნიშნული ტერმინი შემოვიდა და გავრცელდა 50-იანი წლების დასასრულს უნიკალური წყაროს საპირისპიროდ. ბ. ლიტვაკის განმარტებით, „მასობრივი წყارო გულისხმობს დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ ერთეულ შემთხვევას ან მოვლენას. ეს მოვლენები თავისთავად არ წარმოადგენენ დიდ ინტერესს, მაგრამ ერთობლივად იძლევიან ამა თუ იმ კანონზომიერების გამოვლენის საშუალებას"[73]. მკვლევარი ასახელებს მასობრივი წყაროს შემდეგ კრიტერიუმებს: 1) შექმნილი არიან ორდინარულ ვითარებაში, 2) ანალოგიური აქვთ შინაარსი და 3) ანალოგიური აქვთ ფორმა, რომელსაც სტანდარტულობისაკენ აქვს მიდრეკილება. ავტორის აზრით, აღნიშნული ნიშნები გამოარჩევს მასობრივ წყაროს თხრობითი, ნორმატიული, სტატისტიკური და აგრეთვე საქმისწარმოების წყაროებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი წყارო, როგორც წესი, ჩვენამდე აღწევს საქმისწარმოების შემადგენლობაში.

მოგვიანებით, აღნიშნულ განმარტებაში შეიტანეს ზოგიერთი კორექტივი. მაგ., არ გაიზიარეს აზრი იმის შესახებ, რომ მასობრივ წყაროს არ განეკუთვნება სტატისტიკური წყაროები[74] ან საქმისწარმოების დოკუმენტაცია. გამოითქვა საპირისპირო მოსაზრებები, რომლებიც მასობრივ წყاروებად მხოლოდ სტატისტიკურ მასალას აღი-

---

[72] К. Г. Митяев. Теория и практика архивного дела; К. И. Рудельсон. Современные документные классификации. ამავე დროს აღნიშნული იყო, რომ ეს საკითხები შემდგომ დამუშავებას საჭიროებენ (Л. Г. Сырченко. Некоторые проблемы классификации архивных документов и сведения о них.—ТМГИАИ, т. 31, вып. 2. М., 1975; В. А. Цикулин. К вопросу об основаниях первичной классификации.—ТМГИАИ, т. 31, вып. 1, 1975).

[73] Б. Г. Литвак. Очерки источниковедения массовой документации XIX — нач. XX в. М., 1979, с. 287; М. П. Губенко, Б. Г. Литвак. Конкретное источниковедение истории советского общества. — ВИ, 1965, № 1, с. 8.

[74] А. В. Лубский, А. П. Пронштейн. Некоторые теоретические и методические проблемы источниковедения массовых источников. — ПОИ. 1981. М., 1982, с. 8; С. В. Воронкова. Проблемы источниковедения истории России периода капитализма, с. 13.

არებენ[75] ან ახასიათებენ საქმისწარმოების დოკუმენტაციას როგორც ყველაზე „მასობრივ“ წყაროს[76].

ი. კოვალჩენკოს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მასობრივი წყაროები დამახასიათებელია სინამდვილის ისეთი ობიექტებისათვის, რომლებიც გარკვეულ საზოგადოებრივ სისტემებს ქმნიან მათი შესაბამისი სტრუქტურებით. მასობრივი წყაროები ასახავენ ამ საზოგადოებრივი სისტემების შემქმნელი მასობრივი ობიექტების არსსა და ურთიერთობებს და, ამდენად, ასახავენ თვით სისტემების წყობას, თვისებებსა და მდგომარეობას[77].

გამოთქმული იყო აგრეთვე მოსაზრება, რომ ამ ჯგუფის წყაროთა მრავალფეროვნება არ იძლევა მათ ნიმართ მათემატიკური მეთოდების გამოყენების და მათი სტატისტიკური დამუშავების საშუალებას[78]. თუმცა არსებობს სხვა შეხედულებაც, რომ მასობრივი წყარო სავსებით ექვემდებარება ფორმალიზაციასა და გენერალიზაციას. მასში ფარული ინფორმაციის გამოსავლენად უკვე წარმატებით გამოიყენება მათემატიკური მეთოდები[79].

მასობრივი წყარო კრებითი ტერმინია, რომელიც თავის მხრივ, სხვადასხვა სახის წყაროებს მოიცავს. მაგრამ ლიტერატურაში ზოგჯერ მას მიიჩნევენ სახედ, რომელიც შედგება სხვადასხვა ნაირსახეობათაგან. ესენია მიმდინარე სტატისტიკა, აღწერა, მასობრივი დოკუმენტაცია[80].

ასეთივე კრებითი ხასიათისაა პერიოდიკის ცნებაც, რომელსაც განეკუთვნება გაზეთები, ჟურნალები, ბიულეტენები. ზოგჯერ პრესას უწოდებენ ნატიანეს, რომელიც ყოველდღიურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აშუქებს საშინაო და საგარეო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. ლიტერატურაში მასაც ისტორიულ წყაროთა ერთ-ერთ სახედ მიიჩნევენ, რაც მკვლევართა სამართლიან შენიშვნებს იწვევს. პრე-

---

[75] Т. И. Славко. Применение математики при изучении массовых исторических источников. — ВИ, 1978, № 6, с. 75.

[76] Массовые источники по социально-экономической истории России периода капитализма. М., 1979. იხ. აგრეთვე რეცენზია ამ კრებულზე: А. В. Лубский, А. П. Пронштейн:—ВИ, 1982, № 3, с. 120—123.

[77] Массовые источники по социально-экономической истории России периода капитализма, с. 6.

[78] Н. М. Дружинин. К вопросу о подборе и обработке исторических источников. — ИОИ, I. М., 1973, с. 169—170.

[79] Б. Н. Миронов. Формализация и генерализация содержания массовых исторических источников. — ВИД, XIII. Л., 1982; Массовые источники по социально-экономической истории России периода капитализма, с. 8—11.

[80] А. В. Лубский, А. П. Пронштейн. Некоторые теоретические и методические проблемы источниковедения массовых источников, с. 10.

სას, სტატისტიკურ მასალას, სამხედრო-ოპერატიულ დოკუმენტაციას, სასამართლო გაძიების მასალას და ა. შ. უწოდებენ სახეთა და ნაირსახეობათა კომპლექსს, ან ძეგლთა კომპლექსს, „სახეთა ერთობლიობას"[81]. მსგავსი ქვეჯგუფები საკლასიფიკაციო სქემებზე თავსდება სახის წინ, თანრიგებში. დიდი ყურადღება ექცევა ცალკე წიგნების (ხელნაწერი კრებულები, მათ შორის დოკუმენტების, გამოცემები), მათი შედგენილობის, დანიშნულების, გავრცელებისა და შენახვის საკითხებს[82].

ტიპის შემდეგ ყველაზე გავრცელებული საკლასიფიკაციო კატეგორიაა სახე. სამეცნიერო ლიტერატურაში სახე მეორად კატეგორიად არის მიჩნეული[83]. წყაროს პირველადი თვისებების, მისი ფორმისა და შინაარსის ჩამოყალიბება ხდება გარკვეულ სოციალურ სინამდვილეში, გარკვეულ ძალთა და ინტერესთა ზემოქმედებით. სახის შინაარსი სხვადასხვაგვარად არის გაგებული. აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ისევე, როგორც სხვა საკლასიფიკაციო კატეგორიები, ესეც ერთგვარად პირობითი ტერმინია და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა შემადგენლობისაა. თუ მწერლობის ადრეულ ეტაპზე სახე შეიძლება ეწოდოს ბოლიანად ისტორიულ ლიტერატურას, ხოლო მასში შემავალ ქრონიკებს, ისტორიულ ბიოგრაფიებს და სხვ. — ნაირსახეობები, მოგვიანებით, სახეებია ქრონიკები, ისტორიული ბიოგრაფიები, გენეალოგიები, პოლიტიკური პამფლეტები და ა. შ.

თანამედროვე შეხედულებით, სახის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად მისი სოციალური ფუნქცია, ე. ი. წყაროს დანიშნულება მიიჩნევა. ამას ეხმაურება ნ. მაკაროვის მიერ მოცემული განმარტება: „სახე ისტორიულ ძეგლთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსია, რომელსაც აერთიანებს შექმნის მიზანი, ე. ი. დანიშნულება ისტორიულ პროცესში, ხასიათი (დასახელება), ფორმულარი, წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ანალოგიური ხერხები (ფორმა, შინაგანი შინაარსი), სპეციფიკური თავისებურებები"[84]. ამავე დროს სულაც

---

81 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 226; М. К. Макаров. К вопросу о терминологии в источниковедении истории СССР, с. 12; А. А. Курносов. К вопросу о природе видов источников. — ИОИ, 1976. М., 1977, с. 8.

82 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 267; Г. Г. Аласания. Классификация грузинских письменных исторических источников, с. 198—199.

83 О. М. Медушевская. Развитие теории советского источниковедения, с. 9, 13.

84 М. К. Макаров. К вопросу о терминологии в источниковедении истории СССР, с. 11.

არ არის აუცილებელი, რომ ყველა ეს ნიშანი ერთდროულად იყოს წარმოდგენილი.

ლიტერატურაში სამართლიანად იყო მითითებული, რომ წყაროს დანიშნულება საკმარისი არ არის მისი სახის განსაზღვრისათვის, რადგან წყაროთა სხვადასხვა სახე ხშირად ერთსა და ივავე ფუნქციას ასრულებს[85]. გადამწყვეტია წყაროს სტრუქტურა, მისი შინაგანი ფორმა. ამის შესაბამისად სახე განმარტებულია, როგორც „წერილობით წყაროთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსი, რომლისთვისაც სტრუქტურისა და შინაგანი ფორმის მსგავსი ნიშნებია დამახასიათებელი“[86].

ვინაიდან დანიშნულება სახის შექმნის აუცილებელი პირობაა, განსაზღვრებაში მისი შეტანა ზედმეტი არ გვეჩვენება. მიზანშეწონილია აგრეთვე, მითითებაც იმ ზოგად დასახელებებზე, „ძეგლთა ფორმების აღმნიშვნელ ტერმინებზე“, რომელთაც წყაროთმცოდნეობა უმრავლეს შემთხვევაში მათი შემქმნელი პრაქტიკიდან ითვისებს[87]. ცნობილია, რომ დასახელება არ ხსნის საგნის ან საგანთა ჯგუფის შინაარსს, ვათ დანიშნულებას. სწორედ ამის გამო ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა დასახელება ეძლევა. ამ აზრის დასასაბუთებლად, მეტი დამაჯერებლობისათვის, ლიტერატურაში[88] მოტანილია მაგალითები მცენარეთა და ცხოველთა სამყაროდან, რომელიც არსებობდა ადამიანის გაჩენამდე, ე. ი. მათთვის სახელის დარქმევამდე. დაახლოებით იგივე ვითარებაა დოკუმენტების შემთხვევაშიც, რომელთაც ჯერ ქმნის ადამიანი, ხოლო შემდეგ სახელს არქმევს.

ეს ძირითადად სწორი აზრი ზოგიერთ განმარტებას საჭიროებს. ადამიანი ქმნის დოკუმენტს გარკვეული ფუნქციისათვის და თუნცა თავდაპირველად მისთვის სახელის დარქმევა ძირითადად შემთხვევით ხასიათს ატარებს, დასახელება-ტერმინს აქვს უნარი გავლენა მოახდინოს ადამიანის მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეზე. ყველა შემდგომი ობიექტი, რომელსაც იგივე სახელი ერქმევა, უკვე განსაზღვრული ნიშნების მატარებელი ხდება. ამდენად, დოკუმენტის, წყაროს სახეობრივი ან ჟანრობრივი დასახელება მისი ადგილის გარკვევისას უსათუოდ მიიღება მხედველობაში.

---

85 Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 223.

86 იქვე, გვ. 225.

87 А. А. Курносов. К вопросу о природе видов источников, с. 9.

88 Э. И. Хаипра. Архивоведческое терминоведение: объект и предмет. — АЕ за 1982 г. М., 1983, с. 42.

აქედან გამომდინარე, ისტორიული წყაროს სახე შეიძლება განვიხილოთ როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსი ისტორიული ძეგლებისა, რომლებიც გაერთიანებულია დანიშნულებით, დასახელებით, სტრუქტურით, და პერსპექტიულია მათ მიმართ შესწავლის ერთნაირი მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით.

სახის შემდგომი კატეგორია „ნაირსახეობაა", რომლის სპეციფიკას აგრეთვე სოციალური ფუნქცია განსაზღვრავს. მისი მოქმედების არე სახესთან შედარებით მცირეა[89]. მაგრამ ნაირსახეობის გამოსაყოფად პრაქტიკულად არ არის საკმარისი წყაროს სოციალური ფუნქცია, რომლის დადგენა ამასთანავე არც ამ შემთხვევაშია მარტივი. აქაც ყურადღება უნდა მიექცეს ფორმის და შინაარსის რომელსაც თავისებურებას. ნაირსახეობა არის კატეგორია, რომელიც გამოიყოფა სახის ფარგლებში იმ ძეგლთა ფორმის ან შინაარსის ზოგიერთი თავისებურებით, რომელთაც დანიშნულების, სტრუქტურის ერთიანობა ახასიათებს. ნაირსახეობის მომდევნო კატეგორიებია ქვესახე, ფორმა. რაც შეეხება დაყოფას კლასობრივი მიმართულების, წარმოშობის, ავტორის მიხედვით[90], საკლასიფიკაციო სქემაში ისინი დასაშვებია მხოლოდ ერთი სახის ფარგლებში. ყველა სხვა შემთხვევაში ირღვევა ბუნებრივი კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები, ერთი ნიშნის გათვალისწინებით ერთ დონეზე. ამდენად, ხდება ცნებათა გამეორება ერთსა და იმავე დონეზე.

კლასიფიკაციასთან მიმართებაში, გარდა ტერმინებისა — ბუნებრივი, დამხმარე ან ხელოვნური, ფუნქციური, გამოიყენება აგრეთვე გენეტიკური, სტრუქტურული, კაუზალური, მორფოლოგიური. ობიექტთა შესწავლის სიღრმის მიხედვით გამოარჩევენ 1) აღწერით კლა-

---

[89] А. Г. Тартаковский. Социальные функции источников как методологическая проблема источниковедения. — ИССР, 1983, № 3, с. 120; ს. კაშტანოვის და ა. კურნოსოვის მიხედვით, ნაირსახეობა „სახის ფარგლებში არსებული ჯგუფია" (С. М. Каштанов, А. А. Курносов. Некоторые вопросы теории источниковедения.—ИА, 1962, № 4, с. 180); ს. კაშტანოვის აზრით, „ნაირსახეობა არის კატეგორია, რომლის დადგენაც კლასიფიკაციის პროცესში ხდება წარმოშობის პრინციპის მიხედვით". წარმოშობა კი მოიცავს შექმნის სფეროს, ავტორობას, მიზანს (С. М. Каштанов. Очерки русской дипломатики. М., 1970, с. 19).

[90] იხ. მაგ.: М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 165.

სიფიკაციებს, 2) აღწერით კლასიფიკაციებს განმარტებებით და 3) არსებით კლასიფიკაციებს; ფორმალურს და შინაარსობრივს[91].

ასეთია საკითხთა ის ძირითადი წრე, რომელიც თანამედროვე საბჭოურ წყაროთმცოდნეობაში განიხილება ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის როგორც ისტორიულ ძეგლთა კვლევის აუცილებელი საფეხურის პრობლემასთან დაკავშირებით.

---

[91] ამის შესახებ იხ. Б. М. Кедров. О классификации наук.—В сб.: Философские вопросы физики. М., 1958, с. 46—69; он же. О классификации наук.—ВФ, 1955, № 2, с. 52; С. С. Розова. Научная классификация и ее виды.—ВИ, 1964, № 8, с. 69—80; К. И. Рудельсон. Современные документные классификации, с. 30.

წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი

თეორია მეცნიერული ცოდნის უმაღლესი ფორმაა. მისი შემუშავება ხდება დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის განზოგადების შედეგად. შემეცნების გარდა თეორიას აქვს ნორმატიული ფუნქციაც და უნარი გახდეს შემდგომი კვლევის საფუძველი[1].

პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში თანდათან გაჩნდა წყაროთმცოდნეობის თეორიის ელემენტები[2] — ვარაუდები, ჰიპოთეზები, მსჯელობა, აქსიომები, დადგინდა წყაროთა სახეობების ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებები, გამოიყო საგანთა ინვარიანტული თვისებები და მათ საფუძველზე შემუშავდა ცნებები[3]. განვითარების თანამედროვე ეტაპზე წყაროთმცოდნეობის თეორიამ ერთგვარი დამოუკიდებლობაც კი მოიპოვა, რაც თეორიის ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა. კვლევის ობიექტი გახდა არა მარტო შემეცნების ფორმები და გზები, არამედ თვით თეორია[4]. ნაგრამ ამასთანავე ყოველგვარი თეორიის შემოწმება პრაქტიკაში ხდება.

წყაროთმცოდნეობის თეორიის მნიშვნელობით სამეცნიერო ლიტერატურაში იხსენიება აგრეთვე „წყაროს თეორია"[5]. ამ უმართებულო გამოთქმის გამო სპეციალისტებმა შენიშნეს, რომ დაუშვებელია „წყაროს თეორიისა" და „წყაროს შემეცნების თეორიის" გა-

---

1 О. М. Медушевская. О некоторых теоретических проблемах источниковедения. — Археография и источниковедение. Сыктывкар, 1977, с. 47.

2 Г. И. Рузавин. О структуре научных теорий. — ВФ, 1977, № 8, с. 78—91.

3 В. С. Черняк. О природе научной теории. — ВФ, 1977, № 6, с. 71—81.

4 В. С. Швырев. Методология и методика социальной психологии. М., 1977; А. М. Коршунов, В. Ф. Шаповалов. Творчество и отражение в историческом сознании. М., 1984, с. 168.

5 А. П. Пронштейн. Вопросы теории и методики в курсе источниковедения истории СССР. — ИСССР, 1983, № 6, с. 79.

იგივება და, რომ მხოლოდ წყაროს თეორიაზე მსჯელობის შემთხვევაში ირღვევა წყაროსადმი სისტემური მიდგომის პრინციპი[6].

მსჯელობის საგანია წყაროთმცოდნეობაში მეთოდოლოგიის, მეთოდიკის და კვლევის ტექნიკის ურთიერთმიმართების საკითხი. ერთ-ერთი პირველი ამ საკითხს შეეხო ს. შმიდტი. მისი აზრი იმის შესახებ, რომ წყაროთმცოდნეობის კერძო მეთოდიკა წყაროთა კვლევის ხერხებისა და წესების ერთობლიობაა, ხოლო წყაროთმცოდნეობის მეთოდოლოგია — მოძღვრება ამ მეთოდების შესახებ[7], ძირითადად გაზიარებულია. მაგრამ პრობლემის ზოგიერთ მხარეს მეცნიერები სხვადასხვაგვარად განიხილავენ.

ბ. ლიტვაკი შეეცადა ეჩვენებინა მეთოდიკის დამოუკიდებლობა მეთოდოლოგიისაგან[8]. სწორედ ამით ხსნის ის იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა იდეოლოგიური სკოლის წარმომადგენლები წყაროთა ანალიზის ერთნაირი მეთოდებით სარგებლობენ. გამოთქმულია და დამაჯერებლად არის დასაბუთებული ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც[9], კერძოდ, კვლევის ყველა ეტაპზე მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის მჭიდრო კავშირის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ბ. ლიტვაკის საბუთიანობა სხვაგვარად არის ახსნილი. ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები პრაქტიკულ საქმიანობაში ხშირად თავისივე ამოსავალი კონცეფციების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ და ამდენად, წყაროთა ანალიზის სწორ მეთოდებს იყენებენ. სწორედ ამის გამო მარქსისტული ისტორიოგრაფია წყაროთა შესწავლის მეთოდიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანწილად ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მემკვიდრეა.

მკვლევართა ნაწილი მეთოდიკას ყოფს ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი დამოკიდებულია მეთოდოლოგიაზე, ხოლო მეორე —

---

[6] С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения. — Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 18; О. М. Медушевская. Источниковедение социалистических стран. М., 1985, с. 48—49.

[7] С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 17.

[8] Б. Г. Литвак. О путях развития источниковедения массовых источников. — Источниковедение. Теоретические и методические проблемы, с. 102—105.

[9] В. И. Стрельский. Теория и методика источниковедения истории СССР. Киев, 1968, с. 10, 11, 57; А. А. Введенский. Лекции по документальному источниковедению СССР (Дипломатика). Киев, 1963, с. 4; Л. В. Черепнин. К вопросу о методологии и методике источниковедения и вспомогательных исторических дисциплин. — ИОИ, I. М., 1973, с. 32—36; М. А. Варшавчик. О структуре источниковедческой критики — ИОИ, 1979. М., 1980, с. 34—35.

კვლევის ტექნიკა — მისგან დამოუკიდებელია[10]. ასეთი მსჯელობა სათავეს იღებს ა. ლაპო-დანილევსკის შემოქმედებაში[11].

წყაროთმცოდნეობის კერძო მეთოდოლოგია ისტორიული მეცნიერების ზოგადი მეთოდოლოგიის ნაწილია, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ წყაროთმცოდნეობის თეორიული ასპექტები ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ზოგად მეთოდოლოგიაში[12].

ყოველ მეცნიერებას თავისი განსაკუთრებული ენა აქვს, რომელიც წარმოადგენს ცნებების, დეფინიციათა და ტერმინთა ერთობლიობას. ამა თუ იმ დარგის განვითარება იწვევს შესაბამისი ტერმინოლოგიის შემდგომ დახვეწას. ეს პროცესი ძირითადად სტიქიური ხასიათისაა, მაგრამ მეცნიერების წარმატებით განვითარება მოითხოვს დროდადრო მასში შეგნებულ ჩარევას, ტერმინოლოგიის სისტემაში მოყვანას, მის უნიფიკაციას. ეს პრობლემები, როგორც დავინახეთ, დგას წყაროთმცოდნეობაშიც, რომლის ენის შემუშავება არ არის დასრულებული, რის გამოც ხშირია ტერმინოლოგიური დისკუსიები. ტერმინოლოგიურ ძიებათა სირთულენი ამ მიმართულებით ნ. ეიდელმანმა შესაბამისი დარგის ზრდა-განვითარების სიძნელეებით ახსნა[13]. უნდა ითქვას, რომ იგივე პროცესი მეცნიერების განვითარების ყველა ეტაპზე გაგრძელდება.

ყოველგვარი ცნება ნიშნავს განზოგადებას, ხოლო განზოგადება, თავის ჭეშრიტ, გარკვეული კანონზომიერებების დადგენაა. აღსანიშნავია, რომ წყაროთა შესწავლის პროცესში გამოვლინდა არა მარტო წყაროსა და წყაროთმცოდნეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებები, არამედ ის ზოგადი ნიშნებიც, რაც აერთიანებს მათ სხვა ობიექტებსა და მეცნიერების სხვა დარგებთან. ამის გამო შესაძლებელი ხდება წყაროთმცოდნეობაში მეცნიერების სხვა დარგების ტერმინოლოგიის გამოყენება.

---

[10] В. Т. Пашуто. Некоторые общие вопросы летописного источниковедения. — ИСИ, I. М., 1973, с. 65.

[11] А. С. Лаппо-Данилевский. Методология истории, вып. I. СПб., 1910, с. 16—17; вып. II. СПб., 1913, с. 341. შეხედულება კვლევის ტექნიკის დამოუკიდებლობის შესახებ ძირითადად უკვე გადალახულია (А. Я. Гуревич. Что такое исторический факт?—Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 79; В. И. Буганов, Г. А. Трукан. Актуальные проблемы источниковедения истории СССР.—ВИ, 1977, № 3, с. 5).

[12] იხ. მაგ., А. Г. Уппелев, Г. А. Уппелев. Историографические очерки к проблемам методологии исторической науки. Владивосток, 1983.

[13] Материалы дискуссии. — Проблемы источниковедения истории СССР и специальных исторических дисциплин. М., 1984, с. 197.

წყაროთმცოდნეობის თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია წყაროს რეპრეზენტატულობა[14]. ტერმინი ნასესხებია მათემატიკური სტატისტიკიდან. წყაროთმცოდნეობაში რეპრეზენტატულობის პრობლემა დგას როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულ შემთხვევებშიც. ისტორიულ წყაროთა რეპრეზენტატულობა ზოგადად ნიშნავს პასუხს შეკითხვაზე, არის თუ არა შესაძლებელი ისტორიულ წყაროთა საფუძველზე წარსულის რამდენადმე სრული სურათის აღდგენა. გარდა იმისა, რომ წყაროში რეალური სინამდვილე სრულად არ აისახება, კარგად ცნობილია ისიც, რომ წარსულში შექმნილ ისტორიულ ძეგლთა მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი აღწევს ჩვენს დრომდე. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად ჩნდება სირთულეები. რამდენად ტიპურია და საკმარისი ის, რაც შემორჩა? მკვლევარს ფაქტობრივად უხდება წყაროში არსებული ინფორმაციის შევსება, ე. ი. რეალური სინამდვილის რეკონსტრუქცია. ასეთი ვითარება ბადებს შეკითხვებს — როგორია დასაშვები შეფარდება წყაროს ინფორმაციის მოცულობასა და რეკონსტრუქციას შორის? რა არის რეკონსტრუქციის საფუძველი? რამდენად სანდოა თუნდაც ის, რაც შემოგვრჩა?

მარქსისტული ისტორიოგრაფია ასახვის ლენინურ თეორიაზე დაყრდნობით ძირითად შეკითხვას, არის თუ არა შესაძლებელი ისტორიულ წყაროთა საფუძველზე რეალური ისტორიული სურათის აღდგენა, დადებითად პასუხობს. სავსებით რეალურად და ობიექტურად არის მიჩნეული ის საფუძველიც, რომლის საშუალებითაც ხდება წყაროს ცნობის შევსება. ეს ცოდნა, რომელსაც პირობითად „წყაროსგარეშეს" უწოდებენ, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპის ისტორიულ წყაროებზეა დამყარებული.

ვინაიდან ისტორიული ძეგლი არ არის რეალობის არა მარტო სრული ადეკვატი, არამედ შეფერადებულია მისი შემქმნელის სოციალური, ეთნიკური, სულიერი თავისებურებებით, მასში აისახება ეპოქის საერთო დონე, დამახასიათებელი სიმბოლიკა, ფორმულები, შტამპები და სხვ.[15]. ყოველი წყარო კვლევის გარკვეულ მეთოდებს მოითხოვს. წყაროს შესწავლის მეთოდები საუკუნეების მანძილზე იხვე-

---

[14] А. Г. Тартаковский. Некоторые аспекты проблемы доказательности в источниковедении. — ИССР, 1973, № 6, с. 65—70.

[15] А. Я. Гуревич. Общий закон и конкретная закономерность в истории. — ВИ, 1965, № 8, с. 19; А. П. Каждан. О работе историка: путь исследователя.—ВИ, 1968, № 11, с. 108; А. П. Пронштейн. Истолкование исторических источников. — ВИ, 1969, № 10; И. Г. Белявский, А. П. Пронштейн. Некоторые психологические аспекты отражения действительности в исторических источниках. — Изв. Северо-Кавказского научного центра высшей школы. Серия общ. наук. Ростов-на-Дону, 1974.

წებოდა, მაგრამ მათი განვითარება მუდამ დამოკიდებული იყო ზოგად ამოსავალ პრინციპზე. მაგალითად, გარკვეულ პერიოდში დოკუმენტის ნამდვილობა მის სანდოობას ნიშნავდა და, პირიქით, ნაყალბევი დოკუმენტი იმთავითვე არასანდოდ იყო მიჩნეული. ამ პრობლემის გადაჭრით ფაქტობრივად მთავრდებოდა მისი როგორც ისტორიული წყაროს შესწავლა და, ამდენად, კვლევის ყოველგვარი შემდგომი მეთოდი სრულიად ზედმეტი ხდებოდა. ამის ნაგალითია ქართულ ისტორიოგრაფიაში ე. წ. სასისხლო სიგელები. აღნიშნული სახეობის მთლიანად ნატყუარად მიჩნევამ ერთხანს შეაფერხა მათი წყაროთმცოდნეობითი შესწავლა და როგორც ისტორიული წყაროს გამოყენება. წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდიკის სრულყოფის შედეგად დადგინდა ზოგიერთი მათგანის ნამდვილობა. გაირკვა, რომ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს აგრეთვე ამ სახეობის ნატყუარი ძეგლებიც[16].

წყაროს რეპრეზენტატულობა კონკრეტულ შემთხვევებში ნიშნავს რომელიმე ეპოქის ისტორიის პრობლემის ან თემის დასამუშავებლად აუცილებელ ცნობათა საკმარისობას[17].

რეპრეზენტატულობის კრიტერიუმების შემუშავებისას სხვადასხვა მაჩვენებელია გასათვალისწინებელი. პირველ რიგში, აქ მნედველობაში მიიღება ეპოქა. რეპრეზენტატულობის ხარისხი მატულობს წყაროს სიძველის შესაბამისად. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა დონე, ბუნებრივია, რეპრეზენტატულობის განსხვავებულ საზომს მოითხოვს. მაგალითად, დამწერლობის საწყის ეტაპზე, საიდანაც მხოლოდ ერთეული ნიმუშებია შემორჩენილი, ზოგიერთ შემთხვევაში ერთადერთი ცნობაც კი შეიძლება რეპრეზენტატულად ჩაითვალოს. რეპრეზენტატულობის ხარისხი მერყეობს ზოგადად წყაროს სანდოობის, ან უფრო ვიწროდ, მისი ავთენტიკურობის შესაბამისად. რეპრეზენტატულობის პრობლემა განიხილება წყაროს სახეობრივი კუთვნილებიდან და კონკრეტული ხასიათიდან გამომდინარე. ფაქტის, მოვლენის, ისტორიული ვითარების და ისტორიული პროცესის მიმართ[18] რეპრეზენტატულობის კრიტერიუმები, ბუნებრივია, განსხვა-

---

16 ამის შესახებ იხ. Д. Э. Одишелия. Грузинские грамоты выкупа крови. — ИР, 1979. Тбилиси, 1984, с. 147—152.

17 ვ. კობრინის აზრით, წყაროთა რეპრეზენტატულობა არსებობს არა თავისთავად, არამედ კვლევის მიზნების მიმართ (В. Б. Кобрин. К вопросу о репрезентативности источников по истории феодального землевладения в русском государстве XV—XVI вв.—НОИ. I. М., 1973, с. 171).

18 ა. ტარტაკოვსკი პირობითად გამოყოფს ისტორიულ მოვლენათა ჩამოთვლილ ტიპებს. (А. Г. Тартаковский. Некоторые аспекты проблемы доказательности в источниковедении, с. 69).

ვებულია. ამა თუ იმ ამბის მოხსენიების სიხშირე ზოგადად რეპრეზენტატულობის პროპორციულია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე ფაქტის ერთხელ ხსენებაც შეიძლება საკმარისად იქნეს მიჩნეული.

წყაროთმცოდნეობის თეორიულ პრობლემატიკაზე გამართული დისკუსიის მსვლელობაში გამოითქვა წინადადება, რომ გამოთქმა „წყაროს რეპრეზენტატულობა" შეიცვალოს მისი ანალოგის, ე. ი. მკვლევრის მიერ შექმნილი მოდელის რეპრეზენტატულობით. მაგრამ ამავე დისკუსიაში ეს მოსაზრება სამართლიანად იქნა უარყოფილი[19].

არაერთხელ აღინიშნა, რომ ისტორიკოსს, ისევე როგორც ნებისმიერ მკვლევარს, მოეთხოვება კვლევის ტექნიკის შეგნებული გამოყენება, მეცნიერული კატეგორიებისა და ცნებების სიზუსტე[20].

ტერმინოლოგიის დაზუსტება მოითხოვს ე. წ. „წინატერმინების" უფრო ღრმად და სრულად შესწავლას[21]. მოტივირებული და არამოტივირებული ტერმინებიდან პირველში გამოიყოფა მაორიენტირებელი ტერმინები. სპეციალისტების აზრით, დიდად სასურველია, რომ მკვლევარი შეძლებისდაგვარად მთლიანად გათავისუფლდეს ტერმინთა უკანასკნელი ჯგუფისაგან[22].

სწორედ ასეთ ტერმინთა რიცხვს განეკუთვნება წყაროთმცოდნეობაში იურისპრუდენციიდან ნასესხები „უდანაშაულობის პრეზუმფცია". იურისპრუდენციაში, მისი შინაარსის შეხედვით, ძიებაში მყოფი პირი არ ითვლება დამნაშავედ იმ დრომდე, ვიდრე მას არ დაუმტკიცდება დანაშაული. მსგავსი ვითარება ზოგიერთმა მეცნიერმა ისტორიულ წყაროზეც გაავრცელა. მათი აზრით, ისტორიული წყარო სანდოდ უნდა ჩაითვალოს იმ დრომდე, ვიდრე არ დადგინდება მისი არასანდოობა[23]. ასეთი ანალოგია, ვფიქრობთ, გაუმართლებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად აღინიშნა, რომ ისტორიულ მეც-

---

19 აღნიშნული წინადადება ეკუთვნის ლ. მილოვს, ხოლო მისი კრიტიკა ე. კობრინს და ა. კურნოსოვს (Материалы дискуссии.—Проблемы источниковедения истории СССР. М., 1984, с. 190. 192).

20 А. Я. Гуревич. Что такое исторический факт, с. 88.

21 С. С. Илизаров. О формировании термина «исторический источник» в русской научной литературе XVIII в. — ИОИ, 1984. М., 1986, с. 199—210.

22 Э. И. Ханпира. К вопросу о точности некоторых архивных терминов. — СА. 1983, № 3.

23 А. Г. Кузьмин. Спорные вопросы методологии русских летописей.— ВИ, 1973, № 2, с. 33.

ნიერებაში წყარო ბრალდებულის კი არა, მოწმის როლში გამოდის[24] და, ამდენად, ყოველმხრივ შემოწმებას საჭიროებს. მხოლოდ მოწმის სანდოობაში დარწმუნების შემდეგ შეიძლება მის ჩვენებაზე დაყრდნობა. ასევე მხოლოდ წყაროს ყოველმხრივი კრიტიკა იძლევა მისი გამოყენების უფლებას[25]. ასეთია ლოგიკა. მაგრამ რეალობაში, სამწუხაროდ, მუდამ ასე არ ხდება. არის შემთხვევები, როდესაც წყაროს ამა თუ იმ ცნობის შემოწმების შესაძლებლობა არ არსებობს. განსაკუთრებით ხშირია მსგავსი ვითარება ძველი ეპოქის ისტორიაში. საიდანაც ზოგჯერ საერთოდ ერთეული ცნობებია შემორჩენილი ამა თუ იმ ფაქტის შესახებ. როგორია გამოსავალი ასეთ შემთხვევაში? არსებული წყარო პირობითად მიიღება. ვიდრე არ აღმოჩნდება სხვა დამატებითი საკონტროლო მასალა, რომელიც მას დაადასტურებს ან, პირიქით, გააბათილებს. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ პერიოდში, ასეთ შემოწმებელ საფუძველსაც შეუძლია ერთგვარი დადებითი როლი შეასრულოს თვით ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მომავალში მცდარი აღმოჩნდება[26]. ხომ არ ნიშნავს ეს წყაროთა კრიტიკაზე უარის თქმას? სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წყაროთა კრიტიკის პრინციპები ყველა შემთხვევაში უცვლელი უნდა დარჩეს, რათა არ მოხდეს რეალური, შემოწმებული, სანდო ცნობების საქმე, ან ლეგენდარული ხასიათის ამბებით შევსება[27]. ეფიქრობთ, რომ აღწერილი ვითარება არ ნიშნავს წყაროს კრიტიკაზე უარის თქმას, ვინაიდან საქმე ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როცა ცნობის სანდოობის შემოწმება ვერ ხერხდება, მაგრამ ამავე დროს არც მასში დაეჭვების საფუძველი არსებობს.

ამგვარად, ე. წ. „უდანაშაულობის პრეზუმფცია" წყაროთმცოდნეობაში მხოლოდ ნაწილობრივ მოქმედებს, კერძოდ, მოწმის — ე. ი. წყაროს — მიმართ. ის მოქმედებდა ძველ დროში, ვიდრე შემუშავდებოდა წყაროთა კრიტიკის სათანადო ხერხები და მეთოდები. უნდა ითქვას, რომ წყაროთა კრიტიკული შესწავლის მეთოდები არც XIX ს-ში იდგა სათანადო სიმაღლეზე, რამაც გარკვეულ ეტაპზე

---

24 ასეთი მოსაზრება ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. კოლინგვუდმა გამოთქვა Р. Дж. Коллингвуд. Идея истории. Автобиография. М., 1980, с. 246, (255, 257).

25 Я. С. Лурье. О так называемой «презумпции невиновности» источника. — ИР, 1982. Тбилиси, 1985, с. 44—51.

26 ზოგიერთი უცხოელი მეცნიერი ფიქრობს, რომ მკვლევარი არ უნდა ერიდებოდეს ისტორიაში ცარიელი ადგილების დატოვებას (ამის შესახებ იხ. Я. С. Лурье. О некоторых принципах критики источников.—ИОИ, I. М., 1973, с. 99).

27 იქვე, გვ. 99—100.

შესაძლებელია ერთგვარი დადებითი როლიც კი შეასრულა, რადგან ხელი შეუწყო ისტორიული ტექსტების დიდი რაოდენობით გამოცემას. თანამედროვე ტექსტოლოგიის მოთხოვნაა, რომ წერილობითი წყაროს ტექსტი ჯერ უნდა ყოველმხრივ შესწავლილ იქნეს და მერე გამოიცეს[28]. ამ შეხედულებას ამჟამად ყველა მკვლევარი იზიარებს[29].

ამასთან კავშირში შეიძლება იქნეს განხილული საკითხი წყაროს ცნობების სრულად გამოყენების შესახებ. მკვლევართა ნაწილი კატეგორიულად ილაშქრებს წყაროს ნიმართ ე. წ „მომხმარებლური დამოკიდებულების“ წინააღმდეგ[30]. მათი აზრით, ნებისმიერი წყაროს გამოყენება ერთოლოდ მისი ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ შეიძლება. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ არ შეიძლება კრიტიკულად შეუსწავლელი წყაროს შესწორება ან, მით უმეტეს, უარყოფა და რომ, გარკვეული სიფრთხილით, შეუსწავლელი წყაროს ცნობებით სარგებლობაც დასაშვებია[31].

ასეთი მოსაზრება, ვფიქრობთ, მთლად უარსაყოფი არ არის. თვით გამოთქმა — წყაროს ყოველმხრივი შესწავლა — რამდენადვე პირობითია. როგორც ცნობილია, ყოველგვარი წყარო ამოუწურავია ინფორმაციის თვალსაზრისით. კვლევის მეთოდების დახვეწა, ზოგადი ცოდნის გაღრმავება შესაძლებელს ხდის განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე ერთი და იმავე წყაროს ახლებურ წაკითხვას. ამდენად, ერთგვარი „მომხმარებლური“ დამოკიდებულება წყაროს მიმართ მუდამ რჩება. მაგრამ ეს სრულიადაც არ აფერხებს განვითარების პროცესს და, პირიქით, გარკვეულწილად ხელსაც კი უწყობს მას. ამდენად, სასურველია, ყოველი წყარო, ვიდრე მას ისტორიკოსი გა-

---

[28] Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII веков. Л., 1983, с. 487. რ. კიკნაძე. წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი. — ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, გვ. 43.

[29] ვ. პაშუტოს ხელოვნურად მიაჩნია ამ საკითხზე კამათი და თვლის, რომ ეს ერთიანი პროცესია და ტექსტოლოგიამ არ უნდა შეაფერხოს ისტორიის განვითარება (В. Т. Пашуто. Некоторые общие вопросы летописного источниковедения, с. 67).

[30] Я. С. Лурье. Критика источника и вероятность известия. — Сб.: Культура Древней Руси. М., 1966, с. 121—126.

[31] В. Т. Пашуто. Некоторые вопросы летописного источниковедения, с. 66. აქ უნებლიედ გვახსენდება XVII ს-ის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ე. წ. მეორე ნაწილი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მთლიანად უგულებელყოფილი იყო მკვლევართა მიერ. როგორც წყაროს დაწერილებითმა შესწავლამ ცხადყო, გორგიჯანიძის თხზულების ეს ნაწილი საყურადღებო მასალას შეიცავს როგორც XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად, ისე „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა კრიტიკული ტექსტების დასადგენად.

მოიყენებდეს, ყოველმხრივ იქნეს შესწავლილი, მაგრამ ესეც არ გამორიცხავს მის მიმართ „მომხმარებლურ“ დამოკიდებულებას.

ისტორიული წყაროსადმი, „მომხმარებლური“ დამოკიდებულების სრულიად მიუღებელი, მეცნიერული კვლევის მეთოდიკის თვალსაზრისით მთლიანად დასაგმობი შემთხვევაა, როცა ისტორიკოსი იღებს ძეგლიდან მისთვის საჭირო ცნობებს, მაგრამ სრულიად უყურადღებოდ ტოვებს მისი შეხედულების, რომელიმე კონკრეტული დასკვნის საწინააღმდეგო მასალას.

წყაროთმცოდნეობით კვლევას მთელ სიგრძეზე გასდევს ისტორიზმის პრინციპი, ე. ი. ისტორიულ ძეგლთა შესწავლა ხდება გარკვეულ დროსა და სივრცეში, რომლებიც გავლენას ახდენენ წყაროთმცოდნეობით მეთოდებზეც. ეპოქის დამახასიათებელი ზოგადი კანონების გარდა არსებობს ყველა დროში მოქმედი მუდმივი მეთოდები.

ისტორიულ წყაროთა ყოველი ტიპი, გვარი, სახე და ნაირსახეობა შესწავლილი უნდა იყოს დინამიკაში, განვითარებაში, უნდა დადგინდეს როგორც მათი შექმნის მიზანი, გამოყენების სფერო, ასევე ფუნქციათა შემდგომი ცვალებადობა. შესწავლილი უნდა იქნეს ძეგლის მდგომარეობა კვლევის მომენტში, კერძოდ, როგორ არის ის შენახული და რა ფუნქციას ასრულებს. აღნიშნულ მეთოდს, რომელიც არქივთმცოდნეობაშიც გამოიყენება, აქტუალისტური ეწოდება[32].

კვლევის პროცესში წყაროთმცოდნე სარგებლობს ისტორიულ მეცნიერებაში მიღებული მეთოდებით. ერთ-ერთი ძირითადი აქაც, ისევე როგორც საერთოდ ისტორიულ მეცნიერებაში, ისტორიულ-შედარებითი მეთოდია. ამ მეთოდს წყაროთმცოდნეობაში მოქმედების ფართო სფერო აქვს, როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ჭრილში[33]. გარდა ამისა, წყაროთმცოდნეობაშიც გამოიყენება ისტორიულ-გენეტიკური, ისტორიულ-ტიპოლოგიური და ისტორიულ-სისტემური მეთოდები[34].

ვინაიდან არ ხერხდება ყველა პროცესის და მოვლენის ფორმალიზაცია და გენერალიზაცია, დიდია წყაროთმცოდნეობაში აღწერითი მეთოდის ხვედრითი წილი. გამოიყენება აქ ინდუქციური და დედუქციური მეთოდები. როგორც აღინიშნა, წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა წყაროთა სხვადასხვა საკლასიფიკაციო ჯგუფის კვლევის მეთოდების შემუშავება. წყაროთა სხვადასხვა სახის ზოგა-

---

32 В. Н. Автократов. К вопросу о методологии архивсведения. — АЕ за 1969 г. М., 1971, с. 24.

33 გ. ყორანაშვილი. პროფესია ისტორიკოსი. თბ., 1986, გვ. 62.

34 И. Д. Ковальченко. Методы исторического исследования. М., 1987, с. 169.

დი დახასიათება და მათი კვლევის მეთოდები ხდება ამოსავალი კონკრეტული ძეგლის შესწავლისას და, პირიქით, კონკრეტულ წყაროთა ანალიზი ხდება ზოგადი სახეობრივი შეფასების და საერთოდ მეთოდიკის შემუშავების საფუძველი. გარდა ამისა, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდი მოქმედებს ერთი ძეგლის შესწავლის ფარგლებშიც. წყაროთმცოდნეობაში განსაკუთრებული ნიშვნელობა ენიჭება წყაროს ზოგად შეფასებას, მის დათარიღებას, მიზანდასახულობას, ავტორის პარტიულობას, განწყობილებას, ცნობათა სანდოობის ხარისხს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამავე დროს წყაროთა ცალკეული ცნობების გაანალიზება, რის გარეშეც .საერთოდ შეუძლებელია ძეგლის ზოგადი შეფასება. ამავე დროს სამეცნიერო ლიტერატურაში შეინიშნება შემთხვევები, როდესაც მკვლევრები უპირატესობას ანიჭებენ დედუქციურ ან ინდუქციურ მეთოდს. მაგალითად, თუ ი. ლურიეს აზრით, „ცალკეულ ცნობათა შეფასებისაკენ მკვლევარი მიდის წყაროს ზოგადი დახასიათებიდან"[35], ა. ზიმინის შეხედულებით, ძეგლის ზოგადი დახასიათება სრულიადაც არ არის საკმარისი წყაროს ცალკეულ ცნობათა შეფასებისას[36]. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად შეიძლება დაისვას შეკითხვა: აქვს თუ არა საერთოდ აზრი ცალკეულ ძეგლთა ან სახეთა მთლიან შეფასებას, თუ ყოველი კონკრეტული შემთხვევა ცალკე კვლევას საჭიროებს? დედუქციური მეთოდის როლის შეუფასებლობა ნიშნავს ფაქტობრივად ზოგადი კანონზომიერებების უარყოფას. რა თქმა უნდა, არ არსებობს მთლიანად არასანდო ძეგლი და ყოველი მათგანი მეტ-ნაკლებად ზუსტ ცნობებსაც შეიცავს. მაგრამ ამავე დროს ალბათობა იმისა, რომ მთლიანად ტენდენციურ და ყალბისად მიჩნეულ ძეგლში სარწმუნო ან სანდო ცნობები აღმოჩნდება, თუმცა არ არის მთლიანად გამორიცხული, მაგრამ ბევრად ნაკლებია, და მკვლევარს ასეთი ხასიათის ძეგლით სარგებლობისას, ცხადია, მეტი სიფრთხილე მართებს[37]. წყაროთმცოდნეობითი შეფასების ძირითადი ნიშანი არის არა ის, რომ მიაწოდოს ისტორიკოსს გამზადებული რეცეპტები ყველა შემთხვევისათვის, არამედ აჩვენოს წყაროს ძირითადი მიმართულება და, აქედან გამომდინარე, გაამახვილოს ყურადღება მის „დადებით" და „უარყოფით" ნახარეებზე.

ამდენად, წყაროთმცოდნეობაში ინდუქციური და დედუქციური მეთოდები განუყოფელია. კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ხან ერთი შეიძ-

---

35 Я. С. Лурье. Критика источника и вероятность известия, с. 126.

36 А. А. Зимин. Трудные вопросы методики источниковедения Древней Руси. — Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 448.

37 Я. С. Лурье. О некоторых принципах критики источников, с. 94—98.

ლება იყოს წამყვანი და ხან ერთი. გარდა ამისა გამოიყენება დედუქციურ-ჰიპოთეზური მეთოდი.

წყაროს ყოველმხრივ შესწავლას ზოგჯერ კრიტიკულ ანალიზს უწოდებენ[38]. მაგრამ წყაროს ყოველმხრივი შესწავლა ანალიზთან ერთად უსათუოდ სინთეზსაც გულისხმობს.

წყაროს შესწავლას, ან როგორც ხშირად უწოდებენ, წყაროს კრიტიკას, დიდხანს ორ საფეხურად ყოფდნენ: გარეგანი და შინაგანი კრიტიკა. პირველში იგულისხმება წყაროს წარმოშობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გარკვევა: ავტორის ვინაობა, შედგენის თარიღი, ნამდვილობა, თუ წერილობითი ძეგლია, მისი ტექსტის დადგენა, ფორმის ანალიზი. შინაგანი კრიტიკა ნიშნავს წყაროს შინაარსობრივ ანალიზს. კვლევის ამ საფეხურს ჰერმენევტიკა ეწოდება. დასავლეთის ზოგიერთი ისტორიკოსი ამჟამადაც ამ ტრადიციული დაყოფის მომხრეა[39]. იმის გამო, რომ წყაროზე მუშაობის პროცესში ეს ეტაპები ერთდროულად მიმდინარეობს და მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ისტორიკოსთა უმრავლესობა უარს ამბობს ასეთ დაყოფაზე[40]. ამის ნაცვლად ყურადღებას ამახვილებენ წყაროთა შესწავლის პროცესში ანალიზურ და სინთეზურ მეთოდებზე. ამასთანავე სინთეზი წყაროთმცოდნეობაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული. თუ ერთ შემთხვევაში სინთეზი მხოლოდ კონკრეტული ძეგლის საბოლოო შეფასებას გულისხმობს[41], მეორე შემთხვევაში მას წყაროთა ტიპების, გვარების, სახეთა და ნაირსახეობათა დახასიათებას უკავშირებენ[42]. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ სინთეზის საშუალებით ფაქტების სისტემის დადგენა ხდება[43]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სინთეზურ მეთოდს ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე სხვადასხვაგვარად იყენებენ თავიანთ საქმიანობაში. მაგალითად, ი. ლუ-

---

38 М. Н. Черноморский. Источниковедение истории СССР. Советский период. М., 1976, с. 11.

39 მაგ., ბელგიელი მეცნიერის ჯ. სალმონის აზრით, წყაროს გარეგანი კრიტიკა მისი ნამდვილობის დადგენაა, ხოლო შინაგანი—სანდოობისა (О. М. Медушевская. Современное зарубежное источниковедение. М., 1983, с. 130).

40 М. А. Варшавчик. О структуре источниковедческой критики. — ИОИ, 1979. М., 1980, с. 23—25; И. Д. Ковальченко. Исторический источник в свете учения об информации. — ИССР, 1982, № 3, с. 139.

41 О. М. Медушевская. Теоретико-методологические проблемы источниковедения и современная буржуазная историография. — ТМГИАИ, т. 25. 1967, с, 108.

42 С. М. Каштанов, А. А. Куриносов. Некоторые вопросы теории источниковедения. — ИА, 1962, № 4, с. 185.

43 А. Г. Тартаковский. Некоторые аспекты проблемы доказательности в источниковедении, с. 57.

რიე ფიქრობს, რომ ისტორიკოსის მუშაობაში მრავალ წყაროზე დამყარებული სინთეზი ცალკეულ წყაროთა ანალიზს ვისდევს[44]. რაც შეეხება წყაროთმცოდნეობით კვლევას, აქ სინთეზი აუცილებელი საფეხურია როგორც ცალკეული წყაროს, ასევე წყაროთა საკლასიფიკაციო ჯგუფების შეფასებისას.

წყაროთმცოდნეობითი კვლევის გარდა ზემოთ განხილული ეტაპების და მეთოდებისა, აღსანიშნავია აგრეთვე კლასიფიკაცია, მსჯელობა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ და პირიქით, აბსოლუტიზაცია, იდეალიზაცია, რეკონსტრუქცია და სხვ. გამოიყენება მოდელირების მეთოდი, როდესაც მკვლევარი ქმნის გარკვეული დროისათვის დამახასიათებელ წყაროთა სისტემის ვოდელს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირია გამონაკლისები, არის, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ერთნაირი ტიპის ვოვლენებიც, რომელთა ანალიზი ზოგჯერ არ ხერხდება დიდი რაოდენობის გამო. ასეთ შემთხვევაში ხდება მათი გამარტივება, დაყვანა ერთი ტიპის მოვლენებზე, ე. ი. გამოიყენება შერჩევის მეთოდი. ასეთი მეთოდი გამოიყენება, მაგალითად, ე. წ. „მასობრივი" წყაროს შესწავლისას და მოითხოვს ცალკეულ მოვლენათა წინასწარი შეფასების სიზუსტეს.

ყოველგვარი ისტორიული მოვლენა ხასიათდება როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლებით, რომელთაც ისტორიკოსი თავის მუშაობაში გვერდს ვერ აუვლის. ყველგან, სადაც ხდება შეხვედრა გარკვეული ხასიათის სიხშირესთან, კანონზომიერებასთან, საქმე გვაქვს რიცხვებთან. ცნობილია კ. მარქსის აზრი, რომ „მეცნიერება მხოლოდ მაშინ აღწევს სრულყოფილებას, თუ ახერხებს მათემატიკით სარგებლობას"[45], მაგრამ მათემატიკის გამოყენებას ისტორიულ მეცნიერებაში[46] წინ ეღობება გარკვეული დაბრკოლებები: ის-

---

[44] Я. С. Лурье. О некоторых принципах критики источников, с. 91.

[45] Поль Лафарг. Воспоминания о Марксе. — В кн.: Воспоминания о Марксе и Энгельсе. М., 1956, с. 66.

[46] А. В. Гулыга. Понятие и образ в исторической науке. — ВИ, 1965, № 9; В. Н. Автократов. Архивоведение: методологическая характеристика и типология исследования. — ИССР, 1972, № 4, с. 41; Сб. Математические методы в исторических исследованиях. М., 1972; А. Г. Тартаковский. Некоторые аспекты проблемы доказательности в источниковедении, с. 55—56; Сб. Математические методы в исследованиях по социально-экономической истории. М., 1975; Б. Н. Миронов, З. В. Степанов. Историк и математика. Л., 1975; ვ. ბ ბ ლ ა ა ძ ე, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი და ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები,—მაცნე, ისტორიის სერია, 1975, № 2; История и общество.—ВИ, 1977, № 1; Сб. Математические методы в историко-экономических и историко-культурных исследованиях. М., 1977; И. Д. Ковальченко. О моделировании исторических явлений и процессов. — ВИ, 1978, № 8; Сб.

ტორიკოსთა ერთგვარი სკეპსისი, რაც ზოგჯერ გამოწვეულია მათი მოუმზადებლობით მათემატიკის დარგში, ისტორიული პროცესების არასაკმარისი შესწავლა და, აქედან გამომდინარე, მთელ რიგ კანონზომიერებათა უცოდინარობა, ისტორიულ პროცესში გამონაკლისების და შემთხვევითობათა სიხშირე.

ისტორიული მეცნიერების თავისებურებათა გამო გაუმართლებელია ამ დარგში მათემატიკური მეთოდების როლის გაბერვადება, მაგრამ არც მათი სრული უგულებელყოფა შეიძლება. ცხადია, რომ ისტორიულ კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების შემთხვევებშიც წამყვანი და ძირითადი რჩება წერილობითი ძეგლის შინაარსობრივი ანალიზი და აღწერითი მეთოდი. ამდენად, ისტორიული პრობლემის კვლევისას ისტორიკოსისა და მათემატიკოსის თანამშრომლობაში მთავარი ფიგურაა ისტორიკოსი, რომელსაც ხელეწიფება როგორც ამოცანის დასმა, ასევე მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ მას ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი კვლევის პროცესი. ამასთანავე სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი, რომ ის ერკვეოდეს რთულ მათემატიკურ ფორმულებსა და გამოთვლებში. გაირკვა, რომ მათემატიკური მეთოდები იძლევა მოვლენათა არა მარტო რაოდენობრივი მხარის, არამედ მათი ატრიბუციული, ე. ი. თვისებრივი ანალიზის შესაძლებლობას. ისტორიკოსები ითვისებენ და წარმატებით იყენებენ კორელაციური, ენტროპიული, დისპერსიული, რეგრესიული, ფაქტორული, კლასტერული, ლატენტურ-სტრუქტურული ანალიზის და სხვა მეთოდებს[47]. აღნიშნული მეთოდები განსხვავებული საშუალებებით ავლენენ დამოკიდებულებას ძირითად და შემთხვევით მოვლენათა შორის, მათ ურთიერთგავლენებს, ამ ურთიერთობათა ხასიათს, იძლევიან აგრეთვე დაკვირვების შედეგების სტრუქტურის ანალიზის შესაძლებლობას.

Количественные методы в гуманитарных науках. М., 1981; Т. И. Славко. Математико-статистические методы в исторических исследованиях. М., 1981; Сб. Количественные методы в исторических исследованиях. М., 1984; И. Д. Ковальченко. Применение количественных методов и ЭВМ в исторических исследованиях. — ВИ, 1984, № 9, с. 64—69; В. В. Ильин. О специфике гуманитарного знания. — ВФ, 1985, № 7, с. 45—53; Л. И. Бородкин. Многомерный статистический анализ в исторических исследованиях. М., 1986.

47 Ю. Л. Бессмертный. Математические методы и их применение при изучении проблемы средневековья. — Средние века, 34. М., 1971; Б. Г. Могильницкий. О соотношении исторического и естественнонаучного познания. — Средние века, 38, 1975; Н. В. Пилипенко. Необходимость и случайность в социальном познании. — ВФ, 1978, № 7; И. Д. Ковальченко. Методы исторического исследования, с. 294—435.

მათემატიკური მეთოდები წარმატებით გამოიყენება წყაროთმცოდნეობაში. ისინი მნიშვნელოვანწილად ამოკლებენ, აჩქარებენ და ერთგვარად აიოლებენ კვლევის პროცესს, იძლევიან სიზუსტის გარანტიას, რომელიც თითქმის მიუღწეველია ტრადიციული საშუალებებით. განსაკუთრებით ეფექტურია ეს მეთოდები ისტორიულ წყაროში ე. წ. ფარული ინფორმაციის გამოვლენისათვის[48].

წყაროთა სხვადასხვა სახის მიმართ მათემატიკური მეთოდები სხვადასხვა ინტენსიურობით გამოიყენება. ბუნებრივია, უფრო ხშირად მუშავდება მათი მეშვეობით სტატისტიკური წყაროები, რომლებიც ყველაზე მეტად ექვემდებარება ფორმალიზაციას. ასევე ეფექტურია მათემატიკური მეთოდები წყაროთა ატრიბუციის თვალსაზრისითაც[49]. მაგალითად, აღნიშნული საშუალებებით დასტურდება, რომ წერილობითი ძეგლის ლექსიკის შედარებითი სიმდიდრე დროის კვალობაზე მნიშვნელოვნად იცვლება, რაც გარკვეულ პერსპექტივებს სახავს დაუთარიღებელი ტექსტების დროში განსაზღვრის თვალსაზრისით[50]. ზოგჯერ დადებით შედეგს იძლევა მათემატიკური მეთოდების გამოყენება ტექსტების სტილისტური ანალიზის, კონკრეტულად ავტორის დადგენის მიმართ[51]. სტილი წყაროს ატრიბუციისათვის ერთ-ერთი ძი-

---

48 Б. Н. Миронов. К вопросу об использовании скрытой исторической информации. — ВИД. XVII. Л., 1985.

49 ტერმინი „ატრიბუცია" სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება. ხშირად იგი ესმით მხოლოდ როგორც ნაწარმოების ავტორის დადგენა (Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII вв. Л., 1983, с. 304). მაგრამ ატრიბუციას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, როგორიცაა წყაროს ძირითადი მახასიათებლების (ატრიბუტების) გამოვლენა, ე. ი. ავტორის, ადრესატის, შედგენის თარიღის, ძეგლის სახისა და ვარიანტების და სხვ. (Л. Е. Шепелев. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины: к вопросу об их задачах и роли в историческом исследовании.—ВИД. XIII. Л., 1982, с. 7).

50 И. Ш. Надарейшвили. Изменение относительного богатства лексики со временем в грузинских текстах; Ю. К. Орлов. О связи между относительным богатством лексики текста и временем его написания. — «Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Тезисы докладов». Тбилиси, 1982, с. 55—56; 60—62.

51 Л. И. Бородкин, Л. В. Милов, Л. Е. Морозова. К вопросу о формальном анализе авторских особенностей стиля в произведениях Древней Руси. — Сб. Математические методы в историко-экономических и историко-культурных исследованиях. М., 1977, с. 298—326; მ. ჩხარტიშვილი, „ნინოს ცხოვრების" მცირე და ვრცელი რედაქციები (ურთიერთმიმართების საკითხისათვის).— მაცნე, ისტორიის სერია, 1980, № 1; მ. ჩხარტიშვილი, ლ. ჩხარტიშვილი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ". ავტორის სტილის მათემატიკური ანალიზი.—მეცნიერება და ტექნიკა, 1982, № 1; Г. Г. Аласания, Ю. К. Орлов. Опыт статистической классификации текстов (на материале сочинений „Картлис цховреба").—

რითადი საყრდენია. მაგრამ ამის მიხედვით ნაწარმოების ატრიბუცია არცთუ იოლი საქმეა. განსაკუთრებით აქტუალურია ეს პრობლემა შუა საუკუნეების ტექსტების მიმართ, სადაც ანონიმურობა საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ამასთანავე, შუა საუკუნეების თეორიულ-ლიტერატურული ნორმები, როდესაც ყველა გადამწერი იმავე დროს რედაქტორი და თანაავტორიც არის, ართულებს ამოცანას. ანალიზი ასეთ შემთხვევაში ხდება ხარისხობრივი თვისებების მახასიათებლების გამოყოფით, რომლებიც აღინიშნება პირობითი რიცხვით, რის შემდეგაც ხდება მათი სიხშირის გაზომვა. ასეთ კვლევას კონტენტ-ანალიზი ეწოდება[52], რომლის დროსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მახასიათებლების ზუსტი შერჩევა, ვინაიდან მათემატიკური მეთოდები, თავისთავად, ცხადია, ნეიტრალურია ისტორიული პრობლემების მიმართ. იმის გამო, რომ ეს მახასიათებლები იცვლება პერიოდების, წყაროთა სახეების ან ზოგჯერ ცალკეული ავტორების ან ძეგლების მიხედვით, ისტორიკოსი, ვიდრე მათემატიკურ მეთოდებს მიმართავდეს, ზედმიწევნით უნდა იცნობდეს შესასწავლ ძეგლს, მის თავისებურებებს. მათემატიკური მეთოდებით ხდება არა მარტო წერილობითი ძეგლების სტრუქტურული, მორფოლოგიური, სტილისტური ანალიზი, სხვადასხვა ნუსხის გენეტიკური კავშირების დადგენა, არამედ ტარდება კვლევა ფილიგრანოლოგიის დარგში, შეისწავლება სახვითი წყაროები და სხვ.[53]

ამდენად, მათემატიკის გამოყენების სფერო ისტორიულ კვლევაში საკმაოდ შეზღუდულია. ის არ არის და არც შეიძლება იყოს უნივერსალური საშუალება, და დიდი მნიშვნელობა აქვს მის დანიშნულებისამებრ გამოყენებას. მათემატიკის დადებითი როლი იმაშიც ვლინდება, რომ მოითხოვს ისტორიკოსისაგან მწყობრ აზროვნებას,

---

Мацне, серия истории, 1983, № 2, с. 57—79; М. В. Марсагишвили. Опыт текстологической характеристики памятников исторической литературы на основе анализа терминов (на примере „Истории и восхваления венценосцев“).— ИР, 1985. Тбилиси, 1988.

52 Л. И. Бородкин. Контент-анализ и проблемы изучения исторических источников. — Сб. Математика в изучении средневековых повествовательных источников. М., 1986, с. 8—31.

53 Л. И. Бородкин, Л. В. Милов. О некоторых аспектах автоматизации текстологического исследования (Закон Судный людем). — Сб. Математические методы в историко-экономических и историко-культурных исследованиях. М., 1977, с. 235—280; Я. А. Шер. Алгоритм распознавания стилистических типов в петроглифах (К теории стиля в первобытном искусстве). Там же, с. 127—144; А. П. Богданов, А. М. Пентковский. Количественные показатели в филиграноло гии. — Сб. Математика в изучении средневековых повествовательных источников. М., 1986, с. 130—147.

მეტ სიზუსტეს, კერძოდ, ტერმინოლოგიის დახვეწას, მოვლენათა უფრო ღრმად შესწავლას.

ამგვარად, ფართო სამეცნიერო ლიტერატურისა და საკუთარი კვლევის შედეგების საფუძველზე ჩვენ განვიხილეთ თანამედროვე წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემატიკა და შეძლებისდაგვარად საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მისი დამუშავების მდგომარეობაც ვაჩვენეთ. წყაროთმცოდნეობა წიგნში განსაზღვრულია როგორც ისტორიული მეცნიერების წამყვანი კომპლექსური დარგი, ნაჩვენებია მისი ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში, ხაზგასმულია თეორიული კვლევის მნიშვნელობა წყაროთმცოდნეობაში; შესწავლილია წყაროთმცოდნეობის სტრუქტურა, მისი შემადგენელი სპეციალური დისციპლინები, „დამხმარე" ისტორიული დისციპლინის ცნება; დახასიათებულია ისტორიული წყარო, მისი კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები და სისტემები. დასასრულ, განხილულია წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდიკის ზოგიერთი ძირითადი საკითხი.

ყოველივე ამის გათვალისწინება ხელს შეუწყობს მკვლევარი ისტორიკოსის მეცნიერული ცოდნის არსენალის გაბდიდრებას, მისი თვალსაწიერის გაფართოებას, წყაროდან სანდო ინფორმაციის მიღების, მისი დამუშავების მეთოდების დახვეწას და მთლიანად ისტორიული მეცნიერების შემდგომ დაწინაურებას.

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ИСТОЧНИКОВЕДЕНИЯ

Резюме

Неисчерпаемые информационные возможности исторических источников служат постоянным стимулом для активизации исследовательской деятельности в области источниковедения. Научные разыскания в современном источниковедении ведутся по двум взаимосвязанным направлениям: общетеоретическом и конкретно-практическом. Обобщая опыт изучения исторических источников, теория источниковедения обусловливает повышение профессионального уровня и эффективности тех же конкретных разысканий, обеспечивает развитие исторической науки в целом.

В книге, впервые в грузинской исторической науке, на широкой историографической основе рассмотрены основные аспекты теоретических разысканий в современном источниковедении с особым акцентом на проблемы, вызывающие разногласия и споры. Дано определение источниковедения как комплексной отрасли исторической науки, специально изучающей исторические источники. Эта отрасль объединяет специальные источниковедческие дисциплины, обобщает полученные ими данные и создает единую теорию и методику выявления, изучения и использования исторических источников. Издание исторических источников признано прикладной функцией источниковедения.

В работе изучена сложная структура источниковедения, показано его место в системе общественных наук; обращено внимание на различное отношение к источнику историка и источниковеда, а также на вопросы взаимоотношений исторической науки и источниковедения. Дана подробная характеристика этапов источниковедческой работы: выявления, установления происхождения, подлинности, достоверности, окончательной оценки памятника с точки зрения общей системы источников, а также в связке автор — источник — адресат.

В связи с источниковедением рассмотрены научные дисциплины — эпиграфика, фалеристика, геральдика, вексиллология, филателия, нумизматика, бонистика, сфрагистика, дипломатика, летописеведение, информатика, документове-

дение, семиотика, библиография, эвристика, книговедение, кодикология, палеография, текстология, архивоведение, археография, памятниковедение и др.; показаны тенденции их развития, взаимоотношения со смежными дисциплинами.

Поскольку источниковедение является наукой об источниках, возникает необходимость определения исторического источника на фоне критического рассмотрения многочисленных высказываний по этому вопросу. Изучена одна из центральных теоретических проблем источниковедения — классификация исторических источников как необходимый этап разработки методов и приемов их анализа. Попутно даются определения понятий — род, вид, разновидность.

В специальной главе рассматриваются вопросы взаимоотношений методологии, методики и техники исследования в источниковедении, затрагиваются проблемы соотношения «внеисточникового» и «источникового» знаний, репрезентативности источников, специальной терминологии, т. н. «потребительского» отношения к источнику, возможности использования неизученного памятника и т. д. Здесь же дана краткая характеристика основных методов источниковедческого исследования.

შემოკლებანი

ქსე — „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. თბილისი.

АД — «Архивное дело». Москва.

БСЭ — «Большая советская энциклопедия». Москва.

ВА — «Вопросы архивоведения». Москва.

ВИ — «Вопросы истории». Москва.

ВИД — «Вспомогательные исторические дисциплины». Ленинград.

ВФ — «Вопросы философии». Москва.

ГАИМК — Государственная академия истории материальной культуры.

ИОИ — «Источниковедение отечественной истории. Сборник статей». Москва.

ИР — «Источниковедческие разыскания». Тбилиси.

ИСССР — «История СССР» Москва.

ЛГУ — Ленинградский государственный университет.

НТИ — Научно-техническая информация.

ПИ — «Проблемы источниковедения». Москва.

СА — «Советские архивы». Москва.

СИЭ — «Советская историческая энциклопедия». Москва.

СЭС — «Советский энциклопедический словарь». Москва.

ТМГИАИ — «Труды Московского государственного историко-архивного института».

ТОДРЛ — «Труды Отдела древнерусской литературы Института русской литературы АН СССР». Ленинград.

ЭС — Энциклопедический словарь.

შინაარსი

წინათქმა 3

შესავალი 5

წყაროთმცოდნეობა მეცნიერებათა სისტემაში . . . 13
„დამხმარე“ ისტორიული დისციპლინები 31
ისტორიული წყარო 65
ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია 89
წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი 115
Теоретические проблемы источниковедения. Резюме . . . 131
შემოკლებანი 133

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3778

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ე. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი
გამომშვები ე ლ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 27.4.88; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.6.88;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 8,5;
პირ. საღ. გატ. 8.88; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.69;
უე 02406; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1420;
ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19